ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისარი

5

1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

156

გამოცემის მეთოთხმეტე წელი

5

მაისი

1970

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა

3. ნოდარ დუმბაძე. ნუ გეშინია, დედა. რომანი. გაგრძელება

40. რეზო ჭეიშვილი. დალი. რომანი. გაგრძელება

პოეზია

33. ოთარ ჭელიძე. ლექსები

37. გელა შალვაშვილი. ლექსები

38. ვასილ გვეტაძე. დაკარგულ ჯარისკაცთა დედების მოთქმა. ლექსი

80. ჯანსუღ ჩარკვიანი. რწმენის კედელი. ლირიკული პოემა

გმირული ლეგენდის გახსენება

90. იაროსლავ იოსელიანი. ქარიშხალში. დასასრული

ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ

109. გიორგი ყურაშვილი. ქართველები დიდ სამამულო ომში

116. არჩილ კოკილაშვილი. უკვდავი გმირობა

არ წაიშლება მათი სახელი

123. აკაკი ბეწაძე. საუბარი შინმოუსვლელ ძმასთან

130. გიორგი ბერიძე. ამბავი შინ დაბრუნებისა

137. ალექსანდრე გუჯაბიძე. მეგობრები

149. კარლო კობერიძე. ჯარისკაცის შვილი

საბჭოთა აზერბაიჯანის 50 წელი

155. სამედ ვურღუნი. აზერბაიჯანი. ლექსი. თარგმნა ვახტანგ ჯავახაძემ

158. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აკაკი ბაძრაძე,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვეტაძეიანელი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტია პაპაკორია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფოფხაძე,
ნოდარ ფულეისკირი,
ჰარიელ ჰანტაურია,
სერგი ჟილაია,
ოთარ ჭილაძე,
დავუთ ჯანაშია,

ნოდარ ლუმბაძე



ნუ გეშინია, ლელა

მესამე დღეს სახე დამიცხრა და შურა დეიდაც დაცხრა. ახლა მარტო თვალებიღა მქონდა ჩამუქებული მსუბუქი ყოფაქცევის ქალივით. საღამოს მეზობლის ბიჭი ამოვიდა ჩვენთან და, შურა დეიდას უჩუმრად წერილი გადმომცა.

„ავთო! ხვალ თუ შეგიძლია უეჭველად მნახე ლექციების შემდეგ, სამ საათამდე გელოდები ინსტიტუტთან. დადუნა“.

წერილი ძველი რევოლუციონერივით შევეჭამე და მეორე დღეს ორ საათზე ინსტიტუტის წინ ვიყავი ატუზული. სამს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, დადუნა ინსტიტუტიდან გამოვიდა. ძალიან სადად ეცვა. პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა.

— არ მეგონა თუ მოხვიდოდი! — თქვა მან და დამნაშავესავით დადგა ჩემს წინ.

— გამარჯობა, დადუ!

— გამარჯობა, ჯაყო!

— რა იყო, დადუ?

— ხომ არ მემდური, ჯაყო?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რისთვის?

— აბა, რა ვიცი!

— ყველაფერი ჩემი ბრალი იყო!

— არა, ჯაყო!

— აბა, ვისი?

— არ ვიცი, ალბათ ყველასი. წავიდეთ სადმე.

— სად, დადუ?

— სალაპარაკო მაქვს შენთან, სადაც გინდა წავიდეთ.

— წავიდეთ!

ტაქსი დავიჭირე, ორთავე უკან დაესხედით, მე მარცხნივ, შოფრის უკან, დადუნა — მარჯვნივ.

— საით წავიდე? — იკითხა მძღოლმა და მრიცხველი ჩართო.

— საითაც გინდა! — ვუთხარი მე. მძღოლმა გაკვირვებით მომხედა.

— საითაც გინდა! — გავუმეორე მე. მძღოლმა ისევ მომხედა და დაეინებით დამიწყო ცქერა — ან მთვრალი ვგონივარ, ან თვალებს ვიღებავ ჰგონია, გავიფიქრე მე და, მძღოლის ეჭვები რომ გამეფანტა, დადუნას მივუბრუნდი და თვალი ჩავუკარი.

— ძვირად დამიჯდა მესამე რაუნდი, მოვიგე, მაგრამ იმანაც ბევრი მირტყა! მძღოლმა ისევ მომხედა. — კარგია თუ დამიჯერა და მოკრივე ვგონივარ, ბევრს არ გადამახდევინებს, — ისევ გავიფიქრე მე.

— რადგან ეგრეა, ჰავლაბარში წავიდეთ! — თქვა მძღოლმა და მანქანა დაქოქა.

— ჰავლაბარში რატომ?—ვკითხე მე.

— შეყვარებულებს უყვართ ჰავლაბარში ტაქსით სეირნობა! — თქვა მძღოლმა და გაიღიმა.

— რატომ? — დაინტერესდა ახლა დადუნა.

— იმიტომ, რომ იქ ბევრი ვიწრო ქუჩები და მოსახვევებია, რომ ვუხვევ, ერთმანეთს ეხუტებიან, ვითომ თავს ვერ ვიკავებთ და დავეჯახეთო რა?! — დადუნას გაეცინა და მე შემხედა.

— რადგან ეგრეა, მცხეთის გზაზე გადი. — ვუთხარი მე.

მძღოლმა ვაკე-საბურთალოს გზასაც შეუხვია და უსიტყვოდ დაადგა მცხეთის გზას.

მთელი გზა ხმა არ ამოგვიღია არც მე, არც მძღოლს, არც დადუნას. მხოლოდ ერთხელ თქვა მძღოლმა თავისთვის:

— სვეტიცხოველი რემონტშია, ორშაბათს ჯვარზე არავინ არ დადის. ნატახტარს ახლა რესტორანი არ ჯობია, ქსოვრელები უკრავენ.

სიზმრად ვნახე საიაითნოოვაა...

მითხრა ვეყოოო ტანჯვაა გლოვაااა!..

წაიღიღინა მან.

— ჯვარზე აგვიყვანე! — ვთქვი მე. მძღოლმა ისევ მომხედა. ძალიან ნაცნობი სახე აქვს, გავიფიქრე მე და დადუნას შევხედე. დადუნა ფიქრებში წასული იჯდა და მარცხენა ხელი სულ ახლოს ედო, ჩემს ხელთან. მზერა ხელზე გადავიტანე. მერე ხელი ოდნავ მივაჩოჩე დადუნას ხელთან, შეხება ვერ გავბედე. მძღოლის სარკეში ჩავიხედე, მისი ანთებული შავი თვალები დაეინებით მომშტერებოდნენ. — უზრდელია, ვიფიქრე, რას მიყურებს. ჯვრის გადასახვევთან მოულოდნელად მოუხვია. მე მარცხნივ გადავვარდი, დადუნა ჩემსკენ გადმოქანდა და მისი ცხელი მკლავი მკლავზე შემეხო. ერუანტელმა დამიარა. ძალაუნებურად დადუნას ხელი მოვხვიე, დადუნამ ამომხედა და მისი დიდრონნი, საოცრად ლამაზი, ელამი თვალები ისე ახლოს აღმოჩნდნენ ჩემთან, რომ თავი ვერ შევიკავე და გახურებული ტუჩებით ქუთუთოებზე შევეხე.

დადუნამ თვალები დახუჭა. ახლა მეორე თვალის ქუთუთოებზე ვაკოცე. მან ხელი მკერდზე დამადო და ძალიან ფრთხილად მომიცილა. ადგილზე გავსწორდი და ხელი დადუნას თბილ ხელს დავადე. დადუნას ხელი არ წაუთრთვეია.

— კიდევ რვა მოსახვევი გვაქვს ეგეთი! — თქვა მძღოლმა. ისევ გავხედე სარკეს. მძღოლი თვალს არ მაცილებდა.

— თუ ძმა ხარ, წინ იყურე, არ გადაგვაგდო! — გავაფრთხილე მე. მძღოლს არაფერი უთქვამს, თვალი ამარიდა. პი-

ონერთა ბანაკის ცოტა ზევით, იქ, სადაც სათიბებია, უცებ საქე მარჯვნივ გაექცა.

— ისევ დაუშვა! — თქვა მძღოლმა, მანქანა გააჩერა და ფანჯრიდან გადააფურთხა. — დღეს მეორეჯერ უშვებს! — დაამოწმა მან. მანქანიდან ჩამოვიდა, წინა საბურავს ორჯერ მიარტყა წიხლი და ისევ გადააფურთხა. მერე საბარგულთან მივიდა და საჭირო ხელსაწყოები გადმოიღო.

— ბოდიში, მაგრამ უნდა ჩამოხვიდეთ, პაკრიშკა უნდა გამოვცვალო. — გადმოვეფინთ. დადუნა ეელზე გავიდა და ყაყაჩოებს დაუწყო კრეფა. მე მძღოლთან დავრჩი. მძღოლმა საბარგულიდან სათადარიგო საბურავი გადმოაგორა და დამნაშავე თვალებით შემხედა.

— დასაბერია! — თქვა მან.

— მიდი, შენ ძველი მოხსენი, მე მანამდე დავბერავ! — ვუთხარი მე და საბურავის დაბერვას შევუდექი. ასჯერ ჩავბერე და საბურავს ფეხი დავაჭირე. შუამდიც არ იყო დაბერილი. ზედ საბურავზე დავჯექი. ცოტა სული რომ მოვითქვი, ისევ დავუწყე საბურავს ჩაბერვა. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... — დავიწყე ხმამაღლა თვლა.

— ოთხი, ხუთი, ექვსი! — გავიგონე უცებ და თავი ავწიე. ჩემს წინ 14-15 წლის ბიჭი იდგა. მაღალი, ლამაზი, გაუკრეპელი, ფეხშიშველი, მუხლებზე დაკერებული შარვლით, უსაყელო წითელი პერანგი ეცვა თეორწინწკლენანი, იდაყვებზე გამოხეული. იღიმებოდა, პირი ოდნავ ღია ჰქონდა და ქვედა ტუჩი ცოტათი ჩამოვარდნილი.

— გამარჯობა შენი! — ვუთხარი მე.

— გაგიმარჯოს! — მითხრა მან და ხელი გამომიწოდა. ჩამოვართვი.

— რა გქვია? — კითხე.

— მერაბია!

— მომეხმარე, ცოტა ჩაუბერე! — ვთხოვე მე.

— კი! — მითხრა მან სიხარულით და დასაბერი დგუში გამომართვა.

— ერთი, ორი, სამი... — დაიწყო მან თვლა, ხუთამდე რომ მივიდა, ისევ თავიდან დაიწყო თვლა, მერე ისევ, ისევ და ასე, ხუთამდე რომ მივიდოდა, ისევ თავიდან იწყებდა თვლას.

— ექვსი! — შევაშველე მე.

— ხუთი! — მითხრა მან და გამიღიმა.

— სად ცხოვრობ-მეთქი? — ვკითხე.

— მეე? — მკითხა მან და წელში გასწორდა.

— ჰო, შენ!

— იქ! — თქვა მან და წიწამურისაკენ გაიშვირა ხელი.

— დედა გყავს?

— კი!

— მამა?

— მამა? — გამიმეორა კითხვა.

— ჰო, მამა!

— მამა ორი მყავს! — თქვა მან და გამიღიმა ისევ.

— როგორ ორი?

— ერთი და კიდევ ერთი, ორი! — დათვალა მერაბიამ.

— ვერ გავიგე.

— როსტომი და თედო, დიდი მამა და პატარა მამა! — მითხრა მერაბიამ.

— ბაბუა და მამა? — ვკითხე მე.

— ჰო!

— სწავლობ მერაბია?

— კი!

— რომელ კლასში ხარ?

— მესამე!

— რამდენი წლის ხარ?

— ერთის! — თქვა მერაბიამ და ისევ გამიღიმა.

რომ გამიღიმა, ელვა დავინახე მის თვალებში.

— ერთის, მერაბია? — ვკითხე და ყელში ბურთი მომებჯინა.

— ერთის! — დამიქნია თავი კმაყოფილმა.

უცებ თვალები გაექცა, ხელი გაუშვა დგუშს.

— დათო, დათო! — მითხრა და გაიქცა. გავიხედე. ბილიკზე პატარა ბიჭი ჩამოდიოდა. მხარზე ერთი შეკვრა ფიჩხი დაედო, მერაბია მივარდა, ფიჩხი ჩამოართვა და ძუნძულით გამოიქცა

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

უკან, პატარა ბიჭი უკან გაბრუნდა. ქლოშინით მოძუნძულდა მერაბია, ფიჩხი გზის პირას დაწყო და ისევ ეცა დგუშს.

— ეყოფა!—თქვა მძღოლმა, რომელსაც დაშვებული საბურავის მოხსნა დაემთავრებია და ახლა ჩვენს გაბერილ სათადარიგო საბურავს სინჯავდა. მერაბიამ დგუში მიწაზე დაადგო და გვერდზე გადგა.

— მერაბია, ვინ იყო ის ბიჭი? — ეკითხე მე.

— დათო, ნათელას ძმა! — მითხრა მან და ქვეყნის სიფიფო და სიყვარული ჩაუდგა თვალებში.

— ნათელა ვინ არის?

— დათოს და, ნათელა! — გამიმეორა მან.

— გიყვარს ნათელა? — ეკითხე მე. მერაბიამ არ მიპასუხა. თავი დახარა და შიშველი ფეხით მიწას დაუწყო წვალება. ცოტა უხერხულობა ვიგრძენი. მაგრამ ცნობისმოყვარეობა მკლავდა.

— სად არის ნათელა? — ეკითხე.

— არ არის ნათელა! — მითხრა მერაბიამ და ისევ დავუსახე თვალებში ელვა.

— როგორ არ არის?

— წავიდა ნათელა!

— სად წავიდა?

— მე ვიცი სად წავიდა, არავინ არ იცის. მე ვიცი! — დაირტყა მჯიღი მკერდზე მერაბიამ.

— როგორ წავიდა! — არ მოვეშვი მე.

— დაიმალა და არ გამოვიდა. მე დავიხუმე, ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... ბევრი დავითვალე და ნათელა არ გამოვიდა.

— კუკუდამალობანას თამაშობდით?

— ჰო!

— მერე სად წავიდა ნათელა?

— ხუთი დავითვალე... ყველა გამოვიდა, ნათელა არ გამოვიდა, მე ვიცი სად წავიდა ნათელა, მე ვნახულობ ნათელას. არავინ არ იცის სად წავიდა ნათელა!... მე ვიცი... — თქვა მერაბიამ, ტანზე ბუსუსებმა დამაყარა. ფერდობზე პატარა ბიჭი ჩამოდიოდა ფიჩხის ახალი შეკვრით. მერაბია ისევ გაიქცა. პატარა ბიჭი და მერაბია ერთად მოვიდნენ მანქანასთან. მერაბიამ ფიჩხი გზის პირას დააყარა და ზედ ჩამოჯდა.

— წადი, მერაბია, ვირი მოიყვანე! — უთხრა პატარა ბიჭმა. მერაბია შურდულივით მოწყდა ადგილს.

— გამარჯობა, ბიჭო! — მივესალმე მე.

— გაგიმარჯოთ! — მიპასუხა მან.

— ვინ არის ეგ? — ვკითხე და მერაბიას გავხედე.

— მერაბია!

— რა მოუვიდა?

— ტვინის ანთება ჭირდა.

— რამდენი წლისაა?

— ცამეტის და ერთის ვარო იძახის!

— შენ?

— მე თორმეტის.

— ნათელა ვინ არის? — ვკითხე. ბიჭმა ჯერ მერაბიას გახედა, მერე მე მიყურა დიდხანს.

— ნათელა დაა ჩემი.

— სად არის შენი და? — ვკითხე მე ფრთხილად.

— მოკვდა ნათელა, სამი წლის წინ მოკვდა — სუნთქვა შემეკრა და, ტირილი რომ არ დამეწყო, ბიჭს ზურგი შევაქცევ და მანქანაში ჩავჯექი. მძღოლმა საყვირი მისცა, დადუნას ეძახდა. დადუნა დაბრუნდა გვირილებისა და ყაყაჩოების უზარმაზარი თაიგულით, ჩემს გვერდით დაჯდა და თაიგული გადმომცა.

— ნახე რა ლამაზია! — მითხრა მან. ყვავილები ჩამოვართვი. მძღოლმა მანქანა დაძრა. სარკმელში გავიხედე. მერაბია ფერდობზე მოათრევდა გაჯიუტებულ ვირს.

— გააჩერე, თუ ძმა ხარ! — ვთხოვე მძღოლს. მძღოლმა გააჩერა. მე ჩავედი მანქანიდან და მერაბიასკენ გავიქეცი თაიგულით. მერაბიამ დამინახა და გაჩერდა. გულამოვარდნილმა მივირბინე.

— მერაბია! — ვუთხარი, — ეს ყვავილები ნათელას მიუტანე!

— ნათელას? — მკითხა გაკვირვებულმა მერაბიამ.

— ჰო, ნათელას!

— ყვავილები რად უნდა ნათელას — მკითხა კიდევ უფრო გაკვირვებულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბიამ და სათიბს გახედა. მხოლოდ ახლა დავინახე, რომ მერაბია მუხლამდე ყაყაჩოებსა და გვირილებში იდგა.

— უნდა, მერაბია, გოგოებს უყვართ ყვავილები. წაიღე, — ვუთხარი მე, ყვავილები მივაჩეჩე და უკან გამოვიქეცი. მანქანაში რომ ჩავჯექი, მძღოლი დადუნას ელაპარაკებოდა.

— ეგ ბიჭი გიყია, აქ ხშირად დგას ხოლმე და შოფრებს ხელს უქნევს, ვუზერებთ. სულ იღიმება, ფულს არ იღებს, არაფერი, პროსტო გიყია.

— წადი! — ვუთხარი მძღოლს. მძღოლმა მანქანა დაძრა. შემოტრიალდი და უკანა სარკმლიდან მერაბიას გავხედე.

მერაბიას ვირისთვის ხელი გაეშვა და ისე იდგა მუხლამდე ყაყაჩოებსა და გვირილებში უზარმაზარი თაიგულით ხელში.

მანქანა აღმართს შეუდგა. მძღოლმა სიჩქარე გამოცვალა. ჩემს ხელს დადუნას ხელი შეეხო. გავხედე, იგი არ მიმზერდა, სადღაც ფანჯარაში იყურებოდა და რამდენჯერაც ხელს მომიკერდა, ვხვდებოდი, იმდენ რაღაც ლამაზს, დიდებულს და მშვენიერს ხედავდა. მკლავი გადავწიე და დადუნას მხარზე მოვხვევ, მერე ჩემსკენ მოვზიდე და სახე მის გაწითლებულ თმაში ჩავფალი. საოცარი სურნელი მეცა, თმის, ქალის, სუნამოსი, თივის, ყაყაჩოსი, გვირილისა და კიდევ რაღაცის. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მოვძებნე დადუნას თმებში მისი ლამაზი, პატარა ყურის ნიჟარა და არ მიკოცნია, უბრალოდ ტუჩებით შევეხე. ნიჟარა ისეთი თაკარა იყო, როგორც ზღვის მიერ გამორიყული და მზისაგან უსაშველოდ გამთბარი ნამდვილი ნიჟარა. დადუნა, დადუ...ვჩურჩულებდი მე და პასუხად მისმოდა ნიჟარაში ჩამწყვდეული ჩუმი, ძალიან ჩუმი, შორეული და ზღაპრულად საამო ზღვაური. ასე ვიყავით დიდხანს. მერე მე ვიგრძენი, რომ სარკიდან ისევ მიცქერდა ორი უზომოდ ცნობისმოყვარე და შავი თვალი. — უზრდელია, — ვიფიქრე მე და დადუნას ხელი გავუშვი. მძღოლმა თვალი ამარიდა მერე, ალბათ უხერხულობა რომ დაეფარა, სტვენა დაიწყო.

— პაპიროსი ხომ არ გაქვს, ჯიგარო!— იკითხა უცებ და მომიბრუნდა. ხმა არ გამიცია, ისე ამოვიღე სიგარეტი და ასანთი და მივაწოდე. პროფესიონალი მძღოლისათვის დამახასიათებელი არტისტიზმით მოუკიდა და გააბოლა ისე, რომ სიჩქარე არ შეუნელებია.

— ჩესტერფილდ! — თქვა მან და სიგარეტზე წარწერა შეამოწმა. — ჩესტერ-ფილდ! — გაიმეორა, მერე მომიბრუნდა და მკითხა:

— ბოდიში, სად შოულობთ?

— ბიძაჩემს ვპარავ! — ვუთხარი მე.

— ეგრე ჯობია, ოორემ მეიდანში სამი თუმანი ღირს. — გამამართალა მან.

— კი, ძვირია! — დავუმოწმე მე. მძღოლმა ძალიან გემრიელი ნაფაზი დაარტყა და ახლა დადუნას მიუბრუნდა:

— თქვენს ყვავილებზე გამახსენდა, ქალიშვილო, — თქვა მან. — აი იმ ყვავილებზე, ამან რომ იმ გიეს აჩუქა. ამ რვა წლის წინ, ათი წლის ვიყავი.

— მართლა? — ჰკითხა დადუნამ ისე, სხვათა შორის, ზრდილობისათვის.

— ჰო! — უპასუხა მძღოლმა. — ამ. რვა წლის წინ ათი წლის ვიყავი, მე ქურთი ვარ და ერთი ოჯახიდან, დედა რომ ფინთად იყო, ან არა სცალოდა, ნაგავი ჩამქონდა!.. — სუნთქვა შემეკრა და სარეკის გავხედე. მძღოლის თვალები სარკეში არ ჩანდა. ყბების მოძრაობაზე შევატყვე, სიგარეტს ღეჭავდა ნერვიულად.

— იქ ერთი ჩემი ტოლი ბიჭი ცხოვრობდა, ლამაზი დედა ჰყავდა, ძალიან ლამაზი იყო დეიდა მანანა!...

მე სიგარეტი ამოვიღე კოლოფიდან მოვუკიდე და მერე მივხვდი, რომ უკუღმა მედო პირში.

— ერთ დღეს ჩემი დედა სარა მოკვდა.

— მართლა? — ისევ უშინაარსოდ ჰკითხა დადუნამ.

ნოდარ ფუფუნაძე
ნუ გეშინია, დედა

— ჰო, მოკვდა ჩემი დედა სარა. იმ დეიდა მანანამ მე ფეხები დამბანა, თავისი შვილის ტანსაცმელები მომცა და ყველა ქუთთის ქალზე ლამაზად იტირა დედა-ჩემი, მერე იმისი შვილი მოვიდა და ბევრი, ძალიან ბევრი ვარდები მომიტანა, სარა დედის დასაფლავების დროს; ისე ბევრი, როგორც თქვენ დღეს...

— ვარდები? — ჰკითხა დადუნამ. — პატარა ბიშმა? ალბათ დედამ ასწავლა!

— ჰო, დეიდა მანანამ ასწავლა, ის ბიჭი მე ძალიან მიყვარდა, ძალიან კეთილი იყო და ძალიან სუფთად იცვამდა, სულ თეთრი ვარატნიკი ჰქონდა, მერე იმ ბიჭსაც მოუკვდა დედა... დედაც და მამაც!.. მერე მე ის ბიჭი დავკარგე. სულ ვეძებ, მითხრეს სოფელში წაიყვანესო. სასაფლაოზე დავდიოდი, ვთქვი, თუ კაცია, დედის საფლავზე მოვა-მეთქი. დედაჩემი ვაკის სასაფლაოზე მარხია, ჩვენ ქრისტიანები ვართ, აი ჯვარი, — თქვა მძღოლმა, პერანგი გაიხსნა და ხელისგულზე დიდი ოქროს ჯვარი დაიდო.

— ღმერთო, რა დიდებულია! — წამოიძახა დადუნამ და ჯვარს დახედა.

— ამის წინ ვიყავი, მაგრამ მითხრა იყოვო, მარო საფლავის მომვლელია, წინა ორი კბილი გაყოფილი ჰქონდაო, იმაზე მიეხვედი, ნიდადე ეგრე ჰქონდა, თვითონაც ეძებედაო, მე ჯაყოს ვეძახდი, ის ეუეტელას მეძახდა... — თქვა მძღოლმა და ისევ შემხედა.

— მოიცა, მოიცა, რას ეძახდი? — ჰკითხა გონს მოსულმა დადუნამ.

მძღოლმა არაფერი არ უპასუხა. და მე კვლავ დავინახე სარკეში ორი, საოცრად შავი, თბილი და ლამაზი თვალები, მერე დადუნას განცვიფრებულ მზერას წავაწყდი, და ისევ გალღვა რაღაც მკერდში, გათბა, დადნა და ადუღდა.

— გამარჯობა, აბო! — ვთქვი მე.

●

ავთანდილ ჯაყელო, ეგეც შენი აბო, იპოვე აბო, თუ აბომ გიპოვა? მთელი შენი თბილისური ბავშვობის მოგონება აბოსთან იყო დაკავშირებული, მთელი შენი ბავშვობა თანდათან ნისლითა და ბურუსით იფარებოდა და შენ აბის ეძებდი, რათა ამ ნისლიდან და ბურუსიდან გამოსულიყავი როგორმე. აჰა, ესეც შენი აბო. ჰკითხე როგორი იყო დედაშენი, გაიხსენოს აბომ შენი დედა, ალბათ აბოსაც ახსოვს მისი თბილი ხელი. ჰკითხე აბოს, აბო, რაც ახსოვს, ყველაფერს მოგიყვება, აბოც იმიტომ ხომ არ გეძებდა, რომ გაეხსენებინა შენი დედის ხელის სითბო, მოეყოლა როგორი ლამაზი და კეთილი დედა გყავდა. თუ აბოს ბავშვობის მეგობარი, სიზმარივით და ზღაპარივით წასული მეგობარი უნდოდა ეპოვა? იქნებ აბოს არც უნდა თავისი ბავშვობის გახსენება. როგორ იდგა ფეხშიშველი სადარბაზოში ნაგვის მოლოდინში, ან როგორ ხვეტდა მისი ლამაზი სარა დედა სხვის ჭუჭყიან სადარბაზოებს. იქნებ არ უნდა აბოს ყველაფერის ამის გახსენება! მაშ რაღად გეძებდა აბო, ავთანდილ ჯაყელო?

●

— გამარჯობა, ჯაყო! — თქვა აბომ და მანქანა ჯვრის ძირში გააჩერა, მერე მანქანიდან გადმოვიდა და გვერდზე გადგა. მეც გადმოვედი მანქანიდან და აბოს პირდაპირ დავდექი.

დიდხანს ვიდექით ერთმანეთის პირდაპირ. აბო ძალიან უხერხულად იღიმებოდა, მე არ ვიცი რას ვაკეთებდი, ვცდილობდი კი გამეღიმა. მერე აბომ ხელი გამომიწოდა, მეც გავუწოდე და ასე ხელგაწვდილები წავედით ერთმანეთისაკენ. რომ მიეუახლოვდით, ხელი არ ჩამოგვირთმევია. აბომ ხელები მხრებზე მომხვია, გულში ჩამიკრა და მე დიდხანს ვკრძნობდი ბეჭებზე მისი ვეებერთელა ტორების ბრახუნს და ჩურჩულს.

— სად ხარ, ჯაყო, როგორ ხარ, ჯაყო, ჯაყო, ჯაყო, ჯაყო, როგორ ხარ, ჯაყო, ჩემო ჯაყო...

●

ერთი საათი გავიდა, ავთანდილ ჯაყელო, და მთელი შენი თვრამეტი წელიწადი ამ ერთ საათში ჩაეტია. ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათში ჩაეტია აბოს თვრამეტი წელი. ოცდათექვსმეტი წელი ჩაეტია ერთ საათში. შენი და აბოსი... და ალბათ კიდევ მილიარდ წელიწადს ეძინა ამ ერთ საათში. ამ ერთი საათის განმავლობაში აბო სულ თავის დედა სარაზე გეკითხებოდა და შენ მიხვდი, რატომ გეძებდა აბო. მთელი ერთი საათი შენ დედაშენზე ეკითხებოდი აბოს და აბო მიხვდა, რაზე ეძებდი შენ მას. მერე კი ორთავე მიხვდით, თუ რაზე ეძებდით ერთმანეთს.

და თქვენ ხელშეორედ დაბადებასავით გაგიხარდათ ერთმანეთის ნახვა. მერე თქვენ დიდხანს არ გინდოდათ დაცილება, მაგრამ აბოს სამსახური ელოდებოდა, შენ კი გაკვირვებული, გულჩუყებული და თვალებში ცრემლჩამდგარი დადუნა. მერე შენ ჯიბისკენ წაიღე ხელი და, აბოს თვალებს რომ შეხედე, ფულის ნაცვლად ცხვირსახოცი ამოიღე და აბოს გაუხარდა, როდესაც შენს ხელში ფულის ნაცვლად ცხვირსახოცი დაინახა. მერე თქვენს შორის უხერხული დუმილი ჩამოვარდა. აღარ იცოდით, რაზე გელაპარაკათ, რადგან ერთ საათში მთელი თქვენი თვრამეტ-თვრამეტი წელიწადი ჩამოღერღეთ. ოცდათექვსმეტი წელიწადი კი ძალიან ცოტაა ერთი საათისათვის, იმდენად ცოტა, რომ ის თვრამეტ-თვრამეტი წელიწადიც ორორჯერ ჩამოღერღეთ ერთ საათში. მერე უხერხული დუმილი ისევ აბომ დაარღვია.

— ამოვალ ორ საათში და უკან წაგიყვანთ! — თქვა აბომ.

— არა, აბო, ჩვენ აქედან მცხეთაში ჩავალთ და მატარებლით, ან ავტობუსით დავბრუნდებით! — თქვი შენ.

— მცხეთაში მოვალ! — თქვა აბომ. — თქვენ რომელ საათზე იქნებით მცხეთაში?

— არა, აბო, ჩვენ ჩვენით დავბრუნდებით! — თქვი შენ.

მაშინ აბომ თავისი მისამართი მოგცა და მოსცალა გთხოვა. შენ შენი მისამართი მიეცი და შენც სთხოვე მოსულიყო.

— მაინც ამოვალ, ჯაყო!

— არა, აბო, მადლობელი ვართ. ჩვენ ასე გვირჩევნია.

— კარგი გოგოა!

— დადუნა, გაიცანი, ჩემი ბავშვობის მეგობარია, აბო!

— აბო!

— დადუნა!.. დედას გეფიცებით, ამდენი ჩემს სიცოცხლეში არ მიტირია.

— ნახვამდის, ჯაყო!

— ნახვამდის, აბო!

— ნახვამდის, ქალბატონო!

— ნახვამდის!

აბომ მანქანა დაქოქა და გიქივით გაქროლა, მერე უცებ გორაკზე შეაყენა, საბურავების საშინელი ღრჭიალით, მანქანიდან გადმოხტა და ორთავე ხელები ცაში აიშვირა მლოცველივით.

შენ და დადუნამაც აიშვირეთ ორთავე ხელები და აბო წავიდა.

— ნახვამდის, აბო!

ესეც შენი აბო, ავთანდილ ჯაყელო!

●

მე და დადუნა ჯვარზე მერცხლის ბუდესავით მიშენებულ რკინის მოაჯირიან პატარა აივანზე ვდგავართ და გადავცქერით. პატარა, ლამაზი, წითელკრამიტიანი სახლებით, ტაძრებით, მონასტრებით, ჯვრებით, ზარებით, სამარხებით, ნანგრევებით დახატულ მცხეთას. მოდის უამრავი ხალხი, ჯერ ზევიდან, ჯვრიდან დასცქერიან მცხეთას და სვეტიცხოველს, უწოსრად ტეხენ დახავსებულ კედლებიდან პატარა ქვას ან ფულებს, მალავენ ჩანთებში, ან ჯიბეებში. მერე მიდიან, მიაქცევ და მიაქცევ ეს დალოცვილი ჩანთებითა და ჯიბეებით, ზიდავენ და ზიდავენ, მიაქცევ და მიაქცევ. მერე ჩადიან მცხეთაში, ამოხედავენ ამ სასწაულს და ოხრავენ.

— ეს რა ვნახეთ, ეს რამხელაა, როგორ დგასო, რა ხელმა ააშენაო, რა ტვინმა ააგოო, რა ზურგმა აზიდაო, რა ურემმა მოზიდაო, რა ხალხმა დახატაო, რა მიწამ შვაო, მიწამ კი არა, ზეცამ შვაო,

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

ზეციდან ჩამოსულიაო, ზეციდან კი არა, კლდიდან ამოსულიაო, კლდიდან ამოსული კი არა და, ამოზრდილიაო, ჰაუ, რა დიდიაო, ჰაუ, რამხელააო, ჰაუ, როგორ დგასო.

მოდიან, უყურებენ, მიაქვთ, ზიდავენ და ზიდავენ. ეს დალოცვილი კი მაინც დგას; ყველას მიაქვს და მაინც ყველას ჰყოფნის. მარტო მცხეთას კი არა, მარტო საქართველოს კი არა, მთელ დუნიაშაც ეყოფა, იმხელაა დალოცვილი.

— ავთო!

— რა იყო, დადუნა!

— რა იფიქრე, ჩემი წერილი რომ მიიღე?

— გამიხარდა!

— მეტი არაფერი?

— ძალიან გამიხარდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე ვაპირებდი წერილის მოწერას და უცებ შენგან მივიღე!

— შენ რის მოწერას აპირებდი? — მკითხა დადუნამ და ჩემსკენ შემოტრიალდა. ახლა იგი ორივე იდაყვით ეყრდნობოდა რკინის მოჯირს და ზურგით მცხეთისაკენ იყო. პირდაპირ თვალებში მიყურებდა. მე თვალი ავარიდე.

— არა, მითხარი, რის მოწერას აპირებდი? აბა, შემხედე თვალებში და მითხარი.

— დაახლოებით ასე გაპირებდი: ჩემო დადუ, თუ ჩემზე გაპრაზებული არ ხარ, შემხედი...

— მერე?

— მერე არაფერი... შენი ჯაყო!.. — ასე ვამთავრებდი.

— ჩემი ჯაყო! — გაიმეორა დადუნამ და ჩამუქებულ ქუთუთოებზე ხელი ფრთხილად შემახო. — გტკივა?

— აღარ მტკივა, რა თქვეს გოგოებმა, ძალიან ხომ არ გავამლაშე?

— ანზორი პირუტყვია! — თქვა დადუნამ.

— იმას რას ვერჩი, პირუტყვი მე ვარ, ძალიან ავიგდე მასხრად. მაინც რა თქვეს გოგოებმა? — ისევ ეკითხე დადუნას და დავდარაჯდი.

— ჩვენს გოგოებს ძალიან მოეწონე. — მთხოვეს კიდევ შეგვახვედრეო.

— ბიჭებმა რა თქვეს?

— ბიჭებმა თქვეს ლაწირაკიაო! — არ დამიმალა დადუნამ.

— შენ რა თქვი? — ეკითხე დადუნას და მხარზე მოვხვიე ხელი.

— ჩვენმა გოგოებმა თქვეს კარგი ბიჭია, ჭკვიანია და ლამაზიაო.

— ლამაზიაო?

— არა, შემეშალა, სიმპათიურიაო, იზიდამ თქვა. იზიდა ყველაზე ლამაზია, არ მოგეწონა? — მკითხა დადუნამ და თვალები ისე შემომანათა, სახეზე ცეცხლი წამეკიდა.

— იზიდა? აღარ მახსოვს, ისეთი დამაკერა იმ ვირიშვილმა, ყველაფერი ამომიცვივდა თავიდან. — ვთქვი მე და ანზორის მუშტი რომ გამახსენდა, შუბლი მეტკინა.

— იზიდა ის არის, ხალი რომ ჰქონდა. იმას მოეწონე ძალიან. იმან თქვა სიმპათიურიაო .— თქვა დადუნამ და სცადა ჩემი ხელი მხრიდან ჩამოეღო. მე არ დავანებე.

— შენ რა თქვი, დადუ? — ვკითხე ისევ და უფრო ახლოს მივიზიდე.

— მე, მე არაფერი, მე რა უნდა მეთქვა... — დადუნამ თვალები დახარა.

— არა, თქვი, შენ რა თქვი ჩემზე, აბა შემხედე თვალებში და თქვი!.. — დადუნამ ისევ ამოზხედა. მისი სქელი, ლამაზი ტუჩები ისე ახლოს იყო ჩემთან, რომ სუნთქვა შემეკრა, მეორე ხელი ყელზე მოვხვიე, ჩემსკენ გადმოვხარე და ვაკოცე სულმოუთქმელად. ძალიან მაგრად და გაბმულად, ისე გაბმულად, ვიდრე მისი ათრთოლებული ტუჩების სისველე არ ვიგრძენი. დადუნა მომეკრა მკერდზე, ხელები ჩამოუშვა და თრთოლვამ აიტანა. როდესაც ოდნავ მოვეშვი და შევხედე, თვალები დახუჭული ჰქონდა და უშველებელ წამწამებზე სისველე უციმციმებდა. ახლა წამწამებზე ვაკოცე. დადუნას თვალები არ გაუხელია.

— ნუ იზამ, ავთო! — მთხოვა მან.

— რატომ, დადუ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ იზამ, შენი ჭირიმე! — გაიმეორა მან და მე თავი დავანებე. ჯვარის ეზოში საეკლესიო და ფეხის ხმა მოისმა. დადუნამ თვალები გაახილა და თმები გაისწორა.

ივანაწმე ათიოდე კაცი შემოვიდა, მათ შორის ერთი სამხედრო იყო, გენერალი, ასე. ორმოცდაათიოდე წლის, ახსოლუტურად მელოტი. ეტყობოდა, ყველა დანარჩენი მას ახლდა და ეს ექსკურსიაც მის პატივსაცემად იყო მოწყობილი. ერთი ყველაზე უფრო აქტიურობდა.

— აბა, ახალგაზრდებო, ცოტათი მიიწიეთ! — გვითხრა მან და ხელით მიგვწია კედლისკენ! ჩვენ მივიწიეთ.

— მობრძანდით! — სთხოვა მან გენერალს. გენერალმა ჩვენი ადგილი დაიკავა და სასმენად მოემზადა. იმ აქტიურმა კაცმა, ალბათ ექსკურსიის გამძღოლი იყო, ჩაახველა.

— ჯვარი!.. — დაიწყო მან და თავიდან ბოლამდე გაიმეორა ის, რაც მონასტრის კედელზე გაკრულ მემორიალურ დაფაზე სწერია. იმას რომ მორჩა, ისევ ჩაახველა და თემის გაღრმავებას შეუდგა.

იგი სულმოუთქმელად უყვებოდა სმენადქცეულ გენერალს, თუ როგორ იდგა არმაზის მთაზე არმაზის კერპი, როგორ დაუბნელდა ჩვენს მეფეს მირიანს ნადირობის დროს მზე და როგორ უშველა წმინდა ნინოს ღმერთმა და როგორ გაქრისტიანდა იმ დღიდან საქართველო; რომ ახლა ზუსტმა მეცნიერებამ, ანუ ასტრონომიამ დაამტკიცა და გამოარკვია, რომ მეფე მირიანი სულ ტყუილად გაქრისტიანდა. რადგან, მაშინ რომ დაბნელდა, არც არმაზის კერპი და არც წმინდა ნინოს ღმერთი არაფერ შუაში არ ყოფილან, იმ დღეს უბრალოდ მზის დაბნელება ყოფილა და მირიანი რომ არ გაქრისტიანებულიყო, მზე მაინც გამოანათებდა და ჩვენ კი ახლა მშვენივრად ვიქნებოდით და თითოს ას-ასი თუ არა, ათ-ათი ცოლი მაინც გვეყოლებოდა.

ერთი ორჯერ ექსკურსიამძღოლმა გენერალი ზედაზენისკენაც გაახედა, მერე არმაზისკენ მიახედა, მერე სვეტიცხოველისკენ ჩაახედა, მერე მოპყვა როგორ გადიოდა მცხეთაზე ინდოეთისაკენ მიმავალი სავაჭრო შარაგზა, როგორ იყო ეს შარაგზა ოქრო-ვერცხლით, ფარჩაბრეშუმით და თვალმარგალიტით დატვირთულ აქლემების ქარავნებით გაბმული, როგორ შემოდიოდა აღმოსავლეთიდან აღმოსავლური, და დასავლეთიდან დასავლური ცივილიზაცია, როგორ ერწყმოდა ადგილობრივ კულტურას სპარსული, ელინურ-ბერძნული, რომაული, ეტრუსკული, ხეთური, არაბული, იბერული, კოლხური კულტურები და როგორ შეიქმნა ბოლოს ქრისტიანული ცივილიზაციის ეს შედეგი — ჯვარი.

ერთ საათზე მეტ ხანს ილაპარაკა ექსკურსიამძღოლმა სულმოუთქმელად და ყველაფერს ამას ისე ოსტატურად, ისე არტისტულად, ისეთი ცოდნით ამბობდა, ყველანი პირდაღებულები მივჩერებოდით. გენერალი სადღაც შორს, სივრცეში იცქირებოდა თვალმოჭუტული.

— ყოველივე ზემოთქმულიდან, არსებულიდან, შესწავლილიდან და დადგენილიდან თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო არის მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი კერა და აკვანი. — დაამთავრა ექსკურსიამძღოლმა თავისი მგზნებარე სიტყვა, შუბლზე მომსკდარი ოფლი უზარმაზარი თეთრი ცხვირსახოცით მოიწმინდა და გენერალს მიაშტერდა. ყველანი სმენად ვიქეცით. საბოლოო სიტყვა გენერალს ეკუთვნოდა. გენერალმა კიდევ ერთხელ გახედა სივრცეს.

Мдаа... Хороший наблюдательный пункт! — თქვა მან. ექსკურსიამძღოლი გაფითრდა, მე სლოკინი ამივარდა. დადუნამ პირზე ხელი ამაფარა და თვითონაც აიფარა, რომ არ ეკივლა.

Все ущелье контролирует!

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

—დაგვირგვინა გენერალმა და ამაყად გადმოგვხედა. მე და დადუნა ეზოში გავცვივდით.

მერე ჯვრის ფერდობზე მოთიბულ ბალახში ვგორაობდით მთელი საათი და გიჟებივით ვხარხარებდით.

●

მოთიბული ბალახის სურნელია გარშემო. მე და დადუნა ზვინის ძირში ვწევართ გაუნძრევლად, ისე გაუნძრევლად, რომ მწყერჩიტები ღარ გვერიდებიან. ჩვენს გარშემო დაგოგავენ. კენკავენ მწყერჩიტფეხას თესლს, მერე ყავისფერ ლამაზ ქოჩრიან თავებს სასაცილოდ აკანტურებენ და ნისკარტს იწმენდენ გამობერილ ჩიჩახვებზე. ასე ახლოს მწყერჩიტები არასდროს მინახავს, სუნთქვასაც კი ვიკავებ, რომ არ დაფრთხნენ. მზე ჩადის და მცხეთისა და კარსანის მწვანე მთები ლურჯდება, ნიავი უბერავს და ხმელ თივას საამოდ აშრიალებს, ხან თავზე გადაგვიელის ნიავი, ხანაც მიწაზე გაწვება, თივას ერთ ადგილს მოაქუჩებს და თვალებში გვაყრის, თმებს გვიწეწავს, ამოჩაჩულ პერანგში ძვრება, გვიღიტინებს და გვეთამაშება. ჩამავალი მზე ღრუბელს ისე გაუჭრია შუაზე, ოქროსფერ სათამაშო ქოლგას ჰგავს. მზე ისე უცებ ჩავიდა და ისე უცებ ჩამობინდდა, მოულოდნელობისაგან წამოვჯექი, ზვინში დაბუდრებული მწყერჩიტები შეფრთხიალდნენ და ადგილი გამოიცვალეს.

— რა იყო? — მკითხა დადუნამ და თვალები გაახილა.

— არაფერი, სიგარეტი მინდა მოვწიო! — ვუპასუხე და ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე. დადუნამ ისევ დახუჭა თვალები. მე სიგარეტს მოვუკიდე და დადუნას გაშლილ მკლავზე დავდე თავი. ავრილდა და დადუნას მკლავმა ლოყა გამითბო. მე ოდნავ შევბრუნდი და იმ თბილ მკლავზე ვაკოცე დადუნას.

— ხომ არ წავიდეთ? — მკითხა უცებ დადუნამ და წამოჯდა.

— წავიდეთ! — ვუთხარი მე და წამოვდექი.

— მომეცი ხელი! — გამიღიმა დადუნამ. მე ხელი გავუწოდე და ისე ვბრუტაცე მიწიდან, პირდაპირ მკერდზე მომეკრა. ყელი ყელზე გადავაჭდე. ზურგი და თმები სავსე ჰქონდა ბულულებითა და თივით.

— გამწმინდე რა? — მთხოვა დადუნამ. მე წმენდა დავუწყე. თავბრუდახვეული დიდხანს ვუსვამდი ხელს ლამაზ ტანსა და ჯიშიან თეძოებზე. დადუნა მიმიხვდა ეშმაკობას, მომიბრუნდა და ორთავე ხელი მკერდზე მკრა, მე ეულალმა გადავვარდი ზვინზე. დადუნას სიცილი აუვარდა და ჰატარა გოგონასავით აკისკისდა. მეც გამეცინა. უცებ წამოვხტი და გამოვეკიდე, დადუნამ ზვინს შემოუარა, ვეღარ ვხედავდი. ფრთხილად შემოვუარე მარცხნა მხრიდან.

— კუკუ! — მომესმა მარჯვნიდან. სწრაფად შემოტრიალდი, დადუნას კაბის ბოლოს მოვკარი თვალი. ახლა მარჯვნიდან შემოვუარე.

—კუკუ, კუკუ! — მომესმა მარცხნიდან. გამოვეხვიე. დადუნას ორთავე ფეხსაცმელი გაეხადა, ხელში ეჭირა და სიცილით დარბოდა ზვინის გარშემო.

— სულ ერთია დაგიჭერ!

— ვერა!

— დაგიჭერ!

— ვერა! — და უცებ ზვინი აბოლდა. მე მივხვდი, რომ ამ თამაშში სიგარეტი ჩამივარდა თივაში და თავზე ხელი წავივლე, მაგრამ უკვე გვიან იყო, სქელი, თეთრი კვამლიდან წითელმა ალმა გამოყო ენები, გაიზარდა, გაიზარდა და ერთბაშად ზვინი უზარმაზარ ჩირაღდანს დაემსგავსა. ღამე დღედ იქცა. დადუნა მოჯადოებულივით იდგა ზვინის წინ, ორთავე ხელი მაღლა აემართა და აბრიალებულ ჩირაღდანს ეღიმოდა. მერე უცებ ფეხსაცმელები დაყარა, თმები ჩამოიშალა და ტანის ნაზი და პირველყოფილი რხევით დაიძრა ზვინის გარშემო. ზვინი ტკაცუნობდა, ბრიალებდა, ვუგუნებდა, იფერფლებოდა, წითელ ვარსკვლავებს ისროდა მაღლა და რაღაც იდუმალ სიმღერას მღეროდა. ცაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელებაზიდული და მკერდზე თმებჩამოშლილი დადუნა თვძოების ნაზი რხევით განაგრძობდა ცეკვას ვეებერთელა ჭიაკოკონას გარშემო. იგი დალის ჰგავდა, რომელიც რაღაც წარმართულ და მცხეთის ჯვარივით ძველ ცეკვას ასრულებდა.

— დადუ, გეყოფა! — ვუყვირე მე, თან გულში ვინატრე, ნეტავ არ შეწყვიტოს ცეკვა-მეთქი. დადუნას ყურადღება არ მოუქცევია ჩემთვის, ფართოდ თვალგახელილი, ტუჩებმოკუმული, გაქვავებული სახით განაგრძობდა თვძოების საოცარი რხევით ცეკვას და ისეთი ლამაზი, ისეთი პირველყოფილი, ისეთი ველური იყო ამ წუთში, შემეშინდა.

— დადუ, გეყოფა! — დავედევნე უკან. დადუნა ცეკვას არ სწყვეტდა, ალბათ არც ესმოდა ჩემი.

— დადუ, გეყოფა, წავიდეთ! — უცებ შორიდან ყვირილი მომესმა:

— ეჰეჰე, ვინა ხართ მანდა, ოჯახამოგდებულებო! — გავიხედე, ჩვენსკენ ორი ფიწალშემართული ლანდი მორბოდა.

— დადუ, გავიქცეთ, მოგვკლავენ!— ფეხსაცმელები მოვხიე და დადუნას ხელი ვტაცე.

— გამიშვი ხელი! — გამიძალიანდა.

— გოგო, მოგვდევენ, არ გესმის? — ვთხოვე მე.

— ეჰეჰე, სად წავლენ! — გაისმა კიდევ სულ ახლოს.

— გავიქცეთ, დადუ, შენი ჭირიმე! — ისევ ვთხოვე, პასუხს ალარ დაველოდე და დავითრიე, დადუნა დამყვა. პირდაპირ ჯვრისაკენ გავიქეცით.

— წავიდნენ, თედო, ზევიდან დაუარე, ჰაიტატატატა, სად წავლენ! — მესმოდა ზურგიდან. პირდაპირ მონასტერში შევეცავდით. სულს ძლივს ვითქვამდით. ფეხსაცმელები დადუნას ფეხებთან დაეყარე და სასწრაფოდ ჩავაცვი. გარედან ხმა მომესმა.

— სად უნდა წასულიყვნენ ეგ ვერანები, ჰა? — კითხულობდა ერთი.

— აბა, მე რა ვიცი?! — პასუხობდა მეორე.

— წამოდი, აქ მოდიან! — ვუთხარი დადუნას. ქამარში წამავლო ხელი. ხელების ფათურით აივანზე გასასვლელ კარს მივაგენი, გავედით, მერე იქიდან ქვედა საკანში ჩავედით და კუთხეში გავინაბეთ.

— აბა შემომყე! — თქვა ერთმა.

— სად უნდა შემოგყვე, კაცო? — იკითხა მეორემ.

— შემომყე, კაცო, ხომ არ გეშინია!— ჰკითხა პირველმა.

— მეშინია კი არა და! — თქვა მეორემ და კარებამდე მოჰყვა.

— ჰეი! დაიძახა პირველმა.

— ჰეი! — გაიმეორა ექომ.

— მგონი აქ არ შემოსულან! — თქვა მეორემ.

— კუკუ! — დაიძახა უცებ დადუნამ.

— ჰეი! — დაიძახა შეშინებულმა ხმამ.

— კუკუ! — გაიმეორა დადუნამ.

— კაცო, მეჩვენება თუ შენც გესმის? — იკითხა პირველმა.

— გაუშვი, მაგათი ოხერი დედაც, ვითომც ის ზვინი არ გვქონია! — შეგვიკოთხა მეორემ.

— კუკუ! — ისევ დაიძახა დადუნამ.

— არ გესმის, კაცო? რომელი ხარ მანდა, გამოდი, თორემ... ვეღარ გაბედა გინების დამთავრება შეშინებულმა ხმამ.

— მოგეჩვენა, კაცო, წავიდეთ! — სთხოვა მეორემ.

— კუკუ! — ისევ დაიძახა დადუნამ.

— ეგეც მე ვარ? — ნიშნის მოგებით თქვა პირველმა.

— ეამო, თუ კაცი ხარ, ეამდე რამე ოხრობას არ გადავეკიდოთ, ვერა ხედამდი, ის ქალი ქაჯს რომ ჰგავდა, წამო, წამო! — სთხოვა მეორემ.

ფეხის ხმა გავიგონე.

— მიდიან !— ვოქვი მე და მეც მომინდა თამაში.

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

— კუკუ! — დავიძახე.

— ჰაი დედასა, ვერ მოგატანეთ, თორემა! — გავიგონეთ უკვე ეზოდან. ცოტა ხანს კიდევ ვაცალეთ და ჩვენც გამოვედით. ზვინისკენ კვიეხედეთ, ჩაფერფლილიყო, ოდნავღა ბჟუტავდა.

— ჰაიტ, თქვენი დედა კი ავატირე! — იქნევდა მუშტს ჯვრისაკენ ერთ-ერთი.

— ასეთი ტანი კუკუდამალობანა ჩემ სიცოცხლეში არ მითამაშია! — თქვა დადუნამ და გამიცინა.

პირდაპირ დავეშვით ციცაბოზე. არაგვისა და მტკვრის შესართავთან ჩავედით. შუამდე წყლით სავსე და სოლზე ჯაჭვით მიბმული ნავი ძლივს ტივტივებდა.

— ეჰეი! — დავიკიჟინე.

— აქა ვარ, რა გაყვირებს?! — მითხრა იქვე ბალახებში წამოწოლილმა ბიჭმა და წამოიმართა.

— გაგვიყვანე! — ვუთხარი მე. ბიჭმა ხელში კონსერვის ცარიელი ქილა მომცა.

— წყალი ამოასხი! — დამავალა მან.

— შენ რას მიკეთებ? — ვკითხე მე.

— მე გაგიყვანთ! —ამიხსნა მან.

ჩავჯექით. ანტიოქიის ციხის ნანგრევებთან გაგვიყვანა. მანეთი მიეწოდე.

— ორი მანეთი უნდა! — თქვა მან.

— ორი მანეთი რა, კრეისერია? — ვკითხე მე.

—ჩემი „კრეისერი“ ეგ არის! — თქვა ბიჭმა. ფული მივეცი.

მცხეთიდან ათსაათიან საგარეუბნო მატარებელს გამოვყევით. ვაგონი ხალხით გავესო, ძლივს მოვასწარით ფანჯარასთან დაჯდომა. ჯვარს რომ გავუსწორდით, მაღლა ავიხედე. ყოველი მხრიდან პროჟექტორებით განათებული ჯვარი შარავანდედით გასხივოსნებულ უკვდავებასავით ადგა თავზე მცხეთას.

— დაღე, შეხედე ამ საოცრებას?! — მიეუბრუნდი დადუნას. დადუნას თავი მოეყრდნო ჩემს მხარზე და გაღიმებულს ტკბილად ეძინა. იგი ამ წუთში უზომოდ დაღლილ პატარა გოგონას ჰგავდა. ძალიან, ძალიან მომინდა მისი კოცნა, მაგრამ ვაგონი ხალხით იყო გაჰედილი და თავი შევიკავე. ყველანაირი ჩვენ გვიქერდნენ.

დილით ადრე ვანიჩკა ბიძიამ გამაღვიძა.

— ადექი, ბიჭო, კომისარიატში გიბარებენ! — მითხრა მან და უწყება მომაჩეჩა.

„წვევამდელ ა. გ. ჯაყელს. ვალდებული ხართ 18 ივლისს, დილის 9 საათზე, გამოცხადდეთ პირველი მაისის რ-ნის სამხედრო კომისარიატში. გამოუცხადებლობის შემთხვევაში...“ და ა. შ.

ისეთი ხუჭუჭი ხელმოწერა მოჰყვებოდა თანამდებობას, რომ დღესაც არ ვიცი, რა გვარია ის კაპიტანი.

წავიკითხე უწყება და ვანიჩკა ბიძიას დავუბრუნე.

— შორა ბაზარში წავიდა, მითხრა. ბიჭს მიყვეი კომისარიატში, მიწა გახეთქე და ჯარში არ წაიყვანნონო, ადექი. — თქვა ვანიჩკა ბიძიამ და უწყება დამიბრუნა. ავდექი. პირი დავიბანე და კარადას მივდექი.

— წამოდი, იქ ვისაუზმით სადმე. ცხრას ათი წუთი აკლია, — გამაფრთხილა ვანიჩკა ბიძიამ.

— რა უნდათ, ვანიჩკა ბიძია, ხომ არ იცით? — ვკითხე სხვათა შორის.

— კრეპის შინელები და ხრომის ჩექმები ყოფილა მოსული, უფასოდ არიგებენ, ალბათ იმაზე გეძახიან. — მითხრა ვანიჩკა ბიძიამ და წინ გამიძღვა.

კომისარიატთან რომ მიეედით, გაჩერდა.

— ახლა, მე რომ შემოგყვე, მაინც ვერავის ვიცნობ, შედი და მალე გამოდი. აქ დაველოდები! — მითხრა და მხარზე ხელი დამკრა. უწყება ამოვიღე ჯიბიდან და კომისარიატში შევედი. ეზოში უამრავი ჩემი ტოლა ბიჭი ირეოდა, მივხვდი, კარგად არ იყო საქმე. ერთ-ერთს მივადექი და უწყება ვაჩვენე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვისთან უნდა მივიდე, ხომ არ იცი? — ვკითხე.

— ჯერ იქ, მერე აქ! — ამიხსნა მან.

— აქ რა არის? — ვკითხე მე.

— იქ აღრიცხვაა, აქ საექიმო კომისია. — მიპასუხა მან.

— მივყავართ?

— მე არა. თეთრი ბილეთი მაქვს, — მითხრა მან. ისეთი მუტრუკი იყო, რომ მიგეშვა, ნახევარ მსოფლიოს გაწყვეტდა.

აღრიცხვაზე გავტარდი და საექიმო კომისიის კარებს მივადექი.

— ჯაყელი! — დაძახეს 15 წუთის შემდეგ. შევედი.

— გაიხადე! — გავიხადე.

— კიდევ! — კიდევ გავიხადე.

— სულ გაიხადე, სულ, საპრანჭვად არ გვცალია! — დამაჩქარა კომისიის თავმჯდომარემ. სამხრეებიან კიტელზე ზევიდან თეთრი ხალათი ჰქონდა მოსხმული და ჩინი არ უჩანდა. სულ გავიხადე და მორცხვად დავდექი ოთახის კუთხეში. ჯერ პირში ჩამხედეს, მერე — თვალში, მერე მუხლისთავზე ჩაქუჩი მიჩაჩქუნეს, მერე წამომაწვინეს და მუცელი მიზილეს. მერე ფილტვები და გული გამისინჯეს, მერე სასწორზე შემაგდეს.

— რამდენია? — იკითხა თავმჯდომარემ.

— 59 კილო! — უპასუხეს.

— პატრონი არ გყავს? — მკითხა.

— კი მყავს! — ვუპასუხე.

— სადაა მერე? — გაიხედ-გამოიხედა თავმჯდომარემ.

— გარეთ იცდის!

— რა ვეარი ხარ?

— ჯაყელი!

— აუ, გურული ხარ?

— დიახ!

— რომელი სოფლიდან?

— ბუკისციხიდან!

— აუ, ადესა იცის თქვენში?

— კი იცის!

— კარგია ახლა ცივი ადესა და ბაშხი, რას იტყვი შენ?

— გაღასარეკია!

— მიდი, აბა, გაგზომავენ! — მივედ-მიგზავნეს და გამზომეს.

— რამდენია? — იკითხა კომისიის თავმჯდომარემ.

— ერთი მეტრი და 69 სანტიმეტრი.

— დაწერე მეტრ სემდესიატ! — უბრძანა მზომავს.

— გმადლობთ, ბატონო! — ვუთხარი მე.

— არაფრის, ბიძია. მეც გურული ვარ — თავართქილაძე. თუ გინდა, მეტრ სემდისიატ ადინს დაგიწერ. — მითხრა მან და მზრუნველი თვალი შემავლო.

— გმადლობთ, ბატონო, მეტრ სემდესიატი მეყოფა. — დავუკარი თავი.

— შენ იცი, ისე, კარგია ადესა, ახლა, ა? რას იტყვი შენ?

— კარგია, ბატონო.

— ჯარში წასვლის ხომ არ გეშინია? — მკითხა უცებ.

— რას ბრძანებთ! — მეწყინა მე.

— არ დამიმალო! — გამაფრთხილა მან.

— არა, ბატონო!

— ესე იგი, წონა 59 კილოგრამი. ხომ არ დავამრგვალოთ, ბიჭო, 60 კილოგრამად, ჰა? — მომიბრუნდა თავმჯდომარე და თვალები მომიჭუტა.

— თქვენი ნებაა, ბატონო!

— პოდპოლკოვნიკი ვარ მე! — გამეხსენა მან.

— თქვენი ნებაა, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო! — გაეცინა შიშველი კაცის პირობაზე.

— ესე იგი, ჯაყელი ავთანდილ...

— გაბრიელის ძე! — შეეახსენე მე.

— რომელი გაბრიელის ხარ, ბიჭო, შენ, მარნეულში რომ მუშაობს წვენების ქარხანაში?..

— არა, ბატონო, მამაჩემი ექიმი იყო!

— არ გადამრიო! სად მუშაობს?

— გარდაიცვალა მამაჩემი.

— აუ! — თქვა პოდპოლკოვნიკმა

და დაფიქრდა, ერთხანს დუმდა, მერე მიუბრუნდა მდივან ქალს და უთხრა:

— დაწერე!.. — მდივანი მოემზადა. — ჯაყელი ავთანდილ გაბრიელის ძე, წონა შესდესიატ ადინ კილოგრამ, სიმაღლე მეტრ სემდისიატ ადინ, გიდნი სტრაიკოო! დაწერე?

— დავწერე, მიხაილ ზახარიჩ! — უპასუხა მდივანმა.

— აბა, გაიქეცი ახლა სახლში და ხვალ, დილის 7 საათზე გამოცხადდი ნავთლუღის სადგურში კატელოკით, კრუშკით და ორი დღის საგზალით. აბა ჰე, მიდი ახლა!..

— დიდი მადლობა, ბატონო!

— არაფრის, ბიძია! — მითხრა მან და კეთილად გამიღიმა.

გარეთ რომ გამოვედი, ცოტა უფრო მძიმედ და ამაღლებულად მეჩვენებოდა თავი. ვანიჩკა ბიძია ქუჩის მეორე მხარეს მელოდებოდა.

— რაო? — მკითხა მან.

— ხვალ, დილის 7 საათზე, ნავთლუღის სადგურში! — ვუპასუხე მე. ვანიჩკა ბიძია გაფითრდა. დიდხანს იდგა ასე და დიდრონ ცისფერ თვალებს შეშინებული ბავშვივით აფახულებდა. მერე ჩამჭიდა ხელი და უსიტყვოდ წამიყვანა, საღხინოსთან რომ მივედით, ხელი გამიშვა, ჯიბეები მოიჩხრიკა და მერე კიბეზე ჩამიძღვა. ბუხართან, კუთხეში, ორკაციან მაგიდას მივუსხედით.

— ვანოს გაუმარჯოს! — თქვა ოფიციანტმა, სუფრა გადაგვიწმინდა და მაგიდიდან ყვავილებით სავსე ქოთანი აიღო.

— ორი რვა ნომერი და ორი მწვადი! — თქვა ვანიჩკა ბიძიამ.

ოფიციანტი წავიდა. ერთ წუთში დაბრუნდა ღვინითა და საუზმით.

— კიდევ რა შევუკვეთო? — იკითხა მან.

— არაფერი! — უთხრა ვანიჩკა ბიძიამ და ღვინო დაასხა. დიდხანს ატრიალა სავსე ჭიქა ხელში და ბოლოს მკითხა:

— როგორ ფიქრობ, ავთო ბიძია, რომ მივსულიყავით კომისართან, გვეთქვა რომ ობოლი ხარ, სწავლა გვინდა-რომ... კიდევ რა ხარ, ბიჭო?

— არაფერი არ მიშველიდა, ვანიჩკა ბიძია! — დავაშვიდე მე.

— ...რომ დედისერთა ხარ, ნიკოლოზას დედისერთები არ მიჰყავდა ჯარში.

— ნიკოლოზას 25 წლით მიჰყავდა, მე კი ორი წლით მივდივარ! რა მოხდა მერე?

— ისიდორე ბაბუაშვილს რა ვუთხრა? — შეწუხდა ვანიჩკა ბიძია.

— ბაბუაჩემ ისიდორეს უთხარი... რა უნდა უთხრა? — კვითხე ახლა მე. მარილი, რა უნდა უთხრას? უთხრას, რომ მიხარია ჯარში წასვლა, უთხრას, რომ ისევ სამედიცინოზე ჩაბარებას ჯარში წასვლა მირჩევნია, ვნახავ ერთი, რა არის ეს ჯარი, ასე რომ ეშინია ზოგს. — უთხარი, ვანიჩკა ბიძია, რომ ორ წელიწადში გენერალი ჩამოვა და სამედიცინოზე უკამოცდოდ მიიღებენთქო! ვანიჩკა ბიძიამ ერთი ამომხედა, ხელი ჩაქნია და ღვინო დალია.

— შურას რა ვუთხრა, თბილისიდან გადამასახლებს! — მკითხა ვანიჩკა ბიძიამ და სასოწარკვეთილმა შემოიწყო თავზე ხელები.

რა უნდა უთხრას ვანიჩკა ბიძიამ შურა დეიდას? შურა დეიდასთან არაფერი არ გავა, შურა დეიდა არაფრის გაგონებას არ მოისურვებს, შურა დეიდას არაფრის გაგონება არ უნდა, შურა დეიდამ მხოლოდ ის იცის, რომ მე, გაბრიელ ჯაყელის შვილი ვარ, სამართალი რომ იყოს ქვეყანაზე, უკამოცდოდ უნდა მიმიღონ უმაღლესში. ჯარში, ახლა, მშვიდობიანობის დროს კი არა და, ქვეყანა რომ ინგრეოდეს, ქვა ქვაზე რომ დუღდეს, ცა რომ ფეხად ჩამოდიოდეს დედამიწაზე და დედამიწა ცაში ადიოდეს მტვრად, მე მაინც არ უნდა წამიყვანონ. იმიტომ, რომ ჯერ „ბაღანა“ ვარ და ჯერ არაფერი მინახავს ქვეყანაზე. ამის მერე რა უნდა უთხრას ვანიჩკა ბიძიამ შურა დეიდას? — პასუხი არ გავეცი ვანიჩკა

ბიძიას, მხოლოდ მხრები ავიჩეჩე და ღვინო მოვსვი.

— იცი რას ვეტყვი? — ვანიჩკა ბიძია დაფიქრდა.

— ვუთხრათ, რომ მოხალისედ მივდივარ!—ვიპოვე გამოსავალი. ვანიჩკა ბიძიას თითქოს მოეწონა ჩემი წინადადება, ერთ წუთს ქმაყოფილი მიყურებდა, მერე ირონიულად გაიღიმა და ისევ ჩაიქნია ხელი.

— ბიზო, ორმოცდაერთში მართლა მოხალისედ წავედი და ის არ დამიჯერა, ახლა ტყუილს დაგვიჯერებს? მე შენ გეტყვი, არ იცის რა ვატუტინი მე და რა ოლეგ კაშევოიც შენა ხარ!.. — ორთავეს გაგვეცინა. ოფიციანტმა მწვადი მოიტანა, ბოთლები მისწი-მოსწია და შუა მაგიდაზე დადგა.

— დღეს რაღაც ვერა გცნობ, აი, ვანო! — თქვა მან და ვანიჩკა ბიძიას გაუღიმა.

— არაფერია, არქიფო, ცოტა ნაბახუსევი ვარ, ორი ბოთლიც მოიტანე!

— არქიფო წავიდა. ვანიჩკა ბიძიამ ღვინო დაასხა.

— ადამიანის გამოსაცდელად ღმერთს ბევრი რამ გამოუგონია, ავთანდილ ბიძია. — თქვა ვანიჩკა ბიძიამ და წახნაგოვანი ჭიქა მაგიდაზე ფრთხილად დაატრიალა. — მე სამი რამ ვიცი: ჯარი, ციხე და მთა. ზოგი მთის ნაცვლად ზღვის იტყვის, ზოგი ცას, ზოგი ტყეს, ზოგი უდაბნოს, ვის სად გასჭირვებია, იმას იტყვის. პირველი ორი კი ნაღდია, ყველასათვის ერთია ჯარი და ციხე. თუ ჯარში გაფუჭდი — სიკვდილია, თუ ჯარში ძმაკაცს უღალატე — სიკვდილია, თუ ძმაკაცმა გიღალატა — სიკვდილია. მე რომ ჯარს ვამბობ, ომს გგულისხმობ, ავთო, — ვანიჩკა ბიძია დაფიქრდა და ისევ დაუწყო ჭიქას ტრიალი. —42 წელს ჩვენი დივიზია ალუაში მოექცა როსტოვთან. ვინც გაარღვია ალუა, გავიდა, ვინც ვერა და ტყვედ ჩავვარდით. საშველი არ იყო, ტყვედ ჩავვარდით... — ვანიჩკა ბიძია ისევ დაფიქრდა, ხელი ოდნავ უთრთოდა. ჭიქას უჭერდა. არ უნდოდა, რომ შემემჩნია. — სოფლის ფარდულთან ჩავგამწკრივეს ორრიგად. სამასი კაცი ვიქნებოდით.

— ებრაელები გამოდით! — თქვა გერმანელმა ოფიცერმა. — ორი ებრაელი გვყავდა. გავიდნენ.

— ახლა კომუნისტები გამოდით! — ბრძანა ისევ ოფიცერმა. დიდხანს არავინ არ დაძრულა ადგილიდან. ოფიცერმა ბრძანება გაიმეორა, ხელში შიშველი პარაბელუმი ეჭირა და მეორე ხელისგულზე ირტყამდა რიტმულად. პირველი ჩვენი მეთაური გავიდა, უფროსი ლეიტენანტი კოზლოვი, მერე სხვები, სულ ოცდათერთმეტი კაცი, მათ შორის ჩემი ძმაკაცი ბუხუტი ავლიანი. ლუკმას მიყოფდა, ღამე თავის ფარაჯას მახურავდა... ჩემზე უფროსი იყო შვიდი წლით, უზარმაზარი, ლამაზი და ღონიერი უსაშველოდ. სამი შვილი ჰყავდა... პირობა გვქონდა მიცემული: თუ ჩვენს შორის რომელიმე გადარჩებოდა ერთმანეთის ოჯახებსათვის მიგვეხედა... გავიდა ბუხუტი. ოცდათერთმეტი კომუნისტი და ორი ებრაელი გავიდა მწკრივიდან, ის ორი ებრაელიც კომუნისტი იყო. ბუხუტის ვუცქეროდი, ის კი მიღიმოდა, ძალიან გაფითრებული იყო, როგორც ეს სუფრა. ასეთი იყო და იღიმებოდა.

მე შემრცხვა, ძალიან შემრცხვა, ისე შემრცხვა, რომ სიკვდილი მომინდა... გავედი, ყველაზე ბოლოს გავედი და ბუხუტის გვერდით დავდექი. ბუხუტის თვალები გაუგანიერდა.

— გაგიჟდი? — მკითხა ქართულად. მე მინდოდა მეთქვა არა-მეთქი, მაგრამ ღელვისაგან ხმა ვერ ამოვიღე. ოფიცერმა ბრძანება გასცა. ყველა დანარჩენები წაიყვანეს. ახლა ფარდულთან 34 კაცი ვიდექით.

— ახლავე დაბრუნდი! — მითხრა ბუხუტიმ და ხელი მკრა. მე უარყოფის ნიშნად თავი გადავაქნიე. მუხლე-

---

ნოდარ ფუმგალაძე
ნუ გაშინია, ფიდა

ბი მიკანკალებდა... მრცხვენოდა, მაგრამ რა მექნა, მიკანკალებდა, ვერაფერით ვერ ვაჩერებდი და რაც მეტს ვცდილობდი გამეჩერებინა, უფრო მიკანკალებდა. ოფიცერი რაღაც ბრძანებებს იძლეოდა. არ მესმოდა. ვხედავდი პირს როგორ აღებდა და ხელებს როგორ იქნევდა, მეტი არაფერი. ბოლოს დავინახე ჩვენს წინ ათი ავტომატიანი ფეხებგაფარჩხული გერმანელი ჯარისკაცი დადგა. რომ არ წავქცეულიყავი, კედელს მივეყრდნე ზურგით, ამხანაგებს გავხედე, ექვსიოდე კაცს დაძაბულობისთვის ვერ გაეძლო და ბირდაპირ მიწაზე ისხდნენ ტალახში. ის ორი ებრაელი და ბუხუტი ყველაზე მაგრად იდგნენ... — ვანიჩკა ბიძიამ გამშრალი ტუჩები აილოკა და ღვინო მოსვა, მერე ისევ აილოკა. — უცებ ბუხუტი გამოვიდა მწკრივიდან და გერმანელი ოფიცრის წინ დადგა.

— ეს არ არის კომუნისტი! — უთხრა მან დამტვრეული გერმანულით და ჩემსკენ გამოიშვირა ხელი. გაკვირვებულმა ოფიცერმა ჩემსკენ გამოიხედა, მერე ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა.

— კომუნისტი არა ხარ? — მკითხა.

მე თავი დავხარე. ახლა დავჯდები ტალახში, გავიფიქრე მე, ახლა დავჯდები, მეტი აღარ შემიძლია, დავჯდები და რაც მოსახდენია მოხდეს. გერმანელმა ოფიცერმა პარაბელუმის ლულა ამომდო ნიკაპში და თავი მაღლა ამაწევინა.

— მანდატი! — თქვა მან და მარცხენა ხელი გამომიშვირა.

მე ჯიბეების ქექვა დავიწყე. არ მახსოვს რამდენ ხანს ვიქექებოდი, უცებ ყრუ, ბლაგვი და ცივი დარტყმა ვიგრძენი საფეთქელში. გერმანელი ოფიცრის გაღიმებული სიფათი გადნა და გაქრა...

გონს რომ მოვედი, მიწაზე ვეგდე დამხობილი ჩემს 33 გაწამებულ, სასოწარკვეთილ, მრისხანედ წარბშეკრულ, უიმედოდ კისერ და მკლავ-გადაგდებულ, გაოცებისაგან თუ შეშინებისაგან თვალდიადარჩენილ და ტკბილულისაგან სამად მოკეცილ მეგობრის შორის... — ძია ვანიჩკას ახლა ისე უკანკალებდა ხელი, ღვინო დაეღვარა.

— მერე? — ვკითხე მე. ვანიჩკა ბიძიამ პაპიროსს მოუკიდა რის ეაიკაგლახით.

— მერე მოხდა ის, რისი მოყოლაც არ შეიძლება... იმიტომ კი არა, რომ არ დაგიჯერებენ, არა, იმიტომ, რომ ძნელი გასაგებია, შეიძლება დაგიჯერონ, მაგრამ ვერ გაგიგებენ...

— მაინც რა მოხდა, ვანიჩკა ბიძია? — არ მოვეშვი ჯალათივით და ნერვიულობისაგან პირი გამიშრა.

— მერე ავდექი, შევხედე ჩემს დახოცილ მეგობრებს, შევხედე ბუხუტი ავალიანს... იგი გულაღმა ეგდო, ჯვრიდან ჩამოხსნილ იესო ქრისტეს გავდა, ფერმკრთალი და ოდნავ გვერდზე თავგადაგდებული, ნატყვიარ ძუძუზე პერანგი ამოგლეჯილი ჰქონდა და ის ნაგლეჯი მარჯვენა ხელში ეპირა ჩაბღუჯული და სისხლიანი. მე ტალახში ჩავდექი მის თავთან და ტირილი დავიწყე, ტირილი დავიწყე ხმამაღლა... სიხარულისაგან ვტიროდი, ავთო ბიჭო, სიხარულისაგან, მიხაროდა ცოცხალი რომ ვიყავი ამ ჩემს დასახიჩრებულ მეგობრებს შორის, მზეს ვხედავდი და ვსუნთქავდი, გესმის???

ვანიჩკა ბიძია დადუმდა. მე აღარაფერს ვეკითხებოდი. ვანიჩკა ბიძია მართალი იყო, ამის დაჯერება ადვილი იყო, მაგრამ გაგება ძალიან ძნელი.

— გესმის? — ისევ მკითხა მან დიდი ხნის შემდეგ და თავისი დიდრონი, გულუბრყვილო თვალებით მომაშტერდა.

— არა, ვანიჩკა ბიძია, არ მესმის... ისე კი ვხედავი, რაღაცას ვხედავი.

— კარგია თუ ხედავ! — თქვა ვანიჩკა ბიძიამ და გამიღიმა. ხელი აღარ უკანკალებდა, თანდათან დაწყნარდა. — მერე მე ომის დამთავრებამდე სულ ტყვე ვიყავი, ორჯერ გავიქეცი, ჯერ ერთი სვასტიკა ამომწვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახურებული შანთით მარცხენა ბეჭზე, მერე მეორე, მარჯვენა ბეჭზე დამდადეს... მერე მე დავბრუნდი, მილანიდან დავბრუნდი... — ვანიჩა ბიძია ისევ შეჩერდა და ღვინო დაისხა.

— მე ვთქვი, ტყვედ ნამყოფი კაცი ვარ, დაჩაგრული, სიკვდილს ბეწვზე გადარჩენილი, სულ ბრინჯის ფლავს მაჭმევენ, დამიყავებენ, მომეფერებიან. — ჩაიცინა ვანიჩა ბიძიამ. — ეგ შენი ჯარში წასვლისა იყოს, ჩემო ავთო, ჯარი დიდი გამოცდაა, არ უნდა წახდე, რაც არ უნდა შეგემოხვეს, კაცობა არ უნდა დაკარგო, იმიტომ რომ ბოლო ერთია. კაცი საფლავზე დადებული ქვით კი არ ფასობს, აქ დატოვებული სახელითა და სულით. თუ ყველაფერზე ხელი ჩაიქნევ, ცხოვრებაზე ადვილი არაფერია, ძალიან ადვილია. ჩემ საწყალ შურას, ქუჩაში რომ დასველდეს, გამოსაცვლელი კაბა არა აქვს, ეგრევე ტანზე აშრება, ჩემი ატკის დირექტორის ცოლს ორი ნორკის შუბა აქვს. ამასწინათ გაქურდეს, ის ნორკის შუბებიც და ნახევარი მილიონის ბეჭდები სულ ამოიღო მილიციამ. რომ ანვენეს, უარი თქვეს, ჩვენი არ არისო... დამალეს... ტყვეობაში ერთი ძმაკაცი გვყავდა, საშმელს მალავდა, მერე ღამე დგებოდა და ჭამდა. ეხეადაი ღამე დგებოდა, ჩქარა ჭამდა, ლეიბში თავჩარგული, ხვნეშა მესმოდა.

— მერე?

— მერე არაფერი, ორი კილოთი ჩემზე მსუქანი იყო, მე 57, ის 59. დიზენტერიით მოკვდა 47 წელში. — ვანიჩა ბიძიამ ლოყაზე ხელი მომითათუნა. — ნუ გეშინია, ახლა მშვიდობაა ქვეყანაზე, ჯარი სკოლაა, ბევრ რამეს ნახავ და ბევრსაც ისწავლი. აბა შენს წასვლას გაუმარჯოს! დალიე. მაინც რა ვუთხრათ იმ დადარეულ დედაკაცს, ა? — გამიცინა ვანიჩა ბიძიამ.

— შენ გაგიმარჯოს, ვანიჩა ბიძია, ჩემო ვანიჩა ბიძია, დედას გეფიცები, ისე მიყვარხარ, ისე მიყვარხარ... — ავდექი მე.

— კარგი, ბიჭო, ნუ ამიჩუყე გული, დაჯექი. არქიფო! — გასძახა მან ოფიციანტს, ჩემი სიტყვა რომ ბანზე აეგდო. — არქიფო, ანგარიში!

●

სახლში მარტო დავბრუნდი. მთვრალი ვიყავი. ღამის თორმეტი საათი იქნებოდა. რუბენას თავისი ბუდრუგანის ვიტრინის უზარმაზარი ნათურა აებდღვიალებინა და თვითონ ხის გრძელ სკამზე იჯდა, კრიალოსანს მარცლავდა.

— ძია რუბენს გაუმარჯოს, საქართველოს საათების დირექტორს! — მივესალმე მე. რუბენამ ჯიბის საათი ამოიღო, ვერცხლის სახურავი ახადა, დახედა, მერე ყურთან მიიტანა, ერთი ორჯერ შუხლზე დაირტყა, მერე ისევ ყურთან მიიტანა, ისევ დახედა და მხოლოდ შემდეგ მითხრა გამარჯობა.

— ძალიან გვიან-გვიან დაიწყე ან სიარული, პატრუელივით!

— პატრული ვარ, ძია რუბენ, სამხედრო ვარ, ჯარისკაცი ვარ, წითელარმიელი ვარ. — ავკვირდი მე.

— ნელა, ბიჭო, ნამესი არა გაქვს. ხალხს სძინავს! — გამაფრთხილა რუბენამ და ჩაიჩოჩა, ადგილი გამითავისუფლა სკამზე. სიამოვნებით მივუჯექი. სახლში ასვლა მეზარებოდა, ლაპარაკი მინდოდა, ხმაური მინდოდა, კიდევ რაღაც მინდოდა, მთელი გზა ვფიქრობდი და ვერ გავიხსენე. რა მინდა, ღმერთო, გამახსენე...

— გაიგე, ამერიკელები მთკარეზე გაფრენას აპირებენ ივლისში! — მითხრა რუბენამ.

— ამერიკელების დედაც ვატირე და მაგათზე ნაკლებად გამფრენს! ღვინო მოიტა, თუ გაქვს, დავლიოთ ძე და შენ. ხვალ ჯარში მივდივარ!

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

— ჯარში რა გინდა? — მკითხა გაკვირვებულმა რუბენამ.

რა მინდა ჯარში? ჯარში რა უნდა ავთანდილ ჯაყელს, ძია რუბენ. რა უნდა ჯარში ჯაყოს, ჯაყოს ახლა სმა უნდა, ჯარში ღვინოს ვინ დაალევინებს, ჯაყოს ახლა ხმაური უნდა. ჯარში ვინ ახმაურებს ჯაყოს. ჯაყოს ლაპარაკი უნდა. ჯარში ვინ ალაპარაკებს ჯაყოს. ჯაყოს კიდევ რაღაც უნდა. რა უნდა ჯაყოს, არ აგონდება ჯაყოს, მთელი დღე რაღაც უნდა ჯაყოს და არ აგონდება.

— რას გაჩუმებულხარ, ბიჭო! ამერიკელები მთვარეზე კაცის გფურენას აპირებენ! — არ მომეშვა რუბენა.

— ჰოდა, გამოიტანე ღვინო, იმ კაცის სადღეგრძელო დავლიოთ, ვინც მთვარეზე გაფრინდება.

— რას გადამეკიდე, ხომ იცი არა ვსვამ, კუჭის წყლული მაქვს! — დაისაწყლა თავი რუბენამ.

— ადე, კაცო, შენ არა სვამ, მე ვსვამ. — წამოვაგდე რუბენა. რუბენა წელგათრეულივით წავიდა და ნაკლული „საერო“ გამოიტანა. — ჭიქა არ უნდა? — კკითხე მე.

— ბოთლიდან დალიე, მერე ჭიქის რეცხვის თავი არ მაქვს! — თქვა რუბენამ.

— ეს იმ კაცს გაუმარჯოს, ძია რუბენ, მთვარეზე რომ ფეხს შედგამს. იქიდან გადმოგვხედავს, მოვენატრებით, ჩამოვა, ჩაგვეხვევა, გვაკოცებს. იტირებს და გვეტყვის: — ბიჭებო, მთვარის დედაც ვატირე, დედამიწაზე ყოფნას რა ჯობია, დედამიწას გაუმარჯოს, მწვანე დედამიწას, ბინი დედამიწას, მზიან დედამიწას, წვიმიან დედამიწას. მერე მთვარეს ახედავს და ეტყვის — არ გეწყინოს, მთვარეე, კარგი ხარ, თეთრი ხარ, ლამაზი ხარ, ღამეს მინათებ, დღისით თან დაყვები ჩემს დედამიწას, მაგრამ ეს ოხერი დედაა ჩემი და შენს თავს მირჩევნია. მოდი და მომკალი, რაც გინდა მიყავი, დედამიწა მირჩევნია შენს თავს და რა გიყო! ჩემს დედამიწას წაუმარჯოს! — ბოთლი მოვიყუდე.

— კარგია? — კკითხე რუბენას, ბოთლი რომ მოვიცილე პირიდან.

— ალბათ იქაც კარგია, თორემ გიქები ხომ არა ვართ ადამიანები? — მკითხა რუბენამ.

— შენი არ ვიცი, ძია რუბენ, მე კი გიჟი ვარ. აბა ერთი მეორე მითხარი! ოხ, მთვარეე, მთვარეე, დამწვართ იმედო... — დავიწყე მე.

— მორჩი, ბიჭო, ხალხმა ძლივს დაიძინა, აქ ისეთი ამბავი იყო დილიდან, ჩვენს ეზოში ცირკია...

— რა ცირკი, ძია რუბენ?

— ჯერ იყო და დევდარიანების ოჯახიდან ობეხეესმა კონფისკაცია რომ უყო, ის საქონელი წაიღო. მარო, დევდარიანის ცოლი როა, ეზოში გამოვიდა, კივილი დაიწყო, — ხალხო, სამართალი არ არის? ჩემი სისხლით და ოფლით შეძენილი ქონება მიაქვთ, მოწმედ დამიდექით, რომ იმ ოხერს, — ესე იგი მის ქმარს, — სახლში არაფერი არ მოუტანიაო. მეზობლებიც ადგნენ და ვინც არ ემდურის — ჰო თქვა, ვინც ემდურის — არაო. დეიდა ანეულამ ისიც უთხრა — თქვენზე ყველაფერი ახიაო! მაშინ მარომ თმებში სტაცა ხელი და სულ ამ ასფალტზე ათრია. მერე ანეულამ იკივლა: ხალხო, მოწმედ დამიდექით, ამას ციხეში ამოვალპობო. მეზობლებიც ადგნენ და, ვინც არ ემდუროდა ჰო უთხრა, ვინც ემდუროდა — არაო. ერთმა ისიც უთხრა შენ შენს ბოზ ქალიშვილს მიხედე, მეოთხე აბორტს რომ იკეთებსო.

— როგორ თუ აბორტს! ისედაც ცოტანი ვართ ქართველები! — გადავირიე მე.

— კაცო, აბორტი აკრძალული კი არ არის, ეგ არი რო არ იციან ვისგან იკეთებს, მთელი მარილი მაგაშია! — ჩურჩულით მითხრა რუბენამ.

— სულ ერთია, ასე რომ გვეკეთებინა ჩვენ აბორტები თამარ მეფის დროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვა მილიონი კი არ ვიქნებოდით! — გავბრაზდი მე.

— მართალი ხარ, გენაცვალე, მართალი. ოღონდ ნუ ყვირი! — დამიწყო დამშვიდება რუბენამ.

— საქართველოს გაუმარჯოს! — ვიყვირე მე და ბოთლი მოვიყუდე.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ღმერთმა ჯანი მისცეს, ოღონდ ახლა წადი და დაიძინე. — დამეღრიჯა რუბენა.

— დალიე! — ვუთხარი მე და ბოთლში დარჩენილი ღვინო მივაწოდე.

— კაცო, ხომ არ გაგიყდი, ჩემი დალევა როგორ იქნება! — ხელები გაშალა რუბენამ.

— დალიე საქართველოს სადღეგრძელო, თორემ ვიყვირებ! — დავემუქრე მე.

— ჰო, კარგი, ნუ ყვირი, დავლევ და ჩემი კუჭის წყლულიც და ცოდვაც შენს კისერზე იყოს! — თქვა რუბენამ, ბოთლი ჩამომართვა და სასწრაფოდ გამოსცალა, — ახლა წადი და დაიძინე, გვიანია! — რუბენამ ისევ საათზე დაიხედა.

— რომელი საათია? — ვკითხე მე.

— ვიცი და არ გეუბნები? ამის ოხერი დედაც ვატირე! — თქვა რუბენამ და საათს ზედ ციფერბლატზე დაეფურთხა.

— შვიდასი საათი გიკიდია ვიტრინაში და არ იცი? — არ მოვეშვი რუბენას.

— ეგ საათები რომ დროს უჩვენებდნენ, ჩემთან ვინ ოხერი მოიტანდა! ან პირველია ან ორი. — მიმარჩიელა რუბენამ.

— ეს ერთი კვირაა სულ გაგიყდით რა? ზოგი სულ არ მოდის, ზოგი ღამის ორ საათზე მოდის, გუშინ შენი არ ვიცი და ეგ სტაფილოსნაირი დადუნა პირველ საათზე მოვიდა.

— ვინ მოვიდა პირველ საათზე? დადუნა? დადუნა, დადუნა, დადუ, ეს რა თქვა რუბენამ, დადუნა პირველ საათზე მოვიდაო. ჯაყო ხვალ ჯარში მიდის. ჯაყოს დღეს ქეიფი უნდოდა, ჯაყოს სიმღერა უნდოდა, ჯაყოს ხმაური უნდოდა, ლაპარაკი უნდოდა, კიდევ რაღაც უნდოდა ჯაყოს, მთელი დღე უნდოდა რაღაც და ვერაფერით გაიხსენა ჯაყომ...

— დადუნა, დადუ!

— ვინ არის?

— მე ვარ, დადუ, გამოდი გარეთ!

— გაგიყდი, ავთო?

— დადუ, გამოდი, შენი ჭირიმე, ერთი წუთით გამოდი რა?

— კარგი რა, ჯაყო, შენი ჭირიმე, ახლა წადი და ხვალ გამოვალ. ახლა მთვრალი ხარ შენ!

— გამოდი, დადუ, ხვალ, დილის შვიდ საათზე, ჯარში მივდივარ. გამოდი, ჩემო დადუ!

— სირცხვილია, ჯაყო!

— რა დროს სირცხვილია, დადუ, ხვალ ჯარში მივდივარ!

— კარგი, მოიცა, რამეს გადავიცვამ პერანგზე.

— არ გინდა, დადუ, ეგრე გამოდი, პერანგით, თუ გიყვარვარ! ...შენი ჭირიმე, დადუ, რა კარგი ხარ, როგორ მიყვარხარ, რომ იცოდე!..

— ჩუმად, ავთო, შენი ჭირიმე, კარგი, ავთო, გეყოფა, ავთო!

— კიდევ მაკოცე, დადუ!

— ხომ გაკოცე, გეყოფა, წადი ახლა, გეყოფა, ხვალ დილით განახავ!

— არა, დადუ, კიდევ მაკოცე!

— ჩუმად, ბიჭო, მეზობლები გაიგონებენ!

მეზობლები გაიგონებენ? რა უნდა გაიგონონ მეზობლებმა! ან თუ გაიგონეს, ცუდს რას გაიგონებენ, ავთანდილ ჯაყელი ცუდს არაფერს გააკეთებს, ავთანდილ ჯაყელი ხვალ ჯარში მიდის. ახლა კი სიმღერა უნდა, ქეიფი უნდა, დადუნა უნდა...

— მეზობლებო, გამოდით, გამოდით, თქვენ გენაცვალეთ, გაიგონეთ, დადუნა მიყვარს, სიმღერა მიყვარს, ღვინო მიყვარს, ის კაცი მიყვარს, მთვარეზე წასვლა რომ უნდა. მეზობლებო, გამოდით, ნუ იმლებით...

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადუნა ხელიდან გამისხლტა და სახლში შევარდა. რუბენაც შეიძურწა და გაბდღვიალებული ვიტრინა ჩააკრო.

— მეზობლებო, გამოდით გარეთ, ნუ მემალებით, თქვენც მიყვარხართ, ყველა მიყვარს, გამოდით გარეთ, მეზობლებო! — ვიდექი სიბნელეში და ქადაგად დავარღნილივით ვყვიროდი. მეზობლები სამარესავით დუმდნენ, არავინ გამოდიოდა და არც ერთი ფანჯარა არ ანთებულა, არც ერთი კარი არ გაჭრიალებულა, არც ერთი ხმა არ შემხმიანებია და მე მივხვდი უცებ, რომ არავის არ ეძინა, ყველანი ფანჯრებზე იყვნენ მოსსკდარნი და მიყურებდნენ. ვგრძნობდი, რომ უზარმაზარი შავი თვალივით მიცქერდა გატრუნული სახლი და ვერავინ ბედავდა გამოსვლას.

ოთახის კარი შევაღე. ვანიჩკა ბიძია რატომღაც ჩემს ოთახში იწვა. ალბათ იჩხუბეს — გავიფიქრე.

— ვანიჩკა ბიძია! — ვთქვი ჩუმად. ხმა არ გაუცია. ეძინა. საბანი გადაძრობოდა და პირჩაღმა ეძინა. ჩემი მაგიდის ნათურა ავანთე და გახდა დავიწყე. უცებ რაღაც გამახსენდა, ფეხაკრეფით მივედი ვანიჩკა ბიძიას საწოლთან და ფრთხილად ავუწიე პერანგი ბეჭებზე. ორი ძველი, მაგრამ ჯერაც წითელი, ამობურცული, ამოშანთული დაღი აჯდა ბეჭებზე ვანიჩკა ბიძიას. საოცრად მომძინდა ორთავე დაღი მეგრძნო და ბეჭებზე ფრთხილად დავუსვი ხელი. პერანგის ჩამოწევა რომ დავიწყე, ვანიჩკა ბიძია გულაღმა ამოტრიალდა, მკლავზე მომკიდა ხელი.

— რა იყო, ბიჭო ავთო? — მკითხა მან.

— არაფერი, ვანიჩკა ბიძია, არ გძინავთ? — ვკითხე მე და საშინლად შემრცხვა.

— დაწექი! — თქვა მან, — ხვალ დილით ადრე ხარ ასადგომი. შურამ ყველაფერი მოგიმზადა! — მე სინათლე ჩავაქრე და დავწექი.

●

გაღმა სოფელი ადრე იღვიძებს, უფრო სწორად, სოფელს მოლა აღვიძებს. გადმოეყუდება მინარეთზე. კისერს წაიგრძელებს, ყურებზე ხელს მიიჭერს კამერტონისათვის და დაიწყებს:

— აღლااა, აღლااااა! — მერე ერთ შემობრუნებას ჩვენსკენაც შემობრუნდება, იმ იმედით, შეიძლება კიდევ დარჩა გაღმა ერთი მორწმენე მაინცო, — აღლااა! — დაიძახებს ეჭვშეპარული, გატეხილი ხმით და გაქრება. მერე სოფელი იწყებს მოძრაობას. ზოგი ზღვას მიაშურებს, ზოგი ყანას, ზოგი ბოსტნს, ხანდახან ქალების შეკივლებას და ქოქოლას გაიგონებ, ეს უსაქმო ასკერები დაბორიალობენ სოფელში და ხილს იპარავენ, მერე ისმის მათი დამფრთხალი ლაწალუწი ყვეროში და ბარდებში, ჯერ არ ჩანან, მერე წელში მოხრილები გარბიან ბილიგზე, სოფლის სასაფლაოს რომ შუაზე ჭრის, გზადაგზა უბიდან გამოცვენილ ხილს კრეფენ, თან იცინიან, ზუსტად ისე, როგორც ჩვენ. მერე სოფლის თავში ხავსიანი კრამიტით გადახურული, წელში ოდნავ გადახრილი წაბლის ოდიდან სოფლის მასწავლებელი გამოდის, სტვენა-სტვენით ეშვება თავქვე, გზადაგზა პატარა თეთრსაყელოანი გოგო-ბიჭები აედევნებიან, თანდათან მატულობენ და სოფლის ბოლოში მასწავლებელი ისე მიალაჯებს, როგორც კრუხი წიწილებში. ბოლოს ყველანი ერთად შედიან ზღვის პირას გაშენებულ ერთსართულიან და ერთფანჯრიან ფარდულში, რომელსაც სკოლა ჰქვია და ორმოცი წუთი აღარ ჩანან და აღარც ხმა ისმის მათი. მერე სოფლის მასწავლებლის ეზოში, მისი ახალგაზრდა ლამაზი ცოლი გამოდის, ლურჯი, სპორტული შარვალი და წითელი კოფთა აცვია. მოკალათდება ეზოში დაგრებულ ვეებერთელა ქვაზე, აიღებს ჭოგრიტს და ჩვენს სოფელს ათვალიერებს, ათვალიერებს დიდხანს, საათობით.

საგუშაგო თურქებს მეჩეთის უკან

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ. გარშემო მაღალი ალვის ხეები არტყია და გვიან შემოდგომამდე თითქმის არ ჩანს, რა ხდება საგუშაგოს ეზოში. სათვალთვალო კოშკები მაღალ გორაკებზე უდგათ და ეტყობა ჩვენი სოფელი ხელისგულივით ჩანს იქიდან. მე მგონი დასამალი არც არაფერია, გამოღმა სოფელი თავისი დიდებული, ფუნქციით გადახურული, ორ და სამსართულიანი გაჩიჩაღდნებული სახლებით გალმელების გულისგასახეთქად დგას. ისე ლამაზია ეს დალოცვილი, ხანდახან შემოკტრიალდები და იმის მაგივრად გალმა სოფელს ვუყურო ჩემ საკუთარ სოფელს ვთვალიერებ, პაპუაჩემი ისიდორე სულ მეუბნებოდა, სხვის ოჯახში ყურება დიდი უზრდელობააო, მაგრამ რა ვქნა, აქ რვა საათის განმავლობაში სხვა საქმე მე არ მაქვს. გალმაც და გამოღმაც ვის ოჯახში რამდენი სულია, რამდენი ძროხა და ქათამი ჰყავს, სად მიდის, რას აკეთებს, როდის ბრუნდება, როდის ქეიფობს, როდის წვება დასაძინებლად, როდის იღვიძებს, ვინ ვის ხვდება, ვინ ვის უყვარს და ვინ ვის სძულს, ყველაფერი ვიცი.

დალახვროს ეშმაკმა, ისე დაწვრილებით და ისე კარგად ვიცი, ხანდახან მრცხვენია კიდევაც.

აი იმ სახლში ალი ხორავა ცხოვრობს. მანდარინის პლანტაცია აქვს მშვენიერი, ბევრჯერ მოგვიპარია მისი მანდარინი მე, შერბინას და პარხომენკოს ღამით, არ ჩივის, უბრალოდ გადმოდგება ხოლმე აივანზე, პირს საგუშაგოსკენ იზამს და ჩვენს გასაგონად ილანძღება.

— გასკდა თქვენი ფაშვი, დღისით მოეთრიეთ და გაეშვეთ, ესაა სამართალი? ქურდისგან, ყაჩაღისგან, ჯაშუშისგან და უბედურებისგან მიცავთ მგონია, მძინავს თქვენს მომიდეს ტკბილად, კაცი ბუზს ვერ ამიფრენს მგონია და სწორედ მაშინ მძარცავთ?! გასკდა თქვენი სტომაქი, დამწიფება მაინც აცალეთ, თორემ გაგხეთქავთ დიზენტერია! — ეს არის და ეს. ალი ძველი მეთევზეა, მთელი ლაზისტანი რომ ზღვაში შევიდეს, მთელი დღე იბორიალოს და თითის სიგრძე კეფალი რაა, ისიც ვერ დაიჭიროს, ალი გახედავს ზღვას, დაახვევს ლარს, ჩაჯდება თავის ფურთხით დაწებებულ ნავში, ერთ საათს იტრიალებს ნაპირთან ახლოს და იმდენ თევზს გამოიტანს, მთელ სოფელს თუ არა, ნახევარს მაინც ეყოფა. ჩვენი საგუშაგოს უფროსი ჩხარტიშვილი დიდად სცემს პატივს, რა დასამალია და თევზის გარდა ამინდსაც ალისაგან ვიგებთ. ამინდს კი დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვარზე. ალი შეხედავს ჩამავალ მზეს, ალი ახედავს ცას, ალი დააკვირდება ღრუბლის მოძრაობას, ალი შეისუნთქავს ზღვაურს, ალი დაკვირდება ზღვას, ალი ახედავს ვარსკვლავებს და არავითარი მოსალოდნელი მოღრუბლულობა, არავითარი სუსტდიდან მოძლიერომდე ქარი. არავითარი ალაგ-ალაგ ნალექი და ალაგ-ალაგ უნალექობა.

— მაიორო, ხვალ ზღვა გადაირეგა! — ამბობს ალი და ჩვენ ყველაფერი, თუ რამ გვაბადია ზღვისპირას, ზევით ამოგვაქვს.

— მაიორო, ხვალ მთიდან მოვა უამინდობა! — ამბობს ალი და ჩვენ ვამაგრებთ საზღვრის ბოძებს და მთელი ღამე არ გვძინავს.

— მაიორო, ხვალ ისეთი სიცხე იქნება, ზღვა ადუღდება და თევზი ქერეხზე ამოვა! — ამბობს ალი და თევზი ამოდის ქერეხზე.

არ ყოფილა შემთხვევა, ალი გაწბილებულიყოს. ალი დიდებული კაცია, სამოცი წლის იქნება, ძვალი და ტყავი, სახე მზისგან აქვს გარუჯული, წარბები და წამწამები ზღვის მარილისაგან ლამწული და მაინც ლამაზია, ძალიან ლამაზი, გვერდზე გახედვა იცის ალმაცერად. რამდენჯერ ამოსულა სათვალთვალო კოშკზე და გალმა გაუხედია, ჯოგრიტი გამიწოდეთია და არ გამოუთქვამია — ისედაც კარგად ვხედავო. დიდ-

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

ხანს უცქერია, უცქერია, მერე მძიმედ ამოუოხრებია და წასულა. ვინ იცის რაზე ოხრავს ალი, გაღმა დარჩენილ ბიძებზე, ბიძაშვილებზე, შუბლების საფლავებზე და ძალებზე თუ ლაზეთზე, იქაურ ჩაბნელებულ ოდებზე, მორყეულ დედაბოძებზე, უმინო სარკმლებზე, დაკერებული შარვლებით მოტანტალე ბავშვებზე, თუ მინარეთის თავზე დარჭობილ ნახვევარ მთვარეზე. არავინ არ იცის, რაზე ოხრავს ალი ხორავი, იმიტომ, რომ არასდროს არავის არაფერს ეუბნება. ერთი კია, რომ ოხრავს ხოლმე, ალბათ ყველაფერზე ერთად ოხრავს ალი.

ალის გვერდით კოლმეურნეობის თავმჯდომარის სახლია, ორსართულიანი დიდებული სახლი დიდებული ავეჯით. ოთხი ბავშვი ჰყავს, ოთხივე ერთმანეთზე უკეთესი, ყოველ დილით სანამ ოთხთავეს არ გადაკოცნის, ეზოდან ფეხს არ მოიცვლის. სოფლის თავკაცია და ყველას უყვარს. დღეში სამჯერ თვრება საწყალი. ყველა ტურისტმა, ყველა სტუმარმა, ყველა უფროსმა და ყველა უმცროსმა მაგის ხელში უნდა გაიაროს და ზაფხულობით მაინც იმდენი სტუმარი მოდის, როგორც ერთ-ერთი უმდიდრესი, ულამაზესი, უმშვენიერესი, უკოლორიტულესი, საზღვრის მომიჯნავე და გენიალური პლაჟის მქონე, სოფლის სანახავად. თავმჯდომარე რომ არ მოკვდომოდათ, სოფელმა სპეციალურ კრებაზე, სპეციალური დადგენილებით ორი თანაშემწე დაუნიშნა, ერთი ღვინის სმის დარგში, ერთი ექსკურსიის დარგში. იმ დღიდან ცოტა შეღავთი მიეცა, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, კარგი კაცია. ეგეც რომ არ იყოს, მაგის შვილებს მე და შერბინა ხომ არ მოვუვლით.

თავმჯდომარის გამოღმა, თითქმის ზედ საზღვარზე, ჩემი კოშკის ქვემოთ ოცდაერთი წლის ქვრივი ფერიდე ცხოვრობს. ფერიდეს ქმარი, მე რომ საზღვარზე მოვედი, ერთი წლის დაღუპული იყო. გადელებულ ზღვაში შესულა ჰასანი მორების გამოსატანად, დაურტყია ტალღას, მორიანად ამოუტრიალებია ... ყვება, დიდი ვაჟკაცი იყო, სამ დარტყმას გაუძლო, სამჯერ ამოყვა მორს ტალღის ქვეშდანო, მეოთხეჯერ აუტაცია ტალღას ფერიდეს ქმარი და ალარ ამოჰყოლია მეოთხედ. ორი დღე გდებულა მკერდ და ლოყადაღლეტილი ფერიდე ზღვის პირას, ვიდრე ქმარი არ უპოვეს. მეორე დღის ბოლოს გამოუტიყავს ზღვას ჰასანა. დაქვრივდა ფერიდე, შემოუტეხავი შავი კაბა ჩაიცვა და ჩაიკეტა სახლში.

ერთი წელია ვხედავ ფერიდეს, მანდარინის ბაღში ჩამოდის და მუშაობს. მეზობლის ორი ბავშვი ჰყავს შემოჩვეული, ტყუპები, ბოგო და ბიჭი. სამუშაოზე წასული შმობლები უტოვებენ ხოლმე. ბავშვები პატარა ბელეზინით დაჰყვებიან კუდში. მიწაზე რომ დაჯდება ხოლმე დასასვენებლად, ყელზე ეხვევიან, კალთაში უგორდებიან, ყირაზე გადადიან, თმებს უჩეჩავენ და მკერდზე ეპოტინებიან. სოფელში ამბობენ, იმ დღიდან ფერიდე გაცინებული არავის უნახავსო. მე მინახავს გაცინებული, როდესაც ბავშვებს ეთამაშება. მაგრამ არავის ვეუბნები, რადგან მგონია, რომ ჩემს მეტი მას ვერავინ ხედავს. ალბათ სხვა ბიჭებიც ხედავენ თავიანთი მორიგეობის დროს და ფერიდეს სიცილს ყურადღებას არ აქცევენ. მე მიხარია, რომ ყურადღებას არ აქცევენ. მე კი მინდა სულ ვუცქერო და ვუსმინო, როგორ იცინის ფერიდე, როდესაც ბავშვები ეთამაშებიან. ფერიდე ჩუმად, ძალიან ჩუმად იცინის, თბილად, სუფთად. შავ თმებში ჩაფლული თეთრი სახე ნაწვიმარზე გამობრძანებულ მზესავით უცინის, მრგვალი მხრები და მაღალი მკერდი უთახთახებს, მერე გულაღმა წვება, ორთავე ბავშვს მკერდზე ისვამს და რაღაცას ებუტბუტება თავის ლამაზ და სიმღერასავით ტკბილ ენაზე. ფერიდე ვერავის ხედავს და ვერც ვერავინ ხედავს ჰგონია ფერიდეს. რომ იცოდეს ფერიდემ რა ლამაზია ამ დროს, ალბათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მწუხარების მიუხედავად, არ მოიშლიდა სიცილს. უბედურია ის, ვისაც გაცინებული ფერიდე არ უნახავს. ავდარში ფერიდე არ ჩამოდის მანდარინების ბაღში და არ ეთამაშება ბაშვებს, და მე ენატრობ ყოველდღე დარი იყოს.

დღეს დილიდან გავედით განწესში. მე და შერბინა კოშკზე ავედით, პარხომენკომ ტანგოთი საზღვრის ინსპექცია დაიწყო. კოშკზე ჩვენი ასკლა და მინარეთზე მოლას გამოჩენა ერთი იყო. მოლამ ყურებზე აიფარა ხელები და დაიწყო:

— ალლااا, ალლااا!..

— ბიჭო შერბინა, არ გაგვათათრა ამ ურჯულომ? — ვუთხარი შერბინას.

— აბა, კაცო, დაიფარებს ყურებზე ხელს და კივის, მაგას რა ენაღლება, თვითონ არ ესმის თავისი კივილი! — თქვა შერბინამ.

მოლამ დაამთავრა ალაჰის ხმობა, დღეს რატომღაც ჩვენსკენ არ გამოუხედია, ისე გაჭრა და საზღვარმა დაიწყო ჩვეულებრივი. თავისი გუშინდელი დღის ტყუპისცალი დღით ცხოვრება. გლეხები დარიგდნენ სამუშაოებზე, ფეიდაკაცებმა დააპურეს შინაური ფრინველი, მეთევზეებმა ზღვას მიაშურეს, მასწავლებელმა შერეკა თავისი წიწილები საბუდარში და ეზოში გამოვიდა მასწავლებლის ლამაზი, ხალიანი ცოლი. მოკალათდა ქვაზე და ჭოგრიტი მოიმარჯვა. შერბინას ჭოგრიტი ჩამოვართვი. მასწავლებლის ეზო ხელისგულზე გადამშალა. მასწავლებლის ცოლმა ჯერ სოფელს მოავლო თვალი, სერებს გახედა, მერე ზღვას და უცებ ვიგრძენი, რომ მე მიყურებდა.

— მეორე წელია ქალისათვის თვალი არ დამიდგამს, ეგ გოგო მაინც დამითმე, უსინდისო! — შემომტირა შერბინამ და ჭოგრიტზე წამომეპოტინა.

— შენ ხარკოვიდან კვირაში სამჯერ ჯორფლიანი და ცხვირაპრეხილი გოგოს სურათები რომ მოგდის, იმას მიხედე! — ვუთხარი შერბინას და ხელით მოვიშორე. მასწავლებლის ცოლი აშკარად ჩვენს კოშკს უთვალთვალებდა. მე მიყურებდა, — გაკიფიქრე და უნებურად საყელო და ქუდი გავისწორე. არ ვიცი დაემთხვა თუ არა, მანაც გადაისვა თმებზე ხელი. დავიწყე ექსპერიმენტი: ჭოგრიტი მოვიცილე თვალებიდან და გავიღიმე. ასე ვიდექი ერთი წუთი. ზუსტად ერთი წუთი, სამოცამდეც კი დავითვალე გუნებაში. მერე კვლავ მივიტანე თვალებთან ჭოგრიტი. მასწავლებლის ქალმა ჭოგრიტი მოიცილა და გაიღიმა ძალიან სათნო და ლამაზი ღიმილით. ეჭვი აღარ იყო, მასწავლებლის ცოლი მე მიყურებდა. ხელი აკიწე და ისეთი მოძრაობა გავაკეთე, თითქოს საათს დავხედე. უცებ მასწავლებლის ცოლმაც იგივე გააკეთა. მე ჭოგრიტი მოვიცილე და ისევ გავიღიმე, ზუსტად იგივე გააკეთა მანაც. ახლა ჩვენ სარკესთან საკუთარი გამოსახულების წინ მდგარ ადამიანებს ვგავდით და საოცარი სიზუსტით ვიმეორებდით ერთმანეთის მოძრაობებს. ექსპერიმენტი დამთავრდა.

— შერბინა, ჩაიწერე! — ვუთხარი შერბინას.

— ჩაიწერე, მასწავლებლის ცოლი გამოვიდა ეზოში, კვლავ განაგრძობს ჩვენი საგუშაგოების თვალთვალს.

— მომცა ყოველდღე ერთი და იგივეს წერამ. მე მგონი ეგ ქალი მაგათი მზვერავია! — თქვა შერბინამ და კალამი გადადო.

მზვერავი? ვინ იცის. ასეთი ხილული მზვერავი ჯერ არ გამიგონია. ზის მთელი დღე და გვიღიმის. მზვერავი აი ის არის, საფარში რომ ზის და ვერ ვხედავთ ჰგონია. რამდენს გავიხედავ იქით. ხოხობივით ჩარგავს თავს საფარში. ტელესკოპი კი კუდივით უჩანს. მაგას ჰგონია ის ტელესკოპი ხის ტოტი მგონია. ვაი მაგის პატრონს უბედურს! გამოდი, შე სულელო, სულ ერთია გხედავ! კუკუ! კუკუ! გამოდი, რას მემალები. რამდენი ხანია გხედავ, უკვე ერთი წე-

---

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

ლია გხედავ, ბრიყვო! კუ-კუ, კუ-კუ! — მინდა დავფშვახო, მაგრამ არ შეიძლება, ეს სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევა და მისი სუვერენიტეტის დარღვევაა. ასე თქვა მაიორმა ჩხარტიშვილმა.

მასწავლებლის ლამაზი ცოლი კი ზის ვეებერთელა ქვაზე და ჭოგრიტს არ გვაცილებს. ვინ ხარ, გოგო, შენ? აბა, მომიახლოდი, ახლოს მოდი, ახლოს, კიდევ, კიდევ, აი, ასე. ახლა შენს დიდებულ მკერდზე ხალსაც ვხედავ: ჭოგრიტი ძალიან ახლოხედვაზე დავაყენე და ჩვენს შორის არსებული რამდენიმე ასეული მეტრი გაქრა. მასწავლებლის ლამაზი ცოლი ჩემს წინ იჯდა დიდ ქვაზე და თვალებდახრილი მიღიმოდა.

— გამარჯობა, გოგო!

— გაგიმარჯოს, ჯუმა!

— რა გქვია, გოგო?

— რად გინდა ჩემი სახელი, ჯუმა?

— აბა, რა ვიცი, ისე გკითხე, მაინტერესებს ქართული სახელი გაქვს თუ არა?

— შენ რა გქვია, ჯუმა?

— მე? მე ავთო მქვია, ავთანდილ ჯაყელი, ოღონდ ეგ სამხედრო საიდუმლოებაა და არავინ უნდა იცოდეს.

— კარგი, ჯუმა, არავის ეცოდინება.

— რამდენი წლისა ხარ, გოგო?

— რამდენის ვიქნები?

— ცხრამეტის, ოცის, ოცდაერთის, არა?

— ჰო, ცხრამეტის, ოცის, ოცდაერთის!

— რას აკეთებ მთელი დღე, სულ ზიხარ ქვაზე, მიყურებ და მიყურებ, მოგწონვარ?

— ჰო, ძალიან მომწონხარ!

— მერე და, ქმარი რომ გყავს?

— შენ ჯუმა მოგაფერი ხარ ჩემი!

— ეგ რაღაა?

— ძმობილი ხარ ჩემი, ჯუმა მოგაფერი.

— ჰოო, არ გწყინდება მთელი დღე ჩვენი ყურება?

— არა, ჯუმა მოგაფერი, ასე ვზიავარ ამ ქვაზე, გიცქერთ, ჩემს და მოგაფერებს და ჯუმა მოგაფერებს, დავდიოდეთ ყველა ოჯახში, დაგყვებით ყველგან და ვიდრე ჩემი ქმარი სკოლაშია, თქვენთან ვარ, ჩემს სიხლსა და ხორცთან, ნათესავებში. ხელს ხომ არ გიშლი, ჩემო ჯუმა მოგაფერი?

— რას ამბობ, გოგო, შენ რომ არ იყო, ალბათ მოწყენილობა მომკლავდა, მიყურე რა, რა ხელი უნდა შემაშალო, შენი ყურება ჩემი მოვალეობაა. ძალიან ლამაზი ხარ, გოგო!

— ვიცი, რომ ლამაზი ვარ. შენც ლამაზი ხარ!

— მე რა ლამაზი ვარ, შორიდან გეჩვენება.

— არა, ლამაზი ხარ, მაქეთ ყველაფერი ლამაზია, თუ მეჩვენება?

— ლამაზია, გოგო, ძალიან ლამაზი, არ გეჩვენება. თქვენთან როგორ არის?

— ჩვენთან როგორ უნდა იყოს, როგორც ხედავ!

— თქენთანაც ლამაზია!

— გულს მიკეთებ?

— გულს რატომ გიკეთებ, ცოტა მოუვლელია, თორემ, ისე ლამაზია. ანდა უშნო რად უნდა იყოს, ამ სოფლის ნახევარი არ არის?

— ჰო, მართალი ხარ.

— ეს მოხუცი ვინ არის, შენი დედამთილია?

— ჰო, ჩემი დედამთილია!

— რას გეუბნება, სახლში შემოდიო?

— სახლში შემოდიო.

— ახლა შენ წახვალ?

— წავალ, ჯუმა მოგაფერი.

— ხვალ ხომ ისევ მოხვალ, გოგო?

— მოვალ, ჩემო ჯუმა მოგაფერი.

— ნახვამდის, გოგო!

— ნახვამდის, ჯუმა მოგაფერი!

მანძილი კვლავ აღსდგა. მასწავლებლის ლამაზი ცოლი ადგა და მოხუცს გაჰყვა.

— დაწერე, შერბინა, მასწავლებლის ცოლმა დაასრულა ჩვენი თვალიერება. საგუშაგოზე ორი ამერიკული მარკის ჯიპი მოვიდა, ორი მაღალი ჩინის ოფიცერი გადმოვიდა მანქანებიდან და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშაგოს შენობაში შეეიდნენ... წერ, შერბინა?

— ვწერ, მაგათი დედა ვატირე, ვწერ! — ამოიკვნესა შერბინამ. უცებ გაძმა, საგუშაგოზე ყვირილი, სტვენა, კივილი და ყიჟინა ატყდა.

ასკერების სამზარეულოდან უზარმაზარი კაკაასიური ნაგზი გამოვარდა და თავქვე დაეშვა, თან საქონლის ვეებერთელა ბარკალს მოათრევდა, უკან ნაჯახმომარჯვებული მზარეული მოსდევდა. მას უსადილოდ დარჩენის საფრთხეში მყოფი ასკერები შეუერთდნენ და ახლა ყველანი ერთად მისდევდნენ ძაღლს. ძაღლი მიხვდა, რომ ყოველი მხრიდან გზას უჭრიდნენ და ზღვისაკენ ქნა პირი. ასკერები ფეხდაფეხ მიჰყვნენ. ნაგზი ზღვას მიადგა. მუხლამდე წყალში შესტოპა, ხორცი რომ ეღარ დაითრია, მოტრიალდა და მოახლოებულ ასკერებს თეთრი ეშვები გაუღლა. ასკერები შედრკნენ. ერთხანს გოგნებუელები იდგნენ, მერე წინ ისევ მზარეული წადგა ნაჯახით და ნელი ნაბიჯით დაუწყო ძაღლს მიახლოება. ნაგზი მიხვდა, რომ საქმე წაგებული იყო, ან ხორცი უნდა დაეტოვებინა, ან სიცოცხლე და უცებ მოხდა სასწაული. მე და შერბინამ გაოცებისაგან პირი დავაღეთ. გოგნებული მზარეული კი ქვიშაზე ჩაცუქქდა და ორთავე ხელი თავზე იტაცა. — ძაღლმა უზარმაზარი ხორცის ნაჭრით საზღვარი გადმოლახა და ჩვენს ტერიტორიაზე დაწვა, თათებშუა ამოიდო საქონლის ბარკალი და დინჯად დაუწყო გლეჯა, ხანდახან ასკერებსაც გახედავდა, აბა, თუ ბიჭები ხართ, გადმოდითო. ერთ საათს ეწვა ნაგზი ბარკალს და რომ ადგა, მის გვერდით თეთრი, გაპარსული ძვალიღა იდო. კიდევ ცოტა ხანს დაჰყო მან ჩვენს მიწაზე და როდესაც შეატყო, იმედგადაწურული ასკერები წავიდნენო, დინჯად დასტოვა ჩვენი ტერიტორია.

— რა ამბავია მანდ?! — ამოგვძახა ხმაურზე მოსულმა პარხომენკომ.

— არაფერი, ძაღლი გადმოვიდა იმათი!

— მივუშვა ტანგო? — იკითხა პარხომენკომ.

— შენი ტილიანი ტანგო კი არა, მოზვეური გაათავა ნახევარ საათში. — ჩასძახა შერბინამ.

— ჩამოდი, შერბინა, შენ და ტანგომ იარეთ ახლა, მანდ მე ამოვალ! — ამოსძახა პარხომენკომ.

— შენ სულელი ხომ არ ხარ! მერე მე საზღვარი დავიცვა, თუ მაგისგან ვიცვა თავი? — ჩასძახა შერბინამ.

— ზუდოვის დედა ავატირე, ეს რა ამკვიდა, ჩვარივით დამპორეს აქეთ-იქით. აღარ ვიცი, მე ვარ ძაღლი, თუ ეგ. რაც უნდა, იმას მაკეთებინებს. — თქვა პარხომენკომ და ისევ აპყვა საფეხურებს ზეკით, თთაში. გაღმა სოფელს გაეხედე, ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, ეპპეს არაფერი იწვეოდა. ჭოგრიტი შერბინაა გადავეცი, კოშკის ოთახში შეეედი და სკამზე ჩამოვჯექი, პაპიროსი ამოვიღე და გავაბოლე, საოცარი გრძნობაა მესაზღვრეობა. წარმოიდგინე, უცებ ვეებერთელა საბჭოთა კავშირი თავისი თვალუწვდენელი, დაულეველი, მთიანი, ზღვიანი, კლდიანი, ტბიანი, ჭაობიანი, ტყიანი და უდაბნო საზღვრით. წარმოიდგინე, ასი, ათასი საგუშაგო და შლაგბაუმი, რომელიც დგას ამ საზღვარზე, წარმოიდგინე, ათჯერ, ასჯერ და ათასჯერ მეტი მესაზღვრე, რომელიც იცავს საზღვარს. მერე წარმოიდგინე, რომ ამ უამრავ მესაზღვრეთაგან შენც ხარ ერთ-ერთი, ამ უზარმაზარი მრავალწერტილის ერთ-ერთი პატარა, პატარა წერტილი, ჭიანჭველა და კიდევ უფრო პატარა. და, მიუხედავად ამისა, დგახარ იმ პატარა მიწაზე, რომელიც ნაწილია იმ დიდისა და უზარმაზრის. დგახარ უზომოდ ძლიერი, უზომოდ ფხიზელი, შვილდვივით უკიდურესობამდე მოზიდული და მომართული, ოდნავ შემკრთალი, მაგრამ საოცრად ამაყი,. სავსე პასუხისმგებლობითა და შეკრული ფიცით, დროშის წინ მუხლმოდრეკილი

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

ფიცით, რომ შენ ერთს და მხოლოდ შენ ერთს გაბარია ორას ორმოცდაათი მილიონი კაცის ბედი. შენს გამო შენს მოიეფდეებს სძინავთ, მათ და მათ შვილებს, მშვიდად და ტკბილად. შენს გამო ვერ ბედავს ის ვიღაც ომს, სისხლისღვრას, ყაჩაღობას, შენზეა დამყარებული კაცობრიობის ბედი, შენა ხარ ის ბურჯი, რომელსაც დიდი ასოებით წერია СССР. შენა ხარ ის, ვის გამოც ხმამაღალ სიტყვას ვერ უბედავენ შენს მიწაზე ფეხშემოდგმულ საკუთარ ძაღლსაც კი. შენ ხელთ გიპყრია იარაღი, რომლის პატარა, ერთი ციდა თეთრთავსახურიან პრიალა ტყვიაში ზღაპრული ჯინივით ზის, ერთად ჩამოსხმული, შედუღაბებული და შეკრული იმხელა ძალა, რომელსაც შეუძლია დაამხოს სოფლები, ქალაქები, სახელმწიფოები, წყობილებები და ცივილიზაციები. შენ ხარ ამ ჯინის მბრძანებელი, მოწყალე ხელმწიფე. შენ ხარ ღმერთი და მთელი კაცობრიობა შენ შემოგაქერის ვედრების თვალით. საოცარი გრძნობაა ჯარისკაცობა, განსაკუთრებით მესაზღვრეობა, და თუ ასე არ ფიქრობ, კაპიკია შენი ფასი.

— ჯაყელო, მოემზადე ინტერვიუსათვის, კლასიკოსი მოდის! — შემაწყვეტინა ფიქრი შერბინამ. კოშკის მოაჯირს მივდექი და ქვევით გადავიხედე, აღმართს ნელი ნაბიჯით მოჰყვებოდა ზურგზე ხელებდაწყობილი და გულგაღეღილი მწერალი, ლეიტენანტი მდინარაძე.

შესახვედრად მოვემზადე. მდინარაძე მოეახლოვდა კოშკს და ზევით ამოიხედა, მერე დინჯად შეუდგა ამოსვლას, რკინის საფეხურებზე მისი ახალი დაშვედილი ქრომის ჩექმების წკაპაწკუპი ისმოდა.

— მოდის! — თქვა შერბინამ, სიგარეტი გადაადგო, საყელო შეიკრა და ავტომატი მხარზე გადაიკიდა. მე იატაკს სარქველი ავხადე. სარქველში ჯერ ლეიტენანტის ქაღალი თავი გამოჩნდა, მერე გაოფლილი შუბლი, მერე ყურებამდე გაღიმებული სიფათი და ბოლოს მთლიანად თვითონ ლეიტენანტი.

— გამარჯობათ, ბიჭებო! — თქვა ბოლოს და იქვე ჩამოჯდა.

მე და შერბინა გავიჭიმეთ. მდინარაძეს ალბათ გაახსენდა, ლეიტენანტი რომ იყო და უხერხულად გაიღიმა, ადგა და თვითონაც გაიჭიმა.

— ამხანაგო ლეიტენანტო —დავწყე მე. — ჩვენს უბანზე ჩვენი მორიგეობის დროს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. განწესის უფროსი, რიგითი ჯაყელი.

— არაფერი არ მომხდარა? — იკითხა შეწუხებული სახით მდინარაძემ.

— დიახ, ამხანაგო ლეიტენანტო, არაფერი არ მომხდარა! — ვუპასუხე მე.

— დაბრძანდით! — თქვა მან. მე და შერბინამ გაკვირვებულებმა შევხედეთ ერთმანეთს.

— გამარჯობათ! — გამოასწორა ბრძანება მდინარაძემ.

Здравье желаем товарищ лейтенант! — ვპექეთ მე და შერბინამ. მდინარაძე მთლად დაიბნა.

— თავისუფლად! — მიაგნო ბოლოს და ბოლოს ბრძანებას მდინარაძემ.

მე და შერბინამ თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

— ეი, თქვენ, რას ყეფთ მანდ! —ამოგვძახა ქვევიდან პარხომენკომ. სამთავემ გადავიხედეთ. ლეიტენანტის დანახვაზე პარხომენკოს ენა ჩაუვარდა, გაიჭიმა და ტანგოს ხელი გაუშვა, ნახევარ მეტრზე ენაგადმოგდებულმა ტანგომ ყურები ცქვიტა და კოშკზე ამოსვლას შეუდგა მე სასწრაფოდ დავხუტე ხუფი.

— იკბინება? — იკითხა მდინარაძემ.

— იტკვირება! — თქვა შერბინამ და მოაჯირზე კისერი გადაყო. — ეი, შენ. დოყლაპია. ძაღლი მოგვაშორე! — ჩასძახა პარხომენკოს. პარხომენკო ძაღლს დაეწია და რის ვაი-ვაგლახით ჩაათრია კიბიდან.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ეტყობოდა, მდინარაძემ არ იცოდა რა ექნა და საიდან დაეწყო. სიგარეტი „ალენტი“ ამოიღო და მოგვაწოდა. სიამოვნებით ამოვიღებდი ორ ცალს, მაგრამ შემრცხვა. მდინარაძემ შემატყო და გაიღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამოიღე, ამოიღე, თუმცა მოიცა, აი, ორ ცალს ამოვიღებ, დანარჩენი თქვენ გქონდეთ, ეს მეყოფა, ოთახში კიდევ მაქვს ბევრი! — თქვა მან და მთელი კოლოფი მომაწოდა.

— რას ბრძანებთ... — გავიპრანჭე მე.

— აიღე, აიღე და ეგ ჭოგრიტი მომეცი! — თქვა მან. ჭოგრიტი მივაწოდე. მან ჭოგრიტი თვალებთან მიიტანა და გალმა სოფლის თვალიერება დაიწყო. დიდხანს უყურა. მერე ჭოგრიტი ჩამოიღო და მომაწოდა.

— ვერაფერს ვხედავ — მითხრა მან.

— აი, ამ ხელსაწყოში გაიხედეთ, უკეთ ჩანს! — ვუთხარი მე და ხელსაწყოსთან მივიყვანე. მდინარაძე სკამზე მოეწყო და ხელსაწყოში გაიხედა.

— ჰო, ეს სულ სხვაა! — თქვა მან.

— აი, იქ, მარჯვნივ! — დავუწყე ახსნა, — მაგათი საგუშაგოა. ხედავთ? ასკერებს წვრთნის ოფიცერი.

— ვხედავ, გადმოშვებული მწვანე შარვლები აცვიათ, ეს რა პრიმიტიული შაშხანებია?

— ამერიკული, ათვაზნიანი შაშხანებია.

— ეგ არის ამერიკული შეიარაღება? — მკითხა მან. ისე რომ თვალი არ მოუწყვეტია ხელსაწყოსათვის.

— არა, ამ ძველ შაშხანებს მაგათ აძლევენ, თვითონ უკეთესები აქვთ. — ავუხსენი მე.

— გასაგებია! — თქვა მდინარაძემ.

— აი, იქ ცოტა მარცხნივ, ორსართულიანი ბანიანი სახლი რომ არის, მაგათი მამასახლისსაა.

— რა მამასახლისია ფანჯრები ვერ ჩაუსვია! — თქვა მდინარაძემ.

მე არ ვიცოდი რა მეპასუხა და მხრები ავიჩეჩე.

— აი, იქით, წაბლის ოდა რომ დგას, სოფლის მასწავლებლისაა.

— სკოლა აქვთ?

— დიახ, დაწყებითი.

—რას ასწავლიან? — მკითხა მდინარაძემ. მე არ ვიცოდი იმათი დაწყებითი სკოლის პროგრამა, ამიტომ ისევ ავიჩეჩე მხრები.

— ის რა არის, ზღვის პირას?

— ის ყაჯახანაა, ცოტა აქეთ სკოლა.

— ხალხი სად არის, რომ არ ჩანან?

— სამუშაოზე. სათესები აი იმ მთის გადაღმა აქვთ.

— სინათლე არ აქვთ?

— არა!

— ცუდად ცხოვრობენ! — დაასკვნა ლეიტენანტმა და ხელსაწყოს მოსცილდა.

— ცუდად ცხოვრობენ! — დავუდასტურე მე.

— არ გადმოდიან?

— მეორე წელია ვმსახურობ, ჯერ არავინ გადმოსულა.

— ალბათ ეშინიათ?

— ვისი?

— ასკერებინ!

—ალბათ ეშინიათ.

— ისე ლამაზი სოფელი კია! — ამოიოხრა მან.

— კი, ძალიან ლამაზია! — დავუმოწმე მე.

— შეხედე რა სანაპიროა, რა პლაჟი, რა კლდეები, პირდაპირ ზღვაში შესული კლდეები, შავი გემებივით დგანან ლურჯ ზღვაში. ჰაუ, რა სილამაზეა. რა გვარი ხარ შენ?

— ჯაყელი!

— სულ ჩვენი იყო, ჯაყელო, აქედან ეჰეი... იქამდე. ლაზები ჩვენი ძმებია. მეგრულად ლაპარაკობენ. გესმის შენ მათი ლაპარაკი?

— ხანდახან ისმის, ღელის პირას რომ ჩამოდიან.

—გგბულობ რამეს? — მე უარყოფის ნიშნად თავი გავუქნიე.

— რამდენი წლისა ხარ? — მკითხა მან.

— მეცხრამეტე წელიწადში ვარ. — ვუპასუხე მე.

— შენ? — ჰკითხა ახლა შერბინას.

— მეც!

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

— ცოლი გყავს?

— ცოლი პარხომენკოს ჰყავს! — თქვა შერბინამ.

— პარხომენკო ვინ არის? გაუკვირდა მდინარაძეს.

— აი ის, ტანგოს რომ ახლავს.

— ტანგო ვიღა არის?

— ტანგო ძაღლია.

— ტანგო ვინ დაარქვა? — უფრო გაუკვირდა მდინარაძეს.

— ტანგო ზუდოვმა დაარქვა.

— ზუდოვი ვიღა არის? —არ მოეშვა შერბინას მდინარაძე.

— ჩვენი საგუშაგოს სია ჩხარტიშვილთან ინახება, ამხანაგო ლეიტენანტო! — გაუღიმა შერბინამ.

— რა გაცინებს, ბიჭო? — ღიმილითვე ჰკითხა მდინარაძემ.

— ისე ვიღიმები, ამხანაგო ლეიტენანტო! მიხარია!

— რა გიხარია?

— პირველად ვხედავ ცოცხალ მწერალს და მიხარია. — თქვა შერბინამ და ისევ გაიღიმა.

— სადაური ხარ? — ჰკითხა მდინარაძემ.

— ხარკოვიდან ვარ.

— მერე, ხარკოვში მწერლები არ არიან?

— არიან, მაგრამ არ მქონია შემთხვევა მენახა.

— შენც არ გინახავს ცოცხალი მწერალი? — მომიბრუნდა მდინარაძე.

— როგორ არ მინახავს, ცოცხალიც მინახავს და მკვდარიც.

— ცოცხალ-მკვდარი მწერალი თუ გინახავს? — ჰკითხა მდინარაძემ. მინდოდა მეთქვა, აგერ გიყურებთ, ბატონო-მეთქი, მაგრამ მომერიდა.

მდინარაძე მიხვდა თავისი შეკითხვის სიმსუყეს და, პასუხი რომ არ გამეცა, პირველ შეკითხვას უცებ მეორე მოაყოლა:

— რა განათლება გაქვს?

— ათი კლასი!

—უმაღლესში რატომ არ შედი?

— არ შემიშვეს, ამხანაგო ლეიტენანტო!

— თუ ძმა ხარ, ლეიტენანტს ნუ მეძახი, თორემ ვიღაც სხვას ელაპარაკები მგონია. — მთხოვა მდინარაძემ.

— ვეცდები, პატივცემულო მწერალო!

— ლადო მქვია მე. რაო, რატომ არ შეგიშვეს?

— სამედიცინოზე ვაპარებდი და ჩავიჭერი. — ავუხსენი მე.

— ჰო, სამედიცინოზე მოხვედრა ძნელია. სხვაგან არ გიცდია?

—არა, ბატონო!

— როდის ამთავრებ სამხედრო სამსახურს?

— ერთ წელიწადში!

— რომ ჩამოხვალ, მნახე და დაგეხმარები.

— გმადლობთ. პატივცემულო! — მდინარაძემ ჩემს მადლობას ყურადღება არ მიაქცია. ჭოგრიტი ჩამომართვა და ისევ გაღმა სოფელს დაუწყო თვალიერება.

— პატივცემულო ლეიტენანტო — მიმართა უცებ შერბინამ .— თქვენი ნებით წამოდით ჯარში? — მდინარაძემ ჭოგრიტი მოიშორა და შერბინას შეხედა, კიდევ ხომ არ მეხუმრებაო., შერბინა ისეთი სერიოზული სახით უცქერდა, გამიკვირდა კიდევაც.

— ჩემი ნებით, შერბინა. რა იყო, არ მეტყობა, ჯარის ასაკს რომ გადაცილებული ვარ?

— როგორ არა, მაგრამ... ჩვენზე უნდა დაწეროთ რამე?

— ჰო, ვეცდები რამე დავწერო.

— რა უნდა დაწეროთ, ამხანაგო ლეიტენანტო, ყოველი დღე ისე ჰგავს ერთმანეთს, გუშინ მოვედი მგონია, მეორე წელია ვმსახურობ, თოფის გასროლა რა არის, ის არ გამიგონია ექვთი მხრიდან. ჩვენს, მესაზღვრის გაზეთში ვკითხულობ — იქ ეს მოხდა, აქ ეს მოხდაო. იქ ეს დაიჭირეს, აქ ის დაიჭირესო, მოკლედ, სიცოცხლე დუღდა. ახლა კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა? ყოველ დილით ვუსმენ ამ მოლას ყოროყინს, ვუყურებ როგორ წვრთვნის ასკერებს ოფიცერი, როგორ დადიან თეგზის საჭირად, როგორ დადის სკოლაში მასწავლებელი, როგორ აპუურებს დედამისი ქათმებს, როგორ იმალება ის სულელი ასკერი თავის საფარში და როგორ ჯდება ქვაზე მასწავლებლის ცოლი, იმასაც არ მაყურებინებს ჯაყელი, სულ თვითონ უყურებს. მოკლედ, საზღვარი კი არა, ჩუმი ჯოჯოხეთია. — ამოიოხრა შერბინამ.

— შენ რევანშისტი ყოფილხარ, ჩემო შერბინა, სიწყნარე არ ჯობია? — გაუცინა მდინარაძემ.

— როგორ გეკადრებაო, რევანშისტი კი არა, სისხლი შემდედდა უსაქმობისგან. დაჭერას არ ვჩივი, უბრალოდ თვალი შემავლებია ჯაშუშზე და მეტი არაფერი მინდა. — ინატრა შერბინამ.

— ნუ გეშინია, დაიჭერ, შერბინა! — დაპირდა მდინარაძე.

— თქვენს პირს შაქარი, ამხანაგო ლეიტენანტო, ოღონდ ჯაშუში დამაჭერინა და ისევ გავუშვებ, მარტო ხელი მომაკიდებინოს.

— აკი გითხარი დაიჭერ-მეთქი!

— მაგის იღბალი მე ვინ მომცა! — დაისაწყლა თავი შერბინამ.

— ნუ გეშინია, შერბინა, მე ისეთი იღბალი მაქვს, ამ ორ თვეში სამს თუ არა, ოთხ ჯაშუშს დავიჭერთ. მერე მე თქვენზე, შეაზე და ჯაყელზე წიგნს დავწერ...

— პარხომენკოც ახსენეთ, ცოდვაა, ამხელა ძაღლს დაათრევს ბიჭი, როდის ჩაყლაპავს იმ უბედურს, არ იცის, აი, ვისი სიცოცხლე ჰკიდია ბეწვზე, ნუ გამოტოვებთ, თუ შეიძლება! — გაუწია პარხომენკოს პროტექცია შერბინამ. მდინარაძეს გაეცინა.

— პატივცემულო მწერალო, — გაგიგონია შერბინამ, — აი, წუხელ ყაზარმაში ბიჭები ვკამათობდით... — შერბინა შეყოყმანდა.

— რაზე კამათობდით? — დაინტერესდა მდინარაძე.

— თქვენზე... თქვენზე კი არა, საერთოდ მწერლობაზე. ბიჭებმა თქვეს, რომ... — შერბინა ისევ შეყოყმანდა.

— რაო, შერბინა, თქვი!

— ბიჭებმა თქვეს, რომ ყველა მწერალი ცოტათი დარტყმულიაო... მართალია? — შერბინა პასუხის მოლოდინში გაინაბა. მდინარაძეს სიცილი აუტყდა.

— როგორ მატყობ, შერბინა, მე დარტყმული ვარ? — ჰკითხა მაგ, სიცილს რომ მორჩა.

— თქვენ, ამხანაგო ლეიტენანტო, ჯერ არაფერში არ გეტყობათ, გარდა იმისა, რომ თქვენი ნებით წამოსულხართ ჯარში. — მდინარაძეს ისევ აუვარდა სიცილი. ვიცინოდი მეც და სულ ბოლოს შერბინასაც აუტყდა სიცილი, ალბათ თავისი სულელური კითხვების გამო.

— მერე ბიჭები ორად გაიყო, — გაგიგონია შერბინამ. — კარალიოვი, არბუზოვი, ივანოვი და ძნელაძე ამბობდნენ მწერლობა რა არის, მწერლობა არაფერია, მოვიდა, ნახა, დაწერა, მიიტანა, დაუბეჭდეს, ფული აიღო და სახლში წავიდაო. მეორე ჯგუფი ამბობდა: აი, ჯაყელიც იმ ჯგუფშია, მწერლობა ძალიან ძნელიაო. როგორ არის, თუ შეიძლება მითხრათ, ძნელია მწერლობა თუ არა? — შერბინა ისევ ძალიან სერიოზული გახდა.

— შენ როგორ ფიქრობ, შერბინა? — ჰკითხა მდინარაძემ. შერბინამ კეფა მოიქექა.

— მე არ ვიცი! თქვა ბოლოს და მხრები აიჩეჩა. მდინარაძე სკამზე ჩამოჯდა, საკუთარი სიგარეტი გვთხოვა, მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და დიდხანს, დიდხანს დუმდა. მერე ისევ დაიწყო, თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა:

— ...როგორ აგიხსნა... მწერლობა, ჩემო შერბინა, ასეთი რამ არის... — მდინარაძე ისევ დადუმდა, მერე მარცხენა ხელისგული გაშალა და მარჯვენათი ნეკი ჩაიღუნა, — პუშკინი მოკ-

---

ნოდარ დუმბაძე
ნუ გეშინია, დედა

ლეს, ლერმონტოვი მოკლეს, ფედერიკო გარსია ლორკა მოკლეს, გოგოლი გაგიჟდა, ყაზბეგი გაგიჟდა. — მდინარაძე მეორე ხელზე გადავიდა. — ილია ჭავჭავაძე მოკლეს, ჩეხოვი ჭლექით მოკვდა, ვაჟა ფშაველა ჭლექით მოკვდა, ხემინგუეიმ თავი მოიკლა, ესენინმა ვენები გადაიჭრა და მერე თავი ჩამოიხრჩო, სტენდალი ქუჩაში წაიქცა, მაიაკოვსკიმ თავი მოიკლა, ტიციან ტაბიძე მოკლეს... ცვეტაევამ, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, თავი ბაწარში გაუყარა... მარტო კრილოვი. ერთადერთი მწერალი მსოფლიოში მოკვდა ბლინების ჭამით...

— მდინარაძე კვლავ დადუმდა. პირდაფჩენილი შერბინა თვალებს აპარებდა ... და და გაოგნებული ხან მე მიყურებდა, ხან მდინარაძეს.

— გასაგებია? — ჰკითხა მდინარაძემ შერბინას და წარბებქვეშიდან ამოხედა.

— ყველაფერი გასაგებია, ამხანაგო ლეიტენანტო! — თქვა შერბინამ და ნერწყვი გადაყლაპა.

— კარგია, თუ ყველაფერი გასაგებია, — თქვა მდინარაძემ, წამოდგა, ჩასასვლელს ხუფი ახადა, შერბინას ლოყაზე ხელი მოუთათუნა და წყნარად დაუშვა დაბლა.

ოთარ ჭელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმან ლებანიძეს

ჭარმაგ მომღერლების კისრებია
დაფნის სიმძიმისგან დაძარღვული,
შენ კი გვირგვინივით გღირსებია
ქედზე აბასთუმნის გაზაფხული.
ქუდი ჯარისკაცის დაგთოფია
ჯანში სიჭაბუკის ჩადგომამდის,
ტანზე თრიმლისფერად გაგფოთლია
ჯერი გერმანული ავტომატის.
მურმან, შეგხვედრია განსაცდელი,
მაგრამ სინამდვილემ ჩაგვაწვეთა,
რომ არ გაგვივლია გასავლელი
ომზე უმკაცრესი ჭაპანწყვეტა.
ორი მეგობრიდან, სავალალოდ,
ერთ-ერთს ბედისწერამ დაგვაკისრა
უკვდავ რექვიემად ავამაღლოთ
გლოვა ძმადნაფიცის დაკარგვისა.
ვიდრე სიმძიმილის, დამიწების
ზარი დარეკავდეს სამრეკლოდან,
წუთი გარდუვალი დავიწყების
სულში ამბორცვა, ამკორდა.
მაგრამ ჟამთასრბოლამ დაფიქრებით
ისევ მალოცვინა მომავალზე;
ჯერ ხომ გასათმი სათიბებით
გვიცდის ზღვისპირეთი მოვასასე.
ჯერ ხომ ალპიური ყვავილების
თივად გვენანება გადაქცევა,
ჯერ ხომ შეუმბლული ყმაწვილების
არც კი ნოგვსწრებია დაკაცება.
ჯერ ხომ საქართველო სასახლეა,
სადაც საკუთარი მონეტების
წმინდა ოლიმპისკენ წასაღებად
რაზმი დაწყობილა პოეტების.
ხვედრმა ზარაფხანა მოგიჩინა,
ძილში მთვარეულად გაწრიალა.
და ჰა, საგანგებოდ მოგიჭრია
ოქრო — მთვარისხელა, ხმაწკრიალა.
ჭარმაგ მონღერლების კისრებია
დაფნის სიმძიმისგან დაძარღვული.
შენ კი გვირგვინივით გღირსებია
ქედზე აბასთუმნის გაზაფხული.
მურმან, დამაძალე გამეტებით
ისევ ოჯალეში მარახოში,
ვიდრე ჩასაქრობად ავფეთქდებით
ყრუ და უსასრულო სამყაროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟუჟა ალმაში

ცეკვავს ჟუჟა ალმაში
და გასარკულ ყინულზეა,
როგორც ხალას ალმასში
მზის და ცეცხლის ილუზია.
ტაშის ხმაში არ ესმის
ბეწვის ხიდზე გადამავალს,
რომ ციგურებს ალესილს
მალე სკივრში გადამალავს.
მახსოვს, სიზმრის ნაირად
ჩვენს ეზოზე გადიარა,
აჟღრიალა დაირა
მისმა დარმა მადიარმა.
დღეს ორკესტრი რას უკრავს:
ტარანტელას, კაპრიჩიოს,
პოლონეზს თუ მაზურკას...
ვის რა უნდა — აირჩიოს.
მე სხვა ჰანგი ხილული
რიტმს მიქღერებს წვივებისას,
ჰიმნს მიმღერის — ყინულის
ცეცხლთან დაქორწინებისას.

აღელვებულ დარბაზში
ველურ ფერთა მარეკვითი
ასი ჟუჟა ალმაში
სარკეზეა არეკლილი.
ერთი ჩემსკენ გამორბის
და უპირებს გაცოცხლებას,
ციგურების გალობით,
ყმაწვილკაცურ ნოცნებარს.
თითქოს იცნო პირიმზემ
ჩემი მზერა დარცხვენილი;
უბედობის ბილიკზე,
როგორ ვიგდე ნაცემივით...
მაგრამ რა გაეწყობა, —
ხვედრს ვერავინ გადამალავს;
ჩემი სახე ეცნობა
ბეწვის ხიდზე გადამავალს.
როკავს ჟუჟა ალმაში
და გასარკულ ყინულზეა,
როგორც ხალას ალმასში,
მზის და ცეცხლის ილუზია.

პირველი წერილი ომიდან

პირველი წერილი ომიდან,
უწვიმარ, გვალვიან წელივით,
მოხუცის სასელზე მოვიდა,—
ვინც უკვე წაიღო წერილი...
ბერიკაცს ჩასძახეს საფლავში
ამბავი ბარათის მოსვლისა;
საფლავში, როგორც შორ სანგარში
მსოფლიო ომის ხმა მოესმა.
კარდაკარ ვიდოდა წერილი,
მინდვრებში დაქროდა ზეფირად,
თვალებზე ეკიდა ცრემლივით,
ლექსივით ამბობდნენ ზეპირად.
დაბრუნდა, ვინც ომში გადარჩა,
მაგრამ ვინც სიცოცხლე დასარჯა,
ის დარჩა სანგარში მარადის, —
შორეულ საფლავის დარაჯად,
დამწერი პირველი ბარათის
და ჩემი მართალი ბალადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარიონალთან

როცა ნარიონალს გაღმა
ეშვი აელვარდა გუთნის,
კვნესა შეეიცხადე ბაღღმა
მწვანე დედამიწის ბურთის.
ჯოხის თოხარიჯზე შემხტარს
ხალხმა დამიძახა: — მოდი! —
და შორს დამანახა „მხედარს"
გუთნის სალესავი ლოდი.
დავთმე, მივატოვე უცებ
ჩემი დარახტული რაში,
გლეხურ გახუმრებას, გულწრფელს
ვერა გავუგე რა მაშინ.
მხარზე მოგდებული ტვირთით,
მარად მონატრული ახლის,
ზღაპრულ აღმოჩენად ვთვლიდი
კვალში მოელვარე სახნისს.
როგორც გამოსაწვავ თიხას,
ბუღი ამდიოდა სიცხის,
დიდხანს გავუძელი, დიდხანს
ტვირთს და გლეხკაცების სიცილს.
დინჯად მიეყვებოდი გუთანს
კერში ქალაქელი ბალღი
და ჩემს აჩქარებულ სუნთქვას
ხარხარს აყოლებდა ხალხი.
— ხარის დაგყოლია ქედი,
ზიდვა შეგძლებია ლოდის,
მაგრამ სალესავი ქვები
როდის გვითრევია, როდის?!
გუთანს დედამიწა ლესავს,
მიწა ამახვილებს სახნისს!..
დღემდე მომაცილებს ლექსად
ტკბილი ჟრიამული ხალხის..
ხსოვნა-თავანკარა, წმინდა
დღემდე საგზალივით მყოფნის..
დღემდე გახუმრება მინდა
ჩემი გულკეთილი სოფლის.
და ის ფეხადგმული ლოდი —
სიზმრულ გახსენებით სავსე,
ყრმობის ნაკვალევზე მოდის..
როდის დამეწევა გზაზე?

ნინო ორბელიანის გასვენება

კუბოს ჭილყვავი გადააფრინდა,
გასცდა საფლავთა წყებას;
უპატრონოთა თავშესაფრიდან
მიასვენებენ ცხედარს.
ვიღაც კითხულობს:
— რომელი არი?..
გლახა პასუხობს გლახას:
— პოეტი ნინო ორბელიანი
გარდაიცვალა, მასლას!
ცხედარს არავინ თავს არ აკლავდა
და მათხოვართა ჯარი
ვიდოდა ქუჩის მღვრიე ნაკადად,
წინ მიუძღოდა ჯვარი.
— რატომ არავინ მოსდევს მტირალი,
ჭირისუფალი არ ყავს?
დარჩა ჩვენსავით ოხერტიალი,
საავადმყოფო მარხავს.
კუბო მიჰქონდათ გაურანდავი,
როგორც ბოგანის ტახტი,
მისი ლექსივით გაუმართავი
და სიკვდილივით ნაღდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუმურდოს ტაძარი

უდაბურ ზეგანზე სადგურდება
ნგრევვის და არყოფნის ნატერფალი,
ინთქმება, იქცევა, ნადგურდება
კუმურდოს უმრევლო კათედრალი.
დრო ლოდებს აგორებს ყომარივით,
გარშემო ნამსხვრევთა შრანეულია,
და ჯვარი, დამფრთხალი ყორანივით,
საფლავის ბალახში ჩაფრენილა.
ნაგები ზეკაცურ რუდუნებით
იშლება ტაძარი ნახანძრალი,
ბავშვები ისვრიან შურდულებით
აწმყოდან წარსულში გადამძვრალი.
ღვთისგან და კაცისგან მიგდებული
თვალებში ჩამექერის მგლოვიარე,
პორტალი მანიშნებს დიდებული:
მომხედე, მიშველე. მომიარე.
გამთანგველ გოდებას ვუჩუმდები
და სულში გუბდება ქარტეხილი,
კამარის იყრება ჩუქურთმები —
სამოთხის ვაზებად დაგრეხილი.
ინთქმება, მიწაში ითესება,
სვეტები ემხობა თავდაყირა,
რაც ოფლი აღვარეს ქიტესებმა
ფრეზებზე მარილად გადაჰყრია.
თაღის წილ ლაჟვარდის ნახევია,
სიწმინდე ღივღივებს ქალწულური,
ქვის მტევნებს ტბებივით გახელია
მარცვლები — ცრემლებად დაწურული.
უდაბნოს დუმილი სადგურდება
ბზარებში ამოჩრილ ბალახივით,
კურთხეულ ოსტატთა საკუთრება
ქარს მიაქვს უჩინარ ბალდახინით.
და თითქოს ზარები დაირეკა,
წკარუნი ჩამესმა ღამურული.
მიმწუხრის ჩრდილებად აირეკლა
ფრესკები — წაშლილი, გამურული.
ვიღაცამ ყველრებით წამომძახა:
— ნანგრევზე ვალალი გვიანია;
უკვდავის მოკვდავად წარმოსახვა
ვინ უწყის რაოდენ გვიანია.
უდაბურ ზეგანზე ბანაკდება
უთაღო, უმრევლო ნატაძრალი,
დაქცეულ სიცოცხლის ქანდაკებად
მაინც დგას ქვითკირის პატარძალი.
უბრო ლაზათი შეუცვლია
და როგორც გაფანტვა წვრილმანების,
კუმურდოს აროდეს შეუძლია
დაკარგვა ყოფილი ბრწყინვალების.
რადგან მან ხარკივით ჩააბარა
საწუთროს მშვენება გარდასული
და ყოფნა-არყოფნის ანაბარა
არ უცდის უკვალო დასასრული.
ფესვებით სამარხთა ბორცვებზეა,
წმინდაა კაცთანაც, უფალთანაც
და თეთრი ლოდების პროცესია
უვალობს ამაო სულთათანას.
ჟამთასვლა მოკვდავებს უმკლავდება,
ტაძარი ვერასგზით წაუშლია,
რამეთუ კუმურდოს უკვდავება
გასცლია და უკვე წარსულშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტარხსენება

მომაგონდება ათას ცხრაას
ორმოცდასამი...
იქ, ბლოკადაში, მოხვედრილებს
სცივათ და შიათ...
პური უნდოდათ — არა ჰქონდათ...
ჭრერდები წამით —
გადასაგდებად ვერ ვიმეტებ
დარჩენილ ხმიადს.
ჰქონდათ გული და
არ ჰქონდათ პური —
კაცებს ლომგულებს,
კაცებს ზღაპრულებს...
და მათი წილი ყველა ხმიადით
მე მათ სახელზე
ჩიტებს ვაპურებ.
ღვინოში ვაწებ
პურის ნატეხებს
და ცოტაოდენ მირჩება
წყლული...
ნეტარხსენება კაცებს,
რომელთაც
ჰქონდათ გული და
არ ჰქონდათ პური.

მიწის ძახილი

თვითმფრინავი შეერია ღრუბელს,
ცაში ვარ და ზეცის თაღი მიცავს...
მენამება მაინც თვალთა უპე,
რადგან ასე შორს დავტოვე მიწა.
მზისკენ მივქრი... მიხარდეს უნდა —
ერთიანად გავეხვეევი მზეში...
ღრუბლები კი მეხვევიან გუნდად
და მგონია მზეა ერთი პეშვი.
ვფიქრობ: ზეცის სიახლოვეს ვიგრძნობ
და თანდათან გადამივლის სევდა...
მაგრამ მიწა მეტის ძალით მიხმობს
და მიწიდან ცასაც უკეთ ვხედავ.
მიწა მიხმობს — ვეჯახები ღრუბლებს —
დაბლა სითბო. მაღლა მკაცრი ჰავა...
ყურს ისევე დედამიწას ვუგდებ,
ცაში ვარ და კვლავ მიწაზე ვდგავარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲗᲐ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲘᲥᲛᲐ

როგორც სხეულში ჩამწყდარი ფესვი,
ან მტკივან გულზე ტყვიების დახლა,
ასე მიგრძენია და მესმის, მესმის
ეს ხმა, რომელიც ყურშია ახლაც.

და ცას, ზოგჯერ რომ ბინდი ეპურვის,
სხივებად აყრის მწუხარე ფერებს,
ჯერ უხმო ბოღმად დაგუბებული
და გადმოღვრილი ტირილად მერე.

ცხელი, მდუღარე და გაუძლები,
მთლად გალობილი ცრემლის ღელეთი:
„...ჩვენი უბედურ შვილების ძვლებით
მოფენილია მთელი სმელეთი.

დათხრილი სანგრის თუ მიწურს შუა,
ჩარჩნენ და წვანან ფენად და ფენად,
და ხელმეორე სიკვდილი თუა,
რომ წართმევია ყველაფერს ენა...

ძელმიწურს ხოხვით მიადგა ერთი,
შიშველ მკლავის და მუშტის ამარა,
და მიუშვირა ტყვიამფრქვევს მკერდი —
გადაეფარა და გადაფარა.

აღარავისგან არაფერს ითხოვს,
აღარაფერი აქვს გასამხელი.
თუმც უკან ვეღარ დაბრუნდა თვითონ,
უკან დაბრუნდა მისი სახელი.

მეორე დაჭრეს და თვალწინ ღია
აბოლდა სივრცე ჩამოძენძილი.
როგორ დათმობდა მას, რასაც ჰქვია
გამზრდელი მიწა, ფუძე და ძირი.

როგორ დათმობდა სახლ-კარს, ნააკვნარს,
მზით გამთბარ ყურეს — მართალფუძიანს.
ბოლომდე იდგა და ზედ დაკვდა
სანგარს და შიში არც კი უგრძვნია.

დღეს, როცა მწვანე ჩრდილებს ჩამოშლის
ფილა — სიცოცხლის თვალის ამხელი,
მის ნაცვლად გამზრდელ კარ-მიდამოში
ცოცხლად ბრუნდება მისი სახელი.

იყო ჭაბუკი, ყირიმის ციცქვეშ
ეგდო დაჭრილი, ხელებგაკრული,
უდარაჯებდა სიკვდილი იქვე,
როგორც ჯალათის მზერა მზაკვრული.

სანამ წვავდნენ და აქცევდნენ ნაცრად,
სანამ გულს კიდევ შეეძლო ფეთქვა,
ავარდნილ ცეცხლში ჩამდგარმა კაცმა.
ხმა ამოიღო, რომ რაღაც ეთქვა.

სხვა იყო ის ხმა, სხვა ჟრუანტელი,
გაუგონარი და არსად თქმული:
ბოლო სიმღერას მღეროდა ყველი
და იცლებოდა ნელ-ნელა სული.

გაშლა ვერ შესძლო დამწვარმა მხრებმა,
ნახვა ვერ შესძლო დაუნახველის,
და ხალხში ზღაპრად, ლეგენდად, ქებად,
შუქად წავიდა მისი სახელი.

ტანჯეს, აწამეს გოგო პატარა
და აიყვანეს სახრჩობელაზე.
და ტანმორჩილი და კაფანდარა
დიდი გამოჩნდა უცებ ყველაზე.

მან იგრძნო, დადგა ისეთი წამი,
როცა ვერავინ ვეღარ გიშველის,
და სიკვდილს შეხვდა ღრუბლიან ღამით,
ჩამოფლეთილი და ფეხშიშველი.

მშობლებზე დარდი გაჰყვა იარად
და ბოლოს მისიც გავხდით მნახველი.
დაბრუნდა, მაგრამ მარტო კი არა,
წინ გამოუძღვა გმირის სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტა მათ დედებს... სიმწრით, სიამით
გამზრდელ ძუძუებს — ტკბილს და
ახლობელს

დარჩათ შვილები სახელიანი
და წინაპართა გვერდით სახლობენ.

ღამით ეზოსთან დგანან ბინდივით,
დილით შუქივით სახლში შედიან.
მოკვდნენ და მერე რაა სიკვდილი,
ერთი სიკვდილი ყველას ხვედრია.

შევნატრით მათ ბედს თუ უბედობას,
ნაღველს, რომ აწვთ გულზე ლოდივით,
მაგრამ სხვა არი ჩვენი დედობა,
ჩვენი ეტვი და მკაცრი ლოდინი.

სად ლაპა ჩვენი ხორცი და სისხლი,
რომელ ველს აძღებს, რომელ მდელოთა.
ქვეყნად გმირული სახელის ღირსნი,
მიწაში წვანან უსახელოდა...“

მ ი ნ ა წ ე რ ი

ველს გამოხედეს უკანასკნელად,
შემოიხიეს სიმწრით საყელო

და ბოლო გზაზე გავიდა ყველა —
სახელიანიც და უსახელოც.

ო, ეს გზა გრძელი და უნახველი.
სანგრებს ჩაუყვა ცივს და ბურიანს.
მიგნებულია მათი სახელი
და სასაფლაოც მიგნებულია.

გადათხრილია სანგარი მომცრო
და სანგრის მკვიდრი ღამის ფერშია,
და უსახელო სახელით ცოცხლობს,
რადგან სიჩუმე ხმაურს ერჩია.

მათ ხვედრს ნურავინ ნუ ემდურებით,
სხვათა ბედს მაინ ბედი არა ჰგავს.
ვინა თქვა მისი უბედურება,
ვინც შეეწირა მამულს ზვარაკად.

არა, არ ამბობთ, დედებო, მართალს,
მარტო რომ მოთქვამთ, მარტო ილვევით.
დიდი მამულის სამსხვერპლოს კართან,
ისინი დგანან ვალმოხდილები.

რეზო ჯეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ოცდამეთექვსმეტე

გამოცდები დაიწყო.

უნივერსიტეტის დერეფნები დილიდან გვიან დამემდე სტუდენტებით იყო სავსე. ფანჯრებთან გრძელი მერხები იყო მიწყობილი. აუდიტორიებთან შეშინებული გოგონები იდგნენ. ელგუჯა უდარდელად დადიოდა დერეფანში, თუ არა და მერხზე იჯდა, გაზეთებს კითხულობდა, ან ნაცნობებს ელაპარაკებოდა. გამვლელი და გამომვლელი ყველა ცნობდა. თანაკურსელებს სასაუბროდ მაინცადამაინც არ ეცალათ. სტუდენტები, განსაკუთრებით ქალიშვილები, სულ გამოცდაზე ფიქრობდნენ და ნიშნები ელანდებოდათ. რაღაც ციტატებს და თარიღებს იზეპირებდნენ ბეჯითად და გუნებაზე ვერ იყვნენ. ძველებურად კეღარ კოხტაობდნენ; გამოცდების დამთავრებამდე გაცინებაც უჭირდათ.

ელგუჯას თითქოს არაფრის ეშინოდა. მაგრამ საერთო მღელვარება ალბათ მაინც აწუხებდა. შიშით მაინც რისი უნდა შინებოდა. რაც ჭირდა იმაზე მეტი რაღა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 1, 2, 3, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაემართებოდა. პირიქით, ამ რიარიაში ავადმყოფობა აღარ ახსოვდა და ეს კიდევ ბევრად უკეთესი იყო.

ცოდნა-მომზადებით ვერ დაიკვეხნიდა. ამბოდებების დროს სამედიცინო წიგნების შეძენა და კითხვა დაიწყო. მაღაზიაში ექიმი ეგორნათ. გამყიდველი იშვიათ გამოცემებს უნახავდა და დახლქვეშ მალავდა. გამყიდველის ხათრით ელგუჯა ყველაფერს ყიდულობდა, თუმცა ზოგიერთის გადაფურცლასაც ვერ ახერხებდა, ზოგიერთს თავს და ბოლოს ვერ უგებდა და საერთოდ, ეს წიგნები ისე ჭირდებოდა, როგორც თხას კალოშები.

— ნეტავი შენ! — უთხრა ერთმა პრომრგვალმა, მომცინარი სახის გოგომ ელგუჯას.

— რა იყო, შე კაი ქალო, რას შემომნატირე?

— არაფრის დარდი რომ არა გაქვს, კარგი!

— რა იცი, შენ, რისი დარდი მაქვს?

— აბა შენ რა გიჭირს... ყველა გიცნობს, ყველა პატივს გცემს... — თქვა გოგომ და თითქოს თავის ნათქვამი თვითონ არ სჯეროდა, გვერდულად გაიცინა და ელგუჯას მიაჩერდა. ელგუჯამ თავზე ხელის გადასმა დაუპირა. გოგო დაფეთდა და უკან გაიწია, ხელიდან მატრიკული გაუვარდა.

— აუ! — წამოიძახა ელგუჯამ.

გოგომ პირში თითი ჩაიდო და სულ გამოშტერდა.

— დაჯექი, ნუ გეშინია! — ურჩია ბიჭმა.

გოგო გაიქუანა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. შემდეგ უცბად ჩაიმუხლა და თვალისდასამხამებლად აიღო მატრიკული; გაიცინა და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

გამოცდები ელგუჯამ მართლაც სხვაზე უკეთესად ჩაბარა. პრომრგვალი გოგოსი არ იყოს, გამომცდელები ცნობდნენ და პატივსაც სცემდნენ. ზოგიერთები ისეთ უბრალო შეკითხვებს აძლევდნენ, რომ ელგუჯა ფიქრობდა, ხომ არ დამცინიანონ და უფრო იბნეოდა.

ქართულ ლიტერატურას რამდენიმე ლექტორი იბარებდა ერთდროულად. კომისიის თავმჯდომარე, მთვარესავით სახეგაპაპარული, კეთილი კაცი ელგუჯას, ყურადღებით უსმენდა და მოწონების ნიშნად თავს აკანტურებდა. ხანდახან თვითონაც ერთვოდა საუბარში და ფაქტიურად იმასვე იმეორებდა, რასაც სტუდენტი ლაპარაკობდა. ბოლოს ორთავენი ერთი თანამედროვე პროზაიკოსის შემოქმედებაზე შეჩერდნენ. შუა ლაპარაკში ლექტორმა სტუდენტი გაჩერება და უთხა:

— ახლა ერთ რამეს გეტყვი და არ გამამხილო: შინაური დისპუტზე მე ვთქვი, ამხანაგ კვირკველიას უარყოფითი გმირების დახატვა უფრო ეხერხება. ვიდრე დადებითის-თქვა. ეს ჩვენში დარჩეს. — ლექტორმა გაიცინა და ელგუჯას დააკვირდა, რას იტყვისო. ელგუჯა ისე დაიბნა, რომ ხმა ვერ ამოიღო. გამომცდელმა იფიქრა, ჩემი გამბედაობით გავაკვირვეო.

უნივერსიტეტის დამთავრების აღსანიშნავად სტუდენტებმა ფული შეაგროვეს და ბელას სახლში იქეიფეს.

დიდ დარბაზში ერთმანეთზე გადაბმული მაგიდები კედლიდან კედლამდე იყო გაწლილი.

სტუდენტებს რამდენიმე ლექტორიც ჰყავდათ მოწვეული. ყველა საგანგებოდ იყო ჩაცმული და დახურული. სუფრა იწყობოდა. სტუმრები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ლაპარაკობდნენ. ერთი გოგო პიანინოს უკრავდა. საიდანღაც კამათლების ჩხაკუნი ისმოდა.

ელგუჯა საგანგებოდ, სხვებსავით თვალში საცემად არ იყო მორთული. პიჯაკის შიგნით თეთრი, ნაქსოვი პერანგი ეცვა. სხვებზე მოხერხებულად და თავისუფლად დადიოდა. მის გარშემო სულ წრე იყო შეკრული.

ელგუჯა მუდამ შეკრებებსა და შეჯიბრებებზე იყო გადაკარგული: ბევრს ეარჯიშობდა, მეგობრობდა სხვებთან

და კურსის ამხანაგებთან დროს იშვიათად ატარებდა. თითქმის არასოდეს არ გაუთენებია ახალი წელი თანაჯგუფელებთან, არ ყოფილა ექსკურსიებსა და შაბათობებზე, სადაც სტუდენტები უფრო მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს, ვიდრე ლექციებზე. მისივე კურსის სხვა ჯგუფის გოგონებს ხეირიანად არც იცნობდა. ასე ერთობით ალბათ არც ამ კურსს შეეყარა თავი და დარბაზში საზეიმო განწყობილება სუფევდა.

სტუმრები მალე მიუსხდნენ გაწყობილ სუფრას.

ელგუჯა თენგიზსა და პირმრგვალ გოგოს შუა ჩაჯდა. მაგიდის ბოლოში რაღაც ჩურჩული ატყდა. ვიღაცამ ელგუჯას დაუძახა, აქეთ ხომ არ გადმოჯდებიდო. აქაც კარგად ეგრძნობ თავსო, უპასუხა ელგუჯამ. იგი კარგად მიხვდა, რომ თამადად ირჩევდნენ და აღელდა. სმა რომ შეძლებოდა, ნამდვილად არ იტყოდა უარს, რადგან სიმღერა და ცეკვა მაინცადამაინც არ ეზერხებოდა და ჩრდილში ყოფნაც არ უნდოდა.

დაბალი, ჯმუხი ბიჭი, რომელსაც თვითონ უნდოდა ტოლუმბაშობა, მაგრამ მხარისდაჭერის იმედი არ ჰქონდა, წამოდგა და ელგუჯა აფდეგრძელა. ამ სუფრას შენ უნდა გაუძღვეო. ეს წინადადება ელგუჯას ჩათვლით ყველას მოეწონა და ჯმუხ ბიჭს მხარი აუბეს. ბიჭი იმითაც კმაყოფილი დარჩა, ქეიფის დასაწყისშივე. სუფრის ყურადღება რომ მიიქცია.

ელგუჯას გადაწყვეტილი ჰქონდა, ღვინოს არ დალევეო და თამადობაზე უარი განაცხადა, მაგრამ უკეკ გვიანი იყო. მთელი სუფრა, მათ შორის ლექტორები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ელგუჯა მხოლოდ ჩვეულებრივ თავაზიერს იდებდა და მეტი არაფერი, მის სადღეგრძელოს სვამდნენ.

ელგუჯა მიხვდა, რომ უარი არ გადიოდა და შეშინდა. ღვინოს ნუ დალევ, სიტყვა გვითხარიო — ამშვიდებდნენ სუფრის წევრები. ელგუჯამ კარგად იცოდა, მარტო სიტყვის თქმას ბოლოს-დაბოლოს, ციცერონად რომ ქცეულიყო, აღარავინ დააჯერებდა, მაგრამ ... გზა აღარ ჰქონდა და შიშით შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას. მოადგილეებად ჯმუხი ბიჭი და ერთი ახალგაზრდა დაასახელა, რომლებთაც თამადობის პრეტენზიები ჰქონდათ. ამით თავკაცობის მაძიებელთა პატივმოყვარეობაც დააცხრო და სუფრაც უფრო შეკრა.

ქეიფი დაწყო და სუფრაც ძალიან მალე გამხიარულდა. ელგუჯამ იფიქრა, კიდევ კარგი თამადობაზე რომ უარი არ მთქმევინესო. ხასიათზე მოსულიყო. თუმცა, მაინც მეორე დღეზე ფიქრობდა, არ იცოდა, რა დღეს დააყრიდა ღვინო. „ამელამ არაფერი, მაგრამ ხვალ ვინ მიშველის?“ — ფიქრობდა იგი და თან მორიგ სადღეგრძელოს იგონებდა.

„...ყველა სვამს, დიდი და პატარა, ამათ მე ნეკით გადავუწევ ხელს და რა ღმერთი უნდა გამიწყრეს... რატომ უნდა ვიყვე მე ავად“! — უკვირდა ელგუჯას. ღვინოს იკლებდა. თენგიზი და პირმრგვალი გოგო, ყველაფერზე სიცილით რომ კვდებოდა, ხელს ეუწყობდნენ, ხანდახან ჭიქებს უცვლიდნენ, მაგრამ ჯმუხი ბიჭი და რამდენიმე მსმელი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ თუ თამადა ბოლომდე არ სვამს, ჩვენ რა თავი გვტკივაო, ორაზროვნად იღიმებოდნენ და ელგუჯას სასმისებს ათავლიერებდნენ.

ბოლოსდაბოლოს ელგუჯამ თავი მაინც ნებაზე მიუშვა; სულ დაავიწყდა ყველაფერი და ის გამბედაობა შეეძინა, სიფხიზლეში რომ წამალიკით ჭირდებოდა.

შუადამისას ლექტორები წავიდნენ. ჭაღარა დოქტორმა, რომელიც კიდევ ახალგაზრდობდა და ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს ამბობდა, წასვლისას ელგუჯა გვერდზე გაიხმო და უთხრა: აბა შენ იცი, ბავშვებს კისერს თუ არ მოტეხავო, შენდეგნი და ჩემდენი, მაგათ სად შეუძლიათო.

უფროსების წასვლის მერე სუფრა მალე აირია. ქალებს ისედაც ძოწყენოდათ და ცეკვა ყველაფერს ერჩიათ,

ყველანი დაწყვილდნენ და მაგნიტოფონის ხმაზე დაიწყეს ტრიალი.

ოჯახის ქალიშვილს, ბელას უკვე ეტყობოდა, რომ სიმსუქნისაკენ ჰქონდა მიდრეკილება. შესამჩნევად დასრულებულიყო, გავა და თეძოები კაბაში არ ეტია, მაგრამ ჩამოქნილი, გამხდარი ფეხები ჰქონდა. წვივიდან კოჭებისკენ ორი ძარღვი დაჭიმული ლარივით ეშვებოდა. ბელა ყველას ჩაგრავდა სახითაც და ტანითაც. დანარჩენებზე უკეთესადაც ეცვა. მოშიშვლებულ გულმკერდზე და თეთრ, რბილ მკლავებზე კუნთის ნატამალი არ აჩნდა. მიუხედავად სისრულისა, ყველაზე მსუბუქად ცეკვავდა. ქალი ახლა ჰყვაოდა, მაგრამ თუ თავს არ მიხედავდა, მალე დამძიმდებოდა.

ბელა თითქმის სულ ელგუჯასთან ცეკვავდა. ელგუჯა მალე მიხვდა, რომ ქალი შეგნებულად არ შორდებოდა. ნელი ცეკვის დროს ელგუჯა ბელას გულზე იკრავდა. ქალი წყნარად ფშნავდა ვაჟის მკერდთან.

ბელას საქმრო ერთი შნოიანი და თავის მამაკაცურ მომხიბვლელობაში თვითდაჯერებული ბიჭი იყო. თავი ქალების რისსმენა ეგონა და ამ ფრონტზე გარკვეული წარმატებებიც ჰქონდა, მაგრამ არც ისეთი, როგორც თვითონ და ზოგიერთები ფიქრობდნენ.

ბელას, ცხადია, უყვარდა საქმრო. უფრო კი ძვირფასი, ფასდაუდებელი ნივთივით მოსწონდა, ამ ნივთის ხელში ჩაგდება ეამაყებოდა და უხაროდა, ყველა ქალს რომ თვალში ნაცარს აყრიდა.

საქმრომ იცოდა, ბელას სახლში რომ წვეულება იყო. ჩათქმული ჰქონდა, მოგვიანებით რამდენიმე ძმაკაცს მივიყვან, ცალკე ოთახში გავალთ, ბელას ყავას მოვადუღებინებთ და კონიაკს დავაყოლებთო, მაგრამ რატომღაც ნთქვამი ვერ აისრულა და ბელას სახლში ისევე ვერ გაიგეს, რა მზაკვრულ გეგმებს აწყობდა ერთი ადამიანი.

მორიგი ცეკვის დროს ბელა და ელგუჯა დარბაზიდან, უნებურად თუ შემთხვევით, ცარიელ ოთახში აღმოჩნდნენ. ქალი უმიზეზოდ იცინოდა. ელგუჯას გულმა რეჩხი უყო და არც თუ უსაფუძვლოდ. ბელა კისერზე მოეხვია და ტუჩებზე დააცხრა. ამ მოულოდნელი ამბორისაგან ელგუჯა სულ არ დაბნეულა. ისინი გამეტებით ბუოკგნდნენ ერთმანეთს, როცა ოთახში სულ სხვა წყვილი შემოხეტიალდა. ქალი დროზე გახტა გვერდზე და ისევ სიცილი დაიწყო. ბელამ და ელგუჯამ თითქმის ყოველი ცეკვის დროს გაიმეორეს ეს სეანსი, მაგრამ როგორც წესი, ყოველთვის ვიღაცებმა დააფრთხეს.

ბოლოსდაბოლოს სუფრაზე მაინც სმა გაგრძელდა. წესრიგი მოადგილეების ინიციატივით აღდგა; ფაქტიურად სუფრასაც ისინი განაგებდნენ უკვე. ელგუჯა ახალ სადღეგრძელოებს იგონებდა, ჭიქებს ამორქვავებდა. ვინ რას სვამდა, ვინ რას აკეთებდა, სულ არ აინტერესებდა. თვალი ბელასკენ ეპირა და ერთი სული ჰქონდა, როდის დაიშლებოდა ეს თავყრილობა, რათა როგორმე ქალთან მარტო დარჩენილიყო. ვიღაცამ დიდი ყანწი გამოიტანა. მოადგილემ ელგუჯას უჩურჩულა, ამით ესა და ეს სადღეგრძელო დალიეო. ელგუჯამ იფიქრა, ახლა მართლაც ამის დროაო და ყურადღება მოითხოვა. ეტყობოდა, მოადგილის ნათქვამი კარგად ვერ გაიგო და სულ სხვა რაღაც წამოიწყო, თუმცა ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. ელგუჯამ ყანწი დაცალა და მერე მოადგილეს ესროლა.

ყანწმა სუფრა მოკლა. ბევრს კისერი მოტეხა. უმრავლესობა დაფრთხა და აიშალნენ კიდეც. ყველა წვიდ-წამოვიდა. ელგუჯა ფეხს ითრევდა, ოჯახში დარჩენას აპირებდა, მაგრამ ბიჭებმა ძალით გაიყვანეს გარეთ. თენდებოდა. ვიღაცამ მანქანა გაიჩერა და ყველანი სახლშეში წავიდნენ.

დიდი, ჩაბურული დარბაზი ხალხით იყო სავსე. გამოუძინებელი ადამიანები მთქნარებით ილუკმებოდნენ. ელგუჯას

რეზო ჭეიშვილი

ᲓᲐᲚᲘ

სული შეუგუბდა. თავბრუ დაესხა. ამ წუთას შემოვალო, დაიბარა და გარეთ გავიდა. სუფთა ჰაერზე ოდნავ ამანცალდა და ხელი ხეს წაატანა. გვერდზე „სალათისფერი“ ვოლგა გაჩერდა.

— ელგუჯას სალამი, საით? — ფანჯრიდან თავი გადმოყო ახალგაზრდა მძღოლმა.

— ოჰ! იყვარა ელგუჯამ, მანქანაში ჩაჯდა და მძღოლი გადაკოცნა, თუმცა ვერაფრით ვერ გაიხსენა, ვინ იყო ეს კაცი.

— საით?

— მოამბრუნე და გეტყვი!

— კი, ბატონო!

ბიჭმა მანქანა უკან დახია, ფანჯარაში თავი გადაყო და ნელა მოატრიალა.

— როგორა ხარ? — იკითხა ელგუჯამ.

— ისე რა...

— არ ხარ შენ კაი კაცი, ასე უნდა დავიწყება! — უსაყვედურა ელგუჯამ.

— დრო არა მაქვს, მაგის დედა ვატირე, ხომ იცი შენ, მე რა დამემართა... გადავეევი იმ საქმეს...

— როგორ არ ვიცი! — ეწყინა ელგუჯას.

— მარჯვნივ?

— კი. შალიკო როგორაა.

— კარგად! — უპასუხა მძღოლმა, თუმცა რომელ შალიკოს კითხულობდნენ, კარგად ვერ გაიგო და ვერც იმას მიხვდა, მადლობის სამაგიეროდ მეზავრი რომ კარგა ხანი ამასხარებდა.

ელგუჯამ მანქანა პირდაპირ ბელას სახლს მიაყენა. მძღოლი ერთხელ კიდევ გადაკოცნა, გულწრფელი მადლობა უთხრა და სადარბაზოში შევიდა. გაუფრთხილებლად შეაღო ბელას ოთახის კარი და იქვე შედგა.

დიდ დარბაზში ქალები გაშლილ სუფრას ალაგებდნენ. ბელა არსად ჩანდა. ბელას დედა და ბელას სამი მამიდა მკლავებდაკაბიწებულნი საქმიანობდნენ. ელგუჯა ამ სურათს სულ არ ელოდა. უეზროდ იხედებოდა დარბაზში და თვალებს აცეცებდა.

— მობრძანდი, გენაცვალე! — გაუღიმა მსუქანმა, ლამაზმა ქალმა.

ელგუჯა ოთახში შევიდა და ყველანაირ სათითაოდ ჩამოართვა ხელი. ქალებმა იღიმებოდნენ და თავიანთი რიგის მოლოდინში წინასწარ იმშრალებდნენ წინსაფარზე ხელებს. ელგუჯამ საჯაროდ თქვა: უნდა მოგვეხმაროთო. ამ წინადადებაზე ქალები სასტიკად დაიბნენ.

— ამისათვის შენ როგორ შეგაწუხებ, გენაცვალე! — სერიოზულად უთხრა ერთმა.

— რა შეწუხებაა, როგორ გეკადრებათ! — თქვა ელგუჯამ და ქალებს გადახედა. იცოდა, რომ ერთი ამათთაგანი უეჭველად ბელას დედა იყო, მაგრამ, კერძოდ, — რომელი, ვერაფრით ვერ გაიგო, თუმცა რამდენიმე საათის წინ ამ ქალის სადღეგრძელო დიდი ამბით შესცა. საერთოდ, იმ ღამით ელგუჯამ ამ საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მასპინძლებს გაეხარდათ კიდეც, ბიჭი რომ უკან დაბრუნებული დაინახეს.

— მოდი, გენაცვალე, აგერ დაჯექი! — უთხრა ელგუჯას ერთმა მამიდამ და სუფრის ბოლოში სკამი დაუდგა.

— ჯერ თქვენ დაბრძანდით, ქალბატონო! — იუარა ელგუჯამ და ახალი სკამი მოიტანა.

ბელას მამიდა დაჯდა, საიდანღაც გრძელტარიანი პაპიროსი დააძრო და გააბოლა. ამ ქალს მუშაობა მაინცდამაინც არ ეხერხებოდა და ახალი ადამიანის გამოჩენამ ძალიან გაახარა.

ელგუჯა ქალს რაღაცას უყვებოდა. თვითონვე გრძნობდა, სისულელეს რომ ლაპარაკობდა და უკვირდა, ეს ადამიანი რა სერიოზულად მისმენსო. ამასობაში ბელას დედამ გოჭის თავი მოიტანა. გოჭს პირში წითელი ბოლოკი ედო.

— ეს, თამადას! — თქვა ქალმა.

— ოფ! — მოეწონა ელგუჯას. — ერთი მჭრელი დანა მომიტანეთ!

დანა მისცეს. ელგუჯამ დანა მოიმარჯვა და გოჭის თავს საქმიანად დაეჩერდა.

ოთახში ბელა შემოვიდა. ბელას მტრედისფრად დაფოთლილი ხალათი მოეცვა. თმა აწეწოდა. ელექტრონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუქით შეწუხებული, თვალებწაბუტული მოდიოდა.

— ადექი, დედა? — ჰკითხა მსუქანმა ქალმა.

— არ დამეძინა მაინც... — ჩაილაპარაკა ბელამ.

ამ ხმაზე ელგუჯა უკან მოტრიალდა.

— ოჰ! — იყვირა მან და დანა მაგიდაზე დადო.

— რა ამბავში ხარ, ბიჭო, შენ, რა დაგემართა?.. — გაიღიმა ბელამ.

— ძილი ხომ არ დაგიფრთხეთ, უკაცრავად!

ბელამ ისევ გაიღიმა და თმაზე ხელი გადაისვა. ელგუჯამ ხელი გადახვია და დამსწრე საზოგადოებას განუცხადა: მე და ბელა და-ძმანი ვართო. კარგა ხანი ანტიკაცებდა, როგორ დასავით უყვარდა ამ ოჯახის სასახლო, ულამაზესი და უუკეთესი ქალიშვილი.

ბელა ამდენი ქება-ალერსით შეწუხდა და ბიჭის ხელი ფრთხილად მოიშორა. ელგუჯა თვითონვე ჩამოეხსნა და თხოვა, პიანინო დამიკარით. ბელას ბევრი ხვეწნაც აღარ დაჭირვებია, მრგვალი სკამი გამოსწია და პიანინოს მიუჯდა. სახეზე ხელები ჩამოისვა და ერთიც ამოიოხრა. აშკარად ეტყობოდა, როგორ ეზარებოდა დაკვრა.

— შოპენი! — დაუძახა ელგუჯამ.

— არ მახსოვს ზეპირად...

— არა უშავს! — დამშვიდა ბიჭმა.

ბელამ რამდენიმე ნოტი უხალისოდ გადაფურცლა, მერე ერთი გაშალა და წინ დიდიდო. წყნარად დაუკრა. ელგუჯამ ნიდაყვი მაგიდის კიდეს ჩამოადო, ხელისგულზე ნიკაპი დაიბჯინა და თვალები მილულა. თანდათან ჩაიძირა უსაზღვრო ოცნებაში და ჩაეძინა კიდეც.

ბელა გამოფხიზლდა. თანდათან გაიტაცა მუსიკამ. როცა ბგერები სულ მილია და ფანდნა, როცა ქალმა გაიფიქრა, ეს ადგილია მსმენელს რომ აჯადოებსო, ელგუჯამ მაგიდის კიდეზე ნიდაყვი ჩამოუცდა, თავმა დაძალა და სკამიანად ძირს გაგორდა.

ბელას ეგონა, ჭერი ჩამოინგრაო და ფული კინაღამ წაუვიდა. ქალები ელგუჯას მიესივნენ და ძლივძლიობით წამოაყენეს. ელგუჯამ თვალი კი გაახილა, მაგრამ ვერაფრით ვერ გიგო, რა მოხდა. სტუმარი ცალკე ოთახში გაიყვანეს და ურჩიეს, ტანთ გიბანდეო. ბიჭი ნებას დაყვა. ფიქრა, ალბათ განგებ ცალკე მაწვენენ და მერე ბელაც მომაკითხავსო. დაწვა, ბალიშებში თავი ჩარგო, თვალები დახუჭა, კარგა ხანი იფხიზლა, მაგრამ ბელა აღარ გამოჩენილა.

როცა ელგუჯამ თვალი გაახილა, მზე უკვე პირდაპირ ოთახის ფანჯრებს მოდგომოდა. პირველად ჭერს შეხედა. მერე კედლები და ფანჯრები მოითვალიერა. ვერა და ვერ მიხვდა, სად იყო. თავი ტკიოდა და პირი გამომშრალი ჰქონდა. გაახსენდა, როგორ იქეიფა წუხელი, როგორ წავიდა ხაშზე და ისევ უკან მობრუნდა. ბუნდოვნად მოიგონა, რომ ვიღაც ქალებს ელაპარაკებოდა და ეს იყო და ეს. ადგომა დააპირა; წამოიწია თუ არა, ძირს დაიხედა და იატაკზე, ზედ სასთუმალთან დადგმული უზარმაზარი ალუმინის ტაშტი დაინახა. საეჭვო ზედ არაფერი შეუნიშნავს, მაგრამ იმწამსვე მიხვდა, რომ იმ ოჯახში იმყოფებოდა, სადაც ითმადა და წინდახედულ მასპინძლებს ყოველგვარი მოულოდნელი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად ყველაფერი გაეთვალისწინებინათ.

ელგუჯა ფრთხილად ადგა. სწრაფად ჩაიცვა. დანარჩენი ოთახებიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მოშუადღებულიყო, მაგრამ ღამენათევ მასპინძლებს ეტყობოდა, ჯერ კიდევ ღრმად ეძინათ.

ელგუჯამ მოღიავებულ კარში გაიკვრიტა, დარბაზში გრძელ, მოსუფთავებულ მაგიდაზე გორა-გორად ეწყო ემალერებულ გოგებზე დალაგებული თეფშები. ელგუჯამ ცოტა ხანი იწრიალა, როცა კაცისშვილი ვერ დალანდა, ფეხაკრეფით მიადგა გასასვლელს და გაიპარა.

ქუჩაში გრილი ჰაერი იკრა. თავი

რევაზ ჯეიშვილი
ᲓᲐᲚᲘ

სამშვიდობოს დაიგულა და ხასიათიც გამოუკეთდა, თუმცა თავი ისე ჰქონდა დამძიმებული, თითქოს ზედ თუჯის უთო ედო.

„მკვდარი ვარ თუ ცოცხალი, გამაგებინა და არ მინდა მეტი არაფერი... რამ დამალვინა იმდენი ღვინო, უკან მაინც რაღამ მიმპარუნა. რა ვთქვი, რა ვისულელე, ნეტავი ვიცოდე?“ — ფიქრობდა ელგუჯა და ნელ-ნელა მიაბიჯებდა.

ცხელოდა. გამვლელ-გამომვლელი ჩრდილს ეტანებოდა. ქუჩაში ბურახს ყიდდნენ. რა დღე იყო ან რა დრო, ელგუჯამ არ იცოდა, არც ინტერესებდა. მიდიოდა და ისევ წუხნდელ ამბებს იხსენებდა. დღეიდან იგი უკვე აღარ იყო სტუდენტი. აწი ახალი ცხოვრება უნდა დაიწყო. წინ რა იყო, რა ელოდა? რას გააკეთებდა თავისთვის, სხვისთვის? იყო კი მისი არსებობა აუცილებელი? უცბად გაახსენდა ბელა. ბელას თეთრი მკლავები, იმღამინდელი ორგიები. მხოლოდ ბოლოს რა მოხდა, რამე საძრახისი ხომ არ ჩაიდინა? ამდენი აღარ ახსოვდა. თავს ძალა დაატანა, არაფერი გამოვიდა და შეწუხდა. მოეჩვენა, რომ ცუდად გახდა. „ასე ვასრულებ ექმის დარიგებას, ასე მასწავლა ჭონქაძემ?“

—ელგუჯა ფიქრს შეყვა, შეყვა და თანდათან შიშმა იიტანა; გადაწყვიტა, სასწრაფოდ დეიდასთან ასულიყო და წნევა გაეზომა. ბედად ცარიელმა ტაქსმაც ჩამოიარა. ელგუჯამ მანქანა გაიჩერა და შიგ ჩაჯდა.

— ნამთვრალევი ხომ არა ხარ? — ჰკითხა ტაქსის შოფერმა.

— მთელი ღამე ვიქეიფე! — უთხრა ელგუჯამ და გაუკვირდა, საიდან მიხვდა.

— დრო გაატარე, ჩემმ ძმაო, მეტი რა შეგრჩება... ეს ქვეყანა სადაცაა მაინც დაიქცევა! — თქვა შოფერმა.

— რატომ, კაცო? — გამოცოცხლდა ელგუჯა.

— რატომ რა ვიცი, გული მიგრძნობს თუ არა, სწავლა-განათლება მე სულ არა მაქვს...

— სწავლა-განათლება რა შუაშია?

— რა ვიცი რა შუაშია, მაგრამ ... კი ვუყურებ, რომ ადამიანს ადამიანის აღარ ესმის, კაცს კაცის აღარ ჯერა...

შოფერი არც ისეთი ხნიერი და ბრძენი ჩანდა, როგორც ლაპარაკობდა. შეიძლება, ვინმემ გააჯავრა და ხასიათი წუხდინა. მეზობური კი ძალიან გაამხიარული. ელგუჯა უყურებდა მძღოლის ჯანმრთელ, მოღიღილ გულმკერდს, დაძარღვულ მკლავებს და ხასიათზე მოდიოდა. იგი მაინც ხალისიანი და იმედიანი კაცი ჩანდა და ეტყობოდა, არც არაფრის არ ეშინოდა; ყოველ შემთხვევისთვის, ავადმყოფობაზე მაინც არ ფიქრობდა. ელგუჯამ მძღოლი ლუდზე დაპატიჟა. მძღოლმა ძალიან მოიხარა, მაგრამ ვერაფრით მანქანა ვერ მიატოვა.

თავი ოცდაშვიდეტეტი

ელგუჯა შეკრებაზე გამოიძახეს სასწრაფოდ. ადრე ამბობდნენ, შავი ზღვის პირას დავბანაკდებითო, მაგრამ განზრახული გადაეთქვათ. მოჭიდავეთა ორი გუნდი პირდაპირ იუგოსლავიაში მიდიოდა. ერთთვიანი ვარჯიშისა და რამდენიმე სამატჩო შეხვედრის შემდეგ, როცა პირველი ნაკრები საბოლოოდ დაკომპლექტებოდა, ევროპის პირველობაც დაიწყებოდა. ელგუჯას გამოძახების იმედი არ ჰქონია და ერთბაშად აფორიაქდა. თავი ავადმყოფი ეგონა და საჭიდაოდ თუ ივარგებდა, რას იფიქრებდა. ისედაც დაბნეული იყო, ეს ზაფხული როგორ უნდა გაელია, არ იცოდა, თუმცა ასე დიდი ხნით გადაკარგვასაც არ აპირებდა. პირიქით, როცა ყველაფერი თვალნათლივ წარმოიდგინა, ძალიან შეშინდა. თბილისის დიდი ხნით დატოვება იქნებოდა? ის რომ დაეკარგა, რისთვისაც ამდენი ხანი იღწვოდა, თავს მოსაკლავად გაიმეტებდა. დაფიქრებული გამოვიდა იგი სახლიდან და ფიზკულტურის კომიტეტში წასვლა დაუპირა. დღეს უნდა ეთქვა, ან ჰო, — ან არა. ასიოდე ნაბიჯის შემდეგ ელგუ-

ჯა შეჩერდა, რადგან ძალიან ნაცნობ ადამიანს მოჰკრა თვალი. ჭაღარათმიანი, მორჩილი ტანის კაცი მაღაზიიდან გამოვიდა, იქვე შეჩერდა; ახალი ნაყიდი პაპიროსის კოლოფი გახსნა და პარუსინის ხალათის ჯიბეები მოისინჯა.

— ლექსო, გამარჯობა! — დაუძახა ელეგუჯამ.

— ო, ჩემო ბიძია, რავა ხარ, ბიჭო?

— გაიბადრა კაცი და ელეგუჯა გადაკოცნა.

— შენ როგორ ხარ, ლექსო?

— კარგად, ბიძია.

— როდის ჩამოდი?

— ამ დილით.

— რას შვებით მანდიკორში?

— რას ვიზამთ, ვართ ძველებურად... მამაშენი კარგადაა, ჩვენც კარგადა ვართ... შენ რავა დაიკარგე, ჩემო ბიძია...

სოფლის ექიმი ლექსო ღამის მატარებლით ამირებდა მანდიკორში გამგზავრებას და წასვლამდე საქმეც არაფერი დარჩენოდა. ლაპარაკით გაუდგნენ გზას და მალე ერთ პატარა რესტორანში ამოყვეს თავი. ფიქალო ქვებით ამოშენებული დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. უზარმაზარ, ღია ფანჯრებზე თეთრი ფარდები იყო ჩამოფარებული. ფარდებს ზოგჯერ ნიავი აწვებოდა და აფრასავით ბერავდა.

ლექსოს ყოველთვის სიმშვიდე მოჰქონდა ელეგუჯას ცხოვრებაში. ლექსო იყო მთელი სოფლის იმედი და სიბერეული. ღიდ და ღამე, წვიმაში და ლაფში; თოვაში, გზაზე და უგზოზე ცხენით დადიოდა აკაკმყოფთან. შუადღისას თავსხმა წვიმაში ააყენებდნენ და მერე სოფელში მიჰყავდათ ხოლმე. ხან ჭრაქით, ხან ჯიბის ფანრით ინათებდა ლექსო ტყეში და ბუჩქნარებში გამავალ გზაწყრილებს. წინ ხშირად ფეხშიშველი, თავზე ყაბალახმოხვეული გლეხი მიუძღოდა.

ოფიციანტმა ღვინო და საუზმე მოიტანა. დასხეს, დალიეს. მეორე ჭიქას ელეგუჯამ პირი ვეღარ დაიკარა.

— ამას ვეღარ დავლევ, ლექსო, და არ გეწყინოს!

— სადმე თუ გაქვს, ნუ დალევ. — უთხრა ლექსომ.

— სადმე არა მაქვს, მაგრამ ვერა ვარ მთლად კარგად.

— დალიე ალბათ წუხელი.

— არა, არ ვსვამ.

— რატომ?

— ავადა ვარ, ჩემი ღვინის დალევა საერთოდ აღარ შეიძლება, წნევამ ამიწია...

— ნუ ლაპარაკობ!

— დედის სულს გეფიცები.

— კაი თუ გიყვარდე?

ელეგუჯამ სიამოვნებით მოუთხრო თავისი გაჭირვება. ავადყოფებს ძალიან უყვართ თავიანთ სენზე დაწვრილებით ლაპარაკი. ჭკონიათ, ძალიან საინტერესო რამეს ყვებიან და დიდად უკვირთ, როცა ექიმები უგულოდ უსმენენ.

— შეუძლებელია, ბიძია... — გაიწყვეტინა ლექსომ. — ალბათ რაიმე საინერვიულო შეგხვდა და დროებით შეგარყია, ახლა ყველაფერი კარგად იქნება!

ელეგუჯამ იფიქრა, მოდი ყველაფერს მივყვებიო, მაგრამ ვერ გაბედა. ამდენი ხნის საიდუმლო ასე უბრალოდ ვერ გაწყრა. როგორ, რანაირად არ გაუჭირდა, სათქმელი პირში არ უჭერდებოდა, მაგრამ ენაზე ყოველთვის კბილი ჰქონდა დაჭერილი. ამის გაკეთებასაც კაი ბიჭობა უნდოდა. მისი ტოლები რას არ ყვებოდნენ, რას არ იბრალებდნენ. ასეთ შემთხვევას რომელი გაუშვებდა ხელიდან. რამდენჯერმე სიმთვრალეში ელეგუჯაც კინაღამ გატყდა, მაგრამ ცდუნებას გაუძლო და მერე თავის მადლიერი დარჩა.

— ღამღამობით ცუდად მძინავს, ჩემო ლექსო, დილით გვერდები მტკივა და დაბეგვილი დათვივით მეღვიძება...

— რატომ უნდა დავმართოდა ახლა

რაზო ჭეიშვილი
დ ა ლ ი

ეს შენ, სპორტსმენ კაცს? — გაუკვირდა ლექსოს.

— აბა რა ვიცი! — დანაღვლიანდა ელგუჯა.

— არაფერი არაა, ბიძია, წამლები გადაყარე და წნევა აღარ გაიზომო არასოდეს. შენთან ავადმყოფობას რა ხელი აქვს. შენი ძალა და ღონე, ბიძია, შენ ნათლია ღმერთს შეშურდება. შენინებული ხარ, მე ნუ მოგიკვდები. მაგას ჩვენებურად ასთენური ნერვოზი ჰქვია. კბილები მაჩვენე!

ელგუჯამ კბილები დაკრიჭა.

— ახლა გვერდზე გაიხედე, თვალებზე მიდგა დაგაკვირდე; კაი, საკმარისია!

ლექსომ უხმარი დანის ტარი ელგუჯას მკერდზე ჩამოუსვა და წითელ ხაზს დააკვირდა.

— შეიძლება, ბიძია, ეგეგტონერვოზიც გაქვს... ჩამოდი სოფელში, ერთი ზაფხული დაისვენე და ყველაფერი გაგიარს. შენ თავს შენ უნდა მოერიო, თუ არა, ამ ავადმყოფობამ დიდხანს იცის გაგრძელება და შეწუხება. მერე კი თვითონ მიდის ასაკთან ერთად...

— შეიძლება ისევ ვივარჯიშო.

— შეიძლება რომელია, ვარჯიშია მაგის წამალი... ახლოლდ ნელ-ნელა შეუყევი, არ ინერვიულო, დრო გაატარე, იმხიარულე...

— ღვინო დავლიო?

— დალიე, ბიძია, ლოთობას შენ არ დაიწყებ და ხანდახან როცა ჩავარდები, დალიე!

— როცა ღვინოს სვამ, წნევა იწევს, ამ დროს შეიძლება სისხლის ძარღვი გასკდეს! — შენიშნა ელგუჯამ.

— სამედიცინო წიგნები არ იკითხო და ექიმთან არ მიხვიდე... შენი სისხლძარღვი ბიძია, თასმასავით მოქნილი და ტირიფის ტოტივით ელასტიკური. შენს სისხლძარღვს რა გახეთქავს, ბიჭო? გულჩვილობა ხომ არ დაგჩემდა, ბიძია?

— კი. — ცოტა ფიქრის მერე უპასუხა ელგუჯამ.

ჭაღარა კაცს გაეცინა და ჭიქა დაცალა.

ელგუჯას უცნაური სითბო ჩაუდგა მთელ ტანში; წარმოიდგინა, [illegible] იწვა ოდა სახლში სიცხიანი და ბატონებიანი. წაბლის ხის კედელზე ცისფერი შპალერი იყო გაკრული. ღია ფანჯარაზე წითელი მატერია ეკიდა. ლექსომ ოქროსფერი ყვინჩილა მოიყვანა. მამალს იატაკზე სიმინდის კაკალი დაუყარეს. ყვინჩილამ იქაურობა მოათვალიერა, სიმინდს ცალი თვალით დახედა და პატარა ფიქრის მერე ოქროსფერი ნისკარტი დაჰკრა. სიმინდის კაკალი გასხლტა და გვერდზე გავარდა.

ელგუჯამ და ლექსომ ძველი ამბები გაიხსენეს. ადღეგრძელეს სოფელი, მშობლები და მამა-პაპის საფლავები. ლექსომ იკითხა, მუშაობა ხომ არ დაგიწყიაო. არაო, ჯერ, უპასუხა ელგუჯამ.

— ეცადე, ბიძია, აქ დარჩე... ასპირანტურაში მოგწყვე... გიცნობენ, გიფასებენ და გამოიყენენ. მერე ხარისხს დაიცავ და წინ წახვალ! — უთხრა ლექსომ.

— რა ვიცი, ვნახოთ! — უგულოდ ჩაილაპარაკა ელგუჯამ.

— მე ხომ მიყურებ, ხომ ხედავ, სად ჩავრჩი... ჯერ კიდევ ლენინგრადში აკადემიკოსი პეტროსკენ, ნათელი დადგეს მის სახელს... ასპირანტურაში მტოვებდა.

ლექსო უკვე შემთვრალიყო, მოხუცებულ კაცს ღვინო ადრე მოკიდებოდა. ახლა გაშტერებული დაჰყურებდა თეთრ სუფრას.

— შენ რომ სოფელში ხარ, რა გაკლია, ჩემო ლექსო?.. მე ხომ მაინც გიცნობ, სხვა თუ არავინ... ფუჭი სახელისათვის არასოდეს გიზრუნია და ახლა ვინ ვინდა გაკვირვო?.. თუ სოფელში დარჩი, რა დაკარგე?.. უშენოდ სოფელს და ხალხს ვინ მიხვდება. კაბინეტებში და ოთახებში ცოტა უსაქმურია, თუ რა?!

— მართალი ხარ, ბიძია! — გაეხარდა ლექსოს. გაახსენდა სოფელი. ეფარფრით ვერ გაიგო, ვინ უშველიდა მიაწილ ხალხს. სოფლის მიტოვებაზე უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო დიდი დანაშაულიც ვერ წარმოიდგინა. „მე რაღა დამრჩა, აწი ხომ მალე მოვკვდები, მერე? მერე ვიღაც შემცვლის, ერთი კი არა, შეიძლება ორიც და სამიც...“

— ... არაფერი არ მაკლია, ბიძია, — დაიწყო ისევ ლექსომ. — არ გეგონოს, რომ ვინმესი მშურს. ჩემი ბედნიერება შრომაა. აქ მე ვიცე გავჩერდები. მანქანები ისე მომრავლებულა, რომ დამწეარი გაზის სუნი დაახრჩობს მარტო კაცს!

ელგუჯამ ლექსო ხელმეორედ აღიეკრძელა. შენ, ჩემო ლექსო, ინგლისელი სოფლის ექიმი ედუარდ ჯენერი ხარო. ის ჯენერი ხარო, უთხრა, რომელმაც ყაცობრიობა ყვავილისგან იხსნაო.

— ჯენერი დიდი ადამიანი იყო, ბიძია, მის სახელს ვენაცვალე! — თქვა ლექსომ და ჭიქა აიღო.

— გაგიმარჯოს, ლექსო!

— გაგიმარჯოს, ჩემო ბიძია!

ორთავემ დალია.

— შენ არაფრის არ შეგეშინდეს, ბიძია, შენი ლექსო ვენაცვალოს შენ... ნერვებს არ აყვე. შეყვარებული ხომ არა ხარ?

— მეტყობა თუ? — გაეცინა ელგუჯას.

— ასაკი გაქვს ისეთი, ვინ გაგამტყუნებს... თანაც კვიცი გვარზე ხტისო, ნათქვამია. ბაბუაშენი ცოტა უცნაური კაცი იყო, თუმცა შენ დედაშენის შვილი ხარ. თვალებიც დედას გიგავს და— თმაც. ის იყო ასეთი თეთრი. სოფელში უცხო ფრინველივით მოიყვანეს. ე, ბიძია, ვეღარაფერი ვუშველეთ. ცდა არც აქ დაუკლიათ, მაგრამ ასეთი ყოფილა მისი ბედი. ნთელი დაადგეს მის სახელს!

ელგუჯამ მოიწყინა. ცოტა ხანი ორთავენი დუმდნენ.

— ლექსო, მართალია, რასაც ბაბუაჩემზე ამბობენ? — ხმადაბლა იკითხა ელგუჯამ.

— რას ამბობენ?

— შუაღამისას სასაფლაოზე მკვდარს თხრიდა და ტიროდაო...

— ტყუილია, ბიძია, მოგონილია... ისე ეს მართალია: თურმე ნათესავი ქალი ყვარებია და ვერ ამხელდა. ქალმა ბალე მოკვდა, არ მინდა გითხრა, ვინ იყო. შენ არ გახსოვს, მაგრამ მისი მონაგარი დღესაც კარგად არის, კარგად ამყოფოს ღმერთმა. ბაბუაშენი მთვარიან ღამით საყვარლის საფლავზე გადიოდა და გულსაკლავად ზუზუნებდა.

— ფუტკრების ენა იცოდაო, ფუტკრებთან ლაპარაკობდაო, ეს რაფერ შეიძლება?

— ფუტკარს შენც დაელაპარაკები თუ გინდა, მაგრამ ფუტკარი თვითონ ხომ ვერ გაგცემს ხმას?

— რომ მოკვდა თურმე ფუტკრებმა ეერგვინი შეკრეს და კუბო შიგ გაატარეს! — თქვა ელგუჯამ.

— მაგას ბევრი ამბობს, მაგრამ მე მაგის მსგავსი არაფერი დამინახავს... თუმცა, გასვენებაში ვიყავი და ყველაფერი კარგად მახსოვს.

— აბა, მოგონილს?

— არ ვიცი, ბიძია, ვერ გეტყვი... სკა მართლა აიშალა და საშინელი ბზუილი ატყდა, მაგრამ ვეერგვინი მე არ დამინახავს... შეიძლება უკან ვიყავი და იმიტომ. შენ გახსოვს ბაბუა?

— პუნდოვნად. ხან სულ არ მახსოვს, ხან ისე ნათლად მოვიგონებ, რომ გაგიკვირდება.

— პატარა იყავი, რომ მოკვდა...

— ... მერე ვეღარ ვარჩევ, მონაყოლს ვიხსენებ თუ ცხადს. ისე რატომღაც სულ არ მინდა მისი მოგონება, მაგრამ ზოგჯერ ისე ამეკვიატება, გონებიდან ვერ ვიშორებ. განსაკუთრებით სიზმრად ვხედავ ცხადად... ახლა რომ მკითხო, როგორი კაცი იყოო, ვერ გიპასუხებ... რა არის ახლა ეს?

— გონებას არაცნობიერად შემოუნახავს მისი სახე, ბიძია, და გინდა არ გინდა, ზოგჯერ ნათლად გამოგეცხადება. ლონდონში ფსიქიატრთა ყრილობაზე ქანე წამოდგა და აღელვებულმა თქვა: ყველაფერი ის, რაც ფროიდის

რეზო ჭეიშვილი
დ ა ლ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძღვრებაში საუკეთესოა, ჩემი არისო; ხოლო რაც ფროიდის საკუთრებაა იმაზე უარს ვიტყოდი სიამოვნებითო. ჩემი დიდი მასწავლებელი ასათიანი ამბობდა: ფროიდზე არსებითი გავლენა მოახდინა არა ბერჰჰაინმა თავიანი ჰიპნოზით და შარკოს ოთხფაზიანი ისტერიის გამომძღვანებით, არამედ ჟანემო. თვით არაცნობიერი, რომელმაც ფროიდს დიდება მოუტანა, შოპენგაუერს ეკუთვნის. ფროიდმა თვითონ თქვა: ჩემი უწიგნურობის გამო ეს თეორია მე ნიცშესა და შოპენგაუერისაგან დამოუკიდებლად აღმოვაჩინეო. მეტს ნუღარ დავლევთ, ჩემო ბიძია, დავთვერი. თანაც ღამით გასამზადებელი ვარ.

ელგუჯას ძალა აღარ დაუტანებია.

თავი ოცდამეთვრამეტე

ელგუჯა მანქანის საყვირის ხმაზე გავიდა აივანზე და ქვეკვი ჩაიხედა. უჩა მეწლე და შაბათა გასაცილებლად მოსულიყვნენ. შაბათა ზევით იხედებოდა და ცალი ხელი მანქანის სახურავზე ჰქონდა შემოდებული.

— ჩამოვალ მალე! — დაიძახა ელგუჯამ.

შაბათამ ჯიბიდან საათი ამოიღო, ელგუჯას დაანახა და ისევ მანქანაში ჩაჯდა, მხოლოდ კარი აღარ დაუხურია. უჩა კი საერთოდ არ გამოჩენილა. სარკმლიდან ანთებული სიგარეტი ბოლავდა.

მზე ჩადიოდა, მიწას ბინდი ედებოდა. მაინც ცხელოდა. ელგუჯა საბაზანოში შევიდა და კისერზე და ბეჭებზე ცივი წყალი გადაივლო.

— ვინ არის? — იკითხა ოთახიდან დალიმ.

— ამხანაგებია, სადგურში ერთად წავალთ...

— ვინ და ვინ არის?

— არ იცნობ შენ.

— მაინც?

— უჩა მეწლე და შაბათა... — ისეთი ტონით თქვა ელგუჯამ, თითქოს დალისთვის ჩინურს ლაპარაკობდა.

— უჩა მეწლე ჩემი ქმრის [illegible]

— მშვიდად განაცხადა დალიმ. იგი პერანგისამარა იჯდა სარკესთან და თმას ივარცხნიდა.

— მდა... — თქვა ელგუჯამ. კარის კარბას მოწოლოდა ბეჭით, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკავება არ შეგიძლიათ, წინასწარ უნდა ვიცოდე...

— აღარ გინდა მეტი ლაპარაკი.

ელგუჯა სადარბაზოში შებრუნდა. უჩამ მანქანას სარკე მოხსნა და სავარძლის შალითის ჯიბეში ჩაადო. ამასობაში მანქანის კარიც გაიღო და დალი და ელგუჯა უხმოდ ჩასხდნენ უკან. დალი გვერდზე გაჩოჩდა და ჩემოდანსა და ჩანთას შორის მიიყუჟა.

მანქანა დაძრა. წინ მსხდომთ თავი არ გაუტოკებიათ. უკან მოხედვა არც უცდიათ, თუმცა ვერ იტყოდით, რომ — არ უნდოდათ. „ქმრიანი ქალია, კარგი ბიჭის ცოლია, კისერს მოვიჭრი თუ არა.. სუნზე ვხვდები!“ — ფიქრობდა შაბათა. თავგაშეშებულ უჩას რამდენჯერმე მოეჩვენა, რომ გვერდიდან ავტობუსი ეჯახებოდა. გაჭირვებით მიაყენა მანქანა სადგურის მოედნის განაკიდეს, ტაქსებსა და ჩემოდნიან მგზავრებს შორის. ვიღაცამ კარი გააღო და უხმოდ გადავიდა. ქუსლების ხმაც წამსვე მიწყდა მანქანების ხმაურში.

— ბარემ ჰქენი სიკეთე და ჩემი ჩანთა და ჩემოდანიც შეიტანე მეთხე ვაგონში! — სთხოვა ელგუჯამ შაბათას.

— წავიდა? — იკითხა უჩამ.

— წავიდა, კი.

— ვახ, შენი! — თქვა შაბათამ.

სადგურის სასაუზმესთან, სადაც ფეხსაცმელის მწმენდავი ზის და ლოთები და წასახვამდელად შემოვარდნილი მგზავრები ტრიალებენ, დალი იდგა და დაფიქრებული იხედებოდა უმისამართოდ. ერთი საკმაოდ კარგად ჩაცმული ბიჭი, რომელიც ცოტა ნასვამიც უნდა ყოფილიყო, გარშემო უტრიალებდა და გამოლაპარაკებას ცდილობდა. დალი ბიჭს ვერ ამჩნევდა. მალე ელგუჯაც გამოჩნდა. დალი გზაშივე შეეგება და ორთავენი გაჩქარებული წავიდნენ სულ პირდაპირ. ჩაუარეს სადგურის მთავარ შენობას და პატარა მოედნით, სადაც საბარგო მანქანები იდგა, სადგურში ავიდნენ. ხელმარჯვნივ ფარდულთან ლუდს სვამდნენ. ახლომახლო დასიცხული ასფალტი ნაწური ლუდის ნარჩენებით იყო დახეთქილი. იქვე ბაქო-თბილისის ცარიელი მატარებელი იდგა. უკაცრიელ, მიგდებულ ბაქანს გაუყვნენ ნელ-ნელა. გზაში კიდევ ლუდის რამდენიმე ფარდული შეხვდათ. სულ ბოლოს რვა კაცი, ეტყობოდა რკინიგზის მუშები, მძიმე კათხებს უჯახუნებდნენ ერთმანეთს და მთელი გზა გაკავებული ჰქონდათ. უხმოდ, მაგრამ მოურიდებლად გააყოლეს ქალ-ვაჟს თვალი.

მეორე ლინდაგზე მატარებელი შემოგრიალდა. შპალებმა და რელსებმა ჭრიალი დაიწყო.

— შენ არ დაგაგვიანდეს! — უთხრა დალმა ელგუჯას.

— ადრეა ჯერ.

— არ შეიძლება რომ არ წახვიდე? — იკითხა მოულოდნელად ქალმა.

— რატომ არ უნდა წავიდე?!

— ისე გითხარი.

— ადრე რატომ არ თქვი?

— ნეტავი ახლაც არ მეთქვა... — გაიცინა დალიმ.

— არ წავალ თუ გინდა, თუ აუცილებელია ჩემი დარჩენა, არ წავალ! — გაღიზიანდა ელგუჯა.

— აუცილებელი სულაც არ არის...

— აბა რატომ გაგახსენდა?

— გამახსენდა და რა ვქნა, ბოდიში გინდა მოგიხადო?

— არაფერი არ მინდა, მაგრამ მაინც ადრე უნდა გეთქვა... თუ ვინმესი გეშინია, თქვი და არ წავალ!

— ვისი უნდა მეშინოდეს?! — შეჩერდა დალი და ელგუჯას მიაჩერდა.

— ვთქვათ, ქმრის... ახლა აქ რომ დაგინახოს, არაფერს გეტყვის?

— ჩემი ქმარი შენ ველური ხომ არ გგონია. რა უნდა მითხრას?.. დიდდიდი მომკლას, მეტს რას მიზამს!

„კარგი ამბავია!“ — გაიფიქრა ელგუჯამ.

— ... მაინც არ მეშინია, იმიტომ რომ ამაზე არ ვფიქრობ...

— ისე კი ჯობდა, გეფიქრა.

— რა საჭიროა... თანაც რა იცი, იქ-

ნებ მე მინდა თავი შემოგწირო შენ! — ელგუჯას მოეჩვენა, რომ სიტყვა „შენ“ ქალმა რაღაც აგდებულად თქვა.

— ...იმიტომ კი არა, რომ ამის ღირსი ხარ, საერთოდ...

— კარგი, კაცო, კარგი... — ჩაილაპარაკა ელგუჯამ.

დალომ ისე უცბად და ხმამაღლა გაიცინა, რომ კონდუქტორმა, რომელიც ვაგონს ჰგვდა, ქვევით გადმოიხედა. ლუდის მსმელებიც შეჩოჩქოლდნენ.

— რა გაიცინა ახლა ამ ხალხში, პირდაპირ გზაზე დგანან... რა გასმევთ ამ ლუდს, არ გეზარებათ?..

რკინიგზელებმა ხანტად ჩაიხ-ჩამოიხეს. სამაგიეროდ უცხო მგზავრები უფრო დაკვირვებულად შეათვალიერეს, თუმცა არაფერი უთქვამთ. ზოგიერთს ცარიელი კათხა ეჭირა ხელში. ერთი თავდახრილი ჭამდა და გვერდზეც არ გამოუხედია.

ელგუჯა უკვე ფეხს ითრევდა. „რაც არი, არი... არ წავალ. რაც უნდათ ის ჭითხრახ!“ — ანგარიშობდა იგი. დალი თითქოს ხუმრობდა. მაგრამ მაინც უცნაურად ლაპარაკობდა და წასვლა ნამდვილად არ ღირდა, თუმცა დარჩენაც არ უნდოდა და მთელი უბედურება ამაში იყო. დალი ყველაფერს ხვდებოდა და ელგუჯას აჩქარებდა, არ დაგაგვიანდესო. ბოლოს სახალხოდ აკოცა და უკანმოუხედავად დაეშვა ქვის კიბეზე. ტროლეიბუსში რომ ჩაჯდა, რაღაც თავისუფლება იგრძნო, თითქოს მძიმე ტვირთი მოიცილა. შემსუბუქებული მიდიოდა შინისაკენ, მაგრამ გრძნობდა, რომ სახლში შესვლა სიკვდილივით არ უნდოდა.

თბილისში არაფერი ახალი არ ხდებოდა. თითქოს ცოტა აგრილდა, მაგრამ დღისით მაინც სუნთქვა ჭირდა. საღამოს კი ბაღში კოსტუმებით ისხდნენ.

●

დიმიტრი კინაღამ გათენებამდე მუშაობდა. ფიზტეს, შელინგს, ბერკლს, იუმს, ნიცშეს, შოპენგაუერს, რატომღაც ბოგდანოვსკისაც და ფროიდს, რომელიც ჭირივით სძულდა, ერთმანეთს უდარებდა. ერთი საერთო მაინც ჰქონდა, რომელიც ფიზტეს „მე“-დან მოდიოდა, ჭერნდა ნაპოვნი ამოსავალ წერტილად. რაღაც საერთო დასკვნამდე მისულიყო და ახლა ყველაფერს თავის მოყრა და მოქუჩება სჭირდებოდა. დღისით სამსახურში დადიოდა და ფსიქოლოგიის პრაქტიკუმების დროს ლექტორს რაღაც უმარტივესი ცდების დემონსტრირებაში ეხმარებოდა. მართალია, თავის პროფესორს შტერად ასაღებდა, მაგრამ ყველაფერს მაინც ერთგულად და მუყაითად აკეთებდა. ლაბორატორიაშიც სისუფთავე და სიწესრიგე სუფევდა. ნაშუადღევს თუ ვინმე სადმე არ წაიყვანდა და ხელს არ გადაყვებოდა, შინ ისვენებდა და შედამებულს ვერის ბაღში გამოცხადდებოდა.

შაბათი საღამო ჩამოთავებული იყო. ბაღი ხალხით იყო სავსე. შადრევნის ახლოს ახალგაზრდები შეყრილიყვნენ. ფეხბურთზე კამათი დაწყებული იყო და ერთ წრეში ისეთი გაცხარებული ლაპარაკი შეიქმნა, რომ ხელფასელ კინაღამ დაერივნენ ერთმანეთს.

„ძმები ხომ არ არიან, ვერ დაცხებენ?“ — უკვირდა ცარიელ სკამზე მარტოდმარტო მიმჯდარ დიმიტრის. დიმიტრი ვერ იყო ხასიათზე და ძალიან უნდოდა, რაღაც ახალი და უჩვეულო მოსხდარიყო. ნატერაც მალე აუსრულდა.

ბაღში მთვრალი გიგუშა გამოჩნდა. გიგუშა უზარმაზარ ფეხებს მიწაზე მოაფხაკურებდა და ისე მოდიოდა, თითქოს ქვეყანა მისი იყო. მოდიოდა და ოცოცოდ ათვალიერებდა ბაღის ბინადართ. უკან რამდენიმე მორჩილი ტანის კაცი მოჰყვებოდა. ისინიც ნასვამები იყვნენ, მაგრამ ეგრერიგად არ ეტყობოდათ.

დიმიტრის არ ეზარებოდა მთვრალი კაცი. ნასვამ ადამიანს იოლად აუბამდა ხოლმე მხარს, მაგრამ მთვრალ გიგუშას ყოველთვის გაურბოდა. იმ დღეს კი იმ კაცის დანახვაზე ელდა ეცა.

გიგუშა ჯერ ნაცნობებს მიესალმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო სალამი თქვა, დიმიტრის კი პირადად ეახლა და ძალიან სერიოზულად ჩამოართვა ხელი.

— ხომ კარგად ბრძანდებით?

— მადლობთ, არა გვიშავს, თქვენ როგორ?

— ჩვენც კარგად, მადლობთ...

გიგუშა ამ თავაზიან სიტყვა-პასუხს დასჯერდა, მიტრიალდა, თანამომძეგნს რაღაც მოეთათბირა და წავიდა. დიმიტრის ეგონა, სულ გადაიკარგაო.

„ალბათ საქეიფოდ წავიდა, ქვეყანას უთხრა და მე დამტოვა!“ — ფიქრობდა განაწყენებული დიმიტრი, თუმცა გიგუშასთან სუფრაზე ყოფნა სულ არ ენატრებოდა.

დიმიტრიმ სიგარეტი ამოიღო. გააბოლა და ისევ ფიქრებში ჩაიძირა.

დაბლა, ჩაბნელებულ ფერდობზე ვიღაცეები ხმაურობდნენ და ლაპარაკობდნენ. კაცი რომ დაკვირვებოდა, შეამჩნევდა გიგუშას (რომელიც ხვნეშით მოდიოდა ზევით) და მის ამფსონებს, ვირი რომ თოკით მოჰყავდათ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ უკან არავის გაუხედია და ექსპედიცია ისე მიადგა დიმიტრის სკამს, რომ კაციშვილს არაფერი გაუგია.

დიმიტრი რატომღაც სულ უმიზეზოდ შეკრთა და შებრუნდა. ფიჭვის ხის ქვეშ გიგუშა იდგა მოლანდებასავით.

— მოლა ნასრედინ ბუხარაში განავალს? — იკითხა გიგუშამ ცოტა ხნის შემდეგ.

— ბუხარაში არ ყოფილვარ.

— კინოზე გეკითხები!

— არ მინახავს! — გაეცინა დიმიტრის.

— მაშინ ახლა განახებ! — დაპირდა გიგუშა.

დიმიტრიმ თვალები წაჭუტა და გიგუშას უკან კიდევ ვიღაცეები გაარჩია, თუმცა ვერც ერთი ვერ იცნო; სანამ რაიმეს გაარკვევდა, მანამ გიგუშა ხურგში დააცხრა და წიწილივით აიტაცა. ბიჭებმა სახედარი გამოაძუნძულეს და დიმიტრი სასწრაფოდ შესვეს ზედ.

დიმიტრის პირველად რაღაც საშინელება ეგონა, გიგუშასაგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო, მაგრამ ამაზე უარესს რას ელოდა, ძნელი გასაგები იყო. იგი საშინლად აფხარკალდა, ბევრს ვერაფერს ვერ გახდა. გიგუშამ წინასწარ გამზადებული, დიდი ქამარი დააძრო და მხედარს ვირის მუცლის ქვეშ ფეხები გაუკრა. დიმიტრი დამშვიდდა. მიხვდა, რომ გასაქცევი არსად ჰქონდა და თან თვინიერი სახედარი ყურსაც არ აპანტურებდა, არც წინ მიდიოდა, არც უკან.

მთელი ბაღი ამ უცნაურ სურათს მიაჩერდა.

— ფეხები გამიხსენი, შე ბითურო! — წყნარად უთხრა დიმიტრიმ გიგუშას.

— რა გეჩქარება, იყავი ცოტა ხანს!

— ქამარი შემომხსენი თუ არა, ინანებ!

— იქით მემუქრება კიდევ! — გაუკვირდა გიგუშას.

დიმიტრიმ სიმწრით გაიცინა და ვირს კისერზე ხელი მოუთათუნა.

— დიოგენეს არ გავს! — დაიკინა გიგუშამ.

— არაფერი საერთო დიოგენეს ვირთან არ ჰქონია, შე იდიოტო! — დაიძახა დიმიტრიმ.

— ჩამოვსვათ ახლა! — თქვეს გიგუშას ამხანაგებმა.

— ჩამოვიდეს თვითონ, ვაქაცობაზე რომ იდებს თავს!

— ფეხები შემიხსენი, შე უნიჭო!

— უნიჭოს მოგცემ მე შენ, მართლა თავს კი ნუ გაგვიდა! — გაბრაზდა გიგუშა და ვირს წიხლი ჰკრა. ვირი დაფეთდა და ტლინკები აყარა. შეშინებული დიმიტრი სახედარს კისერზე შემოეხვია. ბიჭები ვირს ეცნენ, მაგრამ პირუტყვი სულ გადაირია. შეიქნა სიცილი და ხარხარი.

— ვირს ნუ ანერვიულებთ! — დაიძახა გიგუშამ, რომელიც ფიჭვის ხეს მიყრდნობოდა და ძირს აფურთხებდა.

ცოცხალმკვდარი დიმიტრი, როგორც

ოქნა, ძირს ჩამოსვეს. ამასობაში გაცეცხლებული მებაღეც გამოჩნდა. იგი შორიდან ყვიროდა და საშინლად ილანძღებოდა: რას შვებით, რას აკეთებთ, მძინარე ვირს აწვალებთ, ხალხი ხართ თქვენო.

— არა უშავს, ძია, გაიზრდება და დაავიწყდება! — ანუგეშა გიგუშამ.

— ისე აგიშენდა ოჯახი, როგორც ეს და შენ მეტი აღარ გაიზარდოთ! — უთხრა მებაღემ. ამაზე საშინელი ღრიანცელი ატყდა. თვით გიგუშასაც კი გაეცინა, თუმცა მებაღის ნათქვამი ხეირიანად არც გაუგონია.

მებაღემ ვირი წაიყვანა. შემოღობილ ეზოში გადავიდა და დაწყნარდა კიდეც; ყოველ შემთხვევისათვის, მისი ხმა მეტად აღარავის სმენია. პირუტყვი, რომელიც ორი დღით ბაღის სამუშაოზე ჰყავდა სოფლიდან ჩამოყვანილი, ეტყობოდა ბაგაზე დაება.

— გეწყინა? — სულელურად ჰკითხა გიგუშამ დიმიტრის.

— უნიჭო კაცისაგან არაფერი არ უნდა გეწყინოს ცხოვრებაში! — ამოოხრა დიმიტრიმ და შარვალი გაიწმინდა. იგი კარგა ხანი იშორებდა ვირის ბალნს.

სეირის მაყურებლები ახლა ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ. ზოგიერთები დაგვიანებით მოსულიყვნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა მოხდაო.

დიმიტრი ასე სასტიკად არასოდეს გაბრაზებულა; ასეთი შეურაცხყოფაც ჯერ არავის მიუყენებია. ვირისაგან წიხლი არ უნდა გეწყინოსო, იიმედებდა თავს, მაგრამ მარტო იმედი რას კმაროდა. აღარ იცოდა, რა ექნა; თავი როგორ დაეჭირა ნასიამოვნები, კმაყოფილი ხალხის წინ. წასვლაც არ უნდოდა. იჯდა და თუთუნს აბოლებდა. თითქოს უდარდელად იმზირებოდა, მაგრამ გულს დარდი შემოსწოლოდა. ყველაფერი ამოოებთია ამოოება იყო. ადამიანის სიცოცხლეც სულელური ხუმრობა იყო და მეტი არაფერი.

გიგუშას სატელევიზიო ფილმის სცენარი ჰქონდა დაწერილი. სცენარი წინა დღით წარმოებაში ჩაუშვეს და ატორმა დარჩენილი ჰონორარი მიიღო. გუშას ფული არ ენანებოდა, დროს ატარებდა. ისა და მისი ამფსონები, რომლებიც დიმიტრის ათას ბოდიშს უხდიდნენ და დიმიტრი ეუბნებოდათ, თქვენ რა შუაში ხართო, ისევ საქეიფოდ წასვლას აპირებდნენ და დიმიტრისაც ეპატიჟებოდნენ. ამ ხალხთან ყოფნას ციხე სჯობდა, მაგრამ დიმიტრი უკვე ბედს შერიგებოდა. მოსახდენი მომხდარიყო და რაღას უნდა მორიდებოდა.

მანქანები ქალაქგარეთ გააქანეს და სულ მალე მწვანე ღობით შემორაგული სასადილოს მიადგნენ. გიგუშა ადრევე დაწინაურდა და სადღაც გადაიკარგა. მალე ტუჩების წმენდით გამოვიდა გვერდითი კუპიდან.

— რას ვშვრებთ? — ჰკითხა ერთმა ბიჭმა.

— დამაცადე! — უთხრა გიგუშამ, დახლიდარს ხელი ჩამოართვა და ერთი ყუთი ღვინის გაგზავნა მოითხოვა.

— ორნი არიან სულ, რათ უნდათ ამდენი ღვინო! — დაიღრიჯა დახლიდარი.

— რაც გითხარი, ის გააკეთე, უნდათ თუ არ უნდათ, ის მე ვიცი...

— კი გენაცვალე, კი არ მეზარება... მაგაზე გაწყენინებ. სარგის, მოდი აქ!

— რა გინდა? — გვერდულად იკითხა სარგისმა.

— ეს ყუთი შეიტანე მეორეში.

— გავწყდი დღეს წელში, აღარ შემიძლია, თირკმელები მტკივა.

— გამარჯობა სარგისს! — უთხრა გიგუშამ.

— გაუმარჯოს! — გაიღიმა თეთრხალთიანმა შავმა კაცმა და ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი.

— ეს წავიღოთ? — იკითხა მერე და დამტვერილ ბოთლებს გადახედა ალმაცერად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გიგუშამ მოგართვათ-თქვა, უთხარი.. — დაარიგა დახლიდარმა და სამზარეულოსკენ წავიდა.

„ეს რა ხუმარა ხალხში მოეხვედი?“ — ფიქრობდა დიმიტრი.

სუფრა ზევით გაშალეს.

პირველად ნადუღი, მდინარის თევზი, ახალი მუყუჟი, კიტრი და პამიდორი მოიტანეს. სუფრას საერთოდაც არა უშავდა. დიმიტრი მადიანად ჭამდა, მაგრამ გიგუშამ სასმელ-საჭმელი არ შეარგო; ხომ არაფერი გეწყინა, გინდა თუ არა მითხარიო.

— არაფერი არ მწყენია, ოღონდ დამანებე ახლა თავი!

— დაგანებო კაია, შენ ისე ლაპარაკობ, ვიღაცას ეგონება, ნაწყენიაო.

— არა ვარ, ბატონო!

— კარგი, მოეშვი! — გაბრაზდა ერთი ბიჭი.

— თქვას მეწყინა-თქვა, ფულს ხომ არ ვთხოვ!

— მეწყინა, რა გინდა ახლა?

ამის გაგონებაზე გიგუშამ ფეხი აიშვირა და მეორე სართულის ღია ფანჯრიდან გადაეშვა. პირველად ყველას რაღაც მორიგი „ხუმრობა“ ეგონათ, მაგრამ გარეგან ისეთი ზღართანი მოისმა, თითქოს ხიდან დათვი გადმოვარდაო.

დაფეთებული ბიჭები და ოფიციანტი კისრისტეხით ჩაცვივდნენ ქვევით.

გიგუშა ღობისძირას ეგდო. მკვდარი ეგონათ, მაგრამ ახლოს რომ მივიდნენ სხვა სურათი იხილეს. თვალებდაჭუყტილი იწვა და გაკვირვებული უყურებდა ვარსკვლავებს. იღბლად ნაძვის ხის ტოტს გამოდებოდა, მერე ჯუჯა ხეებში ჩაშლილინებულიყო, თორემ ასე იოლადაც ვერ გადარჩებოდა. თვითონვე წამოდგა. არაფერი მტკივაო, იძახოდა, მაგრამ ყველა გრძნობდა, როგორ იყო დაბეგვილი. დიმიტრის ეშინოდა, მე დამბრალდება ყველაფერიო, მაგრამ გიგუშა ხმას აღარ იღებდა. ქეიფზე ლაპარაკიც აღარ ღირდა. მანქანებში ჩასხდნენ და თბილისში გამობრუნდნენ.

თბილისში წვიმები დაიწყო. გამოქცეულნი დარბოდა, მზე დაეჭერდა და მერე უცბად გაავდარდებოდა. ბაღრი კილაძემ ვერა და ვერ იყნოსა, ღრუბელი საიდან მოდიოდა. გრძნობდა, რომ მეხი იშეკბებდა ამ შემოდგომის პირას.

დალის ერთი აუხსნელი კანონზომიერება ჰქონდა შემჩნეული, რომელიც მხოლოდდამხოლოდ მათ ოჯახზე ვრცელდებოდა. როგორც წესი, ბაღრი მაშინ აჯანყდებოდა ხოლმე, როცა მიზეზი დაიღუოდა, როცა დალი შინ იჯდა და — ელგუჯა თბილისში არ იყო. ახლა იგი კატეგორიულად თხოვდა მეუღლეს, სამსახური მიატოვეო. პირდაპირ არ ამბობდა, რატომ მოითხოვდა ასეთ მსხვერპლს, მაგრამ ქალი ყველაფერს ხვდებოდა. ქმრის ლოგიკას და დაწყობილ საუბარს დალი წონასწორობიდან გამოჰყავდა. ხანდახან სასოწარკვეთილებამდე მიდიოდა, ეგონა, ვგიჟდებიო.

— ... თუ შინ გაჩერდები, თავისუფალი დრო მეტი დაგრჩება. ბავშვს დედის მზრუნველობა აკლია. ისედაც სუსტია და უდღეური. შენც უფრო საფუძვლიანად და დაბეჯითებით იმუშავებ, თუ იმეცადინებ. მეც დაგეხმარები, ხელს შეგიწყობ. მეტი რა გიყო? დაამთავრე დისერტაცია, დაიცავი ხარისხი და მერე უკვე სხვა ამბავია, მერე კიდევ სხვანაირად ვილაპარაკოთ...

დალისაც შეეძლო ასევე დალაგებულად ეახსნა, რომ ბავშვს მოვლა არ აკლდა, უნივერსიტეტში არც ისე ბევრ დროს კარგავდა, როგორც ქმარს ეგონა. დისერტაციას კი შინ ვერ დწერდა. ამას ჭირდებოდა სამკითხველო, წიგნები, მასალები; თუ შტატიდან ამოვარდებოდა, შემდეგ უნივერსიტეტში მოხვედრა გაძნელდებოდა და სხვა და სხვა... მაინც არაფერს ამბობდა. მხოლოდ ამოიოხრებდა და ხანდახან საფეთქლებზე მოიკიდებდა ხელებს. სანამდე უნდა

ემტკიცებინა ერთი და იგივე. მისი ქმრის ხასიათი ხომ იცოდა, თავი რომ მოგეკლა, ნათქვამს ვერ გადაათქმევინებდი. სხვა რომ არაფერი, შინ დაჯდომა არც ბადრის მოუტანდა დიდ ბედნიერებას. აუტანელი იქნებოდა დღე და ღამე ერთმანეთის ყურება. ცუდის გაკეთებას კი სამსახურის გარეშეც მოახერხებდა. ყველაფერი ხდებოდა ლოგიკურად; ყველანი მიყვებოდნენ გარდაუვალი ბედის ტრიალს და სამსახური უკვე აღარაფერ შუაში იყო.

დალის უფრო და უფრო უჭირდა გარეთ გასვლა და სამსახურიდან დაგვიანება. იძულებული იყო უკვე ტყუილები ელაპარაკა. მთავარი იყო, ქალს თავი გავმართლებინა და ტყუილს ამბობდა თუ მართალს, ბადრი უკვე ვეღარ არკვევდა. იგი გრძნობდა რაღაცას, მაგრამ საფრთხე საიდან, რა სახით ემუქრებოდა, არ იცოდა. არც არავინ ეხმარებოდა.

ამხანაგებმა მოილაპარაკეს და ყველაფრის თქმა დააპირეს, მაგრამ ვერ მოახერხეს, ვერც გაბედეს. მით უმეტეს, როცა კარგად არც არავინ იცოდა, მართალი იყო თუ არა, რასაც ქალზე ლაპარაკობდნენ. რატომ უნდა წაეხდინათ კაცისათვის ცხოვრება, გაეფუჭებინათ ძმობა? როცა იქნებოდა, ისედაც ყველაფერი გაირკვეოდა. არაფერი დამალული არ დარჩებოდა.

ერთხელ, გვიან ღამით ბადრი გატიალებული მთვრალი მოვიდა შინ. კარი გააღო თუ არა, კინაღამ წაიქცა. პირველად ცოლიც, რომელიც მაგიდასთან იჯდა და წერდა, ვერ შენიშნა. ასეთი მთვრალი ქმარი დალის არც ენახა. მთვრალ კაცს ისედაც ვერ იტანდა და წარბები შეყარა; მერე თავი დახარა, თითქოს მუშაობა განაგრძო, სინამდვილეში უაზროდ დასცქეროდა თაბახის ქაღალდებს. ბადრი ერთ ადგილას იდგა და ცოლს ცინიკურად უყურებდა.

ქალმა ამოიოხრა. ბადრიმ გაიცინა და ოთახიდან ოთახში დაიწყო ბოდიალი. დადიოდა და ღიღინებდა:

მოგიკლავ, ქალო, ქმარს,
გიყიდი შავ როიალს...

დალის თანდათან ელეოდა მოთმინება. აღარ იცოდა, რა ექნა, სად გადავარდნილიყო. ქმარი ბოლოს თავზე წამოადგა. თმაში ხელი მოჰკიდა და მოეფერა. სიტყვებს ისე არაბუნებრივად მარცვლავდა, რომ ქალს შეეშინდა. ქმარს ახედა. ბადრი ბრაზიანი, დამცინავი თვალებით იხედებოდა. ამ დაუნდობელი მზერის დალის მუდამდღე ეშინოდა.

დალიმ ქაღალდები ერთმანეთზე დააწყაგა, მაგიდის კუთხეში მისწია, ადგა და წასვლა დააპირა. ქმარმა არ გაუშვა. ხალათის ღილებს დასწვდა და ნელ-ნელა დაუწყო გულისპირის გახსნა. დალი გაკვირვებული უყურებდა, რას შვებაო. კაცმა ბოლომდე ჩახსნა კაბა-ხალათი. მწიფე მარწყვისფერი, სიფრიფანა პერანგი გამოჩნდა. პერანგი სავსე თეძოებზე და ამობურცულ მკერდზე იყო გადამსკდარი.

ბადრიმ ანთებული სიგარეტი აიღო და დალის ძუძუსა და ძუძუსშუა მიასრისა. ქალმა შეჰკივლა და სიმწრისაგან მუხლებში ჩაიკეცა; ხელისგულით ფერფლი და თუთუნის ნაბწკვენები მოიშორა; წამოდგა, ხალათი შეიკრა და გაკვირვებული თვალებით ქმარს მიაშტერდა.

— არ გეწყინოს, გეხუმრე! — უთხრა ბადრიმ. იგი იღიმებოდა და ცოლს ისევ უცნაურად უყურებდა.

დალიმ გულზე ხელები დაიკრიფა და გაჩუმდა.

ბადრიმ საწოლს მიაკითხა; ძლივს მიაგნო თავის სარეცელს; თვალს ვერ ახელდა, ხვნეშოდა და დასაწოლად ემზადებოდა. გახდისას შარვლის ტოტებში გაეჩხირა და კედელს მისკდა. დალის უნებურად გაეცინა.

ბადრი საწოლზე იჯდა და გულდაგულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეცავდა შარვალს. ცალი მუხლი სქელი ნაჭრით ჰქონდა შეხვეული. დალის გაუკვირდა, რა დაემართოო. ბაღრიმაც დაიხედა. კარგა ხანი გაკვირვებული უყურა საკუთარ მუხლს და ბოლოს თქვა:

— ამელამ მოწვიმს!

დალიმ ამოიოხრა.

— არ გკვრა?! — იყვირა ბაღრიმ და ფეხზე ხელი დაირტყა. — თქვენ რა იცით, რა მჭირს, არავინ არაფერი არ იცის... როცა წვიმა ეპირება, მე მუხლები მტკივა!

დალის მოეჩვენა, რომ ბაღრი უკვე სისუსტეს შეეპაყრო და სიბერისკენ წასულიყო.

„ბევრი ნატანჯი და ნაუბედურალი კი არის, საწყალი!“ — გაიფიქრა ქალმა. — ეჰ! — ხმას დაუწია ბაღრიმ. — დალი შელია, შენი აღარაფერი მკერა, არაფერრში აღარ გენდობი!

ბაღრი დაწვა. საბანი წაიხურა და იმწამსვე დაეძინა.

დალის დამწვარი ხორცი გაუწყვიტლა. მკერდი ეწვოდა, მაგრამ არც ტიროდა, არც ჯავრობდა. ეს ტკივილი თითქოს რაღაც სულიერ სიამესაც ჰგვრიდა.

დალიმ ისე დაიძინა, ვერ გაიგო, დამწვარი ადგილი მართლა ძალიან ეწვოდა თუ იგონებდა.

ღამით თქვეში წამოვიდა.

ბაღრი ძილში წუხდა, ისე საშინლად სუნთქავდა, რომ დალის ეშინოდა, არ დაიხრჩოსო და ძილფიზწლობდა. ბოლოს ქმარი დამშვიდდა. დალიმაც დაიძინა.

ბაღრის ესიზმრა:

ბაღრი და დალი შავი ზღვის პირას, პატარა სახლში ისვენებდნენ. სახლის სახურავი მწვანედ იყო შეღებილი. ეზოში ვაშლის ბაღი იყო. ხეებს პატარ-პატარა, მწვანე ვაშლები ესხა. ცოლ-ქმარი შვიდი წლის წინ მართლაც ისვენებდნენ ზღვის პირას, ამავე სახლში და ეზოში. არც შვილი ჰყავდათ, არც არაფერი აწუხებდათ. ბაღრის ძილშივე უკვირდა, როგორ მეორდებოდა ყველაფერი. ამბავი მაშინაც ხდებოდა და იმქამადაც. დროთა კავშირი დარღვეული იყო.

... იმ ღამითაც კოკისპირულად წვიმდა. ახალთახალ სახურავში, ეტყობოდა, ბზარები გაჩნდა, რადგან ოთახში წყალმა ჩამოწვეთა. წვეთებმა იმატა და იმატა. შეშინებული დალი პერანგისამარა იდგა ნახევრადბნელ ოთახში. მოკლე პერანგი თეთრ ეთმოებს ძლივს უფარავდა. დალი მაშინ სულ ბავშვი იყო. ისეთი ნათელი და სუფთა მზერა ჰქონდა, რომ ყველაფერი გადაგავიწყდებოდა. ბაღრიმ უთხრა, ჩემ ხელში რისი გეშინიაო და სასწრაფოდ ჩაიცვა. სანამ სხვენზე ავიდოდა, მობრუნდა და თქვა: მუხლები მტეხავს, რადგან თერთმეტი დღე და თერთმეტი ღამე მარტოდ-მარტომ სველ ცემენტზე გავატარეო.

ბაღრი თავდახრილი დაბორიალობდა ბნელ სხვენზე და წვიმას ჯამ-ჯურჭლით აკავებდა. ერთ ადგილას ხის თეფში დადო, მეორე ადგილას — ვარცლი, სხვაგან სხვა ჭურჭელი, მაგრამ არაფერი გამოვიდა; წყალი მაინც მოდიოდა და მოდიოდა. სახურავში ახალ-ახალი ნახვრეტები ჩნდებოდა. ბაღრი გაცეცხლდა, ჯიბიდან რევოლვერი იძრო და ოუნუქის სახურავს ტყვიები დაუშინა. „თუ დასაკცეევია, ბარემ ერთიანად დაიქცეს ყველაფერი!“ — ფიქრობდა იგი და სახურავს ცხრილავდა. უცბად სახლი შეტორტმანდა, დაწვა. ბაღრი მიხვდა, რომ ცოლი ნანგრევებში მოჰყვა და საშინელი ღრიალით გაიღვიძა.

— რა იყო?! — წამოიძახა გულგახეთქილმა დალიმ.

— ცოცხალი ხარ? — ჰკითხა ქმარმა.

— რა დაგემართა? — თავზე ხელი დაადო დალიმ.

ბაღრის ხმა აღარ გაუღია. ცოლის ხმაზე გამოფიზწლდა და დამშვიდდა, თუმცა კარგა ხანი გაშტერებული უყურებდა მკრთალად განათებულ ჭერს.

— წვიმს? — იკითხა ცოტა ხნის მერე.

რეჯო ჟვიფვილი

ღ ა ლ ი

— წვიმს. — უთხრა დალიმ.

დალის ძილი გაუტყდა და გათენებამდე იფხიზლა.

ბადრი ღილაბნელში ადგა. ტელეფონზე დარეკა. ვიღაცას დალისათვის თითქმის გაუგებარ ენაზე ელაპარაკა, დაიბარა, ორი დღით ხაშურში მივდივარო და წავიდა.

ბარემ ქვიშხეთში გაიარე, ყუეთუნა და ბავშვი ნახეო, უნდოდა ეთქვა დალის, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. ყველაფერი ესმოდა და თვალს არ ახელდა. დიდი მუხის კარი რბილად მოიკეტა თუ არა, თავისუფლად ამოისუნთქა და დაძინება დაუპირა. ეგონა, ახლა მაინც მოვისვენებო, მაგრამ უფრო აფორიაქდა. ვერა და ვერ დაიძინა.

ბარეთ ოდნავ ცრიდა. გაფუჭებული ღვარსადენიდან წყალი აღარ მოთხლიშინობდა. საქმიანი ადამიანები, პირველ მაძლის ყივილზე რომ იწყებდნენ მუშაობას, უკვე სამსახურში მიდიოდნენ. ტროტუარზე დამბალი ფეხსაცმელების ტყაპანი ისმოდა. დალი ადგა, ხალათი მოიხურა და ფანჯარასთან გაჩერდა. ქუჩაში ბურუსი იყო. აქა-იქ თხელი გუბეები იდგა. თავწაღუნული, გამოუძინებელი გამვლელები ზევით არ იხედებოდნენ. ფანჯრის ძირას ხანდახან შავი, სველი ქოლგა ჩაივლიდა.

დალი ფეხისაცერებზე აიწია და ფარდა აკეცა, ამასობაში ხალათი გადაუცურდა და სკამზე დაეფინა. პერანგისამარა დარჩა ფანჯარასთან, მაგრამ აღარ განძრეულა. სულერთი იყო არავინ უყურებდა. ახალგაზრდა კაცს, დაჭმუჭნულ საწვიმარში რომ იბუზებოდა, ქუჩას რომ ჭრიდი ირიბულად და წყლის გუბეებს რომ დიდი გულმოდგინებით არიდებდა ფეხს, თავისუფლად შეეძლო ნახევრადშიშველი ქალის ფანჯარასთან დანახვა. კაცმა მაგრად ჩაახველა ხესთან და წელში გახრილი დაეშვა ქვევით. დალის შეკივდა და ფანჯარას მოშორდა. სარკის წინ დადგა, კარგა ხანი იხედებოდა ამომწვარ მკერდზე და ნაიარევს აკვირდებოდა. მაინცდამაინც დიდი ნაკვალევი არ ჩანდა და უკმაყოფილება დაეტყო.

მთელი დღე შინ იყო დალი და უგულოდ კითხულობდა წიგნს. შუადღით მზემ გამოანათა. მერე ისევ მოწვიმა. დაღამებისთანავე შეწვა დალი ლოგინში და ისევ წიგნი გადაშალა. მოგვიანებით ცა აგრუხუნდა. დალიმ შუქი ჩააქრო. კარგა ხანი ქუხდა და ელავდა. ფანჯრის მინებზე ვერცხლისფერი ხაზები ტყდებოდა. დალი კრთოდა და საბანში იმალებოდა.

თავი მეორეთაცი

საბჭოთა ნაკრები ზედიზედ ხვდებოდა ევროპის ქვეყნების ძლიერ გუნდებს. ელგუჯამ ყველა ბრძოლა მოიგო. მხოლოდ თურქ მოჭიდავეესთან, რომელმაც თბილისშიც გაამწარა, დაჯერდა ფრეს. შეკრებაზე, შესარჩევ შეხვედრებში თავი მაინცდამაინც არ გამოუჩენია და ერთხანობაზე მის საზღვარგარეთ წასვლა-არწასვლაზეც იყო ლაპარაკი. ელგუჯას არაფერი გაუგია, თორემ მწვრთნელები ყოყმანობდნენ და სულ ბოლოს ჩარიცხეს პირველ ნომრად. გუნდი მეორე დღესვე ვენაში გაფრინდა. ელგუჯა ევროპის ჩემპიონი გახდა. იმჯერად ოოლად გავიდა ფონს. გარდა ბულგარელი მოჭიდავისა, რომელმაც, საბედნიეროდ, მხოლოდ ბრინჯაოს მედალი მიიღო, სერიოზული წინააღმდეგობაც არავის გაუწევია.

ელგუჯა, რატომღაც, მოწყენილი დაბრუნდა თბილისში. სახლიდან გარეთ გასვლაც არ უნდოდა, არაფერი არ უხაროდა.

კარის მეზობელმა რუსიკომ დალის საგანგებოდ ახარა ელგუჯას ჩამოსვლა. დალის მადლობა არ უთქვამს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს ამბავი რუსიკოზე აღრე ჰქონდა გაგებული: მეორეც, რუსიკოს მაინც ვინღა ეკითხებოდა, ამით ვითომ რის თქმას აპირებდა? რუსიკო არ იყო მითქმა-მოთქმას აყოლილი ქალი, სხვის საქმეში გარევაც არ უყვარ-

და და უტაქტოდ რომ მოიქცა, თვითონვე მიხვდა.

იმ საღამოს დალიმ, თითქოს საგანგებოდ, ელგუჯა მანქანიდან დაინახა. წიგნის მაღაზიის წინ ამხანაგებში იდგა, ერთი ბიჭის მხარზე ხელი ჰქონდა ჩამოდებული და გულგრილად აყოლებდა თვალს გამვლელ-გამოვლელს. მანქანა, რომელშიაც დალი და ბადრი ისხდნენ, კარგა ხანს იდგა შუქნიშანზე, ზუსტად მაღაზიის წინ, მაგრამ ელგუჯას იქით არ გაუხედავს. იგი საერთოდაც უცნაურად იქცეოდა. თითქოს დალის ნახვასაც არ აპირებდა. მართალია, დალის გარშემო ტრიალებდა ლანდივით, მაგრამ სათვალდათვალოდ არ ჩანდა და, იმალებოდა თუ ვერ იცლიდა, ძნელი გასაგები იყო. „შეიძლება სწორადაც იქცევა, — ფიქრობდა დალი. — ბოლოსდაბოლოს, თან ხომ ვერ გადამყვება. ადრე თუ მალე თავისი გზაც ხომ უნდა მოძებნოს. ბავშვთი, ქმრით და თვით ჩემი არსებობით დღეს თუ არა ხვალ ტვირთად დავაწვები. როცა იქნება, თავსაც დამაყვედრის...“

დალი უკვე ნერვიულობდა, თავს იმით ინუგეშებდა, პატიოსანი მეუღლე და დედა ვარო და იქვე ხვდებოდა, რომ ტყუოდა. საბედისწერო ნაბიჯი გადადგმული იყო და უკანდახევას რაღა აზრი ჰქონდა. რა პატიოსნებაზე შეიძლებოდა ყოფილიყო ლაპარაკი, როცა ღალატობდა ქმარს. შვილს, დას, ამხანაგს და ცოდვები ალბათ ერთდროულად დაატყდებოდა თავს. ის ადამიანი კი, ვისთვისაც ეწამებოდა, იქით გაამტყუნებდა და ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე შეაქცევდა ზურგს. დალიმ გადაწყვიტა, დაწერილებით და დალაგებით მიეწერა ელგუჯასათვის, რასაც ფიქრობდა. სახელდახელოდ მოიფიქრა ეპისტოლეს გეგმა და თვალები ცრემლებით აევსო. ბარათი რაღაც გულისამჩუყებელი რამ უნდა გამხსულიყო. დალი მაგიდას მიუჯდა და თავისაუღელად გაავსო თითქმის ხუთი თაბახის გვერდი. როდესაც წერა დამთავრა, დაფიქრდა, წარმოიდგინა, რა დღეში ჩავარდებოდა ამ წერილს წაკითხული ადამიანი.

...წერილში ეწერა, რომ ასეთ ცხოვრებას აზრი არ ჰქონდა. თვით მისი არსებობა ერთი მოლიანი გაუგებრობა იყო და მეტი არაფერი. იგი ტანჯავდა მის გარშემო მყოფ ადამიანებს, — ქმარს, შვილს, სხვას და სხვას. ძალიან დაწვრილებით წერდა, რა ხდებოდა ოჯახში; რას ფიქრობდა თვითონ და როგორ, რანაირად ესახებოდა მომავალი. სხვა გზა არ არის, ერთმანეთს უნდა დავშორდეთო. ამტკიცებდა იგი. ბოლოს ყველას პატიებას თხოვდა; ირწმუნებოდა, რომ ყოველგვარ სასჯელს, ფიზიკურს და მორალურს თვითონ ზღავდა, ოღონდ სხვები ბედნიერნი ყოფილიყვნენ. როდესაც წერილი თავიდან გადაიკითხა, ტირილი მოერია. არასოდეს თავი ისე არ შეცოდებია, როგორც — მაშინ. წერილი დაკეცა და კონვერტში ჩადო.

ვიღაცამ ზარი დარეკა. კარი ღია იყო და დალიმ ხმამაღლა დაიძახა, მობრძანდითო. ოთახში მორიდებით შემოვიდა ლოყებაწითლებული გოგო. გოგო ღიმილით მოიწევდა წინ. ბოლოს შეჩერდა და მსხვილი თეძოები საწერ მაგიდას მიაბჯინა.

„აი ვინ წაიღებს ამ წერილს.“ — გაიფიქრა დალიმ.

— რუსიკო დეიდამ თქვა, თუ საქმე არაფერი გაქვს, შემოდი ჩვენსაო...

— მოვალ-თქვა, უთხარი. — გაეღიმა დალის.

ძვალმსხვილ გოგოს, რომელიც სოფლიდან იყო ჩამოსული და უმაღლესში მოწყობასაც აპირებდა, ნარგიზი ერქვა. არაფერი საერთო ყვავილთან და ამ სახელის პატრონ მითიურ ჭაბუკთან არ ჰქონია, მაგრამ თავი სხვაზე ნაკლებად არ მოსწონდა. სულ სარკეში იხედებოდა, თუმცა სინაზითაც ვერ დაიტრაბახებდა. დალიმ თავისი თვალით დაინახა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ასწია ნარგიზმა პიანინოს ერთი მხარე ცალი ხელით სახლის დალაგების დროს. რუსიკოს შორებელი ნათესავი იყო და დალი, რუსიკოს თხოვნით, ხანდახან ინგლისურშიც ამეცადინებდა. გოგო უნიჭო არ ჩანდა, მაგრამ სწავლა რომ არ უნდოდა, აშკარად ეტყობოდა. ჯაფას და შრომას შეჩვეულს უსაქმურობა სულ არ აწუხებდა. რუსიკო წიგნებს ურჩევდა, მაგრამ ნარგიზს წიგნს სარკის წინ დგომა და ფანჯრიდან ქუჩაში ცქერა ერჩია.

— მალე მოვა-თქვა, უთხარი... — გაიმეორა დალიმ, რადგან სტუმარი ფეხის მოცლას ალარ აპირებდა და დაკვირვებით დაჰყურებდა ღია კონვერტს. გოგოს არც ამის შემდეგ ამოუღია ხმა.

„რა კმაყოფილი სახე აქვს, შეიძლება ადამიანს არაფერი არ აწუხებდეს?" — ფიქრობდა დალი.

— კარგი მაშინ! — წამოიძახა ნარგიზმა, უცებად შეტრიალდა და გავიდა.

დალიმ კონვერტი გახსნა, წერილი ხელახლა გადაიკითხა, ზოგიერთი გულისამაჩუყებელი ადგილი გადაშალა და რუსიკოსთან წავიდა.

რუსიკოსთან სტუმრები იყვნენ. სამი ქალი შემოსხდომოდა მაგიდას. ერთი მხატვარი იყო, მეორე — რეჟისორი და თუ მათი საუბრის მიხედვით ვიმსჯელებდით, არც მესამე ქალი, რომელიც დალიმ ვერ იცნო, არ უნდა ყოფილიყო ხელოვნებისაგან შორს.

— როგორა ხარ? — ჰკითხა მხატვარმა დალის და შუბლთან წითელი თმა გაისწორა.

— კარგად, შენ როგორა ხარ?

— კარგად ვარ, ამას ხომ იცნობ?

— როგორ არა!.. — გაიცინა რეჟისორმა.

— ეს ლიანა ყორღანაშვილია. — თქვა მხატვარმა.

უსაშველოდ მაღალმა ქალმა, ფეხი ფეხზე რომ გადადვა და გამხმარი ბარკლები მოუჩანდა, დალის გულკეთილად გაუღიმა და სიგარეტი საფერფლეს დაასრისა.

ქალები თურმე გარსია ლორკას ლექსების ქართულ თარგმანებს აქებ-აქებდნენ და ცოტა ხნის შემდეგ ისევ თემაზე დაიწყეს ლაპარაკი. ლორკას ლექსმა მოულოდნელად ყორღანაშვილს ნაცნობი გინეკოლოგი გაახსენა და ისე ხმამაღლა გაიცინა, რომ დალის კინაღამ გული გაუსკდა.

ოთახში რუსიკო შემოვიდა და ჭრელად მოხატული ფაიფურის ჭურჭელი შემოიტანა.

— მოდი? — ჰკითხა დალის. — ცოტა აქეთ ჩამოიწიე... შენ იყავი, ნუ დგები... ახლავე ყავას შემოვიტან, ნარგიზას ვერ ვენდობი.

— მე მოგაშველები. — წამოდგა დალი.

— არ მინდა, ბოშო, იყავი!..

დალის მაინც გასვლა ერჩია და რუსიკოს გაჰყვა.

— ვინ არის? — იკითხა ლიანამ.

— დალი შელია.

— ეს არის? რა ლამაზია არა?

— კი. — თავი დაუქნია რეჟისორმა.

— დადგი რა ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე"! — უთხრა ლიანამ.

— ეჰ! — თქვა რეჟისორმა.

— რა ეჰ?

— მე მინდა რამე ფრანგული, კლასიცისტური პიესა დავდგა.

— მე ვნახე პარიზში როსინის „სიდი" ჟან ვილარის დადგმით... — თქვა ლიანა ყორღანაშვილმა.

— რასინი მაგარი დრამატურგია! — განაცხადა მხატვარმა.

— იცოცხლე, მაგარია! — ჩაილაპარაკა რეჟისორმა, რომელიც ამ დროს სიგარეტს უკიდებდა.

„სიდი" რომ კორნელის დაწერილი იყო, კი კიდევ არაფერი, მაგრამ ქალები, რატომღაც როსინსა და რასინს შორისაც ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავდნენ.

სამზარეულოში ყორღანაშვილის სიცილის თუ კივილის ხმა შემოვარდა და დალი მიხვდა, რომ სტუმრები ისევ გინეკოლოგ ვაჟებზე ლაპარაკობდნენ.

„ეტყობა ახლა ის დრო არ არის, რო-

ცა ერთი მეორეს აღსარებას ეუბნება... არავის შენი გულწრფელობა არ სჭირდება... იმ წერილს ამედმვე დავხვე... ყველაფერი სისულელეა...“ ფიქრობდა დალი ყავის სმის დროს.

მეორე დილით ყველანი ადრიანად გაეკრიფნენ შინიდან. დალი მარტო დარჩა თუ არა, წიგნებში გადამალული წერილი გამოქმენნა. წაიკითხა, შემდეგ ნაკუწებად დახია და სანაგვეში გადაყარა. ცოტა ხნის შემდეგ სუფთა ფურცელზე დაწერა გარკვევით:

„...ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, აღარ შეგხვდე, აღარც დაგელაპარაკო. ეს ერთი თხოვნა ამისრულე. ისე მოიქეცი, ვითომ არც მიცნობდი. ამ წერილის დაწერა შეიძლება ჩემთვის უფრო ძნელი იყო, ვიდრე შენთვის იმის გაკეთება, რასაც გთხოვ, მაგრამ ასეა საჭირო. რატომ და რისთვის, შენც იცი, თუ — არა, იქნებ ოდესმე ყველაფერი დაწვრილებით გითხრა. დრო გავა, თვითონვე მიხვდები, რომ მართალი ვარ. თუ პასუხს არ გამცემ თხოვნას ასრულებულად ჩავთვლი და პატივისცემას არასოდეს არ დაგივწყებ...“

კონკერტი საგულდაგულოდ დაწება. მისამართი დაწერა და ნარგიზს გაატანა. „მთავარია თუ მიაგნო.“ — ფიქრობდა იგი და გაუნძრევლად იდგა ფანჯარასთან.

ელგუჯამ რამდენჯერმე წაიკითხა წერილი. ქაღალდი ხელში ატრიალა და ნარგიზს მშვიდად, მაგრამ საკმაოდ უაზროდ ჰკითხა, რომელი საათიაო. გოგოს საათი არ ჰქონდა. ელგუჯას მეტი არაფერი უთქვამს. ამ გოგოს ასავალ-დასავალი ისედაც ვერ გაარკვია. „ვინ არის, რა სულიერია!“ — გაიფიქრა მან. შემდეგ დაჯდა, რვეულიდან ფურცელი ამოხია და გარკვევით და ლამაზად დაწერა:

„...ზუსტად დღის ორ საათზე მოდი უნივერსიტეტის ბაღში, მეტეოსადგურთან. ერთი წუთითაც რომ დაგაგვიანო, ყველაფერი დამთავრდება.“

ნარგიზმა ვეღარ გაიგო, წასვლა ჯობდა თუ ზრდილობის გულისთვის ცოტახანი დარჩენა. მასპინძელი, ეტყობა, მწუხაროდ, არაფერს ამბობდა და უაზრო დუმილი ზენიტამდე მიდიოდა.

— და. — თქვა ბოლოს ელგუჯამ.

ამ ხმაზე გოგო წამოდგა და წასასვლელად მოემზადა.

— მიდიხართ?

— დიახ.

ელგუჯამ სტუმარი გააცილა და უკანვე ამობრუნდა. ორ საათამდე კარგა დრო იყო დარჩენილი და თვითონვე ვერ გაიგო, რაღა მაინცდამაინც ორზე დაიბარა ქალი და არა ოთხზე, ან ვთქვათ, — პირველზე. იგი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დადიოდა ოთახში და ხმადაბლა სტვენდა. მალე ტანსაცმელი გამოიცვალა, გარეთ გამოვიდა და კარი გამოიკეტა.

იმავე სახლის პირველ სართულზე ერთი ახალგაზრდა ავტოინსპექტორი ცხოვრობდა. რომელიც დასვენების დღეებში ძვირფას სპორტულ პიჟამოში გამოწყობილი გამოდიოდა ეზოში. ავტოინსპექტორს კალიასკინი მოტოციკლი ჰყავდა. ყოველად უსისტემოდ მოდიოდა და მიდიოდა შინიდან. სამუშაო დღე რიდის ეწყებოდა ან როდის უმთავრდებოდა, კაცმა არ იცოდა. ყოველ წუთს შეეძლო შემოტკაცუნებულიყო ეზოში. ხან მთელი დღე შინ იყო, ხან მოულოდნელად გადაიკარგებოდა და გათენებამდე ვეღარავინ ნახულობდა.

ელგუჯამ ზარი დარეკა. კარი ახალგაზრდა ქალმა გაიღო. ქალი გულისპირს იბნევდა და გაკვირვებული იყურებოდა ღრიჭოდ დარჩენილ კარიდან.

— გამარჯობათ...

— გამარჯობთ, მობრძანდით!

— სად არის მინდია?

— არ არის შინ! — სულ უადგილოდ გაიღიმა დიასახლისმა.

— როდის მოვა?

— არ ვიცი, მობრძანდით!

ელგუჯა ოთახში შევიდა. ქალი ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენს კი ალარ ელოდა. იცოდა, ელგუჯას მაინცდამაინც არ უყვარდა სტუმრობა. მიუხედავად ქმრის, მინდიას ხვეწნა-მუდარისა, იშვიათად თუ შემოიხედავდა ამ ოთახში.

შესასვლელი და დიდი ოთახი ბავშვების სათამაშოებით და სახვევებით იყო არეულ-დარეული. ქალი წინ მიდიოდა და უადგილო ალაგას დადგებულ ნივთს ადგილს უნაცვლებდა, არც თუ უშედეგოდ. თვალის დახახმახმებაში ქრებოდა რაღაც თეთრი საგნები და სახვევები. ტახტზე ცხრა თვის ბავშვი იყო გაგორებული. ბავშვს პირში საწოვარი ეჭირა და მსუქანი ფეხები ზევით ჰქონდა აშვერილი. ქალმა ბავშვი ხის რიკულებიან საწოლში ჩასვა. ბავშვი იმწამსვე წამოდგა და რიკულს მოეპორჭყიალა.

— ისე არეული ვართ, ამ ბავშვის გამო, რომ პირდაპირ არ ვიცი! — მოიბოდიშა სახეზე წამოწითლებულმა ქალმა. ელგუჯას სკამი დაუდგა და იმწამსვე სამზარეულოში გავარდა. ალბათ ცეცხლზე ქვაბი თუ დარჩა.

ელგუჯა სწრაფად წამოდგა, წიგნების კარადა გაალო, ხელუხლებელი, გადაუშლელი ტომები მისწი-მოსწია და რეკოლვერი გამოიღო; წიგნები გაასწორა, რეკოლვერი ჯიბეში ჩაიდო და ადგილზე დაჯდა. ქალმა კიდევ კარგი ხანი დაადგიანა გამოსვლა. ელგუჯას მოეჩვენა, რომ კარადაში რამდენიმე წიგნი საეჭვოდ დარჩა მოქცეული გვერდზე. „უფრო მშვიდად შემეძლო ამ საქმის გაკეთება“. — გაიფიქრა მან.

ელგუჯამ კარგად იცოდა, სად ინახავდა მინდია იარაღს. სახლის პატრონმა რამდენჯერმე აჩვენა რეკოლვერი და ჩაიცვდა, გინდა თუ არა, უნდა გაჩუქოო. ელგუჯა უარზე იყო, თუმცა არც პატრონი უჩუთოავდა ჯიბეში. ელგუჯას წარმოდგენა არ ჰქონდა, სად შოულობდა მინდია გასაჩუქებელ რეკოლვერს.

დიასახლისი მალე შემობრუნდა და მომღიმარი სახით დაჯდა მაგიდასთან. არეული წიგნები, ელგუჯას რომ აწუხებდა, არ დაუნახავს და საერთოდ, კარადისაკენაც არ გაუხედავს.

ელგუჯა დუმდა. ქალმაც არ ალაპარაკა. რაზე უნდა ელაპარაკათ. არადა ბავშვიც არ იღებდა ხმას, რომ დედას ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა. ბავშვი თავისთვის ბურდღუნებდა და ხელში აყვანასაც არ ითხოვდა.

ელგუჯა მოულოდნელად წამოდგა. ხრიგინით გასწია სკამი გვერდზე და მაგიდასთან გაჩერდა.

— მიბრძანდებით? — ჰკითხა ქალმა.

— დიახ...

— რა გეჩქარებათ?

— მინდიას უთხარით, ელგუჯა იყოთქვა...

— კი ბატონო, სხვა ხომ არაფერი გადავცე?

— სხვა არაფერი, კარგად იყავით.

— ნახვამდის.

ელგუჯამ ერთხელ კიდევ დაუკრა ქალს თავი და წავიდა. მასპინძელი ვერაფრით ვერ მიხვდა ამ მოულოდნელი ვიზიტის მიზეზს და დანიშნულებას.

დალი სულ არ ელოდა, რომ პასუხს მიიღებდა და იმასაც ასე სწრაფად. იგი უცბად გაბრაზდა და ანერვიულდა, აცახცახებული ხელებით გახსნა წერილი. სულმა წინ გაუსწორო, სანამ ბარათს წაიკითხავდა. ყველაფერს ელოდა, ასეთი საქმიანი და მოკლე პასუხის გარდა. ქალალდი გადმოატრიალა, სხვაგან ხომ არაფერი წერიაო და მერე ხან ჩუმად, ხან ხმამაღლა წერილი რამდენჯერმე წაიკითხა, განაგდ დაეცეა და უბეში შეინახა. თავის დღეში ამის მსგავსიც კი არაფერი ჩაუდენია. კინოში და ბაზარში თუ უნახავს ასეთი რამ. პიანინოსთან დაჯდა, ქვეცთაქვეი ნოტი გადაშალა და დაკვრა დაიწყო. ინსტრუმენტს გადაჩვეულს ხელი არ ემორჩილებოდა, მაგრამ უკრავდა მაინც ნელა და გაბმულად. გადაწყვეტილი ჰქონდა, არამც და არამც, რაც არ უნდა მომხდარიყო, ორ საათზე უნივერსიტეტის ბაღში არ გასულიყო. ეს საკითხი ადვილად მოგვარდა, მაგრამ დაკვრაც მოსწყინდა. დროც ალარ გავიდა. უცბად იგი შიშმა იტანა. ვერაფრით ვერ ახსნა, რისი ეშინოდა. მართალია, ელგუჯა იმუქრე-

ბოდა, ყველაფერი დამთავრდებაო. მაგრამ დალისაც ხომ ეს უნდოდა? მაინც რა უნდა დამთავრებულიყო?

ოთახში რვეულებით და წიგნებით დატვირთული ნარგიზი შემოვიდა.

— გბარაზდა? — ჰკითხა დალიმ.

— ვინ? — გაუკვირდა ნარგიზს.

— ვისთანაც იყავი, ის.

— ა... — გაახსენდა გოგოს.

— რა თქვა?

— არაფერი, ხმა არ ამოუღია. მე მგონი, ძალიან გახარებული დარჩა...

„ტყუის. ამისგან სიმართლეს ვერ გაიგებ!“ — გაიფიქრა დალიმ.

—დღეს ჩვენ ვერ ვიმეცადინებთ, დრო არა მაქვს.

— კარგი. — დაეთანხმა მოსწავლე.

— წიგნები და რვეულები აქ დატოვე...

— კარგი.

— ბავშვს სკოლიდან ჟუჟუნა მოიყვანს და უთხარი, გაკვეთილები დამზადებინოს.

— თქვენ მიდიხართ? — იკითხა გოგომ.

— შეიძლება წავიდე.

ზუსტად ორის ნახევარზე დალი საგულდაგულოდ გამოეწყო, ოქროსფერღილებიანი, საზაფხულო პალტო ჩაიცვა, ჯიბეებში ხელები ჩაილაგა და გაშტერებული გაჩერდა სარკის წინ. რაღაცას ეძებდა, მაგრამ — რას, ვერაფრით ვერ იხსენებდა. გარეთ გავიდა, ტროტუართან დადგა და პირველსავე მანქანას აუწია ხელი. ახალთახალი „ვოლგა“ რბილად მიაკვდა გუდრონს.

— შეიძლება? — თავი დახარა დალიმ.

— დაბრძანდით, გენაცვალე! — გაუღიმა კარგად ჩაცმულმა ახალგაზრდა კაცმა. დალი უკან დაჯდა და კუთხეში მიიყუჟა. მანქანის პატრონი აღელდა. მგონი ბედს გადავეყარეო, გაიფიქრა.

„ეს მძღოლი არ არის.“ — მიხვდა დალი, ახლალა გაახსენდა, სარკის წინ რომ საფულეს ეძებდა.

— თუ შეიძლება მოაბრუნეთ, ფული დამრჩა! — თქვა დალიმ.

— ფული რა შუაშია... — მოიხედა კაცმა.

— მაშინ უნივერსიტეტთან მიმიყვანეთ! — მოკლედ უთხრა დალიმ.

ორს უკვე აღარაფერი აკლდა, როცა დალი უნივერსიტეტის ეზოში შეეკვეა. ეზოში აქა-იქ სტუდენტები დადიოდნენ. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, თავდახრილი დალი, თითქოს ძირს რამეს ეძებდა, ნელა მიდიოდა ბაღისაკენ. ისე გასცდა შენობას, რომ, საბედნიეროდ, ნაცნობი არ შეხვედრია. გაზონებს გაუსწორდა თუ არა, ფეხს აუჭარა. სულ ეგონა, აგერ-აგერ გავიგონებ სროლის ხმასო. როგორც ყოველთვის, ახლაც ხმის ეშინოდა და არა სროლის, მაგრამ მაინც აძაგძაგებდა. ყელზე წითლად დაფოთლა.

მეტეოსადგურთან კაცი შეეკი არ ჭაჭანებდა ელგუჯას გარდა. ორს უკვე აღარაფერი უნდა კლებოდა, რადგან ცოტა ხნის წინ მარტოხელა მგზავრმა, რომელსაც საათი არ აღმოაჩნდა და ელგუჯამ გაიფიქრა, რაა დღეს არავის საათი არა აქვსო, უთხრა: ორს ათი ან თხუთმეტი წუთი ეკლებაო. ელგუჯა ცისფრად შეღებილ მესერთან იდგა და ჭადრის ხეს ნაჭერ-ნაჭერ აცილებდა დამსკდარ კანს. წარმოდგენა აღარ ჰქონდა, რას უცდიდა, რას აპირებდა, როდესაც დალი დაინახა, ერთხელ კიდევ ჩაიყო ჯიბეში ხელი, რევოლვერი მოსინჯა და ახალგამოჩენილ ადამიანს მიაშტერდა. დალი სულ ახლო მოსულიყო და ელგუჯას მზერაში პირველყოფილი ადამიანის ენება იგრძნო. ასე იხედებოდა იგი მაშინაც, როცა დალიმ ტროლეიბუსის გაჩერებაზე სულ პირველად შეამჩნია. მხოლოდ თმას ზუსტად გვერდზე არ იყოფდა და წმინდად არ ივარცხნიდა. „ნეტავი იცოდეს, რა სასაცილო იყო!“ — გაიფიქრა მან და გაჩერდა.

— მოვედი! — თქვა დალიმ, დაბალ ბუჩქს ხმელი წკირი შეატეხა.

— გხედავ! — უთხრა ელგუჯამ.

elibrary.ge

— რომ არ მოვსულიყავი, რას იზამ-დი? — დაინტერესდა დალი.

— რა უნდა მექნა...

— ჯიბეში რა გაქვს?

— არაფერი.

— შენ ხომ არ გგონია, რომ ნორმა-ლური ხარ? — გაიღიმა დალიმ და პი-ჯაკის გამობერილ ჯიბეს თვალი მოაშო-რა, მერე დაკვირვებულად მიიხედ-მი-ხედა აქეთ-იქით. მაშინდა გაარკვია, სად იყო.

— თუ ნებას მომცემ, ახლა წავალ, ძალიან მეჩქარება!

— ვერსად ვერ წახვალ! — უთხრა ელგუჯამ.

დალი უცბად მიხვდა, რომ მართლა არსად წამსვლელი არ იყო. ფეხსაც ვერ მოიცვლიდა, სანამ ეს ადამიანი ნებას არ მისცემდა. საშველი არ ჩანდა და ადრე თუ მალე ორთავენი დაიღუპე-ბოდნენ. იგრძნო, როგორ გაუთბა სა-ფეთქლები, ხემ და მესერმა ფერი და-კარგა და დაღამდა. ელგუჯა სწრაფად დაიხარა, ბაღის მოსარწყავად დატოვე-ბული ჯუჯა ონკანი მოუშვა, ხელი დაიბანა და დალის სახეზე ჩამოესვა. დალიმ სისველე და სიგრილე იგრძნო, კვლავ ინათა, მზე აბრჭყვიალდა, გა-ფერადდა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა ელგუჯამ.

— არა.

— მაშინ წავიდეთ.

— ცოტა მოიცა, — თქვა დალიმ და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. — შენისეულ თერმოსი გავტეხე.

— რატომ?

— გამივარდა ხელიდან, გარედან არა-ფერი ეტყობა, მაგრამ შიგნით სულ ჩაიმჩხვლა...

— ჩაიმჩხვლა და ჩაიმჩხვლეს, რა ვუ-ყო ახლა...

დალი და ელგუჯა ზოოპარკში წავიდ-ნენ. პირდაპირ იქიდანვე დაეშვნენ თავ-დაღმართში. გაიარეს ბუჩქნარები, ბინ-ძური ღელეები და ბოგირზე გადავიდ-ნენ. რამდენიმე საეჭვო შესახედაობის კაცმა დაუფარავად გამოაყოლათ თვა-ლი. „ერთი მეტყოდეს ვინმე რამ, ოღონ-არ მინდა არაფერი!“ — ფიქრობდა ელ-გუჯა.

არასოდეს დალის ამ უგზოზე არ უვ-ლია. მაინც არაფერს უცნობდა, არა-ფერს თაკილობდა. ზოოპარკში ნაცნო-ბებს არ ერიდებოდა. ვისაც რა უნდოდ-და, ის ეთქვა და ის ეფიქრა. ვინ იცოდა, მერამდენედ დადიოდა ამ ხეივნებში, სადაც ყველაფერი ნაცნობი, უხალისო და მოსაწყენი სამზერი იყო. დაბალ მოაჯირთან გაჩერდნენ. გალიაში მგლე-ბი ყუნცულობდნენ. ელგუჯამ საჭიროდ ჩათვალა ეთქვა, ძალები კი გეგონა-სო. შემდეგ სერიოზულად მოყვა, რა განსხვავება იყო ძაღლსა და მგელს შორის.

— შენ გიყვარს მგლები? — ჰკითხა დალიმ.

— კი. — დაუფიქრებლად უპასუხა ელგუჯამ.

— ძაღლან?

— ისე რა...

„მგელი რა შესაყვარებელია, ნეტავი ვიცოდე?“ — ფიქრობდა დალი.

თავი ოცდამეთერთმეტე

დალის და ელგუჯას უფრო და უფრო უჭირდათ ერთმანეთთან შეხვედრა. დალი ხან სულ აიშვებდა, აღარავის ერიდებოდა, ხანდახან გადაჭარბებულ-ლად ფრთხილობდა და ყველაფრის ეშინოდა. ძნელი ასატანი იყო ამდენი მალვა და საზოგადოებასთან თვალხუ-ჭობანობას თამაში. ვინ იცის, რას არ ლაპარაკობდნენ, როგორ არ ჭორავდ-ნენ. უკვე დანახვა არ უნდოდა იმ თა-ვაზიანი, ნაცნობი სახეებისა, ყოველი ფეხის ნაბიჯზე რომ ხვდებოდნენ. ყველას თვალებში ეწერა, რას ფიქრობდა. ზოგი დასცინოდა, ზოგს უხაროდა, ბევრს უკვირდა, რამდენიმე თანაუგრძ-ნობდა, უმრავლესობას არ სჯეროდა და ზოგს შურდა კიდეც. რა უნდოდათ, რა აინტერესებდათ? მისი საქმის ვის რა ეკითხებოდა? დალის ეჩვენებოდა, რომ მთელი ქალაქი ჭიანჭველებით

იყო დასახლებული. მის გარშემო დაესულებლად მოძრაობდნენ პატარ-პატარა, სწრაფი და უხმო ჭიაჭველები. ყოველ კარგი, ჩათვლები და სემინარები მოითავა და ჭიაჭველებს ნაკლებად ხვდებოდა, თორემ ამდენს ვეღარ აიტანდა. თვითონაც ცდილობდა უმიზნოდ გარეთ არ გამოსულიყო.

უნივერსიტეტს ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის პროფესორ-მასწავლებელთა დელეგაცია ესტუმრა. დელეგაცია ათი დღით პირობდა საქართველოში დარჩენას. თარჯიმნად დალი შელია დასახელეს. დალიმ უხალისოდ და შიშით (გგონა, ინგლისურად თავისუფლად ვეღარ ვილაპარაკებო) იკისრა ეს მოვალეობა.

დალი დღე და ღამე დელეგაციას დაჰყვებოდა. გვიან ღამით დაღლილი და შეწუხებული ბრუნდებოდა შინ. წუწუნებდა, ეს რა დღეში ჩავვარდიო, მაგრამ მოუთმენლად ელოდა გათენებას და სტუმრებთან შეხვედრას. ამ საქმეზ ისე გაიტაცა, რომ დანარჩენი ყველაფერი გადავიწყდა, გამოცოცხლდა და გახალისდა. თითქმის მთელი დღე გაუჩერებლად ლაპარაკობდა ინგლისურად და აღტაცებას ვერ მალავდა.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ამბობდა: ამ ქალმა პირდაპირ გვასახელაო. თვითონ სტუმრები მოხიბლულები იყვნენ დალის სილამაზით, სიობოთი და სიყვარულით.

ველინგტონის უნივერსიტეტის ახალგაზრდა რექტორმა წონასწორობა დაკარგა. უკვე დაუფარავად ეტრფოდა ქალს და ეს მოქმედება ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობის საზღვრებს სცილდებოდა. სიცილითა და ხუმრობით ეფიცებოდა დალის სიყვარულს. დალიც ხუმრობაში და სიცილში ატარებდა დროს და საღამოს ყველაფერს ქმარს უყვებოდა.

ბადრი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი უსმენდა თარჯიმან მეუღლეს. ცოტას ბრაზობდა, მაგრამ არ ეჭვიანობდა და ცოლს არაფერს უშლიდა.

ელგუჯამ ვერ გაიგო, სად გადაიკარგა, დალი იმ დღეებში. შინ ვერ ურეკავდა და უნივერსიტეტშიაც ვერ დალანდა.

კვირას სპორტის სასახლეში სახელოვან სპორტსმენებს შეხვედრა მოუწყვეს და ელგუჯამ უცსო ხალხში ჩამჯდარი დალი სცენიდან დაინახა. შესვენებაზე მთელი სასახლე დაიარა, მაგრამ ვეღარსად იპოვა. კონცერტი დაიწყო თუ არა, დალი და უცხოელები საპატიო ლოჟაში შეშოვიდნენ. ელგუჯა სულ დაიბნა. სამაგიეროდ, დალიმ მეორე დღეს ტელეფონით რაღაც ნახევარ წუთში სულმოუთქმელად მოუყვა ყველაფერი. დაპირდა, მალე განახავო და მთელი ერთი კვირა უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა.

უცხოეთის დელეგაცია მცხეთაში აპირებდა გამგზავრებას. უნივერსიტეტის ეზოში დიდი, რბილი ავტობუსი იდგა. ახალთახალ ავტობუსს ფართო, წითელი ხაზი სარტყელივით ჰქონდა შემოხვეული. კაბინაში დასაცსული მძღოლი იჯდა და გულგრილად იხედებოდა ფანჯრიდან. დელეგაციის წევრები და მასპინძლები ეზოში დასეირნობდნენ; საუბრობდნენ. იცინოდნენ და ავტობუსში ჩასხდომას სულ არ იჩქაროდნენ. დალის ირგვლივ სულ წრე იყო შეკრული. იგი შეუსვენებლად ლაპარაკობდა; ხანდახან ისე გულიანად გაიცინებდა, რომ თვითონვე ეხათრებოდა.

ელგუჯამ იმ დღეს უნივერსიტეტის საჭიდაო დარბაზში შეიარა, ეზოში ავტობუსი იუცხოვა, ხალხს დააკვირდა და მალე დალიც დაინახა; გვერდზე გაუხვია და განმარტოებით გაჩერდა დაბალი ფიჭვის ქვეშ.

დალი ორ ჭარმაგ მამაკაცთან იდგა. მოსაუბრეებს მალე სხვებიც მოემატნენ. დალი მარჯვნივ და მარცხნივ იხედებოდა; იცინოდა და თითქმის ყველას ერთდროულად ეპასუხებოდა.

ელგუჯა ძალიან გაერთო ამ სურათის

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო ჭეიშვილი

ᲓᲐᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცქერით. გოცებულიც კი დარჩა. არაფრით არ ეგონა, თუ დალის ამდენი შეეძლო. ქალი არ იბნეოდა და უყურადღებობას, რასაც იგი ყოველი ფეხის ნაბიჯზე ამეღვანებდა, ახლა ვერაფრით ვერ დასწამებდი.

„სამაგიეროდ ისეა გართული, რომ ვეღარც მამჩნევს!“ — ფიქრობდა ელგუჯა.

საიდანღაც დაბალი ტანის კაცი გამოძვრა, პირდაპირ ავტობუსის მძღოლს მიადგა და უთხრა: სასწრაფოდ ავტობუსი მოატრიალეო. მძღოლმა იმწამსვე მოტორი ჩართო. რამდენიმე ხნიერი ქალი დაფეთდა და ავტობუსის ღია კარს მიაშურა. მძღოლმა დაიძახა: ნუ ჩქარობთო, მაგრამ ქალებს ვერაფერი შეასმინა. დაბალმა კაცმა უთხრა, ჩასხდნენ. შენც რა გენაღვლებაო. ქალების დანახვაზე სხეებიც აფორიაქდნენ. ამასობაში ავტობუსი დაიძრა და მალე შენობას მიეფარა. დარჩენილებმა ვერ გაიგეს, რა მოხდა. დაბალი კაცი ახსნა-განმარტებას ჰპირდა მუნჯურად. თვითონ დალისაც, რომელსაც კარგად იცნობდა, მაგრამ იმწუთს ისე ეგონა, ქართული და რუსული არ ესმისო, ხელებით დაუწყო ლაპარაკი.

— რა მოხდა? — იკითხა დაბნეულმა დალიმ ინგლისურად.

— ბენზინს ჩაასხამს, ბატონო, და ამწუთას მობრუნდება! — ქართულად უპასუხა დაბალმა კაცმა. დალის გაეცინა.

ავტობუსიც მალე გამოჩნდა, იგი მთელი სისწრაფით წამოვიდა პირდაპირ და მოწყვეტით გაჩერდა იქვე ხეესთან.

— უკაცრავად ვარ თქვენთან! — უთხრა დაბალმა კაცმა დალის.

დალიმ ვერაფრით ვერ გაიგო, რას ებოდიშებოდა ეს ადამიანი. არაფერსო, თქვა მერე მაინც ღიმილით, უცბად მობრუნდა და პირდაპირ წავიდა.

„ჩემთან მოდის!“ — მიხვდა ელგუჯა.

— სალამი!

— გაგიმარჯოს.

— აქ რას აკეთებ?

— არაფერს, გიყურებთ...

— წამოხვალ მცხეთაში? — — —

ამ სიტყვებზე ბიჭს გული მოუვიდა და წამოწოლილა კიდეც.

— ისე მართლა, სად დაიკარგე ეს დღეები? — უცბად გაიღიმა დალიმ.

— მე დავიკარგე? — გაუკვირდა ელგუჯას.

— რომ იცოდე, რა დღეში ვარ! — უკან მიიხედა დალიმ.

— ესენია შენი სტუმრები?

— კი.

— კიდევ არიან? — დაუფიქრებლად იკითხა ელგუჯამ და იმწამსვე მიხვდა, ეს სიტყვები, რომ სულ ტყუილუბრალოდ წამოისროლა.

— ესაა სულ, რასაც ხედავ! — გაეცინა დალის.

— საინტერესოა! — თქვა ელგუჯამ.

— იმ კაცს, ავტობუსის წინ რომ დგას, მარჯვნიდან მეორე, არ მიაჩერდე, შეეუყვარდი.

— რა?

— შეეუყვარდი... — მშვიდად გაიმეორა დალიმ.

— ვის, რომელს, რას ლაპარაკობ?

— ცოტა ხმადაბლა!

— ვიზე ამბობ აბა, მითხარი...

— გამხდარი, შავი კაცი რომ დგას ავტობუსის კართან, ვერ ხედავ? — გაეცინა დალის.

— ა. ვხედავ, კი ვხედავ...

— მაშინ საკმარისია, აქეთ გამოიხედე!

სტუმარმა მართლაც იგრძნო რაღაც. ავტობუსში ავიდა, ფანჯარასთან დაჯდა და ქალ-ვაჟს დაკვირვებით შეხედა. „ნამდვილად ჯიშიანი ხალხია, სადღაც მათი ამპარტავნობის გამართლებაც შეიძლება!“ — გაიფიქრა მან.

— ესე იგი, ასეა საქმე? — გამხიარულდა ელგუჯა.

— ასეა კი...

— უხერხულია, ველოდებიან.

— მაშინ წავედი, დაგირეკავ ხვალ ან ზეგ... ზეგ უკვე თავისუფალი ვიქნები.

დალი ავტობუსში ჩაჯდა. გარედან ჩანდა, როგორ გაისწორა თმა და მერე ალბათ დაგვიანებისათვის ბოდიშიც მოიხადა. წვეროსანმა კაცმა, რომელსაც ხელში ჩიბუხი ეჭირა, ეტყობოდა, რაღაც იხუმრა, რადგან ყველამ ხმამაღლა გაიცინა.

„თუ ჩემზე იცინიან, მაგის ნახევარიც არ ეკადრებათ!“ — გაიფიქრა ელგუჯამ.

დალის შინ არყოფნის დროს ბადრი თითქმის სულ შინ იჯდა. რაღაც ოჯახურ სითბოს და სიმყუდროვეს გრძნობდა. დალი თითქოს ახლა მასთან უფრო ახლო იყო, ვიდრე ოდესმე. ხშირად ბადრი ჩრჩებოდა ბავშვთან. ბავშვს უკვე დამოუკიდებელი არსებობისაკენ ჭქონდა მიდრეკილება, თვითონვე საქმიანობდა და ერთობოდა. სხვას ნაკლებად აწუხებდა. ბევრი ლაპარაკიც არ უყვარდა, მაგრამ მამას ხანდახან ისეთ უცნაურ კითხვებს აძლევდა, რომ ბადრი შტერდებოდა. ბიჭი ხშირად საათობით იჯდა და ხატავდა. ბადრიმ რამდენჯერმე გაუსწორა ნახატი, მაგრამ შვილმა ძალიან უხალისოდ შეისმინა მამის რჩევა-დარიგება. ამის შემდეგ მამა შვილს აღარაფერს უშლიდა. მდუმარედ ჩასცქეროდა ნახატებს და უყვირდა, რატომ აფერადებდა ბავშვი ბუჩქებსა და ხის ტოტებს წითლად და ადამიანებს მწვანედ.

სულ ბოლო დღეს, როცა დელეგაციის სამშობლოში გამგზავრების დრო დადგა, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა დიდი ბანკეტი გამართეს, თუმცა პურ-მარილის საჭიროება მაინცდამაინც არ იგრძნობოდა. სტუმრები ისედაც შეშუხებულნი იყვნენ ამდენი ჭამა-სმით. ზოგიერთი გაბრუებული დადიოდა და სად იყო, ისიც არ იცოდა.

ბადრიმ ცოლს ვერცხლით მოსვევდებული, ძვირფასი კუოა მისცა, დელეგაციის ხელმძღვანელს აჩუქეო. ხელმძღვანელს ძალიან მოეწონა საჩუქარი. ისე შეშუხდა და მოიხსთრა, რომ აღარ იცოდა, რა ექნა. როცა გაიგო, ეს

„ინსტრუმენტიც“ ღვინის სასმელიაო, გაოცდა. მთელი ამათი ნიჭი სმაში და სასმელების კეთებაში გადასულაო, გაიფიქრა. დალის უთხრა, ამ სასმელით, სამშობლოში რომ ჩავალ საქართველოს სადღეგრძელოს დავლევ, თუ მოვახერხეო.

თბილისელმა პროფესორმა სტეფრე ინგლისურად დალოცა და ყველას ბედნიერი მგზავრობა უსურვა.

ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით დელეგაციის ხელმძღვანელმა სპასუხო-სამადლობელი სიტყვა თქვა და თავისი გამოსვლა ასე დაამთავრა: საქართველო ისეთი ლამაზია, როგორც დალი შელიაო. ეს სიტყვები დალის ბოლომდე არ უთარგმნია, თუმცა სუფრის წევრების უმრავლესობამ ინგლისური ისედაც იცოდა.

ეროდრომზე რეჟისორმა დალის თავისი წიგნი უსახსოვრა და სთხოვა: წერილი გამომიგზავნე და თუ ოდესმე ავსტრალიაში, ან უკიდურს შემთხვევაში, ახალ ზელანდიაში მოხვდეთ, გვინახულეო. თქვენც ნუ დაგვივიწყებთო, უთხრა დალიმ.

თავი ოთხმოცდამეოთხე

თბილისში მთელი ერთი თვე წვიმის წვეთი არ გადმოვარდნილა. ჭადრის ხეების ნახეკრადშემკული ფოთლებზე მტვერი იდო. ალეონზე მთავარ ქუჩებს რწყავდნენ, მაგრამ ქვაფენილი მაინც მტვრით იყო დაფარული. ჰაერი შეგუბდა. საღამოობით ცაზე ღრუბელი გროვდებოდა. ყველას ეგონა, მოწვიმსო, მაგრამ ღილით ისევ მზე აცხუნებდა და მოკრიალებული ცა ჩანდა.

თბილისი ისევ დაცარიელდა. მოჭიდავეებიც მიიფანტ-მოიფანტნენ. ვარჯიში შეწყდა. ელგუჯას მარტოობა გაუჭირდა. ყოველნაირი საქმე დაელია და უდარდელ ხალხს ჰპყვა. დაღამებულს შინ მიბრუნებული შუადამემდე კითხულობდა წიგნს. მერე აღარ ეძინებოდა. გამთენიის ხანს წათვლემდა, ესიზმრებოდა, რომ კვდებოდა და ძილში აკანკალდა. კვლავ თავის ტკივილები ეწყო. მიხვდა, რომ ისევ ცუდად მიდიოდა მისი საქმე და წონასწორობა დაკარგა. „ჩემი მარტო გაჩერება აღარ შეიძლება“. — ფიქრობდა იგი. დღედღეზე მუშაობის დაწყებას აპირებდა და ამის იმედი ჰქონდა. სამუშაო ბევრგან შესთავაზეს, მაგრამ გივისთან, ჟურნალში მუშაობა ირჩია.

გამხდარი პოეტი უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე აპირებდა გადასვლას. ძველგვიპტურის გარდა ახლოსაღმოსავლეთის ბევრი მკვდარი და ცოცხალი ენა იცოდა და ლიტმუზაკად დროს დაკარგვა მართლაც არ უღირდა. მით უმეტეს, როდესაც იმ ხანებში ორი საშვილიშვილო საქმე მოაგვარა ერთდროულად: შეირთო ცოლი და დისერტაციაც დაიცვა.

ელგუჯა გრძნობდა, ლიტერატურული ცხოვრება რომ სპორტს ჩამოაშორებდა თანდათან; გული წყდებოდა, მაგრამ ჭიდაობაზე ისედაც აპირებდა ხელის აღებას. მსოფლიოს ჩემპიონობას უმიზნებდა, თორემ აქამდეც სხვა გზას ეწეოდა. სპორტმა დანდობა არ იცოდა. თუ ჭკუას არ იხმარდი, ისე სწრაფად წახვიდოდი უკან-უკან, რომ დაფიქრებას ვერ მოასწრებდი. მერე ძველი დამსახურებებიც გაფერმკთალდებოდა და გაუფასურდებოდა.

ყველაზე მთავარი მაინც შემოდგომაზე უნდა მომხდარიყო. დალიმ და ელგუჯამ საბოლოოდ გადაწყვიტეს ერთად ცხოვრება. ბოლოსდაბოლოს ყველაფერში შეთანხმდნენ. პირველ ხანს, ბადრის მოსარიდებლად, ქალაქიდან გადაკარგვასაც აპირებდნენ. შემდგომ ამისა, იმედოვნებდნენ, რომ ყველაფერი რიგრიგობით მოგვარდებოდა და კალაპოტში ჩადგებოდა.

ელგუჯას მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. მარტოობას მხოლოდ და მხოლოდ ულლის დადგმა თუ უშველიდა. უკვე აღარ იცოდა, დალი მართლა ისევ ისე უყვარდა, თუ — სჯირდებოდა.

კიმოთემ ახალი ნაცნობ-მეგობრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძინა და ელგუჯა თითქმის მიივიწყა. მხოლოდ ფეხბურთის დროს გაიხსენებდა ძველ ძმაკაცს. თანაც მოდიოდა ზუსტად თამაშის დაწყების წინ.

— რაზე შეწუხებულხარ? — ეკითხებოდა ელგუჯა.

— ბილეთი მინდა.

— ცოტა უფრო გვიან ვერ მოდი, რა გეჩქარებოდა?

კიმოთე მხრებს იჩეჩავდა, ორაზროვნად იღიმებოდა, რას ვიზამთ, საწყალი ხალხი ვართ, ჩვენთვის თავის შეწუხებაც არ ღირსო. ელგუჯას ეცინებოდა, პატარა ბარათს წერდა და კიმოთეს ფიჩკულტურის ინსტიტუტში აგზავნიდა.

— წამომყევი შენც, მარტო რა წამოიყვანს! — იღრიჯებოდა კიმოთე.

— წადი, ძმაო, თავი დამანებე!

— ტაქსის ფული მაინც მომეცი.

— კიდევ რა გინდა?

კიმოთე ელგუჯას ერთ მანეთსაც ააღლეტდა და კომიტეტში გარბოდა. თითქმის არასოდეს ხელცარიელი არ დარჩენილა.

ელგუჯას თვითონ მუდმივი ბილეთი ჰქონდა, მაგრამ ფეხბურთისათვის სხვებივით არ გიჟდებოდა და მის ადგილზე სანახევროდ სხვა იჯდა.

კიმოთეს ძალიან აინტერესებდა ელგუჯასა და დალის ამბავი. კითხულობდა, როგორაა თქვენი საქმეო. ელგუჯა იყრუებდა და ისე იქცეოდა, ვითომ დალი შელია აღარც ახსოვდა ვინ იყო. კიმოთეს უკვირდა, აბა ხალხი რას მიედებ-მოედებაო. უხაროდა, ყველაფერი ტყუილი რომ იყო და ეცინებოდა. მერე თავის სარაინდო-სამოჯინურო ამბებს ყვებოდა, რაღაც ფანტასტიკურ მითებს იგონებდა, მეტი დამაჯერებლობისათვის თავს იმცირებდა და სისულელეებსაც იბრალებდა.

დიმიტრი ბოლო დროს მოტყდა. ძველებურად აღარაფერი ახალისებდა. ეერის ბაღში თითქმის აღარ გადიოდა. ვირზე რომ შესვეს, ვერ მოინელა. სწორედ იმ დღიდან დაიწყო მისი ცხოვრების ახალი ერა.

ერთ დღეს დიმიტრი გივის ესტუმრა და სრულიად საიდუმლოდ გაანდო, ცოლს ვირთავო. გივი იმწამსვე მიხვდა, რომ დიმიტრი არ ხუმრობდა.

— ვის ირთავ, ბიჭო, ვინ არის?

— არის ერთი... ქალად ქალს არა უშავს, მაგრამ ქე არის კინაღამ ჩემი ხნის.

— ბავშვი არ ყოფილა, მაგრამ რას იზამ! — დაამშვიდა გივიმ.

— სამაგიეროდ, კარგად ცხოვრობს, ახალი, ფართოკრანიანი ტელევიზორი აქვს...

გივი კარგა ხანს იყო, მხოლოდ თავისთავზე და ოჯახზე ფიქრობდა, სხვისი დარდი ნაკლებად აწუხებდა, მაგრამ ამ ახალმა ამბავმა მაინც შეაშფოთა. მოეჩვენა, რომ დიმიტრი კლღიდან ვარდებოდა. უღელში თავს შეყოფდა თუ არა, იმ დღესვე საკუთარ თავისუფლებას მოუღებდა ბოლოს; დაკარგავდა იმ ერთადერთ უპირატესობას, რაიც სხვებისათვის სანატერელი და საოცნებო იყო; არადა, იქნებ სწორადაც იქცეოდა? შეირთავ, ინანებ, არ შეირთავ — ინანებო, გაახსენდა გივის და მეგობარს გადაჭრით ვერაფერი ურჩია. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს საქმე თავისთავად ჩაიშალა და დიმიტრის ცოლი მერე აღარ უხსენებია.

ელგუჯას თანაჯგუფელი გოგონები სოფლის მასწავლებლად გაამწესეს. ზოგიერთები, გზაც რომ იქით ჰქონდათ, მართლა სოფლად წავიდნენ და კარგადაც მოეწყვნენ. რამდენიმე გოგომ თბილისში იშოვა ადგილი და დედაქალაქში დარჩა. ბიჭები კი, ელგუჯას გარდა, ასპირანტურაში დატოვეს. სამ ბიჭს მერე ორი გოგო დამატება. ერთიორმაც ლიტერატურის ინსტიტუტში დააპირა საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარება. ისე რომ, ყველანი, მეტნაკლებად, სახარბიელოდ ჩალაგდნენ.

ბადრი კილაძემ მუშაობა დაიწყო. მეგობარმა რეჟისორმა თელავის თეატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რში მიიწვია მხატვრად. ბადრი ახალ სპექტაკლს აფორმებდა. პიესა სპექტმბერშივე უნდა წარმოედგინათ. ბადრი ერთგულად და მონდომებით მუშაობდა. რეჟისორს არაფრით არ ეგონა, თუ ბადრი საქმეს ასე დაუდებდა გულს. არჩევანით კმაყოფილი იყო. თელავის თეატრში თვითონაც პირველად მუშაობდა, იქ დარჩენას სულაც არ აპირებდა, მაგრამ რამდენიმე სპექტაკლით თეატრალური სამყაროს გაოცება უნდოდა და პრემიერაზე ნახევარი თბილისი ჰყავდა მოწვეული.

ბადრის სხვა გეგმებიც ჰქონდა დაწყობილი. ერთი ახალგაზრდა კინორეჟისორი, რომელიც ბადრის ნათესავად ეკუთვნოდა, კინოფილმზე იწვევდა მხატვრად. სცენარი მზად იყო და აღბათ შემოდგომაზე წინამოსამზადებელ სამუშაოებს დაიწყებდნენ.

დალი გახარებული იყო, ბადრი რომ ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტ გზას დაადგა. გახალისდა და გამხიარულდა. ახლა ცოლ-ქმარს უფრო მეტად ესმოდათ ერთმანეთის, ვიდრე ოდესმე. ქალი მიხვდა, რომ ბადრი აი იყო ცუდი ადამიანი. გამგები უეჭველად გაუგებდა. ახლა როგორ უნდა ემტრო ასეთი კაცისათვის? საეჭველი როგორ უნდა გაემხილა? არადა, უთქმელობაც არ იქნებოდა. მოსაკვეთი დროზე უნდა მოკვეთილიყო. საქმე კი უფრო და უფრო, დღითი-დღე რთულდებოდა. რაც არ უნდა მომხდარიყო, რა დღეც არ უნდა დამდგარიყო, ქმარს უნდა გაყროდა. ყველაფერი დროზე ჯობდა, მაგრამ დალი ამ დღეს სულ იქით და იქით სწევდა.

ბადრი კვირაში ერთხელ ან ორჯერ ჩამოირბენდა თბილისში. როცა ბადრი შინ არ იყო, დალი და ელგუჯა ერთმანეთს ხვდებოდნენ. ბადრის კი ცუდი სიზმარიც არ აწუხებდა. ოჯახში მშვიდობა იდგა და ეს იყო. ქმარი ცოლს სამსახურის ამბებს უყვებოდა და რჩევა-დარიგებებს სთხოვდა. დალი სიამოვნებით იზიარებდა ქმრის სიხარულს.

ბავშვი ეუეუნასთან ერთად ქვეშხეთში ისვენებდა. დალი ხშირად დღე-ღამე მარტოდმარტო იყო გამოკეტილი ოთახში. სულ ტელეფონს იყო შიფუოდებული. ელგუჯას ხმის გაგონებაზე ჟრუანტელი ეცოდა. ელგუჯას გარდა არ ახსოვდა არაფერი. ბავშვის დარდიც კი არ აწუხებდა ძველებურად. თავს ვერ უტყდებოდა, ვერ უმხელდა, რომ ბავშვზე მეტად სხვისი უნახავობა ჰკლავდა. ვეღარც წერდა, ვეღარც კითხულობდა. თვალთ სინათლე არ ჰქონდა. სანამ ელგუჯას არ ნახავდა.

იმ დღეს მზე გადაიხარა თუ არა, ოდნავ აგრილდა. მაღალი ჭადრების ჩრდილები დაეფინა ფილაქნებს და ქვის სახლების ფასადებს. კვირა დღე იყო. რუსთაველის პროსპექტზე უკვე მოსეირნე ხალხი იყო გამოსული. ელგუჯა უდარდელად იდგა სასტუმრო „თბილისის“ წინ. ხელში ვერცხლის ძეწკვზე მობმული მანქანის გასაღები ეჭირა. მუქი, მოგრანტისფერო ჯინსები და წმინდად ნაქსოვი იაპონური პერანგი ეცვა.

ქუჩის პირას, გადასასვლელთან, ხალხი იყო შექუჩებული. პროსპექტის ცალი გვერდი ჩაეკეტათ და მოძრაობა ჭირდა. მღებავები თეთრი ოლიფით ფეხსოსნებისათვის გადასასვლელზე ასფალტს აშაღრაკებდნენ. ორი მუშა კი თეთრ კვადრატებს მთელ სიგრძეზე მრგვალ რკინის კონუსებს აყოლებდა. პრიალა ლითონს შიგ გაბურებულ გუდრონში აჭდობდა. ერთი მუშა, ძირს რომ იყო დაცუცქული, წინასწარ დანიშნულ ადგილზე მარწუხებით ფრჩხილებიან ლითონს დებდა, — მეორე უზარმაზარ ეროს იქნევდა და რკინას რამდენიმე დარტყმით დედამიწაზე აბრტყელებდა, ძირს მყოფს სულ არ ეშინოდა მოქნეული ეროსი, ზედ ცხვირწინ ზუილით რომ ჩაუქროლებდა ხოლმე.

ნასიცხარი ადამიანები ზანტად უყურებდნენ ამ სურათს. სუსტი ნიავი უბერავდა და, როგორც ვთქვით, აგრილებულიყო კიდეც, მაგრამ ხალხი ამ გადაშუადღეებს კიდევ უფრო მოეთენთა. საქმეზე მიმავალი მგზავრები ჩერდე-

ბოდნენ, კისრებს იგრძელებდნენ. ზოგიერთები წინ მოძვრებოდნენ და იმედგაცრუებულნი ტოვებდნენ იქაურობას. იმასაც ვერ ხვდებოდნენ, რა თვალის სასერო ამბავს უყურებდნენ დარჩენილები.

„ინტერესებთ, მოარტყამს თუ არა ეს კაცი მოქნეულ ურაოს ამხანაგს თავში. ამიტომ იცდიან?!“ — მიხვდა ელგუჯა და ამ აღმოჩენით იმედგაცრუებული. გვერდზე შეტრიალდა.

ტრიტუარზე ზურგით გიგის „ვოლგა“ იყო მომდგარი. მანქანის ცალი ფრთა შავად იყო გადღებული და სულ არ ესადგებოდა საერთო ტონს. ელგუჯას ახალი ნაყიდი ფრთა ხელახლა უნდა შეეღება და ამისათვის უფრო იყო წამოსული, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მხოლოდ სამშაბათისათვის, ისიც დიდი ნაცნობობით და პატივისცემით, დაჰპირდნენ დახმარებას.

ელგუჯას წარმოდგენა არ ჰქონდა, სად უნდა წასულიყო, საღამომდე დრო სად გაელია. ოცი წუთის წინ მთამსვლელი ბიჭები რესტორანში ექაზეზოდნენ, თითო ბოთლი დავლიოთო, მაგრამ ამ თითო ბოთლს მერე რა მოჰყვებოდა, კაცმა არ იცოდა. მით უმეტეს, როდესაც მთამსვლელებს უჩა მეწლე ახლდა და ფაქტიურად ის იყო ამ წამოწყების მეთაური. ელგუჯა ამტკიცებდა, კაცს ვალოდები და ამ წუთს შემოვალო, თორემ ასე იოლადაც ვერ გადარჩებოდა. ბიჭებმა მაინც გულით საყვარელი დააფიცეს, არ დაგვაღალატინო.

— აბა გელოდებით! —დაიძახა უჩა მეწლემ და მთამსვლელებს თამამად გაუძღვა წინ, თუმცა არაფერი საერთო ალპინიზზთან არ ჰქონია და კაცმა რომ თქვას, არც დანარჩენები მიდიოდნენ მწვერვალების დასაპყრობად. ელგუჯა ვერაფრით ვერ იტყოდა, იმ ბიჭებთან ყოფნა და ლაპარაკი არ მინდაო. მარტო უჩა მეწლეს მასხარაობა რად ღირდა, მაგრამ ღვინის დანახვა არ შეეძლო. წასასვლელი იყო დისერტაციის დაცვაზე და წლისთავზეც. აქაც და იქაც საქმეს სუფრა მოჰყვებოდა და მარტო დედამიწისელის საღდეგრძელოს გახსენებაზე ეყრებოდა გულს. ელგუჯას პირადი, თითქმის გადაუდებელი საქმეც ჰქონდა. საერთოდ, იმდენ ალაგას იყო წასასვლელი, რომ ადგილიდან ვერ იძრიდა და უმისამართოდ იყურებოდა.

ჰორიზონტზე ალფეზა მაჩაბელი გამოჩნდა. ელგუჯამ შორიდანვე შეხედა და იმწამსვე დაეკარგა თვალთაგან. ცოტა ხნის შემდეგ ზედ ცხვირწინ ჩაიარა. ელგუჯამ მოარიდა თვალი და თან გაუკვირდა, სად იყო, სად გაელანდაო. ელგუჯას სულ არ სიამოვნებდა ალფეზას დანახვა. ისინი ისედაც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებით ერთ სადალაქოში, სადაც რჩეული თბილისელი ბიჭები იპარსებოდნენ და იკრიჭებოდნენ, ვერ უქცევდნენ ერთი მეორეს გვერდს. ელგუჯა ალფეზას ალარ ესალმებოდა. მართალია, ერთხელ შერიგდნენ. მერე თითქოს დაძმაკაცდნენ კიდეც, მაგრამ წყალი ისევ აიმღვრა. ელგუჯამ ვერაფრით ის ძველი ამბავი ვერ მოინელა. დრო გადიოდა და უფრო და უფრო იბოღმებოდა. ალფეზ მაჩაბელმა რაღაც იყნოსა და ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან აცილების მიზნით გადაწყვიტა, ელგუჯას თვალში მაინცდამაინც ალარ შეჩხერეოდა.

— ელგუჯა! — დაიძახა ვიღაცამ.

ტროტუარზე ბელა იდგა.

— ოჰ! — თქვა ელგუჯამ და გაზონს გადაახტა.

ერთმანეთი გადაკოცნეს.

— როგორა ხარ? — იკითხა ქალმა.

— ისე რა, შენ როგორ ხარ?

— კარგად, არა მიშავს... — უმიზეზოდ გაიცინა ბელამ.

ბელას დაბალქუსლებიანი ფეხსაცმელები ეცვა. ხელში წიგნი ეჭირა. ტანსრული ქალი, რომელსაც გადატეცული, რბილი სახე და ყელი ჰქონდა, დაბალიც ჩანდა. სამაგიეროდ მჩატე იყო და ჰაეროვანი.

— რატომ არ გამოიარე ჩვენთან?

— იმ დღეს ისე დავითვერი...

— მერე რა მოხდა... — ეშმაკურად გაიღიმა ბელამ და მოციმციმე, წაბლისფერი თვალები ელგუჯას მოარიდა. — დედაჩემს ისე მოეწონე, რომ მეტი აღარ შეიძლება, სულ გკითხულობს...

— დედაშენი კარგი ქალია. — უადგილოდ თქვა ელგუჯამ და გონებაში შეეცადა გაეხსენებინა, დაახლოებით მაინც როგორი იყო ბელას დედა.

— დედა წყალტუბოში წავიდა.

— როდის?

— სადაცაა ჩამოვა...

— ხომ არ გათხოვილხარ?

— არა, ბატონო, ჯერ... — გაიცინა ქალმა.

— აქეთ სად იყავი?

— აქეთ საქმე მქონდა. — მოკლედ უპასუხა ბელამ, თუმცა მეტით არც მკითხველი დაინტერესებულა. ისინი ლაპარაკით გაუდგნენ გზას.

— მუშაობა ხომ არ დაგიწყია, ელგუჯა?

— ჯერ არა... შენ ისევ იქ ხარ?

— არა, დავანებე თავი... მე კონსერვატორიაში ჩავაბარე დაუსწრებელ ფაკულტეტზე... ახლა დასწრებულზე მინდა გადასვლა.., ნეტავი ადრე მომეხედა ჩემი საქმისათვის... ამ ხუთ წელს ტყუილად არ დავკარგავდი. დედაჩემს დავუჟენე, ფილოლოგიურზე უნდა მოვეწყო გინდა თუ არ გინდა-თქვა და მაინც ჩემი გავიტანე. არც ახლა მაქვს დიდი ჭკუა, მაგრამ მაშინ სულ სულელი ვიყავი.. მანანა გათხოვდა, იცი?

— რას მეუბნები?

— კარგი ბიჭია, სხვათაშორის, ალბათ იცნობ... არ შეიძლება არ იცნობდე... გუშინ თამაზი ვნახე, ხომ იცი, სად მუშაობს?

— ვიცი, კი...

ელგუჯას შაბათა წამოეწია, იგი რაღაც მორიდებით მოდიოდა კედელ-კედელ და ტილოს თეირი ქუდი იღლიაში ჰქონდა ამოდებული. მარტო ხეტიალი მოსწყენოდა და ელგუჯას კავალრობაც არ გახარებია. ფეხებში რომ არ აბლანდებოდა, მისალმებასაც არ აპირებდა. ელგუჯამ ხელით ანიშნა, სად მიდიხარო.

— სალამი, ელგუჯა! — თავაზიანად მოიხარა წელში შაბათა და ბელას ცალი თვალით გადახედა.

— უჩა „თბილისში" შევიდა. — უთხრა ელგუჯამ.

შაბათა ცივად მოტრიალდა და რესტორნისაკენ გაქანდა.

— შენ გახდი, ხომ იცი... — უთხრა ბელამ ელგუჯას.

— არა, პირიქით... — ეს რა წიგნია?

— არაფერი ისეთი, ისე დავიჭირე ხელში... ჰა, ნახე. რა წიგნსაც გინდა გაშოვნინებ. ჩემი ნაცობი მუშაობს წიგნის ბაზაში... მე სულ იქ ვყიდულობ წიგნებს, რა კინოა?

— შევიდეთ გინდა? — ფრთხილად შეაპარა ელგუჯამ და წიგნიც ხელში მიაჩეჩა.

— არა. — ცივად იუარა ქალმა. — გაგიყდი შენ, თბილისში რა ჭორიკანა ხალხია, არ იცი?

— ხალხს რას უყურებ... მთავარია ის გვაკეთოთ, რაც მე და შენ გაგვეხარდება.

ბელამ გაიცინა და ელგუჯას ფრთხილად ხელზე წიგნი დაარტყა.

— ისე, მართლაც რატომ არ უნდა შეიძლებოდეს კინოში ერთად შესვლა ან სხეგან სიარული, რა მოხდა მერე, მაინცდამაინც სხვა რამე უნდა იფიქრონ?

— არ ვიცი! — გული მოუვიდა ელგუჯას.

— მოდი რა, მართლა ჩვენთან? — ხელმეორედ სთხოვა ქალმა.

— შენც რომ გამოიარო, არაფერი გიჭირს.

ბელამ ერთხელ კიდევ შეავლო კინოს აფიშას თვალი და გზა განაგრძო. ელგუჯას ეგონა, ნათქვამი ვერ გაიგო.

— სად ცხოვრობ ბიჭო, შენ? — იკითხა ქალმა ცოტა ხნის შემდეგ.

ელგუჯამ უთხრა, სადაც ცხოვრობდა.

— ასე ვერ დავიმახსოვრებ, კალმისტარი არა გაქვს?

ელგუჯამ კალამი მიაწოდა.

— რა ლამაზია, სად იშოვე?

— გქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მინდა, მისამართი მითხარი! ბელამ წიგნი გაშალა და პირდაპირ თავფურცელზე მიაწერა ყველაფერი.

— მხოლოდ უნდა ვიცოდე, როდის მოხვალ, სულ სახლში კი არ ვზივარ!

— ტელეფონი გაქვს?

— კი.

— ჩემი ნომერი ხომ იცი, მითხარი და შენსასაც დავიწერ.

ბელამ წერა დაამთავრა და წიგნი დაკეცა.

თავი ოცდამეორე

შუადღის ხვატი იყო. შორს ფერდაკრეული ცა ჩანდა.

ღია ფანჯარასთან რაღაც მწერი ყრუდ და გაბმულად ზუზუებდა. მისი ტანსასთვის შეუფერებლად დიდ, ისრმისფერ ფრთებს ფარფატებდა და ერთ ადგილას იყო ჰაერში გაჩერებული. ნიავი არ უბერავდა. ხეზე ფოთოლი არ ინძრეოდა. არსაიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. თითქოს ქვეყანა ძილად იყო მიგდებული.

ელგუჯა ტახტზე იყო გაშოტილი და თავს მკვდრად თვლიდა. სასიკვდილო არაფერი სჭირდა, მაგრამ ერთობოდა და ვერავითარ უცნაურობას ამ თამაშში ვერ ხედავდა. ახლა არა, მაგრამ ერთ მშვენიერ, ჩვეულებრივ დღეს ხომ მართლა მოკვდებოდა? ადრე თუ მალე, ეს დღე ხომ აუცილებლად დადგებოდა? ყველაფერი დასრულდებოდა და სამუდამოდ დამთავრდებოდა, თუ დასასრულის შემდეგ არაფერი არ იყო, სიცოცხლეს რა აზრი ჰქონდა. ადამიანი ცოცხლობს სამშობლოს ბედნიერებისათვის, მიზნისათვის, ბრძოლისათვის, შრომისათვის, უკეთესი მრწამსისათვის, შთამომავლობისათვისო. გასაგები და ცხადი იყო და არც ერთ დებულებაში ელგუჯას ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს სიკვდილის არსებობას, მორალურ (და არა ბიოლოგიურ) უაზრობას ხომ ვერ გამორიცხავდა.

ერთხელ თომა ქალაქიდან შეღამებულს ურმით სოფელში ბრუნდებოდა. ელგუჯა მაშინ სულ პატარა იყო, სკოლაშიაც კი არ დადიოდა. ურმის დაბალ ნულ ძარაში იჯდა — ვვიმრის ფოთლებში და ხმელი ჩალის ნარჩენებში ჩაფუთნული. მეურმეებს სხვა გლეხებიც დამშვიდებოდათ და ლაპარაკით მიდიოდნენ მთვარიან გზაშარაზე. ელგუჯას ჰრიალა ჭილზე ეკიდა ცალი ხელი და ყურებდაცქვეტილი უგდებდა სიტყვას ყურს. ერთი გლეხი ამტკიცებდა, ტყეში ადრე ალები ბუდობდნენო; მთვარიანში ჭალაში ჩადიოდნენ, ტანს იბანდნენ და ოქროს თმას ივარცხნიდნენო. რამდენი მარტოხელა ვაჟკაცი წაუხდენიათო. ტყის ქალი შეგიყვარებს, დაგნებდება, მაგრამ თუ ღალატი გულში გაიკლე, არ დაგინდობსო.

მთვარით განათებული გზის ცალ კიდეს ხეებისა და ძეძვის ჩრდილი ეფინა. ჩამუქებული, ტყიანი გორები და სერები ალაგ-ალაგ მკრთალად იყო ანერცხლილი. სადღაც დელე ჩხრიალებდა. სიჩუმეში ეკლის ხის ღერძი ჭრიალებდა გაბმულად. ურმის ფრჩხილები შარაზე მიფხოკიალობდა.

...მთავარი სიყვარული და გაგებაა თვარა, ადრე თუ გვიან ყველა მოვკვდებითო, თქვა ნათლდედასთან ვახშმად შეგვიანებულმა და შექეიფებულმა გლეხმა. გლეხი დაიხარა, ძოწითალო მიწას ხელი დაადო და ხმამაღლა განაცხადა: დრო მოვა, ვერც ერთი ჩვენთაგანი ამ გზაზე ვერ გაივლის, ეს გზა და მიწა იქნება და ჩვენ აღარ ვიქნებითო.

— მართალი ხარ, ბიძია, მართალი! — დაემოწმა თმაგათეთრებული ბერიკაცი, რომელიც ჯერჯერობით მთელი ცხოვრება ზუსტად იმ გზაზე დადიოდა. ამ ლაპარაკით გაოცებულ ბავშვებს მალე ჩაეძინა.

მხოლოდ მეორე დღეს, ისიც შუადღით გაიხსენა ყველაფერი. სახლში შეირბინა და დედას ჰკითხა. მართლა ყველანი მოკვდებით თუ არაო.

— ყველანი. — უთხრა დედამ..

რეზო ჭეიშვილი
ᲓᲐᲚᲘ

— შენც?

— როცა დიდი გაიზრდები, როცა შვილები გეყოლება, მე რომ დავბერდები და თმები გამითეთრდება, მაშინ ჩემი დროც მოვა.

— მეც მოვკვდები?

— შენ არა, — წამოიძახა შეშინებულმა ქალმა.

— თუ ყველა მოკვდება, მე რატომ არ მოვკვდები?

— იმიტომ რომ პატარა ხარ.

— როდესაც გავიზრდები, როდესაც დავბერდები?..

— ახლა ყველაფერი სწრაფად იცვლება და შენ დაბერებამდე ისეთ სასმელს მოიგონებენ, რომ არავინ არ მოკვდება.

გახარებული ბავშვი სათამაშოდ წავიდა.

მაშინ რა იოლად დაიჯერა ყველაფერი. სადაა ახლა ის უკვდავების წყალი, ანდა დედაჩემი სადღაა?.. ფიქრობდა ელგუჯა და მწერის ბზუილს უგდებდა ყურს. ისრმისფერი მწერი სიყრუეს აძლიერებდა და ელგუჯას ეჩვენებოდა, თითქოს დრო იყო გაჩერებული. სამყარო უძრაობას შთაენთქა. სამაგიეროდ, პატარა ხმაურზე კრთოდა, გული უბაგუნებდა და გვიანობამდე საგულეში არ ჯდებოდა.

ამ სახლში დალისა და ბაღრის საერთო ნაცნობები ცხოვრობდნენ და დალის ყოველი გამოჩენა უაზრო თავგანწირვას უდრიდა. სულ იოლად შეიძლებოდა, ვიღაცას ბაღრისათვისაც დაერეკა და ქალის კვალზე ქმარიც მოსულიყო. მაშინ რა მოხდებოდა, ღმერთმა უწყოდა.

დალის მაინც სულ შიში დაჰყვებოდა. უკვე ნერვები ვერ უძლებდა ამ დაძაბულ მოლოდინს. დროზე მაინც გამოჩენილიყო ვინმე. იქნებ ბელასაც ენებებინა მობრძანება? გუშინაც დარეკა. გარკვევით არაფერი უთქვამს, მაგრამ ყველაფერი მოსალოდნელი იყო. შეიძლებოდა ქალები ერთდროულადაც მოსულიყვნენ. სერი ეს იქნებოდა. „რაც არის, ისაა.., არავის არ ვებოდიშები... თუ საქმეს გამიჭირვებენ, შევირთავ იმ ბელას და ის იქნება. მის პატრონს ... ჰყავს მეტი არავინ. მერე რამბელა ... აქვთ. თუ ჭკვიანად არ იქენი, ისე დაიკარგები შიგ, რომ უკან ვერ გამოხვალ. წამოვწვები მერე ხოპანქარიეთ. მე შენ გეტყვი, უარს მეტყვის, ის დღესვე მიატოვებს თავის საქმოს, თუმცა იმ ბიჭმა მგონი თვითონ მიატოვა... რა საშინელი შუადღეა. შეიძლება არსებობდეს საშინელი შუადღე? ასეთი გამოთქმაც არ უნდა იყოს...“

სადარბაზოდან ქალის ქუსლების ხმა მოისმა.

„თუ ბელაა, დაიკაკუნებს“. — გაიფიქრა ელგუჯამ.

ოთახის კარი ფრთხილად გაიღო.

„დალია...“ — მიხვდა ელგუჯა და თვალები დახუჭა.

სტუმარი ფეხაკრეფით შემოვიდა, ფრთხილად მიიხედ-მოიხედა და მერე მძინარეს დაჩერდა. ცოტა ხნის შემდეგ ელგუჯას მოეჩვენა, რომ ოთახში არავინ იყო და ყველაფერი ელანდებოდა. შეკრთალმა გაახილა თვალი. დალის თმა შეეკრიჭა თითქმის ყურებამდე. მაღალი ყელი მოშიშვლებოდა და უფრო გამხდარი და სუსტი ჩანდა. სახეზეც შეცვლილიყო და ელგუჯამ ვიღაც უცხოს მიამგვანა. „ეს რა უქნია, როგორ შეუჭრია თმა?!“ — ფიქრობდა იგი.

— რას მიყურებ? — ჰკითხა დალიმ.

— დაჯექი. — უთხრა ელგუჯამ და თვითონაც წამოჯდა.

— რატომ?

— ოჰ! — ამოიხვნეშა ელგუჯამ.

დალიმ გაიღიმა და დაჯდა. ელგუჯამ ხელი გადახვია. დალიმ თავი დახარა, მკლავი მოიშორა და ადგომაც დააპირა. ელგუჯას ხასიათი წაუხდა, ვეერდზე გაჩოჩდა და კედელს ბეჭით მიაწვა.

ოთახი ახლა სულ დადუმდა. ფანჯარასთან ის დაღუპული მწერიც არ ბუზუნებდა.

— რა სიჩუმეა, ასე მგონია, სამარეში ვარ!.. — ჩურჩულით თქვა ცოტა ხნის შემდეგ დალიმ.

ფერდაკარგული ელგუჯა უცბად წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგა, გაიარ-გამოიარა და ისევ კუთხეში დაჯდა.

— შენ რა მშიშარა ხარ, ჩემს მეტმა ხომ არ იცის არავინ... — თქვა დალიმ.

— მე რატომ ვარ მშიშარა?

— არ ვიცი... ისე ვთქვი...

— თუ არ იცი, რას ლაპარაკობ! — ელგუჯამ იდაყვქვეშ მუთაქა შემოიკეცა და თვალები მილულა.

— გეძინება? — ჰკითხა დალიმ.

ელგუჯამ ხმა არ გასცა.

—არ გესმის?

— არა.

— მაშინ მე წავალ!

ელგუჯა უცბად გასწორდა და თვალიც გაახილა.

— აბა რას მეკითხები, დღე კი არა, ღამე არ მძინავს!

— მართლა არ გძინავს? — იკითხა დალიმ.

— ხომ არ გგონია ვხუმრობ?!

— მერე რატომ არ თქვი აქამდე!

ელგუჯამ გაიღიმა და დალის გადახედა. ახლა დალიც იღიმებოდა და თეთრი კბილები მოუჩანდა.

— გინდა შეგილოცო?

— შენ რა უნდა შემილოცო?

— თუ გინდა-თქვა, გეკითხები...

— მინდა, კი.

დალი მოტრიალდა, ელგუჯამ მოშიშვლებულ მუხლისთავებს დაადგა თვალი.

„როგორ აძლევს ქმარი ასეთი მოკლე კაბის ჩაცმის ნებას?“

— მიეხვდი, რაც გაიფიქრე.., — ჩაილაპარაკა დალიმ, ლურჯი თვალები ერთ წერტილს მიაშტერა და დაიწყო:

— ...იოანეე, ღამისაო, მომცემელო ძილისაო. ძილი მიეც მძინარეს. სულო წმინდაო, გარემისისა, ოთხო თავო სახარებისანო... საცა თქვენი სახელი იხსენებოდეს, ყოველი მავნე გაქრებოდეს. ჯვარი გეჭიროს ჯვარითა, სამებისა ძალითა. უფალო, მოგვეც ბორკელი ბეღიელისა, რკინისა. შეეკრათ, შეეჯაჭვოთ მოარული ღამისა, მაკლებელი ძილისა. რა იყო, რამ შეგაშინა? დედამ შეგაშინა თუ მამამ შეგაშინა? ძმამ შეგაშინა, თუ დამ შეგაშინა? ქალმა შეგაშინა თუ კაცმა შეგაშინა? ავმა ანგელოზმა შეგაშინა, თუ კარგმა ანგელოზმა შეგაშინა? მთვარემ შეგაშინა, თუ მთვარის ანგელოზმა? გულო, ჩადექი, გულო, ნუ გეშინია...

ელგუჯამ დალის მაჯებზე სტაცა ხელი, წამოაყენა და მოიზიდა.

— ხელი გამიშვი!

— არ გაგიშვებ!

— ვიცი, მომერევი, ვიცი, ღონიერი ხარ...

ელგუჯამ ხელი ჩაიქნია და დალის თავი დაანება. დალი წამოდგა, კაბა და პერანგი გაისწორა, მაგიდაზე პატარა სარკე მოძებნა და ჩაიხედა.

— ერთი ხერხიანი სარკე უნდა გიყიდო... თქვა მან და შეკრეჭილ თმაზე ჩამოისვა ხელისგულები. მოკლე თმა, ეტყობოდა, ეხამუშებოდა და ხშირად ხელს იკიდებდა.

— სარკის გაჩუქება არ ვარგა?

— მე მგონი, არა.

— მაშინ რა გაჩუქო სამახსოვროდ?

— რა უნდა მაჩუქო, არაფერი არ მინდა.

— ადამიანი რომ კვდება, რა ემართება, არ იცი?

— მე საიდან უნდა ვიცოდე? — შეკრთა ელგუჯა.

— აბა, როგორ?.. ადამიანი არაფერი არ არი? მოკვდება და გაქრება? — ღიმილით კითხულობდა დალი და სარკეში იხედებოდა.

ვიღაცამ სადარბაზოს კიბე აიარა. ვინ იცის, ვინ იყო, ვინ მოდიოდა? ელგუჯას ისევ აუჩქარა გულმა და ფეხებიც გაუშეშდა.

— ნეტავი მალე მოვკვდებოდე, და სხვაგან გამეღვიძებოდეს. ვიღაცამ მითხრა, ერთი სიკვდილის შემდეგ ადამიანი სხვა პლანეტაზე იცხოვრებსო... შენ არ გინდა, ერთ დღეს რომ სხვა პლანეტაზე გაგეღვიძოს?

ელგუჯამ ვერაფერი ვერ მოისაზრა. რა შეიძლებოდა, ქალისთვის ეთქვა.

„ეს ახლა ჩემ ნერვებზე თამაშობს!“
— გაიფიქრა მან.

— იცი, რას გეტყვი, — მოიხედა დალიმ. — მოდი, მომკალი, თუ გიყვარვარ, მომკალი. პირობას გაძლევ, ყველაფერს ისეთნაირად მოვაწყობ, რომ ვერავინ შენზე ექვს ვერ მიიტანს... სულ ერთი არ არის, მაინც უნდა მოვკვდე... მე მირჩევნია, შენ მომკლა...

— კარგი რა! — დაიღრიჯა ელგუჯა და ფანჯარასთან მივიდა, ძირს გადიხედა და იფიქრა, გადავხტებიო. ამ აზრმა მხოლოდ წამით გაუელვა. მერე თითქოს სხვათა შორის თქვა:

— გვიაროთო, კინოში შევიდეთ.

— კიდევ რა გინდა? — გაეცინა დალის.

— მეტი არაფერი.

— კინოში კი არა, რაღაც ისეთ ხასიათზე ვარ, შენთან ერთად გარეთაც ვერ გამოვალ, თითქოს კართან ვიღაც მელოდება... ჯერ მე წავალ, გზაში დამეწიე...

— გარეთ ძალიან ცხელა? — იკითხა ელგუჯამ.

დალი ელგუჯას მიაჩერდა. ელგუჯა მიხვდა, რომ ქალს არაფერი ესმოდა და მეტი არაფერი უკითხავს.

თავი ოთხმოცდამეოთხე

თოთხმეტ აგვისტოს ღამით ბადრიმ მოულოდნელად თელავიდან თბილისში წასვლა აიხარა. ორშაბათამდე უკან დაბრუნებას არ აპირებდა, მაგრამ რატომღაც სახლში წასვლა მოისურვილა, დალი მოენატრა. იფიქრა, რომ სწორედ დღეს აუცილებლად ცოლის ნახვა იყო საჭირო. ეს სურვილი ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, საქმემაც ვეღარ დააკავა. ამხანაგს მანქანა სთხოვა. ამხანაგმა უარი-ია, რაღა ამ ბნელში წასვლა აგიტყდა, ბარემ დილამდე მოიცადე, დილით მეც წამოვალო. ბადრიმ არ დაიშალა. ამხანაგმა იფიქრა, არ ეგონოს, მანქანა მეანგბაო (სინამდვილეში მართლაც ასე იყო) და მეტი აღარაფერი უთქვამს.

გვარიანი დაღამებული იყო, როცა ბადრი თბილისს მიუახლოვდა. ტაბიძეზე ჩავარდნილი, განათებული ქალაქი რომ გამოჩნდა, რატომღაც აღელდა. ისედაც მთელი გზა უცნაური წინათგრძნობა აწუხებდა, წარბშეკრული იჯდა საჭესთან.

მანქანა ბადრიმ სახლის ფანჯარასთან, ზედ ტრტუარზე დააყენა. ფანჯრიდან ძალიან მკრთალი შუქი კრთოდა და ბადრი მიხვდა, რომ შინ არავინ იყო.

„იქნებ სძინავს?“ — ფიქრობდა იგი, როცა კარს აღებდა. შინ მართლაც არავინ აღმოჩნდა. ბადრიმ იქაურობა მიიარ-მოიარა და გაშტერებული გაჩერდა. სულ ეგონა, აგერ-აგერ შემოაღებს დალი კარს და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებაო. ცოლის მოსვლამდე რამდენჯერმე ჩამორეკა კედლის საათმა.

ბადრიმ არ იცოდა, რა ეფიქრა, რა ევარაუდა. იგი რატომღაც დამშვიდდა, შუქი ჩააქრო და ღია ფანჯარასთან დაჯდა. ქუჩაში იხედებოდა და ღიღინებდა ციხის სიმღერებს.

მთვარიანი ღამე იყო...

ორი საათი დაწყებული იქნებოდა, როცა დალი და ელგუჯა გამოჩნდნენ. ნელა, ლაპარაკით მიდიოდნენ თავდაღმართში. ისინი ყოველთვის ასე იგრძელებდნენ გზას. ერთ კვარტალს გაცდებოდნენ და მერე ზემოდან ჩამოდიოდნენ. ბადრი ვერაფრით ვერ მიხვდა, საიდან, რა ექსკურსიიდან ბრუნდებოდა მისი კანონიერი მეუღლე. იგი გარკვეით უყურებდა დალის და ვიღაც მაღალ ბიჭს, რომელსაც პირველად ხედავდა. ქალ-ვაჟის ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოდიოდა ფანჯრამდე, ბადრის გარკვეით არაფერი ესმოდა, მაგრამ ყველაფერი ნათელი და გასაგები იყო.

— ...ფაქტიურად არავინ არავისთვის არ არსებობს. სინამდვილეში ყველა მარტოა. ადამიანებს მხოლოდ საკუთარი თავი უყვართ... — ლაპარაკობდა დალი.

— დარწმუნებული ხარ? — სხვათა შორის ჰკითხა ელგუჯამ.

— როგორ მომწყინდა, რომ იცოდე, — უთხრა დალიმ. — ყოველ საღამოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამდება, შემდეგ თენდება, ისევ ღამდება, ისევ თენდება... არაფერი არ იცვლება.

ელგუჯა საკუთარ ლანდს დააკვირდა და გუნებაში განსაზღვრა, რამდენად მაღალი იყო ლანდი მასზე. მთვარე ზენიტში იდგა და ლაპდები არც ისე დაგრძელებულიყო, რომ გაზომვა ღირებულიყო.

დალი მიხვდა, რომ ბიჭი ყურს არ უგდებდა.

— შენ ძალიან დაიღალე?

— მოდი, დღეს ნუ ვილაპარაკებთ!

— რატომ?

— ოჰ! — ამოიქშინა ელგუჯამ.

— როგორც გინდა, ისე არც სხვა დროს მოგიკლია ლაპარაკით თავი... — უთხრა დალიმ.

დალიმ ხესთან მანქანა შენიშნა. გაუკვირდა, თუმცა არაფერი იქ გასაოცებელი არ ყოფილა. მსუბუქ მანქანებს იმ მხარეზე ხშირად აყენებდნენ და ღამითაც ტოვებდნენ.

— რას უყურებ? — ჰკითხა ელგუჯამ და ხელზე ხელი მოჰკიდა.

— არაფერს! — ცივად უპასუხა ქალმა.

ელგუჯა მიხვდა, რომ დალის რაღაც ეწყინა. რატომღაც კმაყოფილი სახით ჩაიღიმა და გვერდზე მიტრიალდა.

„ამას უკვე მოვძულდი!“ — გაიფიქრა დალიმ.

— გახსოვს, სულ პირველად აქამდე რომ მომაცილე? ისეთ უცნაურ ამბავს მიყვებოდი, დამე თეთრად გავათენე. საშინელი სიზმრები ვნახე.

— მგონი, ზუსტად ეს დრო იყო... — გაიღიმა ელგუჯამ. — მგონი, მაშინაც გიორგობა იყო და შეიძლება ახლაც გიორგობაა — მთვარის აღვსების დღე.

ელგუჯას ნათქვამი დალის ხერხიანად აღარ გაუგონია, დაბნეული იყურებოდა და თავისი სახლის ფანჯრებს და საღარაბაზოს ათვალიერებდა. ცალი ფანჯარა ღია იყო. „შეუძლებელია, მე არ დაშრჩენია!“ — ფიქრობდა იგი.

ბაღრი გაშეშებული იჯდა სახუნდარში. სიბაბელეში არ ჩანდა, თუმცა კაცმა რომ თქვას, დამალვას არ ცდილობდა. ყურები უბაკუოდა და გარკვევით ესმოდა და რაღაც წუილი. ერთი გზობა, სახლიდან ჩუმად, უხმაუროდ გადაკარგვაც კი გადაწყვიტა. თითქოს დაუჯერებელიც კია, მაგრამ ვერაფრით სკამიდან ვერ ადგა. „რა მინდოდა, რომ ჩამოვედი, თელავში ამ დროს გრილა... ნეტავი როდის გაიმართება ჩვენი პრემიერა?!“

მოულოდნელად დალი აჩქარდა და წასვლა დაუპირა. ელგუჯასთვის უნდა ეთხოვა, ცოტა ხანი არ წახვიდეო, მაგრამ რატომღაც ვერ თქვა. ოდნავ შეყოყმანდა და ბიჭს დაეშვიდობა.

— კარგად იყავი!

— კარგ ძილს გისურვებ! — უთხრა ელგუჯამ. უკან გატრიალდა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ნელა გაუდგა გზას.

დალი ოთახში შევიდა, შუქი აანთო თუ არა, მისგან ზურგშექცევით მდგარი ქმარი დაინახა. არც შეშინებია, არც მოჩვენებია, რომ ოთახში სხვა იყო. ბაღრი ახლა ფეხზე იდგა, მხოლოდ ისეც ქუჩაში იხედებოდა.

— როდის ჩამოდი შენ? — ჰკითხა დალიმ.

— დღეს! — უკანმოუხედავად უპასუხა ქმარმა.

— რატომ?

— ჩამოვედი ისე... არ მქონდა უფლება?

დალიმ არაფერი არ უპასუხა.

ბაღრი მოტრიალდა და ცოლს დამცინავი, მაგრამ დაუნდობელი თვალებით შეხედა. ამ გამოხედვამ ქალი შეზარა. იგრძნო, როგორ გაუხურდა მთელი სახე. საწოლთან მივიდა, ფეხსაცმელები გაიძრო და ჩუსტები ჩაიცვა.

ბაღრიმ ასანთს გაჰკრა და სიგარეტს მოუკიდა. დალი გრძნობდა, რომ ქმარი მაინც მას უყურებდა.

— ვინ იყო ის პატიოსანი ახალგაზრდა? — წყნარად იკითხა კაცმა.

რომელი ახალგაზრდაო, უნდოდა ეკითხა დალის, მაგრამ მიხვდა, რომ თავის გასულელებას აზრი აღარ ჰქონდა.

— არ გესმის?

— რა გინდა, მითხარი?! — წონასწორობა დაკარგვინა ქმრის მშვიდობიანმა ტონმა ქალს.

— ვინ იყო-თქვა, გეკითხები?

— ჩემი ამხანაგი.

—ის ბავშვი ამხანაგია შენი?

ამ შეკითხვაზე დალი საშინლად გაბრაზდა. ეწყინა, ბადრიმ რომ ელაჯარა ბავშვად მონათლა. თვითონ კი ამ დროს გაუფრთხილებლად, ქურდულად ჩამოვიდა თელავიდან და ცოლს ფანჯრიდან უთვალთვალებდა.

— დიახ, ამხანაგია! — დაადასტურა დალიმ და სამზარეულოში გავიდა. გაზი აანთო და ჩაიდანით წყალი დადგა.

სულ მალე ბადრიც შემოვიდა. ბადრიმ სიგარეტი საფერფლეს დაასრისა და ზეურგით დაბალ, მოთეთრო კარადას მიეყრდნო.

— ჩაი გინდა? — ჰკითხა ცოლმა. ბადრიმ ჩაახველა. ქალს ეგონა თანხმობა თქვაო.

— მურაბით?

— ჯერ ერთი, როდის ვსვამდი მე ჩაის მურაბით?!

— მე რა ვიცი, როცა გინდა, მაშინ კი სვამ!

— მითხარი, სადი იყავი და ვისთან იყავი?!

— შენ თვითონ შემხედე, ვისთანაც ვიყავი...

— ვინ არის?

— შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვინ არის...

— შენ ამბობ, რომ არა აქვს მნიშვნელობა?

— მე ვამბობ, კი.

— გიყვარს?

— მიყვარს, — გამომწვევად უთხრა დალიმ. ეგონა ბადრი დასცინოდა.

— როდის მერე?

— რას ნიშნავს როდის მერე?.. გინდა გითხრა წელი, თვე, დღე და რიცხვი?!

— არა, არ მინდა. — ბადრი დაფიქრდა და წყნარად განაგრძო: — ახლა ტყუილს იტყვი თუ მართალს, აღარ აქვს მნიშვნელობა. მხოლოდ თუ თავი გიყვარს მითხარი, რომ იმ ბიჭთან არაფერი საერთო არ გქონია, შენთვის თითი არ დაუკარებია!

— მქონდა, მქონდა... ყოველდღე იმ ბიჭის სახლში დავდიოდი, ყოველდღე გიალატობდი! — სასოწარკვეთილი ხმით შეჰყვირა დალიმ.

ამ ხმაზე ბადრი წინ წამოვიდა. დალიმ შეამჩნია, რომ კაცს ადამიანის ფერი აღარ ედო.

„ახლა უკვე აღარ დამინდობს!“ — გაიფიქრა მან და თვალები დახუჭა. იმწამსვე თვალწინ ცეცხლისფერმა სინათლემ იალა. სულ ახლო გაისმა ყრუ ხმა, რომელსაც დალისთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. რაღაც მოხდა, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად. როცა გონს მოვიდა, მიხვდა, რომ მუხლებზე იდგა. სახეზე ხელი მოისვა და ტუჩებთან სისხლი იგრძნო.

„ხელი გამარტყა, აი სანამდის მივედით!“ — გაიფიქრა მან და წამოდგა. ქმარმა ისევ გაარტყა გამეტებით. დალიმ ახლა ყველაფერი დაინახა, ეტკინა კიდეც, მხოლოდ სიბრაზემ გაუარა. მაინც წამოდგა და დაბარბაცდა. მიხვდა, ფეხზე ვერ დგებოდა. სკამს რომ ეძებდა, ქმარმა ისევ გაარტყა და სახეში შეაფურთხა.

— ნუ მცემ, გული მაქვს ცუდად!.. — წყნარად თქვა დალიმ და სკამზე დაჯდა. თავი საზურგეზე გადაადგო.

ბადრიმ ზიზღით გადმოხედა. ქალმა ეს მზერაც დაიჭირა, მაგრამ უკვე აღარავითარი მნიშვნელობა ამისათვის აღარ მიუცია.

— ფანჯარა გააღე, ჰაერი არ მყოფნის!

ბადრიმ ფანჯარა გააღო. მიხვდა, რომ დალი მართლა ცუდად იყო.

— მოგიტანო წამალი?

დალიმ ხმა არ გასცა. ქმრის დანახვა და ხმის გაგონება არ უნდოდა.

— ექიმს დავუძახებ!

— არა...

— აბა რა გინდა? — წამოიყვირა კაცმა.

— აღარავისაგან არაფერი არ მინდა, ყველა კარგად იყავით! — თქვა დალიმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომელიც ბაღრიმ ცოლისაგან გაიგო. ბაღრი უცბად შეტრიალდა და ოთახში შევიდა. აკანკალებული ხელებით რიგრიგობით აღებდა კარადის უჯრებს და კარებს, წამალს ეძებდა. უცბად ეს კეთილშობილება წარმოუდგენელ სისულელედ მოეჩვენა; ჩათვალა, რომ მის ოჯახში ერთი რიგითი, იაფფასიანი მელოდრამა თამაშდებოდა. რომელიც, უარეს შემთხვევაში, ცრემლის ღვრით და გულისწასვლით მთავრდებოდა ხოლმე. ამ ეჭშმარიტებაში რომ დარწმუნდა, კარადის კარი მოაჯახუნა მთელი ძალით, ელვისსისწრაფით მობრუნდა, და სამზარეულოში შეეარდა.

დალი სკამზე იჯდა და ღია თვალებით ბაღრის უყურებდა. ყოველ შემთხვევისათვის ბაღრის ასე მოეჩვენა პირველად. ამ მზერამ კაცი შეაძრწუნა. უკანვე შეტრიალდა და გარეთ გავიდა. ნახევრად ჩაბნელებულ სადარბაზოში გაჩერდა: ცოტა ხნის მერე მოპირდაპირე დერეფანში შევიდა და განის კარზე ფრთხილად დააკაკუნა. ვიღაცამ დაიძახა, მობრძანდითო. ბაღრიმ კარი შეაღო.

რუსიკო წიგნის ანაბეჭდებს ასწორებდა. ყოველთვის ვვიან წვებოდა და იმ დღეს საქმის განახევრებაც ვერ მოესწრო. ბაღრიმ შეამჩნია, როგორი გაოცებული თვალებით მისჩერებოდა ქალი. ყმაწვილობის შემდეგ რუსიკოს ბაღრი იქ შესული არ ეხილა და დაიბნა.

— დალი არის ცუდად! — უთხრა ბაღრიმ.

— რა დაემართა, ამ წუთას! — თქვა რუსიკომ და უაზროდ გაჩერდა.

— ცუდად არის. — გაიმეორა ბაღრიმ და მოეჩვენა, რომ საზიზღრად ტყუოდა. „არის“ შეიძლება სულაც აღარ იყოს ის სიტყვა, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლებოდა გვეხმარა.

ორთავენი სასწრაფოდ გამოვიდნენ ოთახიდან. ქალი ძალიან ჩქარობდა, მაგრამ მაინც ბაღრის მოულოდნელ სტუმრობაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე დალის სიავკარგეზე. ვიწრო დერეფანში სქელი, ბადურაპერანგიანი კაცი შეეფეთა. თათ. ეს კაცი ბაღრის სულ ორჯერ-სამჯერ ჰყავდა ნანახი. შეიძლება ახალი გადმოსახლებული იყო. ბადურაპერანგიანმა თავისი ოთახის კარი შეაღო და ბაღრის გვერდულად გადმოხედა.

„ვინ იცის, რა გონია, ბოლოს კი მიხვდება!“ — გაიფიქრა ბაღრიმ.

ბაღრიმ ქალი სამზარეულოში შეგზავნა, თვითონ დიდ ოთახში გავიდა და უაზროდ გაჩერდა ტელეფონთან. სამზარეულოდან რუსიკოს არაადამიანური კივილი მოისმა. კაცი უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო. იმწამსვე ოთახში რუსიკოც შემოვიდა. იგი კანკალებდა და გაკვირვებული, შეშინებული თვალებით ბაღრის უყურებდა.

— სასწრაფოს დავურეკოთ? — გარკვევით იკითხა კაცმა.

რუსიკომ ტირილი დაიწყო. ამის დანახვაზე ბაღრი თითქოს კიდევ უფრო დამშვიდდა. იგი მაინც რეკავდა სადღაც. ზუსტად. უშეცდომოდ კრეფდა ტელეფონის ნომრებს. დაწვრილებით იხსენებდა, სად და რამდენჯერ დაარტყა ცოლს, რა ხანი გავიდა წამლის ძებნიდან მეზობლის მოყვანამდე და სხვა. იცოდა, რა გააკეთა, რა ჩაიდინა. მხოლოდ თითქოს ეს ყველაფერი ძალიან დიდი ხნის წინ, შეიძლება მის დაბადებამდეც მოხდა. ახლა მის სახლში ვიღაცეები დარბოდნენ, ხმაურობდნენ, ტიროდნენ, ყვიროდნენ. ვინ რას შვრებოდა, კაცმა არ იცოდა. რას აკეთებდნენ, რა უნდოდათ. საკვირველი იყო.

— გული ჰქონდა ადრევე ცუდად? — იკითხა თეთრხალათიანმა ექიმმა.

— არასოდეს... — უპასუხა ნამტირალევმა რუსიკომ.

— ეს უარესია!.. — ამოიოხრა ექთანმა ქალმა, წამების ყუთი სკამზე გადადო. ახალი სამზარეულო დაკვირვებით შეათვალიერა და გუნებაში გაიაზგარეშა, რა დაჯდებოდა მთელი ეს მოწყობილობა.

დასასრული იქნება

ჯანსუღ ჩარკვიანი

რწმენის კედელი

ლირიკული პოემა

პოეტი,
გონება,
დაგვიანებული მგზავრი,
სიბა,
ხმა ნუგეშისა.

პოეტი

როცა ვწერ შენზე,
როცა ვწერ შენზე,
ჩემი სიცოცხლე
ბეწვზე ჰკიდია.
ღმერთო მიშველე,
მისადგომს ვეძებ,
ყანის მკას ვიწყებ,
როგორც მინდია.
უნდა მადროვო,
უნდა მაცალო,
არ გთხოვ ჩრდილსა და
არ გთხოვ ტალავერს,
რაიც ამივსე,
უნდა დავცალო
და გადმოვიდე
შენთან ალავერდს.
ჯიან, ყოველი
იწყება ძებნით,
და მხოლოდ
ძებნით მოიპოვება.

მიძუნძულებენ
მშიერი გზები
და იბადება
ჩემი პოემა.
რწმენით უმზერენ
ჭირისუფალნი,
რწმენით უმზერენ
მოიმედენი,
მეშვიდე ცაზე
ტირის ღრუბელი
და მზისკენ ილტვის
რწმენის კედელი.
კედელი,
ჩემი რწმენის კედელი,
ბევრის მნახველი
და შორსმხედველი,
მკლავს,
შენზე ფიქრი განუწყვეტელი,
კედელი,
ჩემი რწმენის კედელი.
მე მერგო წილად,
მე მერგო წილად,
კისრად ტვირთება
შენი იღბალის,
სახურავიდან
ჩამოდის წვიმა,
თონესთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუხი ხარი მიბღავის.
შენი იღბალის
კისრად ტვირთებით
შუბლს ვიგრილებდი,
მკერდს ვიცხელებდი,
ჭრელი მინდორი
ნიოლად ირთვება
და შორს მიჰქრიან
თეთრი ცხენები...
ახლა რა მოხდა,
დაბრუნდი უკან,
შენი გალობის
ზარი მასმინე,
შენს სალამურზე
ვიღაცა უკრავს
როგორ დასთმე და
როგორ გასწირე.
დაბრუნდი უკან,
დაბრუნდი უკან,
შენს სალამურზე
ვიღაცა უკრავს,
ყვავსაც კი
თავის ბახალა უყვარს,
გემუდარები,
დაბრუნდი უკან.

. . .

კედელი,
ჩემი რწმენის კედელი,
ბევრის მნახველი
და შორსმხედველი,
მკლავს,
შენზე ფიქრი
განუწყვეტელი,
კედელი,
ჩემი რწმენის კედელი.
მტრის თვალებიდან
მოწვეთავს წყვილა,
მაგრამ შენ დგეხარ
მაინც საჩვენოს,
ვერ შემარყიოს
ვერავინ რწმენა
და შენი ძილი
ვერ დამაჯეროს.
ვინც დიადია
მისი ჯინი აქვთ,
და მეც იმედის
ფარდა დავუშვი,
კი, ვირჯინია,
კი, ვირჯინია,
მართლა არსებობს
სანტა-კლაუსი.

. . .

ნისლში ლამაზი
კლდეები არ ჩანს,
ჩვენი კლდეები,
არწივებს დარჩათ.
ხარირმებსა და
შვლის ნუკრებს დარჩათ,
ჩვენი ველების
დიბა და ფარჩა.
მოდიან ურმით,
მანქანით,
ფეხით,
მატარებელით,
ცხენით,
მარხილით...
ვაითუ,
ადგეს
ქართველი გლეხი
და სოფელს
გულში ჩასცეს მახვილი.
რომ ჩვენი მტრების
გასახარებლად,
სახლები იქცნენ
ნასახლარებად,
ატირებული
დასტოვოს ვაზი,
ატირებული
დასტოვოს სახლი,
დაჰკარგოს გული,
გონება,
აზრი,
ზვარს ამჯობინოს
ქალაქში დახლი.
მოდიან ურმით,
მანქანით,
ფეხით,
მატარებელით,
ცხენით,
მარხილით...
ვაითუ,
ადგეს
ქართველი გლეხი
და სოფელს
გულში ჩასცეს მახვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ შეგრჩეს შენი
მარილი, მადლი,
როცა გებრძვიან,
წუთებს გითვლიან,
შენს სიცოცხლეში
ამ მიწის ადლიც
სისხლის გარეშე
არ დაგითმია.
ამ დიდი მიწის
იცოდე ყადრი,
გასხოვდეს რაიც
წაღმა გითქვია.
თორემ შენს სახლკარს
ასე დატორიღს,
ნუ გეშინია,
არვინ დატოვებს,
ნუ გეშინია,
მოვა პატრონი
გადამთიელი
და უპატრონებს.

შენ საჭირო ხარ,
საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ახალი ნაწილები და შენაერთები და სასწრაფოდ გაიგზავნა უმნიშვნელოვანეს მიმართულებით. კერძოდ, ახალშექმნილი 242-ე სამოო მსროლელი დივიზია, რომელშიაც 70 პროცენტი ქართველები იყო, გაიგზავნა ზემო სვანეთის უღელტეხილების დასაცავად, ხოლო 392-ე ქართული მსროლელი დივიზია — ჩრდილოეთ კავკასიაში. შეიქმნა თანამედროვე საბრძოლო იარაღითა და საქართველოთი შეიარაღებული ნაწილი ოთხ ალპური რაზმი, თითოეული 500 კაცის შემადგენლობით (უმრავლესობა ქართველები) და გაგზავნილ იქნა ზემო სვანეთში 242-ე სამოო მსროლელი დივიზიის განკარგულებაში. მესტიაში დამატებით გაიგზავნა შინაგან საქმეთა კომისარიატის მსროლელი ბატალიონი, აქაც უმთავრესად ქართველობა იყო, და ა. შ.

1942 წლის 23 აგვისტოს თბილისში შედგა მტინგი, რომელშაც მტკიცედ შეჰფიცა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და უმაღლეს მთავარსარდალს ი. ბ. სტალინს, რომ ამიერკავკასიის ხალხები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდნენ ფაშისტთა ურდოების საბოლოოდ განადგურებისათვის.

მიტინგზე გამოსულმა სახელოვანმა საბჭოთა მეცნიერმა აკადემიკოსმა ი. პერიტაშვილმა განაცხადა: „ჩვენ, საბჭოთა მეცნიერები, პირობას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ძმებო და დებო, რომ მტკიცედ და ბოლომდე ვიმეშაოთ ჩვენ საბრძოლო პოსტებზე ფრონტის დასაბრკოლებლად... შეავმჭიდროვოთ ჩვენი ძალები, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი სიცოცხლისა და ბრძოლის ყოველი საათი და ყოველი წუთი დავუთმიროთ ბრძოლა განადგურების საქმეს. სასტიკი ლახვარი ჩავცეთ სისხლმოწყურებულ მტაცებელ მტერს ამიერკავკასიის მისადგომებთან. უკუვაქციოთ იგი დასავეთისაკენ, უზრუნველყოთ და შეინარჩუნოთ თავისუფალი ცხოვრება, ჩვენი ცოლ-შვილის სიცოცხლე“.

ამიერკავკასიის ხალხთა წარმომადგენლების ანტიფაშისტური მიტინგის მონაწილენი თავის წერილში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მის გენერალურ მდივანს ი. ბ. სტალინს წერდნენ: „სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხებთან ერთად ამიერკავკასიის ხალხები აღდგნენ გერმანელ ფაშიტ ქვეწარმავლებთან საბრძოლველად, რათა დაიცვან თავიანთი ელა, თავიანთი ოჯახი, თავიანთი შვილები, თავიანთი თავისუფალი ცხოვრება, რომ მტკიცედ და მამაცურად, დიდ რუს ხალხთან — ჩვენს უფროს ძმასთან ერთად, ჩვენი საშობლოს ყველა ხალხებთან ერთად ვიბრძოლით გერმანელ ფაშიტურ ყაჩალთა წინააღმდეგ მანამდე, ვიდრე სავსებით არ გავსრესთ ფაშიტს ქვეწარმავალს“.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ჯალარა კავკასიონის ქედის გმირული დაცვის ეპიზოდები.

კავკასიისაკენ გერმანელ დამპყრობთა გამოჭრით საფრთხეში ჩაყარდა ჩვენი ქვეყნის მდიდარი მხარეები — ჩრდილოეთ კავკასია და ამიერკავკასია. ამ მიმე და საბედისწერო მომენტში, როცა ჩვენი დიდი საშობლოს მზიერ კუთხეს ფაშიზმის შავი ღრუბლები ჩამოწეა და სისხლიანი წარიგენთ ემეკრებოდა, უმაღლესმა მთავარსარდალმა ი. ბ. სტალინმა გამოსცა ბრძანება — „ამიერკავკასიის დაცვას ვავალებ ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებს და ამიერკავკასიის ხალხს“, მთავარსარდლის ბრძანებამ კიდევ უფრო მეტადროდ შეაკავშირა ფრონტები და ზურგი. ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების კომუნისტურმა პარტიებმა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების და ადგილობრივი ორგანიზაციების ღონისძიებანი გაიერთიანნეს კავკასიის დასაცავად და ეუშეალოდ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანების შესაბამისად რკინისებური დისციპლინა დამყარეს როგორც ფრონტზე, ისე ზურგში. ასეთი ღონისძიების შედეგად ჰიტლერელთა ურდოები კავკასიონზე შეჩერებული იქნენ.

1943 წლის ოქტომბრის თვეში მტერმა განიცადა სამარცხენი კრახი.

ამ სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში თავ-

გიორგი ჟურაბეული
ქართველები დიდ სამამულო ომში

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწირვით იბრძოდნენ და ჯარების ოსტატურად მართვის ნიმუშები გვიჩვენეს გენერლებმა: კონსტანტინე ლესელიძემ, მიხეილ მიქელაძემ, ილარიონ რაზმაძემ, მიხეილ ღლონტმა, ვიქტორ ლისსინოვმა, ისიდორე სილიგაძემ, იეანე ბაბალაშვილმა, ეიორგი ყუფარაძემ, ეალერიან ძაბახიძემ, ეალოდია ზარელუაშ; პოლკოვნიკებმა: ივანე ქანთარიამ, ენუქი ქანთარიამ, გრიგოლ მანგაძემ, დავით მაჭარაძემ, ნიკოლოზ გვენცაძემ, ვარლამ ჯანჯღავამ, კოტე სოხაძემ, ომარ მუსერიძემ, გენადი ლაბაძემ, მიხეილ ბურკაძემ, მიხეილ ვეთიაშ, ისმაილ გირგვლიანმა, ლავრენტი გოგაძიშვილმა, იოსებ გორგიშვილმა, ნიკოლოზ ხარიძემ, მიხეილ ეკასაოლამ, კოწია ჩირაძემ, მიხეილ ხურცილაეაშ, დავით ფანცხავამ, გიორგი ჩარგეიშვილმა. თავგანწირვით ურტყამდა მტერს ეასილ რუხაძის ბატალიონი მარუხის ბადასასვლელზე.

ფაშისტური გერმანიის სარდლობის მიერ შეკოწიწებული კავკასიისა და ამიერკავკასიის დამპრობის გეგმამ, „ედელვაისის“ სახელით რომ იყო მონათლული ჰიტლერის ბაკი და გენერალური შტაბის მიერ, სამარცხენო კრახი განიცადა. მტერმა ვერ შეძლო კავკასიის ქედის შემოვლა, ვერც ბაკსაკენ გაჭრა.

უნდა ითქვას, რომ ფიფმდე გამოქვეყნებულ გამოკვლევებსა თუ ნარკვევებში, ჯერ კიდევ ძალზე მკრთალად არის გაშუქებული ქართველი ხალხისა და კავკასიაში მოსახლე სხვა მოძმე ხალხების როლი კავკასიის გმირულ დაცვაში. სინამდვილეში კი ქართველებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა, ამ რეპუბლიკების სამეთოა არმიის ეროვნულმა შენაერთებმა, ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების სხვა მოძმე ეროვნებების წვთელი არმიის შენაერთების მხარდამხარ, თავიანთი მკერდით დაიცვეს მზიური ამიერკავკასია ფაშისტთა შემოსეეებისაგან, მძლავრი დარტყმა აყემეს მტერს. როგორც კავკასიია მთებზე, ასეეე მის მისადგომებთან, და უკეთგდეს იგი.

საკმარისია ითქვას, რომ მარტო ზემო სვანეთის ეფლეტეხილზეეს, მარეხზე, ქლეხორაში და ბაქსანის ხეობაში ჰიტლერეი ავაზაკების წინააღმდეგ ოცდაათი ათასი ქართველი მხედარი იბრძოდა.

ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე, ჭ. ნოვოროსიისკედან პორტარტურამდე, ამ რამდენიმე მილიონ კვადრატულ კილომეტრიან ტერატორიაზე ჩატარებული სისხლისმღვრელი ბრძოლებში, რომლებიც განხორციელებულ იქნა საბჭოთა კავშირის ხალხთა მიერ სამამეული ომის პერიოდში და იაპონის კვანტუნის არმიის განადგურების დროს, ყველგან აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველი ხალხის სამაყო შვილები, რიგითი, სერგანტია, ოფიცერთა და გენერალეტტის შემადგენლობა.

1943 წლის ზაფხულში კურსკის რკალზე გერმანელი დამპყრობლები მთელი სერიიზულობით ემზადებოდნენ გრანდიოზული შეტეგისათვეს. გერმანიის სამხედრო მრეწველობა ახალ-ახალ რაღაც გამალებულ წარმოებას შეუდგა, როგორიც იყო ახალი საშველო ტანკი „პანტერა“, ძმიმე — „ვეფხვი“, თვითმავალი ქვეეეზი „ფერდინანდი“. ჰიტლერელებმა ისროლეს ლოზუნგი: „შესანშნავ სალდათ — შესანშნავი იარაღი“. ასეთი ხმაურის ქვეშ შენღებოდა უამრავი ტექნიკა ზაფხულის შეტეგისათვეს.

1943 წლის მაისში, მიუნხენის თათბირზე, ჰიტლერმა განაცხადა: „არავითარი დამარცხებაზ“.

ფაშისტებმა კურსკეის და ოროლის ფრონტეზე 900 ათასი სალდათი და ოფიცერი მოაყარეს (50 დივეზია, ეეთ შორის 16 სატანკო და მოტორიზებეული). ასეთი უზარმაზარი არმია ჰიტლერელებმა გაამლერეს 10 ათასი ქვეეეზითა და ნაღმსატყორცნით, 2700 ტანკით („პანტერა“, „ვეფხვი“ და „ფერდინანდი“), 900 თვითმფრინავით. ამ ვეეებერთელა არმიის უნდა გაეძართვლებინა ჰიტლერელებს ოცნება;

1. მიეღწია გადამწყვეტი სტრატეგიული გამარჯვებისათვის.
2. დიპრუნებია დაკარგული ინიციატივა.
3. მოეხდინა გარდატეხა თავეს სასარგებლოდ.
4. ალეო რეეაზეში მოსკოეთან, სტალინგრადთან, კავკასიონის მისადგომებთან დამარცხებისათვეს.

საბჭოთა ჯარების უმაღლესმა მთავარსარდლობამ წინასწარ გაითვალისწინა ფაშისტთა ონეები, კურსკეა რკალზე საკმაო ოდენობის ჯარების განლაგებას კლასიკური ორგანიზაცია ეფო და მათ შეიარაღებაში უპირველეს ტექნიკა შეიტანა. გერმანელი უროფების მოულოდნელი შეტეგა გამორიცხული იქნა.

1943 წელს, 5 ივლისს, გაჩაღდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა. ორივე მხრიდან ხუთი ათასზე მეტი ტანკი მოქმედებდა. მოწინააღმდეგის ტანკების შენაერთებზე ჩვენს ტანკებს გაბედული იერიშები მიუქნიდათ, ტანკების მოქმედება ისე აირია ერთიმეორეში, რომ მხარდამჭერი არტილერია, როგორც ჩვენი, ისე მოწინააღმდეგისა, ძალეეთ ეერხი გაბდა მოქმედება შეიწყვეტა. მაგრამ ჩვენმა სახელოვანმა ბვრძოლებმა დაძლიეს წინააღმდეგობა და ბაკია მტერს ზურგზე ბოლი ადგეს.

ამ საშინელ ბრძოლებში 8 ქართველი გენერალი შენაერთებს მეთაურობდა. ესენი გახლავეთ: პორფელე ჩანჩიბაძე, ეალდიმერ ჯანჯღავა, ნიკოლოზ თავართქილაძე, ეერმალოზ კობერიძე, ნიკოლოზ კალაძე, კირილე ჯახუა, ეალდიმერ ნანეიშვილი და ეასტატე ტატანაშვილი.

დიდი სამამეული ომის ფრონტებზე სასახელო საბრძოლო გზა განეკო საბჭოთა კავშირის ბგრიმნა გენერალ-ლეიტენანტმა ეალდიმერ ჯანჯღავამ. იგი ეოლგიდან ელბამდე ფეხფეხეეს დეერნდა ჰიტლერეულ ურდოებს, გზადგზა ანადგურებდა მათ საბრძოლო ტექნიკას და სპობდა ოკუპანტების ცოცხალ ძალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ავიაციის გენერალ-ლეიტენანტის, სამჭოთა კავშირის გმირ ვლადიმერ ნანეიშვილის დამსახურება სამშობლოსა და პარტიის წინაშე, ის ბევრი ქალაქებისა და უამრავი სოფლების განთავისუფლების აქტიური მონაწილეა. მისი ავიაციის მძლავრი დარტყმის შედეგად მტრის ავიაციამ მწარე დღეები განიცადა სტალინგრადის მისადგომებთან, კავკასიის კარიბჭესთან, ტერსკისა და ოროოლის ფრონტებზე, კიევსა და ლვოვთან, ოდესასა და თვით ბერლინში.

ქ. ოდესის გმირული დაცვისას უუჭკნობი სახელი მოიხვეჭეს საბჭოთა კავშირის გმირმა კაპიტანმა ზურაბ ურუშაძემ, შტურმანმა ჯაბაღარმა, პიიპპოლოკინიკმა კირილე გოგიაძ და სხვებმა.

ქ. სევასტოპოლის გმირულ დამცველთა შორის სიმამაცე და გმირობა გამოიჩინეს საბჭოთა კავშირის გმირებმა: პოლტაველმა მიხეილ გახოკიძემ, პოლოკნიკმა არკადი გეგეშიძემ, უმცროსმა მეთაურებმა ადამიან და ობოლაძემ, შავი ზღვის ფლოტის წყალქვეშა ნავის მეთაურმა საბჭოთა კავშირის გმირმა იოანოლავ იოსეფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ კოკილაშვილი

უკვდავი გმირობა

1945 წლის 9 მაისი სამუდამოდ შევიდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როგორც საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა არმიის გამარჯვების ზეიმის დღე.

ამ დღეს საბჭოთა კავშირმა ძლევამოსილად დაამთავრა დიდი სამამულო ომი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, რომელმაც თავი დამარცხებულად ცნო და უსიტყვო კაპიტულაცია მოახდინა. იმ სამახსოვრო დღეს ფაშისტური მონობისაგან გადარჩენილმა მსოფლიომ დიდების შარავანდედით შემოსა საბჭოთა ხალხის, ჩვენი არმიის დიადი გმირობა.

„უკვდავი გმირობა ჩაიდინა სოციალიზმისათვის ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, როცა დიდი სამამულო ომის დროს მთელ მსოფლიოს უჩვენა მასობრივი გმირობის მაგალითი. ეს ომი იყო უმძიმესი გამოცდაც და მამაცობის სკოლაც. იგი დიადი გამარჯვებით დამთავრდა იმიტომ, რომ სოციალიზმმა უზრუნველყო მთელი საბჭოთა საზოგადოების უძლეველი ერთიანობა, მისი ეკონომიკის სიძლიერე და უმაღლესი მობილურობა, სამხედრო მეცნიერების მაღალი განვითარება, აღზარდა შესანიშნავი მეომრები და მხედართმთავრები“. ასეა ნათქვამი სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთვისადმი.

საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები 1.418 დღე-ღამეს ეწეოდნენ გააფთრებულ ბრძოლას ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების წინააღმდეგ. გერმანელთა 170-ზე მეტი რჩეული დივიზია და რუმინეთის, უნგრეთის, იტალიის, ფინეთის 50-მდე დივიზია ერთსა და იმავე დროს შემოესია ჩვენს ქვეყნას სამი მიმართულებით: ლენინგრადის, მოსკოვის და კიევის მიმართულებით. 10 ათასზე მეტი თვითმფრინავი ჰაერიდან ეხმარებოდა ფაშისტთა შემტევ ჯარებს და ბარბაროსულად ბომბავდა საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებს. ჰიტლერელები ვარაუდობდნენ ორ თვეში გაეელვთ 2.000 კილომეტრი ჩვენი დასავლეთი საზღვრებიდან ვოლგამდე.

ფაშისტური გერმანიის მმართველებმა საზარელი ამოცანა დაისახეს: დაემონებინათ ჩვენი ხალხი და მოესპოთ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, ალეგავათ პირისაგან მიწისა მოსკოვი და ლენინგრადი, გადაექცეთ ჩვენი უმდიდრესი რაიონები გერმანელ მექარხნეთა და მემამულეთა კოლონიებად.

ომის პირველი პერიოდის წარმატებებმა თავბრუ დაახვია ჰიტლერელთა სარდლობას. პოლონეთის არმიის დამარცხებამ და ბელგიისა და ჰოლანდიის არმიების კაპიტულაციამ, საფრანგეთის არმიის წინააღმდეგობის შეწყვეტამ, გერმანელ ფაშისტებს მისცა იმის საბაბი, რომ თავხელური ყოყოჩობით ეყვირათ თავიანთი „უძლეველობის“ შესახებ, „თავისი გენერლების შეუდარებელი ხელოვნების“ შესახებ და სხვ. ეს იყო თვითრეკლამა, რასაც იყენებდნენ გერმანელები, მაგრამ მათ ამის საფუძველი არ ჰქონდათ.

ჯერ კიდევ ომის დასაწყისშივე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით თავის მმართველში რადიოთი საბჭოთა ხალხისადმი ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, რომ ჩვენი ქვეყანა მრისხანე საშიშროების წინაშე იყო. იგი ამბობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და: „ფაშისტურ გერმანიასთან ომი ჩვეულებრივ ომად არ შეიძლება ჩავთვალოთ. იგი არა მარტო ორი არმიის ომია, იგი ამასთან ერთად არის მთელი საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელთა ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ. ფაშისტ-მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამ საყოველთაოსახალხო სამამულო ომის მიზანია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დაეხმაროს ევროპის ყველა ხალხს, რომელნიც გერმანიის ფაშიზზის უღელქვეშ გმნისვენ“.

ამბადგენენ რა ევროპელ თავდასხმის ჩვენს ქვეყანაზე, ადგენენ რა „ელვისებური“ ომის გეგმებს, ჰიტლერელები ეარაკენდბენენ, რომ ომის მძიმე განსაცდელის პირობებში საბჭოთა წყობილება შეირყეოდა, საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის უთანხმოება წარმოიშობოდა, ამით ადვილად დაიპყრობდნენ საბჭოთის ქვეყანას, დაეპატრონებოდნენ მის სიმდიდრეს, მონებად გაიხდიდნენ საბჭოთა ადამიანებს. ასეთი იყო მათი მიზანი, მათი დაუოკებელი მისწრაფება. ეს ძალიან კარგად ახსოვს ჩვენს ხალხს.

ჩვენ ისიც კარგად გვახსოვს, თუ რა საზიზღარი, მდაბალი გრძნობები გამოავლინეს ანგლო-საქსონი სამყაროს ყველაზე გამოჩენილმა იდეოლოგებმა საბჭოთა კავშირზე ფერმანიის თავდასხმის დღეს. ამერიკელ და ინგლისელ კონსერვატორებს არა თუ არ სწყმედათ ფაშიზმის განადგურება, არამედ არც სურდათ ეს, — ისინი ფიქრობდენ მხოლოდ დრო მოგვთო, ან იქნება თავის წილი ნადავლიც მიეღოთ, ოცნებობდნენ იმაზე, რომ გერმანელი აგრესორი თუნდაც დროებით გამძლარიყო ისეთი ვებერთელ „ლუკმაი“, როგორიც ჩვენი ქვეყანაა.

სულ სხვანაირად ფიქრობდა პროგრესული კაცობრიობა, რომელიც იმედითა და რწმენით აღვივებდა თვალყურს აღმოსავლეთ ევროპაში გაჩაღებულ საბჭოთა ხალხს გიგანტურ ბრძოლას თავისი სოციალისტური სამშობლოსთვის, კაცობრიობას ხსნისათვის. რუსეთს ეელაზე წყდებოდა მსოფლიოს ბედი.

საბჭოთა ადამიანების მორალურმა სიმტკიცემ თავი ჩინნა. ომის პირველსავე დღეებსა და საათებში. მტრის აშკარა რიცხობრივი და მატერიალური უპირატესობის პირობებში, რომელმაც გამოიყენა უეცრობის მომენტი და ქერდულად თავდასხმული აეაზაკის ყველა მოქნეტი, საბჭოთა მეომრებს კაპიტულაცია არ მოუხდენიათ, უბრძოლველად არ დაუტოვებიათ არც ერთი ქალაქი, არც ერთი სოფელი, თავდაცვის არც ერთი ზღუდე. მორჩილებთან, ქედმოხრილნი არ შეგეგებენან გერმანელ ფაშიზტ დამპყრობლებს. გამბედაობა, სიმამაცე, სიკვდილის არაფრად ჩაგდება, — სოციალისტური რევოლუციის ეს თვისებანი, ბოლშევიკების ეს თვისებანი გაზდნენ მილიონობით პატრიოტ მებრძოლ მეგობართა თვისებად.

ომის პირველსა დღეებმაც კი, რამაც თვალსაჩინო „წარმატება“ მისცა ჰიტლერელ დამპყრობლებს და ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო „ექსპერტთა“ უღრეკად ბესიმისტური წინასწარმეტყველებანი გამოიწვია, სრულიადაც ვერ დაადასტურა გერმანელ ფაშიზტ დამპყრობთა არმიის „უძლეველობა“.

„ამ არმიას ჯერ კიდევ არ შეხვედრია სერიოზული წინააღმდეგობა ევროპის კონტინენტზე. — ამბობდა იმ დღეებში ი. ბ. სტალინი, — მხოლოდ ჩვენს ტერიტორიაზე წაეწყდა იგი სერიოზულ წინააღმდეგობას. და თუ ამ წინააღმდეგობის შედეგად გერმახელთა ფაშიზტური არმიის საუკეთესო დივიზიები დამარცხებული იქნენ ჩვენი წითელი არმიის მიერ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჰიტლერის ფაშიზტური არმიაც შეიძლება ისევე დამარცხდეს და დამარცხდება კიდეც, როგორც დამარცხდნენ ნაპოლეონისა და ვილჰელმის არმიები“.

ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება ის მსხვერპლი, რაც გაიღო საბჭოთა ხალხმა ევროპა ტრის ვასანადგურებლად. ამიტომ. დღეს, როცა ეზეიმობთ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავს, უწინარეს ყოვლისა, ვიხსენებთ და პატეკს ვეცემთ საბჭოთა ხალხის იმ ერთგული შვილების ნათელ ხსოვნას, რომლებმაც თავი დასდეს სოციალისტური სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის სამსხვერპლოზე.

მათ შორის არ შეიძლება არ გავიხსენოთ ახალგაზრდა მეზღვაური პატრიოტები — ზოია კოსმოდემიანსკაია, ლენა ჩიაკინა, ულიანა გორომოვა, ზოია რუხადე, ნიკოლოზ გასტელო, ალექსანდრ მატროსოვი, შოთა გამეცელიძე, შოთა რისტაღაშვილი, ერონის ინაური და ათიათასობით სხვა ჭაბუკი და ქალაშვილი.

თუმცა მეოთხედი საუკუნე გავიდა დიდი სამამული ომის დამთავრებიდან, მაგრამ ომის ვეტერანებს ჯერ კიდევ არ მოუშუშებიათ ჭრილობები, არ გამქრალა იმ ადამიანთა ტანჯვა, რომელთაც საშინელი ნაგვრა-წამება გადაიტანეს. ვანა შეიძლება დავიწყება, როგორ ქმნიდნენ ჰიტლერელი ბარბაროსები მათ მიერ დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიაზე უდაბნოს ზონას, ახუჯად იგდებდნენ ტყეებს, ხერტყნდნენ ეა ახრჩობდნენ მოხუცებს და ბავშვებს, ნამუსს ხდიდნენ და სიცოცხლეს უწამლავდნენ ქალიშვილებს, სწვავდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებს, სპობდნენ მსოფლიო კულტურის ფრინდა რელიქვიებს! „ჩვენ შეშა არ გვესაჭიროება, დავწვავთ ყველა-

ფერს, რაც დაკავშირებულია თქვენი ტოლსტოის სახელთან" — ამბობდნენ გერმანელი ფაშისტი გარეწრები და სპობდნენ ყველაფერს, რაც დაკავშირებული იყო ისეთი გენიოსების სსოვნასთან, როგორიც იყვნენ: ლევ ტოლსტოი, ალექსანდრე პუშკინი, პეტრე ჩაიკოვსკი, ნიკოლოზ რიმსკი-კორსაკოვი, ანტონ ჩეხოვი, ტარას შევჩენკო.

ან როგორ შეიძლება დავიიწყოთ მოკლულთა გამოფენნა ლეონიდ პასაკის შენობაში 1941 წლის 30 ივნისს! „სახლების კედლებთან ელაგა დასახჩრეტელი გვამები, უმთავრესად ქალებისა. ამ შემაძრწუნებელი „გამოფენის" პირველ ადგილზე იყო ქალის გვამი, რომელზეც ხიზტით მიერთო იყო ამ ქალის ბავშვი".

ან კიდევ: ჰიტლერელი ჯანადების მიერ 1.710 დადაბეგული და ოფლეტებული ქალაქი! 31 850 დანგრეული საბჭოთა სამრეწველო საწარმო! მათ მიერ აოხრებული და გამარცელი 98 ათასი კოლმეურნეობა! ათეულ ათასობით მოსპობილი სკოლა, ტექნიკუმი, სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტი, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო.

და განა მარტო ეს? ვინ მოთვლის, ადამიანთა მთელ მწუხარებას, ცრემლებს, რა დაგვიეწეს ომში დალეტილ შვილ მილიონ საბჭოთა ადამიანს! საშუხაროდ, კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებში მოიპოვებიან ადამიანები, რომელთაც სურთ ყოველივე ეს ამოშლილ კაცობრიობის მეხსიერებაში. მაგრამ მათზე როდის ეს დამოკიდებული!

იოლი არ იყო ჩვენი გზა გამარჯვებისაკენ. ომის პირველი ორი წელი ძალიან ძნიმე იყო ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი ხალხისათვის. საბჭოთა არმიამ ჯერ კიდევ 1941 წლის ზამთარში შეაჩერა გერმანელი ფაშისტთა არმიების გაფთრებული შემოტევა სსრ კავშირის დედაქალაქის — მოსკოვის წინააღმდეგ. გაანადგურა ისინი მოსკოვისათვის ისტორიულ ბრძოლაში და შორს გაიქეცა დასავლეთისაკენ. მოსკოთთან დასამარდა ჰიტლერელთა ოცნება ობის ელვისებურად დამთავრებაზე, ოღონ გამარჯვებაზე. მოსკოთთან საბჭოთა ჯარებმა გაჯარწყლეს მითი ჰიტლერული არმიის უძლეველობის შესახებ.

ერთი წლის შემდეგ სტალინგრადთან გერმანელებმა საბჭოთა არმიისაგან იგემეს საშინელი ძალის დარტყმა, რომლის შედეგადაც 300 ათასზე მეტი ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი გაყლატნილ ან დატყვეეულნ იქნა. სტალინგრადის დიადი ეპოპეის შესახებ ლონდონის რადიოს კომენტატორი ეფრაიმ შორიანი მოეკლების მიმოხილვის დროს 1943 წლის 6 თებერვალს ამბობდა:

„ბრძოლა სტალინგრადისა და ეოლგის სამდინარო გზის კონტროლისთვის იყო ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო ოპერაცია ისტორიაში...

მე მთელი ძალებს ვაძაბავი ვიძირები ჩემს მეხსიერებაში და ვცდილობ გავიხსენო მხეალი რამ მსოფლიის წარსულიდან. სტალინგრადისთვის ბრძოლაში დაიღუბა გერმანიის ... ...

თვითონ განთავისუფლება მთელ ევროპას. ინგლის-ამერიკის არმიები, რომლებიც საფრანგეთში გადასხდნენ, შეხვდნენ პატლერული არმიის ხუთრის „დამსეხენებელი“ ნაწილების მხოლოდ სუსტ წინააღმდეგობას, რომელთა მთავარი ჯარები განადგურებული იყვნენ ლემოსაელთის გიგანტურ ბრძოლაში.

არ გამართლდა კაპიტალისტური სამყაროს რეაქციულ მოღვაწეთა ეკოაუღები. საბჭოთა კავშირი ომის მკაცრი გამოცდიდან გამოვიდა არა დასუსტებული, არა სისხლისაგან დაცლილი, არამედ ევროპის ხალხთა გამანთავისუფლებლის დიდების სახელით მოსილ მძლავრ საბელშეფოდ, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე.

ჩვენი შმობლიური კომენისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მან დიდი სამამული ომის განმავლობაში შეარჩია, აღზარდა და პასუხსაგებ პოსტებზე დაწინაურა ახალი ხელმძღვანელი სამხედრო კადრები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ფაშისტურ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ომის მთელი სიმძიმე. ესენი იყვნენ: ვასილევსკი, კონევი, გოგოროვი, ტოლბუხინი, ჩერნიახოვსკი, ანტონოვი, სოკოლოვსკი, მერეცკოვი, როკოსოვსკი, მალინოვსკი, ეროროვეკი, ტოლუბუხინი, იაკოვლევი, მალინინი, ბალეცკი, ტროფიმენკო, ბორბატოვი, შტემენკო, ეტრასოვი, ვერშინინი, ბოლოვანოვი, ფედორენკო, რიბალკო, ბოგდანოვი, ბრეჟნო, კატუკოვი, ლელიუშენკო და მრავალი სხვანი. სწორედ ამ მხედართმთავრების სამხედრო ნიჭმა, გმირულმა შეგრძნებამ, თან მიერ უმაღლესი მთავარსარდლობის შთანაფიქრისა და დრიტმენების განეხილოდ შესრულებამ უზრუნველყო საბჭოთა ჯარების ბრწყინვალე გამარჯვება, რომლებმაც 1945 წლის 2 მაისს გაანთავისუფლეს ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ბერლინი. რაიხსტაგის გუმბათზე გაძარჯვების დროშა აიფრიალეს და მოწინააღმდეგე აიძულეს იარაღი დაეყარა, ხოლო 8 მაისს ფაშიზეეს კაპიტულაციის აქტზე ხელი მოწერა. დიდი სამამული ომი დამთავრდა.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ამ გიგანტურ ბრძოლებში ყველა მოძმე ერების შეიღთა მხარეამხარ იბრძოდნენ ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები.

მოსკოვის დაცვის წინა ხაზზე იმყოფებოდნენ და ჰიტლერელ ბარბაროსოს გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდნენ პ. ჩხობაძის ქვეითები, გ. ალფაიძის არტილერისტები, ე. ტატანაშვილისა და გ. ჩიტაიშვილის მფრინავები, კ. სუხიაშვილის 75-ე საზღვაო ქვეითი მსროლელი ბრიგადის მეომრები და მრავალი სხვა.

ცნობილია, თუ რა ძნიმე განსაცდელი დაატყდა თავს შავი ზღვის დიდების ქალაქებს: სევასტოპოლს, ოდესას და საერთოდ ყირიმის ნახევარკუნძულს. აქ 1941-1942 და 1943-1944 წლებში გამართულ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლებში განსაკუთრებით გამოჩინნა თავი ქართველი ხალხის ათასობით სახელოვანმა შვილებმა. მათ შორის: საბჭოთა კავშირის გმირებმა — ალექსანდრე წურწუმიამ, ნოე ჯაბამიამ, გრიგოლ სხულუხიამ, ალექსანდრე ანანაძემ, იოსიოლეანმა, არკადი გეგეშიძემ, მიხეილ გახოკიძემ, პლატონ წიქორიძემ, ალექსანდრე ბერგენიძემ, ზაქარია ხიტაიშვილმა, დავით ჯანიძემ; გენერალ ს. ჩანჩიბაძეო ჯარებმა, 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეომრებმა გენერალ ვ. ძაბახიძის სარდლობით, ამ დივიზიის მამაცმა მეომრებმა ვლადიმერ პაპიაშვ, გრიგოლ სამხარაძემ და სეროგო ჩხაიძემ, რომელთაგან საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ცნობილია გენერალ კოსტანტინე ლესელიძის დამსახურება საპრიზოლის წინაშე. სწორედ მისი სარდლობით მოქმედმა 46-ე არმიის ჯარებმა გადაუღობეს გზა ფაშისტური გერმანიის სამთო დივიზიებს კავკასიის მთების ულტეტეხილებზე, რომლებიც ცდილობდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, კერძოდ საქართველოში შემოჭრას. ამ არმიის ჯარების საბრძოლო ფრონტებს განაპირობებდა მისი შტაბის ოპერატიულობა, რომელსაც სათავეში ედგა გენერალი მიხეილ მიქელაძე.

კავკასიის მისადგომებს წარმატებით იცავდნენ და მტერს ოდენ ზარალს აყენებდნენ მ. ლერონტის, გ. ყურაშვილის, ი. სილაგაძის, ბ. ყეფარაძის და სხვა გამოჩენილ მხედართუფროსთა ქართული შენაერთები. კავკასიისათვის ბრძოლებში წარმოიშვნენ ახალი გმირები: კაპიტანი ბუხაიძე, ელადიმერ ანანაკა, ვლადიმერ ლეტსანაშვილი, ალექსანდრე პირმისაშვილი და სხვები.

კავკასიის მთის ძირებთან გერმანელ ფაშიტთა ჯარების უკუგდებისა და განადგურების შემდეგ, ყუბანისა და ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლების ოპერაციებში ელვა გამოჩინა თავი გენერალ ლეიტენანტ კონსტანტინე ლესელიძის მე-18 არმიამ. ამ არმიის შემადგენლობაში იბრძოდნენ მოძმე რესპუბლიკის ხალხთა შვილები, მასში ირიცხებოდა 414-ე ქართული მსროლელი დივიზიაც, რომელსაც ჰიტლერელებისაგან ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლების შემდეგ ანაპის სახელი მიენიჭა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სტალინგრადის დიადი ეპოპეის მონაწილე ქართველი მეომრები, რომელთაც თავიანთი მხედრული ვეჟკაცობით ასახელეს დედა სამშობლო, მთელი ქართველი ხალხი. მათ შორის უნდა მოვიხსე-

აარონ კოკილაშვილი
უცნობი გმირობა

ნოთო გმირობის უტკბობი შარაკანდღდიდთ მოსილი მხედართუფროსისაკენ: პორფელე ჩანჩიბაძე, ელადიერ ნანეიშვილი, ნიკოლოზ კალაძე, ნიკოლოზ თავართქილაძე, შალვა ჭანკვეტაძე, მიხეილ დიასამიძე და სხვები; საბჭოთა კავშირის გმირები — ჯ. ბენდელიანი, ი. გეგენაძე, გ. თაური, ი. ციცანური, ვ. ბუბანიკ, ვ. ბოეჰიე, ვ. გოცირიძე, ვ. ლუჰაკა, დ. თავაძე, ზ. ხიტალიშვილი და სხვ.

ლენინგრადს თავიანთი ქვეყნეზებით გმირულად იცავდნენ ჩვენი სახელოვანი თანამემამულენი, გენერლები: ვასილ მეკვანაძე, გიორგი ჯინეჩარაძე, დიმიტრი ზაზშვილი, ელადიერ ხუბუღური; პოლკოვნიკები — შ. მელქაძე, კ. ჯინაშვა, გ. ნადირაძე, დ. ბერიძე, ვ. ხატიაშვილი, ბ. ბარბაჭაძე, სამეფოთა კავშირის გმირები — დ. ჯაბიძე, ს. ეკეთლაძე და სხვ.

ბერლინისათვის ბრძოლებში თავი ისახელეს გენერლებმა: ვ. ჯანჯღავამ, ე. კობერიძემ, ე. ტატანაშვილმა, კ. ჯახუას, კონტრ-ადმირალ ვ. აბაშვილმა, ნიკ. თავართქილაძმ, ნიკ. კალაძმ, პოლკოვნიკ ნ. ძაბაშვილის შენაგორებისა და ქვეგანაყოფების მეომრებმა, ი. ბაჩაკაშვილის ტანკისტებმა, ვ. ნანეიშვილის მფრინველებმა და სხვ.

გერმანელ ფაშიტს დამპყრობთა წინააღმდეგ ვეკაკცურად იბრძოდნენ საბალხო ზურისგგიტლები, მათ შორის ქართველი პარტიზანები, რომლებიც თავგანწირულად მოქმედებდნენ ჩვენი სამშობლოს შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ — საზღვარგარეთ, ევროპის ქვეყნებში: პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ალბანეთში, იტალიაში, საფრანგეთში და სხვ. მტრის ზურგში პარტიზანულ ბრძოლაში მრავალი ჩვენი თანამემამულე დაეცა გმირის სიკვდილით, მათ შორის პეტრე გვალია, გიორგი ტალახაძე, ზიეკლარი, კიკილაე და სხვ. მათი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანების გულებში.

საქართველოდან სამამულო ომის ფრონტებზე სასახელოდ მებრძოლ 134 ვეკაკეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება, 55 ათასზე მეტი ქართველი მეომარი კი დაჯილდოებული იქნა საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

ჩვენ კანონიერად ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი სამშობლოსათვის მრისხანე ქუმს, დიდი სამამულო ომის წლებში, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში უაღრესად დაძაბულ შემომქმედებითს შრომას ეწევოდნენ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. ბევრი მწერალი და პოეტი შაშხანით ხელში იბრძოდა გერმანელ ფაშიტს დამპყრობთა წინააღმდეგ, ბევრიც გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, მათ შორის: მირზა გელოვანი, სერგრიან ისიანი, სანდრო ძეგინური, ვლადიმერ უბილავა, დავით პატატიშვილი და სხვ.

ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტურ მიტინგზე 1942 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში მგზნებარე სიტყვით გამოსული ჩვენი სახელოვანი დოქტორ მამულიშვილი, მწერალი კონსტანტინ ლორთქიფანიძე, გმირულად ეროვნული ენერგიით, ერთ უღელში შეაბან ეროვნული და აზიის ერები, ყველას ენები ამოსაძახი პირიდან ნა გერმანელი ენა შეაჩერონ ყველას. სამარცხვინო უღელს მონობისას ირასოდეს არ შეურიგდება პროგრესული კაცობრიობა...“

იმავე დღეებში ახალგაზრდა პოეტი, ჯარისკაცი იოსებ ნონეშვილი თბილისის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგის ტრიბუნიდან სამშობლოს დამცველებს მოუწოდებდა:

ქართლის დიდება დავიცვათ,
კრმლის ნაოელი ლამპარი,
ჩვენი სამშობლოს სახელი,
ჩვენი ბავშვობის აკვანი...

1942 წლის დეკემბერში, როცა კავკასიის მთის კალთებზე და თერგის ნაპირებთან მოძალებულ გერმანელ ფაშიტს ბარბაროსთა ურდოებს გზა გადაუღობეს კავკასიის მგრძნა დამცველებმა, რომელთა შორის ათასობით ქართველი მეომარი იყო. ქართული პოეზიის მარშალი გალაკტიონ ტაბიძე წერდა:

გმირებს ვერ ითვლის ჩვენი მხარე ურიცხავს,
ულეავს,
ისინი ჰქმნიან, რომ არ ჰქმნილა იმ
სასწაულებს!
გმირი სიცოცხლეს თვისას სწირავს
სამშობლოს მზიანს!
ვაშა გამბედავს... ვაშა სულით მძლავრ
ადამიანს!

ჩვენს ქვეყანაზე ვერაგი მტრის მუსანთოურად თავდასხმის პირველ დღეებიდანვე ცეცხლის ბაზზე იმყოფებოდა ჩვენი სახელოვანი მწერალი-მოქალაქე გიორგი ნატრიშვილი, რომელმაც ჰიტლერელებთან გაუგონარ თავდაცვით ბრძოლებში მძიმე პრიელია მიიღო და სასწაულებრივ გადაურჩა დაღუპვას.

მოქმედი არმიის რიგებში, სხვადასხვა ფრონტებზე, როგორც რიგითი მებრძოლები უ ოფიცრები, გმირულად იბრძოდნენ ჩვენი ნიჭიერი პოეტები: ალექსანდრე ეომიაშვილი, რეეაზ მარგიანი, მურმან ლებანიძე, შალვა ამისულიანელი, ლადო ფულაბერიძე, ალექსანდრე შანიძე, ცნობილი ქართველი პროზაიკოსი ელიზბარ ზედგინიძე, ნიკა აგიაშვილი, დრამატურგი ვანიონ დარაული, პოლიო აბრამია, ლავრენტი ჭიჭინაძე, პარტიზანულ ბრძოლებში სახელი გაითქვა მწერალმა დავით კვიკარიძემ.

კავკასიისა და ყირიმისათვის ბრძოლებში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა გამოჩენილმა ქართველმა პროზაიკოსმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, როგორც მწერალმა და წითელარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოული გაზეთების „სამშობლოს დამცველისა“ და „წინ სამშობლოსათვის“ ლიტერატურულმა თანამშრომელმა. იმ მრიახანე ფლებში მოქმეი არმიის ხშირი სტუმრები იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი ქართველი პოეტები და მწერლები: შალვა დადიანი, გიორგი ლეონიძე, ილო მოსაშვილი, დემნა შენგელია, ირაკლი აბაშიძე, სიმონ ჩიქოვანი, სოლომონ თავაძე, სიმონ მთვარაძე, ანდრო თევზაძე: მათ და მათთან ერთად ქართული პოეზიის მშვენებამ გალაკტიონ ტაბიძემ, ნიგბიერმა პოეტებმა გრიგოლ აბაშიძემ, კარლო ალაძემ, ალიო მირცხულავამ, იოსებ გრიშაშვილმა, ალექსანდრე აბაშელმა და სხვებმა სამამული ომის თემაზე შექმნეს შესანიშნავი ნაწარმოებები. მათი ლექსები და მგზნებარე სტატეები ახალი საბჭოთა საქმეებისათვის აღფრთოვანებენ სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ მეომრებს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ თენდაც ირაკლი აბაშიძის ლექსი „კაპიტანი ბუხარძე“, რომელიც დიდად პოპულარული გახდა და ხალხმა გმირობის საგალობელ ჰიმნად აიტაცა.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს გამარჯვებათა შედეგად, განუზომლად გამტკიცდა და გაიზარდა სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკი მთელს მსოფლიოში. სამუდამოდ გამოაკლდნენ კაპიტალისტურ სისტემას აღმოსავლეთისა და ცენტრალური ევროპის რიგი ქვეყნები, რომელთა ხალხებმა შექმნეს ახალი, მოწინავე სახალხო დემოკრატიული რეგიმი და სოციალიზმის გზას დაადგნენ. მეორე მხრივ, იმპერიალიზმის ბანაკს ომის შემდეგ გამოაკლდნენ ისეთი რეაქციულ-მილიტარისტული სახელმწიფოები, როგორიცაა გერმანია, იაპონია და იტალია. გერმანელ და იაპონელ აგრესორთა წინააღმდეგ გამბათვისუფლებელ ომში გამტკიცდა და გაიზარდა კოლონიების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელთაგან დღეისათვის 70-ზე მეტმა უკვე მიაღწია თავისი ქვეყნის თავისუფლებასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას.

მაგრამ ამ ბოლო დროს ქვეყნად გამოჩნდნენ ეგრეთ წოდებული „ნაფიცი ისტორიკოსები“, „ისტორიკოს-ექსპერტები“. უფრო სწორად, ბურჟუაზიული მჭალბენელები, რომლებიც წელებზე ფეხს იდგამენ, რათა როგორმე „დოკუმენტურად დაამტკიცონ“, რომ წარსულ ომში საბჭოთა კავშირი იოლად გამოვიდა, რომ თითქოს ფაშისტური გერმანიის დამარცხება ძირითადად განპირობა ამ ომში ინგლის-ამერიკის მონაწილეობამ. სინამდვილე წარსული ომის შესახებ, რასაც ასე გულმოდგინენით ამახინჯებენ დასავლეთგერმანელი, ინგლისელი და ამერიკელი ჩერჩილისებური ორიენტაციის „მკვლევარები“. კი ის არის, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სიმძიმე საბჭოთა ხალხმა გადიტანა, რომ საბჭოთა არმია გამარჯვებული გამოეიდა ჰიტლერელთა ჯარებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, რომ საბჭოთა კავშირმა ევროპელ ებს მოავალმელორნინა ხალხები გაანთავისუფლა ფაშიზმისთა უღლისაგან. ასეთია ისტორიული სინამდვილე, ასეთია წარსული ომის ჭეშმარიტი, უტყუარი ფაქტები, ამას ღაღადებენ ომის მხილველთა და უშუალო მონაწილეთა ობიექტური მოგონებები.

ფაშიზმისტური გერმანიის განადგურების დღიდან განვლილი 25 წელი ეძსაფლა საბჭოთა ხალხს მეორეული ბრძოლით სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობისათვის, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. ომის შემდგომ შემოქმედებითი შრომის წლების მანძილზე საბჭოთა ხალხმა გამოაკლნა მაღალი თვისებები, რაც მას ჩაუნერგა დიდი ლენინის პარტიამ: მამაცობა, სიმტკიცე, საშობლოსადმი ერთგულება და მისი აყვავებისათვის ბრძოლისაკენ მისწრაფება. — თვისებები, რომლებიც მან გამოაკლნა დიდი სამამული ომის წლებში.

ჩვენი ქვეყანა ომისშემდგომ წლებში თანმიმდევრულად განაგრძობდა და განაგრძობს ლენინური საგარეო პოლიტიკის მტკიცედ განხორციელებას, განაგრძობს თავის კეთილშობილური ბრძოლის მტკიცე შვიდობისათვის, დიდი და პატარა სახელმწიფოების საერთაშორისო თანაშშრომლობისათვის.

სულ სხვა გზით წავიდნენ ანტიჰიტლერული კოალიციის დანარჩენი მონაწილენი. ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის მმართველი წრეები, დიუკაკშრიდნენ რა დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებს, აქეზებენ მათ რევანშისტულ მისწრაფებებს და ხელს უწყობენ ნეონაცისტურ ელემენტებს, რომლებიც ოცნებობენ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებაზე, ომმოსაღვეთისაკენ ახალ ლაშქრობაზე. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოს მთავრობები გაერთიანდნენ დასავლეთგერმანულ იმპერიალისტთან დანაშაულებრივ შეთქმულებაში, რომელთა დახმარებითა და ოლიკა-კერთხეკით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კვლავ აღორძინდა სამხედრო მანქანა, რომელიც ევროპაში „ნატოს“ დამტკიცებულ ძალად იქცა. დასავლეთგერმანელი რევანშისტები იმედნაგ გათამამდნენ, რომ მოითხოვენ ევროპის საზღვრების შეცვლას, ატომიერი იარაღის ხელში ჩაგდებას, გამოდიან „მთელი გერმანიის“ სახელით და სხვ. ამასთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატები აგრესიულ აკანტრისტულ ომს ეწევიან ვიეტნამის მიწა-წყალზე, დაუნდობლად ჟლეტენ ათეულათასობით მშვიდობიან მცხოვრებლებს, ანგრევენ ქალაქებსა და სოფლებს, ნანგრევებად

აარჩილ კოკილაშვილი
უკვლავი გმირობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქეთეენ სკოლებს, საავადმყოფოებს, სპობენ ნათესებს. ამას ჩადიან ამერიკელი მოძალადეები და მკვლელები, რომლებსაც ეგრეთ წოდებული „თავისუფალი სამყაროს“ დაცველებად მოაქვთ თავი. მათივე წაქეზებით მოქმედებენ ისრაელის ნეო-კოლონიალისტები — ტელ-ავიველი ექსტრემისტები, რომლებიც ცდილობენ, დაიპყრონ არაბეთის სახელმწიფოები, დაიმონონ არაბი ხალხი. ერთი რამ უნდა ახსოვდეთ ამერიკელ იმპერიალისტებს და მათ ტელ-ავიველ სატელიტებს, რომ ისინი ვერასოდეს ვერ შეესძლებენ ვიეტნამელი და არაბი ხალხების დაჩოქებაა. მათი ზრახვები ვერ შესრულდება ვერც ვიეტნამში, ვერც ახლო აღმოსავლეთში და დედამიწის ვერც სხვა ნაწილში.

მძიმე ომიდან, რომლის დამთავრების 25 წლისთავსაც ახლა აღვნიშნავთ, საბჭოთა არმია გამოვიდა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე და მძლავრ არმიად. დღეს იგი აღჭურვილია მსოფლიოში საუკეთესო იარაღით. საბჭოთა მეომრები — ჯარისკაცებიდან მარშლებამდე, მატროსებიდან ადმირალებამდე — მხედრული საქმის ნამდვილი ოსტატები არიან. ჩინებულად ფლობენ სამხედრო მეცნიერებასა და მინდობილ შესანიშნავ ტექნიკას.

ჩვენი ქვეყანა ითვალისწინებს წარსულის ისტორიულ გაკვეთილებს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მტერს მოუმზადებელი არ დახვდეს. და თუ მაინც აღმოჩნდებიან იმპერიალისტთა წრიდან მოსურნენი — ხელყონ საბჭოთა კავშირის, ან მისი მოკავშირეების უშიშროება, საკადრის პასუხს მიიღებენ. რომელი მხრიდანაც უნდა მოდიოდნენ ისინი, აგრესორებს წინ აღუდგება ჩვენი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოველისშემძლესერელი ძლიერება. ამ ძლიერებას, როგორც ამბობ. ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს, ვერსად დამალებიან, მისთვის არ არსებობს სიშორე. დაე, იცოდეს ყველამ, რომ ყოველ აგრესორთან შერკინებაში საბჭოთა ქვეყანა მოიპოვებს გამარჯვებას, ჩვენი დიდი ხალხის საკადრის, ოქტომბრის სამშობლოს საკადრის გამარჯვებას!

საბჭოთა ხალხის და მისი შეიარაღებული ძალების გმირობა დიდ სამამულო ომში იყო და ყოველთვის იქნება აღმფრთოვანებელი მაგალითი საბჭოთა ადამიანების ახალი თაობებისათვის.

კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელები გაბედულად და მტკიცედ მიდიან წინ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

საუბარი შინგოუსვლელ ძმასთან

რაც დრო გადის, რატომღაც შენთან ხვაშიადის განდობის სურვილი უფრო და უფრო შეძალება.

ეჰ, რა ძნელია უგზოოკეცლად დაკარგული კაცის ამბის გაგება! ვინ იცის, ახლა სადმე ტცხო მიწაზე ობლადშთენილი, უთვისტომო ბავშვივით დახეტიალობ და შეგშურს ქარის, ყველაან თავისუფლად რომ დადიო? იქნებ.. მაგრამ ამის გაფიქრებაც არ მინდა წამით... შენი დაღუბვის ამბავი ჩემთვის არავის მოუტანია, კვლავ მზისქვეშ მეგულები... სხვაგან თუ არა, ჩემ გულში მაინც ხარ მეღამ ცოცხალი, ჰოდა, ჩემ გულში გესაუბრები.

ბედმა სად გადაგაგდო, როგორ გიმუხლა, როგორ გაგშორა?

გიგონებ, როცა ცაზე ღრუბლები მიმოდიან და ფარს იცვლიან. ჩემი ფიქრიც იმ ღრუბლებში ეროვა და ისიც ნაირნაირად იცვლის ფერს — იმედი ებრძვის სასოწარკვეთას. ზოგჯერ ღრუბლები სულში ჭირისუფლებივით ჩამოსხდებიან და მოთქმით ტირიან. ცრემლი სდით ღვარად. ფერე უცაბ იელვებს და ცრემლის მღვიმეს ნუგეში მინათებს: ნუ დარდობ, შენი ძმა ცოცხალია.

გიგონებ, როცა წვიმის შემდეგ ტელეფონის მავთულებს წვეთები მწყობრი თანმიმდევრობით მისდევს და ცრემლებივით სცვ

მოუშორებლად გაჰყურებს გზას. ვის ელოდებიო, ეკითხებიან. შვილს, ქმარსა და ძმასო. აგერ, ოცდახუთ წელიწადზე მეტია ომი დამთავრდა, ეს ქალი კი ისევ ელოდებაო... ლოდინია მისი სიცოცხლე.

ომმა ოჯახი და ადამიანი არ დატოვა ხელუხლებელი. მავანს შვილი და ქმარი წაართვა, მავანს მამა და ძმა, ზოგსაც ყველა ერთად. ერთი ცალთვალი დატოვა, მეორე ცალფეხი, ზოგს სიცოცხლე გაუნახევრა. ერთს უკვდავება აჩუქა, მეორეს სამარეკი არ აღირსა, ზოგსაც უნებლიეთ გზაკვალი დაუბნია და შინ დაბრუნება ვეღარ გააბედინა. ყველა ხე ვერ ეძლების გრიგალს.

ჩვენი სოფლიდან, ბიჭო, ომში თურმე 325 კაცი წავიდა, შინ კი მხოლოდ 72 დაბრუნდა, ისიც უმტესობა დაჭრილი და ნაგიანი. ჩვენი სოფელი წეკოია, ახლა ზღვა წარმოიდგინე. ინ რა ცოდვის კალო დაატარალა ომმა.

ვინც კიდევ ომის გაჩაღებას დაამირებს, ყუმბარის ნაცვლად ქვემეხის ლულაში ის უნდა შეტენონ და ცაში უმისამართოდ გისროლონ.

კაცი რომ მიწას ხნავს, ადამიანის, ხნულისა და გუთნის შეხმატკბილებული გალობა მესმის. ეს მათი ერთობლივი სასიცოცხო ფიქრის დიდი სიმღერაა. მაგრამ როცა კაცი კაცს მოსაკლავად მიდის, ჩემთვის, ომკადაღილი ადამიანისთვისაც კი, აქამდე ეს ამბავი უცნერ გამოცანად რჩება. ვერ გამგიგია, ადამიანები ერთმანეთს ასე უღმერთოდ რატომ ხოცავენ, რატომაა ეს საშინელება გარდუვალი, ადამიანამდინ კაცობრიობის ისტორია სისხლში რატომ ცურავს, ნუთუ ამ გონიერ არსებას, ადამიანს, იმის უნარი არა აქვს, რომ საჭიროროკი ამბების მოსაგვარებლად უკეთესი, უსისხლო გზა გამონახოს?

ეჰ, მე და შენ ამას ვინა გვკითხავს, ორმეგ...

ორიოდე წელს წინათ ჩვენს სოფელში დიდი სტენდი გაკეთეს. ზედ ომიდან მოუბრუნებელ ოფიცოსურთაგნი გაკრეს. თავზე რატომღაც წაუწერიათ — ომში დაღუპულებიო. ეს რომ ენახე, გულზე ლახვარივით მომხვდა და თავკაცს ეურჩივე: „ომიდან შინმოუსვლელნი“ უფრო მოუხდება-მეთქი.

ვინც ომიდან შინ არ დაბრუნდა, განა ყველა დაღუპულია? იქნება უმეტესობა მართლაც ცოცხალი იღარ არის, მაგრამ მათ მომლოდინე ადამიანებს იმედი სულ რატომ უნდა გადავუწყვიტოთ? მე არ მეგულება შინმოუსვლელის არცერთი დედა, თავისი შვილი რომ დაღუპულად მიაჩნდეს და ეს უსაშველო უბედურება საბოლოოდ დაიჯეროს. ვისი სიკვდილიც ჩვენი თვალით არ ვეინახავს, ძნელია ამის წარმოდგენა, მით უმეტეს, თუ ეს ამბავი ომში დაკარგულ ჩვენიანს ეხება.

არც მე მინდა დავიჯერო შენი დაღუპვა. სხვათა შორის, იმ სტენდზე შენი სურათი და მამაჩენის მხარდამხარაა გაკრული. შენ [illegible] გაცეცი. მამაჩემი სამოქალაქოდაა გამოწყობილი. ჯარისკაცადქცეულმა ჯარისკაცული სურათის დატოვებაც ვერ მოასწრო, ისე შეუპამა ომმა. ოჯახიდან ომში სამი ეიყავით წასული და მხოლოდ მე დავბრუნდი. ზოგ კერაზე ერთიც არ დაბრუნებულა. ორ-ორი და სამ-სამი ძმა დაიღუპა ერთად, ბევრი კერა სულ გაცივდა.

სტენდის გაკეთებისას ერთი უცნაური რამეც მომხდარა. შეცდომით შენთან ერთად გადაღებული თანამოკლეკი ამხანაგის სურათიც ამოუბეჭდიათ და სტენდზე ისიც გიუკიავთ, მერე დაუწყიათ ძიება, ვინ არისო. ბიცოლაჩემი მომხვდარა, რომ ის ბიჭი ჩვენებური არ ეყოფა და ჩამოუხსნიათ...

ვაუგებრობის მეტი ქვეყნად რა არის, მაგრამ ყველა ვაუგებრობა ასე ადვილად როდი სწორდება.

ომის დროს შენთან შეხვედრა რამდენჯერ მინატრია. ქართველი კაცის ლაპარაკს რომ გავეგონებდი, ან ყურს გამოვისხამდი ხოლმე. შენს ხმად მელანდებოდა. ყველას ეეკითხებოდი. ამნაირი ბიჭი ხომ არსად შეგხვედრიათ-მეთქი. დენთის კვამლში შენი სახე ერთხელაც ვერ დავლანდე, შენი შნახველი ვერაკინ ვნახე.

გათავდა ომი. სამშობლოში დაბრუნდი და ჩემი სული ეკვეთა საქართველოს სილამაზის ყურებით დავაპურე. მაგრამ ჩემი სახარული ეურეთო როდი იყო. სოფლის გზაზე ფარაჯიანი რომ ვინმე გამოჩნდებოდა, ენახ მეგონე და გული მიჩქარდებოდა... იმ ხანად ხიზმრადაც უფრო ხშირად მეცსადებოდი.

შინმოუსვლელებზე ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. ვისი სიკვდილის ცნობაც ნამდვილად იყო მოსული, იმათზეც კი ამბობდნენ, ცოცხალიაო. შენზედაც თქვეს, ერთ ზემოურ კაცს ომის დამთავრებისას ცოცხალი უნახავსო. ის კი დარწმუნებით ეერავინ მითხრა, ნამდვილად ვინ თქვა, ან იმ ვილაცამ სად გნახა. მაშინ მე მგონია, ხალხი ყველას ასე ამიდებდა. ომგადახდილ ქვეყანას ნუგეში უნდოდა და ამ ნუგეშს ადამიანები თვითონ იგონებდნენ, რომ ომის ის დიდი უბედურება როგორმე იმედის ცეცხლით დაეწვათ. ომგადახდილი სიცოცხლე ადამიანებს სთხოვდა, გამხნევებდითო.

იმ ხანად ჩვენს სოფელში ბევრ ჩემ ტოლ-ამხანაგსა და ნაცნობს ეეღარ ვხედავდი, ყველაზე მეტად კი შენ მაკლდი, ოთხი წლით უფროსი ძმა. თუმცა შენ ჩემთვის მარტოდენ ძმა როდი იყავი.

გახსოვს, შენ ლექსებს წერდი და მეც ამიყოლიე. შენ პიესებს წერდი, ჩვენი უბნის ბიჭებთან ერთად ვენახში ჩადგმულ კარვებში წარმოდგენებს მართავდი და მეც გბაძავდი. მერე რომანსს წერაც დაიწყე, ერთი საერთო რეკ-

ული გაიცვლ. მაშინ თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა იყავი, მეტის კი არა.

სწორედ შენ შემაყვარე წიგნები, სამწერლო კალამიც შენ ამაღებინე ხელში, ჩემი პირველი ლექსების, მოთხრობებისა და პიესების პირველი მსჯავრმდებელი, წაქმეზებელი და წამახალისებელიც შენ იყავი. დედას თავის სიცოცხლეში ერთადერთი მოთხრობა ჰქონდა წაკითხული — „სამანშეიის დედინაცვალი". არც მეპატრე მამას ეცალა ჩემი მწერლური ნიჭის აღმოსაჩენად და მოსაცელად.

თუ დღეს მე რაიმეს წარმოვადგენ, ამას, უპირველეს ყოვლისა, შენ გიმადლი. თუ მე დღეს ჭეყნისათვის საჭირო ადამიანი ვარ, ეს შენი ღვაწლია არის, ამ სიკეთის წმინდა სათავე შენ გიუკვალე. როცა ჩემი ახალი წიგნი გამოდის, ხელში ბავშვივით აიტაცებ ხოლმე და შენი ნათელი ლანდიც იქვე ჩნდება, როგორ მინდა იმ ჩემ სახლიულსა და ბედნიერებას შენც ესწრებოდე. გაზიარებული ბედნიერება და სახარული ხომ ჩვეულებრივს ათასჯერ აღემატება!

მოვიდოდ მოხეთქილი მშფოთვარე მდინარე ლუხუნი გახსოვს? როგორ გიხაროდა, იმ მდინარეში რომ გასცურავდი და გამოსცურავდი. წყიოლად დფორჭეკებულ კალმახებსაც ხშირად იჭერდი. ზოგჯერ სათევზაოდ მეც დაგყავდი. ლუხუნი იყო შენი პირველი ემბაზი და გამნათვლელი. აქ ისწავლე ცურვა და მერე მეც მასწავლე. შემდეგ ცხოვრებაში ეს ბევრჯერ გამომადგა. ბავშვობაში სითამამეს შენ დამაჩვევ და ის ბავშვური სითამამე ვაკაცურ სიმამაცედ მექცა, პატიოსანი შრომის სიმამაცედ მექცა. მე ცხოვრებაში მხოლოდ ამ პატიოსნებით გავიკაფე გზა. ომშია კი ეს შეგელოდა. შენ მოგნათლე ლუხუნის ემბაზში და თითქოს მისი სულიც გამომაყოლე. ჰოდა, თუ რაღაც დამაყენა, ამაში შენი წვლილიც ურევია. თუ რამ დამაყენა, შენც გაბარალებ — ვვერდით რომ მყოლიხარ, უფრო მეტი რამის გაკეთებას შეეძლებდი-მეთქი.

მე ახლა ჩემს განვლილ ცხოვრებას ბედნიერების მთიდან გადავყურებ, მაგრამ, იმასაც ვფიქრობ ხოლმე: ათასჯერ ამაზე ბედნიერი ვიქნებოდი, შენც რომ მხარს მიმშველებდე.

ზის მამა-პაპურ ბუხართან ქართველი გლეხი და ტელევიზორში მსოფლიოს ხედავს. არა, არ უკვირს. ჩვენმა სუფეულმ იმდენი საკვირველება აჩვენა ადამიანებს, რომ... ეს ჩვეულებრივი ამბავია, რომ ტელევიზორით მსოფლიოში მოგზაურობს და იმ მსოფლიოსთან ერთად ვმოგზაურობთ ჩვენ... ოჯახში კი ვზიხართ, იქნება მამა-პაპურ ბუხართანაც.

ნეტავ შემეძლოს ჩემი ფიქრი ტელევიზორის თვალად ვაქციო, ეს თვალი მსოფლიოში მიმოვალტარო და დაგიანახო, თუ სადმე ხარ! ბავშვურადაც ბევრჯერ მინატრია: ნეტავი ჯადოსნური სარკე მაპოვნინა, ჩემი ძმის ამბავს დანამდვილებით გავიგებ-მეთქი. მე სულაც არ გამიკვირდება, ასეთი ჯადოსნური სარკე რომ გამოიგონონ. ვინ მოთვლის, რამდენი ზღაპრული რამ იქცა სინამდვილედ.

რაკი ვერ გხედავ, გულს მოგონებებით ვიოხებ.

გახსოვს, გული ადვილად მოგდიოდა, ტაფაზე დადებული მსუქანი ლურთიანთ ამშშინდებიდან ხოლმე და „ჩიჩხონას" გეძახდით. რომ გაიგებდი, შეეკამანდს ხახეი ჩაიპრესო, პირს არ დააკარებდი. ერთხელ, ლობიოს გემრიელად რომ შეექეცი, გითხრეს, ხახეი ჰქონდაო, შენ კი ვერ გიგიგ, ჰოდა, წინდაწინ ტყეულად რატომ იზიზღები. ხატვა გემარჯვებოდა. სკოლაში ყველა ლოზუნგს შენ გაწერინებდნენ და ყველა კედლის გაზეთს შენ გიფორმებინებდნენ. შენი დახატული ბერტინარი ქალი ჩვენი კარის მეზობლის დიდ ოთახში დღემდეა გაკერული. იმ ოთახში მორთულია ბევრჯერ შეცვალეს, რამდენჯერმე ახალი შპაღერითაც გაალამაზეს, ის ნახატი კი თავის ადგილს ხელუხლებლად დატოვეს... შენს სახსოვრად.

თუთუნის წევა აღრევე დაიწყე. მერე ერთ დღეს გადაწყვიტე, თავს დავინებებო. პაპიროსის სავსე კოლოფი მისრის-მოსრისე, დაანაყეწე და ერთიანად გადაყარე. მეორე დღეს კი თუთუნოდ კბილებს აკაწკაწებდი და ისევ იმ აღგილს მიაშურე, ხუთ კილომეტრზე მთაში წახვედი, იქნებ თუთუნის ნაფხვენი ვიპოვო. ასეთი უცნაური იპოზნდრიაც გჩვეოდა, მაგრამ ეს არაფერია.

სადაც შენ გამოჩნდებოდი, იქ უმალვე კეთილი ხუმრობა, ომახიანი სიმღერა და მხიარული ცეკვა-თამაში იმართებოდა. ბულგადიღელ ბიშუ გოგოები მტრედის გუნდივით დადგებოდნენ. ამან თავმოყვარეობის ჭია აღრევე გაგიჩინა და ჭაბუკური ამპარტავნობაც შემოგაპარა... ერთხელ, სკოლაში მიმავალი შუა გზიდან დაბრუნდი, ფეხსაცმელი გამეხა და ტოლებში ასე ვერ გამოჩენილებით.

შენი ხუმრობები ახლაც ცოცხალია სოფელში, შენს ფრთიან სიტყვებსაც ხშირად იმეორებენ, თუმცა პირველად რომ შენ თქვი, ეს აღარ ახსოვთ.

ერთი ობოლი ბიჭი იყო, დაძინება იმისთვის უხაროდა, სიზმარში დედას ენახავო. მე კი იმითაც ვარ ბედნიერი, როცა სიზმარში შენ გხედავ ხოლმე. რატომღაც ყოველთვის შორეთიდან დაბრუნებულად მესიზმრები, შენი სიკვდილი კი ერთხელაც არ დამესიზმრებია. ეს ალბათ, ძალში ჩაყოლილი ფერიც არის. მარტო მე კი არა, ჩემ შვილებსაც ცოცხალი ეგუ-

აკაკი გეფაძე
საუბარი შინოდუსლელ ძმასთან

ლები და ისინიც გელიან. შენს სურათებს ხშირად აკერდებიან და განტრობენ.

ერთი გულთადი მეგობარი მყავს, ძმაში არ გამომერჩევა. ყველაზე მეტად იმასთან სუბარი და ყოფნა მსიამოვნებს, შენ წარმოიდგინე, კამათიც. ამ მეგობარს შენი სახელი ჰქვია. ჩვენი დამძაკაცების მიზეზი, ეტყობა, ქვეშეცნეულად ფსევდა. ჩემი გოგოები ღვიძელ ბიძასაკით ესიყვარულებიან, მის ოჯახში სტუმრობა განსაკუთრებულად ახარებთ.

მასწავლებლები დიდ მომავალს გიწინასწარმეტყველებდნენ. ზოგი, ვინც შენ გიცნობდა, ახლაც რომ შემხვდება, სინანულით მეტყვის ხოლმე: რა ეცოცხალნი ბიჭი იყო, რა ნიჭიერი, აფსუსია მისი დაკარგვაო.

ომ ეწყველი ომს, რომელმაც მე და შენ გაგვყო. შენი თავი ომმა ბარტო მე კი არა, ჩვენს ხალხსაც წაართვა. ეშმაკმა თუ ანგელოზმა ეგ შენი ნიჭი რა გზაზე წაიყვანა, სად გადაადგო, იქნება სულაც ჩაკერო და მოყლო? ვინ იცის, ახლა ბედის წისქვილი რა აკად გიბრუნავს და მშვეღლს კი ვერ ეძახი? იქნება ომის დროს უნებლიეთ შესცოდე რამე? ჰო, უნებლიეთ, თორემ, შუბლიღერი ქვეყნის სიყვარული, საქართველოს მიწა-წყლის სიყვარული მე სწორედ შენგან ვისწავლე.

ომის დროს გზები სისხლის ნისლ-ობშიკარსა და დენთის კვამლ-ბერტყში იყო ვიხვეული. იმ ბერტყსა გზაკვალი ეუბნია ათასობით წმინდა ადამიანსაც კი, ბოლოდგე ყველამ ფეხმართლად ვერ გაიარა. თუ შენც ასე დადგმართა, მე ვინატრებ, ისევ შენმა პატიოსნებამ და კაიკაცობამ შეგინდოს ის შეცოდება და სიკეთის გზისკენ შემოგაბრუნოს.

არა, მე ღმერთი არა ვარ, ადამიანს ყველაფერი მივუტევეთ, მაგრამ როცა ადამიანი ომის ბურუსში იბნევა და სწორ გზას ვეღარ აგნებს, მთავარ დამნაშავედ მე ომი მიმაჩნია. ეჰ, ნეტავი შეიძლებოდეს, ომში სწორგზასაცდენილ ყველა პატიოსან ადამიანს უნებლიე შეცოდეს შეუნდოთ, ომი კი საბრალდებულო სკამზე დავსვათ და მკაცრად გავაკამათოთ. ერთერთ მთავარ ბრალდებად ისიც წაეუყენოთ, გულმართალ და უბოროტო ადამიანებს გზაკვალ რომ უნნეს და სამშობლოს აკარგინებს. ჰოდა, დავსაჯოთ უსასტიკესად: მოვსპოთ მისი სახსენებელი დედამიწაზე.

თუ შენ ახლა საღმე უცხოეთში დახეტიალობ, ალბათ, ჩემზე უკეთ ვრძნობ, სამშობლოს დაკარგვა რა უსაშველო უბედურებაა.

ამასწინათ ჩემმა ამხანაგებმა ოკეანისგაღმა იმოგზაურეს. იქ სწორედ ომის ბურუსში გზაანნეულ რამდენიმე ქართველს შეხვდნენ. ერთმა თურმე, იცი, რა უთხრათ? რომელიმე თქვენგანმა აქ დარჩენა რომ მოინდომოს და ამის გზაც იოლად გამონახოს, ჩვენ, აქ გადმოხვეწილი ქართველები, ყველაფერს მოვიმოქმედებთო, რომ ხელი შეეშალოთო, [illegible] იცით, სამშობლოდან მოწყვეტა რა სატანჯველიაო. თუ სამშობლოდან მოყვეთილი ხარ, თუ იქ დაბრუნების პირი აღარა გაქვს, ყველაზე ოცრაში რომ იყო ჩაფლული, მაინც ყველაფერი გაკლია და მათხოვარზე საცოდავი გლახაკი ხარო. ეს რომ უთხრა, მერე თურმე ყველას სანთებელი („ზაჟიგალკა“) მისცა: ბიეშო, ეს სანუქარად არ მიიჩნიოთ, საქართველოში რომ დაბრუნდებთო, ზოგჯერ ამით მოუკიდეთ თეთრეს და მომიგონეთ, ერთი უბედური ქართველი ოკეანის გაღმა როგორ უცაცხლოდ იწვის და იფერფლებაო.

ძმაო, იქნება შენც ამ ყოფაში ხარ?

ლამაზია ზზინი განათვლილი თბილისი, ღამითკიდევ უფრო ლამაზია:. ზღაპრულად განათებული ნარიყალის ციხე. ადგილის დედა, ქართველის დედა ცაში ნათლია სეეტივით ახიდეული და მაღლიდან გადმოპყურებს თბილისს. ცალი ხელით მახვილი უჭირავს, მეორეთი — ფიალა: მე მტერს მუდამ მტრეულად ვხედავდიდი, მოყვარეს მოყვარედ. საქართველოს ადგილის დედა ხან მოისხ�ჩანს, ხან სათნო, ხან მხიარული, ხან სევდიანი, მაგრამ მუდამ ქედმაღალი, როგორც თვით საქართველო იყო მარად. განსაკუთრებით ბინდში მიეკარის მისი ყურება. ასე მგონია, უსასრულო ქვეყნიერებას გაპყურებს და იდუმლად ჩურჩულებს-მეთქი. მერედა, იცი, რას ამბობს? მისი ხეაშიადი და ქართველი მიწის ბულისოქმა ერთია: ვინ მოთვლის, უცხოეთის მიწაზე რამდენნაი ჩემმა ღვიძლმა ზვილმა ცხელი ცრემლები დალეარო. ის ცრემლები დიდი ხნის შემდეგ ჩემთან ღრუბლებს მოაქვთ, დღენიადაგ სულში მეფერება და მწვავსო.

იქნება ღრუბლის მიერ ქართველის დედამდე მოტანილი ცრემლებში შენი მდღლარე კურცხალიც ურევია?

როცა ომმა შორს გადამისროლა, სანგარში ჩაწოლილს საქართველოში ყოფნა რომ დამესიზმრებოდა, უბედნიერესი კაცი ეიყავი. ეს სიზმრის სიტკბო-სიამე კარგა ხანს არ შმორდებოდა. სიზმარნანახი თვალს რომ გავახელდი, უმალვე ისევ ეხეტეადი. იქნებ სიზმრისეული ხილვა შემომიბრუნდეს-მეთქი.

ასეთ რამეს შენ ალბათ მეტი სიძლიერით განიცდი.

ზოგჯერ ქარს ეუგდებ ყურს და მეჩვენება, რომ აქ ქარს უცხოეთიდან შენი ხმაც მოაქვეს, სამშობლოდაკარგული ადამიანის ხეაშიადი მოსდევს.

ერთი ტკბილად მოსაუბრე, სპეტაკჟვეკრანი ბერიკაკი ამეგზარა. ალარ მახსოვს, ის სიტყვამ მოიტანა, შეგონებასავით მითხრა:

შვილო, ძმაკაცო ბულნე დაყრილი მიწა, მაგრამ რაკი ბენეგამ თუ განგებ ყველას მიწისაგან შეკმა დაგიწესა, სჯობია, ისევ მშობლიურმა მიწამ შეგეკამოს, ჩემს ქვეყანას მივეგებეთ. უცხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწაში ჩაწოლა თუ მომიწევს, ის მიწა უფრო მძიმედ დამეყრება, მძიმედ და უგებერად. მგონია ჩემიანი ერთ მუჯა შობლიერ მიწას თუ დამაყარა, გულზე დაწოლილი მთელი მიწის ხვავი გამიმსუბუქდება და შეებას ვიგრძნობ.

ბერიკაცის სიტყვა გულზე დამებეჭდა სამუდამოდ.

მე მხოლოდ მშობლიურ მიწას შემიძლია დავეუბნო, მერე მუხლშოდრეკილმა და ცაში ხელაპყრობილმა ამავე მიწისათვის ვილოცო და ვიგალობო.

ბავშვობისას რამდენჯერაც ვიკითხე, როგორ გავიზდი-მეთქი, მითხრეს, ხნელში გიპოვეთო. მერე წამოვიზარდე, ქვეყნიერების ამბები, ასე თუ ისე, გავიგე და მიეჭდოდი: კეთილად მატყუებდნენ. ახლა რატომღაც კვლავ მინდა ვირწმუნო, რომ მაშინდელი სიტყვა მართალი იყო. თუ ამ მიწამ არ დამბადა, ასე რად მიყვარს საქართველოს მიწა-წყალი? დიახ, მე მინდა დავიჯერო, რომ ქართული მიწის ხნელში მიპოვეს. ჰოდა, ყველაზე დიდი ჩემი სანატრელი ის არის, როცა ბუნება თავისი წყნის აღსრულებას მომთხოვს, ქართული მიწის ხნელს დავუბრუნდე, შიგ თესლივით ჩავიმარხო, შემდეგ ახალ სიცოცხლედ ამოვკეკეფილი და გავიფოთლო. ძნელია უცხოთაში სიკვდილი. დღეს თურმე თურქეთში კაცაშვილმა არ იცის, რომ გიორგი საკაკე იქ არის დამარხული. ისიც კი არ გაუგიათ, გიორგი საკაკე ვინ იყო.

წუთისოფელ ერთი უტყუარი სიბრძნე აქვს. ადამიანს ჩაენერგა სურვილი, თვალი იქ დაბუქოს, სადაც აკენდნენ გადმოსულმა პირველად დადგა ფეხი, სადაც პირველად შეხედა ზეკას. შეხედა მზეს და ნამგალა მთვარეს, სადაც პირველად გატოპა მდინარეში. სადაც პირველად დაელიეთ კამკამა წყარო, ვვწადია, სულიც იქ დავლიოთ.

გახსოვს ხოვეთის უბანი? ლუხუნის ხეობის დასაწყისში ოთხი ოჯახი ცალკე ვცხოვრობდით. მე და შენ ბავშვობა იქ გავატარეთ, მერე სოფლის შუაგულში რომ გადმოვსახლდით გული მაინც იქითკენ მიგვიწევდა. ახლაც, სოფელში რომ ჩავალ, ხოვეთისკენ გავიელი ხოლმე. როცა ლუხუნში ვბანაობ, თითქოს ბავშვობა მიბრუნდება. იმ ემბაზში ორიოდეჯერ ჩემი გოგონებიც ჩავაყენე. ჩვენი ემბაზი მათ ემბაზადაც ვაქცევ. უნდა გენახა, როგორ აღფრტოუდნენ, როცა ეუთხარი, მე ცოტავ სწორედ ამ ადგილას ვისწავლე-მეთქი. ისიც ეუთხარი, შენ რომ მასწავლე.

ხოვეთში რომ მიმყავს გოგონები, ისეთი გრძნობა მაქვს, ჩემს ბავშვობას ვაჩვენებ-მეთქი. ისიც ხშირად მგონია, რომ ხოვეთმა მე ბევრი რამ მომცა. შემოქმედი კაცი ხომ უპირველესად ბავშვობის შთაბეჭდილებებით საზრდოობს და მეც ის ჩვენი ძველი ნასახლარი შთაგონების წყაროსავით მიყვარს.

რამდენჯერ მიფიქრია, საბერის ეკმა ლენინ პატარა ქოხს კვლავ ხოვეთში ავიშენებ, ჩვენს ნასახლარზე, და სადაც აკენი დამრიწეიან, სადაც ცა პირველად დავინახე, თავსაც უკანასკნელად იქ დავუკრავ-მეთქი.

საოცარია ბავშვობის პირველხელვა. მახსოვს. შუბნიდებესის ბავშვი ეზოში გავედი. გაღმა, მთის წვერზე თეთრი ბორბალი ამოვარდა. გავშტერდი, ეს რა საოცრებაა-მეთქი. ეს საოცრება კი მთავრე იყო, რომელიც უხსოვარი დროიდან ამოდიდ და ჩადის, მაგრამ პირველ-ხელვისას კი ყველას ოცებს, თითქოს მანამდე არც ამოსულიყოს. მაინც მთავრე კოშკვეიდი აზიდულ კლდესთან ამოვიდა. იმ კლდეს თავზე დოლბისნსარი მრგვალი ქვა გვირგვინივით ედგა. აი, რამდენი წელი გავდა უკვე და მთვარის ამოსვლას რომ ახსენებს ვინმე, სწორედ ის პირველხელვი სურათი მეცხადება. ჩემთვის მთავრე მხოლოდ და მხოლოდ იმ დოლბისკვირგვინინან კლდის ზურგიდან ამოდის.

გახსოვს, ხოვეთში, ჩვენს სახლთან, კლდეში ბინული გამოდიოდა. ახლაც გამოდის. იმ უბანში სხვები დასახლდნენ, წყაროს კი ისევ ჩვენი სახელი ჰქვია. ხოვეთში გავლისას მწყურია თუ არ მწყურია, იმ წყაროსთან მივდივარ, ვეუჩოქებ და ხარბად ვსვამ... ეს წყარო სხვა რამით თუ არა, ფიქრით მაინც ბავშვობასთან მაბრუნებს.

მე ის წყარო მეჩვენება უგემრიელესად, ღარად ცაცხვის ხის ქერქი რომ უგია. ასეთი წყარო ბაღლობისას დავლიე. პატარა ბუმბერაზ შევეშვირე და ისე დავლიე.

იმ ბილიკებზე გავლაც მიყვარს, ბავშვობისას რომ დავფხიწიალობდი. იქ რომ გავიელი, თითქოს სიცოცხლე შემატება.

ბიჭო, თუ სადმე ხარ, ეს ყველაფერი შენ არ გენახრება? შენი ბავშვობის წყაროს დაულევლად რა გაძლებენებს?

დედა სამშობლოს გარდა დედის საფლავიც გელოდება. შენ ხომ იმ საფლავზე ცრემლები არ დაგიყრია?

მე რომ ოდიდან დავბერდები, უმაღლე დედის საფლავისაკენ გავიარე და ყველაფერი ეუთხრე, რაც თავს გადამხდა. ვახარე, ათასი სიკვდილი რომ დავამარცხე.

ამბობენ, ვინც მიწაში შავთმიანი წვება, სამარადისოდ შავთმიანი რჩებაო. შავ მიწაში შავი თმა ალარ თეთრდება, მარადი ღამისფერს ინარჩუნებსო.

ხალხმა საფლავში რომ ჩაუშვა, დედას ორი შავი ნაწნავი ჰქონდა, მაგრამ დედამ იმ

შავ ნაწნავებთან ერთად ქეეყნად დატოვებული ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის წინაშე ვალში ვიყავი, ჰოდა, ამ ვალის გადახდა ნაწილობრივ მაინც შეეძელი...

წამები წლებივით გაუგრძელდათ. ეჩვენებოდათ, ყველაფერი ამაო იყო, ამდენმა რისკმა ფუჭად ჩაიარა...

მაგრამ არა!

ყრუ გრგვინვამ, ცაში აჭრილმა ცეცხლის ალმა დედამიწა შეაზანზარა. ელსადგურსა და ქარხნის მთავარი კორპუსისაგან ნანგრევებიღა დარჩა.

პატარა გიიმ ალტაცებით შემოჰკრა ტაში, და ხტუნვა დაიწყო. — ხედავთ? ხედავთ! — იძახდა იგი და ხელს აღმოფხვრელ ელსადგურისაკენ იშვერდა. მერე ოთართან მიიკრა და გადაეხვია.

— გავიმარჯვეთ, ბიჭებო! მომილოცავს! — ძლივს მობერეწა ენა ალოშმა ცხომარიამ, ერთიანად ოფლში რომ ცურავდა.

ძილდამფრთხალი გერმანელები და პატენის პოლიციელები უზარიდ გამოეფინენ ქუჩებში. ყეიროები და ავტომატების სროლა ასტეხეს. მერე კი გესტაპოსა და პატენის პოლიციის მანქანების საყვირებმა მთელი ქალაქი გაყარეს. მათ ყველა გზა, ყველა კუნჭული ჩაპკეტეს.

პარტიზანები უკვე შორს იყვნენ. ნახეველი საათის შემდეგ ტიელეს მდინარის ნაპირს მიპყეებოდნენ, მერე ტყისკენ გადაუხვიეს და არხენაგ განაგრძეს გზა.

განთიადისას, როცა თოკამ იმატა და მთის მეზვერავლებს ბოლები ნისლი მოეცო, მაძაცი პარტიზანები უკვე შტაბის უფროსის — დიკადედერის ოთახში ისხდნენ.

ცოტა ხანიც და ისიც გამოჩნდა, — ხომ მშვიდობაა? — იკითხა შორიდან.

— დიალეა შეკასრულეთ. როგორც ხედავთ, ყველანი გადავრჩინეთ. ელექტროსადგურსა და ქარხნის მთავარი კორპუსისაგან ნანგრევებიღა დარჩა.

— ეს ვინღაა? — გაიკვირვა კაპიტანმა, როცა ჟორჟი დაინახა.

— ელსადგურის მორიგი მონტიორი, ალალგალური ორგანიზაციის წევრი — ჟორჟი. ჟორჟი დიდად დაგეგმარა ელსადგურის აფეთქებაში. ამიტომ თან წამოვიყვანეთ. — მოახსენა ცხომარიამ.

ოთარ კობიაშვილმა დაუმატა:

— კიდევ ორი ავტომატი წამოვიღეთ. ჩვენი ნადაელია!

ჟან დიკადედერს თვალები უციმციმებდა. რიგრიგობით გადაეხვია ოპერაციის მონაწილეებს.

მერე დიკადედერი დღიური-ჟურნალს დასწვდა და მსხვილი, გამოკვეთილი ასოებით დაწერა:

ყოფილი ქართველმა ტყეططებმა, სამეფო პატრიოტებმა — ალოშმა ცხომარიამ და ოთარ კობიაშვილმა 1944 წლის 11 იანვარს ტყეططა დაალწიეს თავი და ჩვენ შემოგვეერთნენ. მათივე წინადადებითა და მონაწილეობით მერე დღესვე მოხდა ქ. ტიელეს სამხედრო ქარხნის ელსადგურის აფეთქება. ამ რთველი

ოპერაციის შესრულების დროს მათ ახლდათ ფონენი პარტიზანები ლიელიე ბუიაგი და სპმ პატრიკო, აგრეთვე 14 წლის პატრიოტი გიი ბუიაგი. პარტიზანელი დაკოცეს შესრულებულია. პატრიოტები ნადაკლითაც დაბრუნდნენ უკან.

— შენ კი მოდი ჩემთან,—მიუბრუნდა დიკიდედერი გიი ბუიაგს,— მე შენ ახალი დავალება უნდა მოგცე...

პატარა გიი ფეხზე წამოდგა, მას დაეკაროა ქალაქში დაბრუნება და ახალი ამბების გაგება. ოფიცერმა შემდეგ ქალაქში შექმნილი მდგომარეობის შესწავლა.

ნასადილეს გიი ოთარმა და ალიოშამ გაიცილეს.

შუაღამდე რომ მიაღწიეს, ოთარმა უცაბ მოიწყინა, თავი ჩაღუნა. თვალწინ ეოზეტი ედგა, ფიქრით მასთან ტრიალებდა, იმ ეოზეტთან, რომელიც უცხოეთში სამშობლოსა და ახლობლებს მოწყვეტილი ახალგაზრდისათვის პირველი სიყვარულის, პირველი სიხარულისა და პირველი მხარდაჭერის განსახიერება იყო.

ოთარმა თავი აწია, პატარა გიის ხელი წაეღლო.

— გიი, თუ გიყვარდე, ერთი თხოვნა შემისრულე.

— ათი იყოს, ედუარდ! შენთვის ყველაფერს გავაკეთებ! — შესაცინა გიიმ.

— პირადი საქმეა!

— იცვეს, მერე რა?

— ქ. ვუადნი უნდა წახვიდე. ..

— ვისთან? — არ დაამთავრებინა გიიმ.

— ეოზეტ დეზეერი უნდა ინახულო. ამ წერილს გადასცემ, — წერილი გაუწოდა, — ფრთხილად, არაკინ გაგიგოს, ხომ გახსოვს, რომელ ეოზეტზე გეუბნები, კლოდისა და ჟანის ბიძაშვილი, კლოდის თანხლებით ვუადიდან ჩქენსას რომ მოვიდა, შენ რომ წამიყვანე და შემახვედრე!

— როგორ არ მახსოს! — სიხარულით და გაკვირვებით წამოიძახა გიიმ. გაახსენდა: წარმოსადეგი, მიმხიბველი გარეგნობის ქალიშვილი, სულ რომ იცინოდა. ანდა როგორ არ გაახსენდებოდა, პირველ ღღეს, როცა ვუადიდან ჩამოვიდა ეოზეტი, მაშინვე ოთარ კოპიაშვილი იკითხა.

— რატომ გაინტერესებთ, ქალიშვილო? — პირიქით დაეკითხა გიი. — თვითონ თქვენ ვინა ხართ?

— მე?.. — მე ეოზეტა ვარ, ვუადიდან..

— აჰ, ვიცი, ვიცი! როგორ არა, ედუარდმა ყველაფერი მიამბო თქვენზე!—და უცაბ ძველი ნაცნობივით გაუღიმა, — ეს მე მოგწერე მის შესახებ წერილი. ეხლაკე წავალ და მოვიყვან, გაეხარდება. შესაცინა და შეაშტერდა. მოეწონა. თვალი ვერ მოაშორა... აი, ეს გაახსენდა გიის. მერე ოთარს თვალი თვალში გაუყარა და მრავალმნშვნელოვნად ჯაფლიმა.

... ორმა დღემ მშვიდად ჩაიარა. პარტიზანელები რაზმი ტაქტიკური მეცადინეობებით იყო დაკავებული. როგორც კი თავისუფალ დროს მოახერხებდნენ, ოთარი და ალიოშა ფრანგულ ენას ჩაუჯდებოდნენ.

— ნუტა როდის დაბრუნდება გიი? — გაიხსენებდნენ ზოგჯერ პარტიზანები „გავროშს“. ოთარს კი მის გამოჩენამდე ერთი სული ჰქონდა, ეოზეტზე ფიქრი არ ჩაუენებდა. ხომ არაფერი მოუვიდა? იქნება გერმანელებმა საკონცენტრაციო ბანაკში გააგზავნეს?.. და ტანში გაეკრეოლებდა. გული დაემდუღრებოდა.

როგორც იყო გათენდა მესამე ღილა და გიი ბუიაგიც გამოჩნდა. ჩქარა ეელო და მხიარულ სუნთქვადა.

— გავროში მოვიდა, გავროში! — სწრაფად მოეფო მთელ ბანაკს. ჟან დიკსდედერი დიდი ამბით გამოეკეთა მამაც მეკავშირეს, გვერდით მოისვა და მიეალერსა.

— როგორაა საქმე, ჰა? — ჰკითხა.

— მე მგონი კარგად. — უპასუხა გავროშმა. მერე ქუდი გაარღვია, სარჩულიდან სამაგრილოდ გადანახული ბარათი ამოიღო და გაუწოდა, — სასადილოს მეპატრონემ, ანდრე პიერმა გამომატანა თქვენთვის. მე რომ არ მიგსალიკავი, თვითონ ამირეკნა აქეთკენ წამოსვლის.

დიკსდედერმა გამოართვა ბარათი, დახედა:

„ქ. ტიულეში სამხედრო ქარხნის ელსადგურის აფეთქების შემდეგ მუშაობა შეწყდა. გერმანელები სასოწარკვეთილებას მიეცნენ. მოსაღლიობას ყოველდღე ჩხრეკენ. განუწყვეტლივ ასატმრებენ შემჩნეულ პატროლებს. მამაკაცები ქალაქიდან გიიხიზნენ. ქართველ ტყვეებს საშვი ჩამოართვეს და ერთ ნაბიჯზეც არ უშვებენ თავისუფლად. ცხოსარიასა და კობიაშვილს დამჭერებს უდიდეს ჯილდოს პპირდებიან. გერმანელებმა სამხედრო ქარხანა დაშლეს და ევაკუაციისთვის მოამზადეს. როგორც პატრიოტი ქართველი ტყვეები ვვატყობინებენ, ხვალ. ე. ი. 1 აპრილს, ღამით მოხდება სამხედრო ქარხნის ნაწილების დატვირთული ეშელონის გასვლა. იქნებ ვვაკავეთოთ სასიკადულო საქმე, ტტროსაშუალება მოვუსპოთ, ქარხნის გადატანისას დაეუხვდეთ და ავაფეთქოთ?! ყოველგვარ ახალ ცნობას დამატებით შეგატყობინებთ.

თქვენი ანდრე პიერი“.

ჟან დიკსდედერმა ჩაახველა. — ესეც ასეო, და მომდიმარი სახით გადახედა გიის.

— რას იტყვი, ა?

უნდა ავაფეთქოთ! — კვერი დაუკრა გიიმ.

— შენ ასე ფიქრობ? მაგრამ რას ფიქრო-

ალექსანდრე გუჯაბიძე
ბ ნ ბ ო ბ ბ ი ბ ი

ბენ სხვები? — ახლა პარტიზანებს გადახედა დიუსდადერმა.

— კოება მოვიწეოთ! — თქვა ვიღაცამ.

ასეც მოიქცნენ.

პარტიზანთა საერთო კრებაზე დიდი გამოცოცხლება იყო. დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იდგა — როგორ აეფუთქებინათ ემელონი და ვინ გაეგზავნათ ამ სახიფათო დავალების შესასრულებლად.

— მე წავალ! — თქვა ერთმა პარტიზანმა.

— მეც! მეც! მეც! — იძახის ხელების ტყეკითთქმის ყველა თანხმა იყო.

ბოლოს დიუსდადერი წამოდგა და შეკრებილნიც გაჩუმდნენ.

— ამ მარტო სურვილი და მონდომება არა კმარა. სუფრილთან ერთად დიდი გამბედაობა, გამძლეობა და, რაც მთავარია, საკმის ცოდნაც არის საჭირო. ამ დავალებას ნაცადი პატრიოტები — ალეკსი ცხომარია, ედუარდ კობიაშვილი, ლიელიე ბუიაგი, საბო პატრიეო და ეორეი შეასრულებენ. ეს დიდი დავალება და მის შესასრულებლად სხვა პარტიზანთა შენაერთებიც დაკვეხბრეზიან.

დავალების შესასრულებად მიმავალ ბიკეტიდან გიმი ოთარ კობიაშვილს წელზე ხელი მოხვია, გვერდზე გაიხმო და წასჩურჩულა.

— ედუარდ, შენი დავალება პირნათლად შეასრულე!

— იყავი ეუადში?

გაგრიშმა თავი დაუქნია. — აი, ეოზეტის წერილი, — ჯიბიდან ამოიღო და მიაწოდა.

ოთარს სიხარულისაგან თვალები აუბრწყინდა. ბავშვივით აცეცდა. აღარ იცოდა, როგორ ეთქვა გიისთვის მადლობა. შერე ხელი მოხვია, ატაცა, გულში ჩაიკრა და ჩურჩულით უთხრა:

— გმადლობ, ჩემო პატარა მეგობარო, გავრომ! გმადლობ!...

ოთარმა წერილი გახსნა და წაიკითხა:

„ჩემო ძვირფასო ედუარდ! მივიღე შენი წერილი. გავიგე საქმის ნამდვილი მდგომარეობა. დამშვიდდა ადორიაქებული სული. რაკი პარტიზანებს შეუთრთები და ეოცსხელი გადარჩი, მეტი რაღა მინდა! ძალიან მიხარია, ფრთები გამოძესახა თითქოს, ეკეკვ და სიმღერა მინდა. წარმოგიდგენია, რა დღეში ჩავვარდით შენი გაქცევის შემდეგ? გერმანელები გვიან ღამით დაგვეხსნენ თავს. მთელი ახლო გადაეჭოთეს. შენი სურათები მიპოვეს და წაიღეს. ორი დღეა ზედიზედ მიბარებენ დაკითხვაზე. თვით გენერალ-პოს უფროსი აწარმოებს დაკითხვას, რატომ შეიყვარე უუფლები ტყეეკ. რას ვეტყოდი? ვეთხარი რომ სიყვარულმა ეგ არ იცის-მეთქი. ახლა თუ გაქვს თანთან წერილობითი კავშირიო. მე პირველი გადავწერე და დავიფიცე, რომ ამჟამად ყველაფერი ეაწუეტერია. ეონს მოვედი და ჩემი ადრინდელი საქციელი სისტელად მეჩვენება-მეთქი.

არ დამიჯერა: — სტყეი, არამზადაეთ, ზეზე წამოიმეჩა, თვალები გადმოყარეთ! ჩვენ ყველაფერი ეიცით. ერთმანეთთან წერილობით კავშირი ახლაც გაქვთ, ეს წერილები კი აქვე გვაქვს, — ხელი ეჭერისაკენ გაიშვირა, ხმა დაეწია და განაგრძო, — თავს ნე ილეპაე! სასიკეთოდ-საკონსენტრაციო ბანაკში შმეერ ძალლივით ამოგხდება სული.

— ნუბა თქვენია, მაკრამ, იცოდეთ, რომ მე სიმართლე გითხარით. კობიაშვილის წასვლა შემდეგ ვერც წერილს, ვერც ჩვენ შეხვედრის მოწმეს სანლლითაც რომ ეძებით, ვერაფერ იპოვნი-მეთქი.

თითქოს სასწაული მოხდა, როგორც კი ხანში შესული ეგსტაპოს უფროსი მაიორი წავიდა, გესტაპოს ფორმაში გამოწყობილმა კობაშვია უფროსმა ლეიტენანტმა შუბლზე ჩამოყრილი წაბლისფერი პრიალა თმა ფაფასორა და დამაშტერდა. შემეშინდა. გულში ეშვი დამებადა, რამე ავი გაეწირახეა ხომ არა აქვს მეოქი. კარებს გავხედე, მაკრამ ავი დაეტეილი იყო. დაყვირეებასაც არ ჰკრნდა აზრი, თავი ჩავლუნე. სამინლად მიეკმადა გული.

ერთხანს ჩუმად იჯდა. მერე ფიქრებისაგან მისმა ხმამ გამომარკვია.

— თავი ასწიეთ, მადმაზელ ეოზეტ! — მითხრა დაეკვეტეთ.

თავი რომ ავწიე, გავეოცდი. ჩემ წინ შეტლშეკრული, მრისხანე უფროსი ლეიტენანტის ნაცვლად, სულ სხვა პიროვნება იჯდა თითქოს. ხელში სურათი ეჭირა. სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებდა, — ეიეი, მადმაზელ ეოზეტ, — განაგრძო მან, — ყველაფერი ეიეი! მეც ხომ ახალგაზრდა ვარ. მეც გამომიცდია სიყვარული. შეხედე? — სურათი ჩემსკენ შემოტრიალა. — ხედავ? ისიე შენსავით ლამაზი და მიმზიდველი იყო. მასაც შენსავით ზღვისფერი თვალები ჰქონდა, ოღონდ ეს იყო, რომ პოლონელი ვაჭლაა. თავდავწყვეთი მიყვარდა და მგონი მასაც არანაკლებ ვუყვარეიი. ჩემმა თანამემამულეებმა კი გულიდან ამოგლეჯეს, საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს, სიხარული და ბედნერება წამართვეს..

— მოოთმენლობა გამოვიჩინე. „როგორ, ნუთუ იგი პატრიოტი იყო?!“ ინსტინქტურად წავართვი სიტყვა:

— „ღიაბ, პატრიოტი იყო, პარტიზანი“.

„არ მესმის!“ — მივუგე შეცბუნებულმა, — პოლონელმა პატრიოტმა და გერმანელმა გესტაპოელმა როგორ შეიყვარეთ ერთმანეთი! ამისი დაჯერება ბრიყესაც კი გაუჭირდება!

ღრმად ამოისუნთქა. „ეჰ, მადმაზელ ეოზეტ! — თვალს ქნეეთი მითხრა, — დაეჯერეეეია, მაგრამ სინამდვილეა. ჩვენ შეგვიყვარდა ეოთმანეთი. ყველაფრის თქმა არც ერის საჭიროა. მაგრამ მწამს, რომ გამიგებ, მწამს, რომ არაეის ეტყეე, ჩვენ ერთი საერთო გვქონდა —

გერმანია ჩემი სამშობლოა და მე თავდავიწყებით მიეკარის იგი, მაგრამ მძულდა, მძულს და ვერასოდეს შევეთვისება ფაშიზმს. არც ახლა დამიჯერებ?"

ეს უკანასკნელი ინტერვიუ მან ძალზე ჩუმად წარმოთქვა. მე შეგერთო, გავიფიქრე: „ნუთუ, თვალთმაქცობს, ნუთუ ჩემი მონუსხვა დაპირა ამ გესტაპოელმა? მაგრამ მის სიტყვებში, მის მოქმედებაში სიეჭვო ვერაფერი ვიპოვე.

„მკერა! ყველაფერი მკერა!..." და შევნიშნე, რომ სახე მოუსინათლდა. თვალებში რაღაც შექმნა ჩაფდგა. მერე ქაღალდებში ჩაიხედა. ეჯრიდან სურათი ამოიღო და გამომიწოდა:

— აბა, წაიღე, შენია და შენვე გიბრუნებ.

სამართალ გითხრა, ჯერ შემეშინდა. გაქვავებული ვიჯექი. ეგეი შემომაფრინდა და სულის ღრღნა დამიწყო, ალბათ, მცდის-მეთქი, ეუცქერდი, ვდუმდი. მერე თავი გავიქნიე, არ მინდა-მეთქი.

— გამომართვი! არ გატყუილებ, მადამაზელ! წაიღე, გაიხარე! ეს, ნეტავი ჩემს სურათსაც ასე გაუწოდებდეს ვინმე საწყალ სოფიას, ასე აღსრულებდეს გულის წადილს. გამომართვი, გამომართვი! — ხელწაფდ იქეა. რაც მოსახდენია, მოხდეს მეთქი და შენი სურათი დავიბარეს. მადლობა ეთხარი და მერე ისიც დავუმატე:

— თქვენი საყვარელი სოფია — ვიცოცხლოთ-მეთქი. ღმერთმა ჰქნას სასწაული, ბედმა გაგიღიმოთ, ისევ შეგეყროთ, მხოლოდ არა იქ — საკონცენტრაციო ბანაკში, არამედ თავისუფალ და კაცმოყვარე გერმანიაში, პოლონეთში ან ჩვენს ლაშაზ საფრანგეთში-მეთქი.

ფრთაშესხმული გამოვედი გარეთ. კი არ გამოვედი, მოვფრინავდი. თან ეფიქრობდი: რატომ არის ცხოვრების გზები ასე ახლართულ-ჩახლართული? რატომ უნდა ეშინოდეს ადამიანს სიმართლის თქმისა?

ის იყო და ის. მერე აეარავის გამოუეძახიეარ. შემოხვევით გადავრჩი. იმ უცნაურმა უფროსმა ლეტტენანტმა გადამარჩინა. ვერასოდეს ვერ დავიიწყებ მის სახეს!. დღემდე ყველა გერმანელი მეზარებოდა. ეფიქრობდი ყველანი ფაშისტები არიან მეთქი, და ვცდებოდი, ვიცი, რომ მწარედ ვცდებოდი, ენანება... თუ ამ ამის შესახებ მერეც მოგწერ. ახლა კი მოკიმოხვასა და კეთილ სურვილებს ვეუფლი შენს ბედში და გვერდში მყოფ ალექსი ცხო

დედამიწამ და ავარდნილმა ცეცხლმა ცა შეტრუსა.

ყველაფერი აირია.

მაღლობზე შეფეთნილი პარტიზანები სიხარულით შეჰყურებდნენ ცის შორეულ გუგუნს. ერთმანეთს ეხვეოდნენ. გამარჯვების ულოცავდნენ და ჰკოცნიდნენ.

— აბა, ცოტა მაცალეთ, — საქმიანი გამოძეტუყველება მიიღო ოთარმა. — ნამდვილად რომ დაეგიწყარი სურათია. ამის დაკარგვა არ შეიძლება, — და ფოტოაპარატი მოიმარჯვა— ცაში ავარდნილი ალი, კვამლის დახვეული ბოლქვები, ნამსხვრევებად ქცეული გვირაბი და ეშელონი გადაიღო.

— ახლა კი დამშვიდებით შეგეძლია ფოტოვოო აქაურობა. — უთხრა მერე ბიჭებს, და ტყეში გაეფინარდნენ.

* * *

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. მკითხველს ალბათ დაინტერესებს — რა მოუვიდათ საფრანგეთის მთებში მებრძოლ ქართველ პარტიზანებს — ალიოშა ცხომარიას და ოთარ კობიაშვილს?

გადარჩნენ.

1945 წლის ოქროსფრად შეუვეთლებულ შემოდგომაზე სხვა თანამემამულეებთან ერთად მათ წილად ხვდათ ბედნიერება — მუხლი მოეღიკათ მშობლიური მიწის წინაშე და გამარჯვება მიელოცათ მშობლებისათვის, ნათესავებისათვის, ამხანაგებისათვის.

ცხომარია ქალაქ ფოთში ცხოვრობს. წარმატებით დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და ჯანსაღი ოჯახი შექმნა. ფოთის საქალაქო პოლიკლინიკის მთავარი ექიმია. ორი შვილის მამაა. მოუსვენარსა და მებრძოლ ადამიანს ეძახიან მეგობრები. რადგან დღედაღამ ადამიანთა სიცოცხლის დარაჯად დგას და სიკვდილს ამარცხებს.

ოთარ კობიაშვილი მშობლიურ მცხეთაში ცხოვრობს.

ხანდახან ჩაფიქრდება. თვალებში სიხარულის ნაპერწკლები აუციმციმდება. რას იგონებს ამ დროს იგი? ომის დამთავრებას, რომელიმე საბრძოლო ეპიზოდს თუ ქორწილს... მტერზე გამარჯვების ღღეს მთელი საფრანგეთი ზეიმობდა. პარიზის ბუნება გაზაფხულის სურნელით ათრობდა საზეიმოდ განწყობილ ადამიანებს. ქართველ ნიფეს — ოთარ კობიაშვილს და ფრანგ დედოფალს — ჟოზეტ დეზეერს ხელისმომკიდე ძმობილი ალიოშა ცხომარია საბჭოთა საკონსულოსაკენ მიაცილებდა... ომის დამთავრებითა და სიყვარულს გაზაფხულით გულგამთბარმა პატრიოტებმა ერთმანეთისათვის მიეკუმღნი ფიცი განაზორციელეს: ერთმანეთს მიენდნენ, სულიერი მეგობრობა შესთავეაზეს, შეუღლებია რეგისტრირება მოახდინეს, საბჭოთა პასპორტები მიიღეს, სამშობლო საქართველოში რაც შეიძლება ჩქარა წასვლის სურვილი განაცხადეს...

... ოთარისა და ჟოზეტისათვის წმინდა სიყვარული „გზად და ხიდად“ იქცა. 1945 წლის 9 ნოემბერს საზეიმოდიმარი ოთარი და ჟოზეტი ხარბად ისუნთქავდნენ ისტორიული და ლამაზი მცხეთის ჰაერს. სტკბებოდნენ სვეტიცხოველის, ჯვრის მონასტრის, ბებრის ციხის, მტკვრისა და არაგვის შესართავის მოჰხიბვლელი სანახაობებით...

... წლებმა გაირბინა. ჟოზეტა და ოთარი ახლა სამ შვილს ზრდიან.

1963 წელს ჟოზეტა თვრამეტი წლის უნახავ სამშობლოს ესტუმრა, ინახულა მშობლიური ეუადი, ახლობლები. გული სიხარულით უცემდა. მაგრამ მოხდა ის, რაც ეკრერგიგად დამახასიათებელია ოჯახის მოყვარული დედისათვის, — მალე მოიწყინა, მოენატრა მეუღლე, შვილები, მცხეთა და ორი კვირით ადრე გამოემშვიდობა საფრანგეთს, მოაშურა მცხეთას, გაიხარა ქართული ოჯახით....

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო კობერიძე

ჯარისკაცის შვილი

თითქოს, აგერ გუშინ იყო ომი რომ დამთავრდა, თითქოს გუშინ დაგვიბრუნდნენ ომიდან მამები, ბიძები, ძმები... თითქოს გუშინდელი ამბავია: ქორწილებმა ერთბაშად იმატა; ყვავილებს იშვიათადღა ყიდულობენ დათალხული ქალები; დაჭრილებს ისევ ჯარისკაცის მაზარა აცვიათ; ნათმარ ბიჭებს მკერდზე ორდენების გაკეთება არ ავიწყდებათ — ასე შედიან მისაღებ გამოცდებზე, პროფესორი ბილეთის ღღებს სთხოვს, ოღონდ ფრონტულ თავგადასავალზე ეკითხება. ეშინია, ვაითუ სიგანი არ იცოდეს და რა ხელით დავწერო ორიანიო...

ოცდახუთი წელი გავიდა მას შემდეგ, ფოსტალიონებმა შვებით რომ ამოისუნთქეს: მათი გამოჩენა სევდად აწევებოდათ უბედურების მომლოდინე დედებს, განსაკუთრებით დედებს, ვინაიდან სულ სხვაა დედის თვალებზე შვილის დაკარგვით მომსკდარი ცრემლის ნაღვარი, დარდი, ვაება და დუმილი შავარშიაშემოღებულ შვილის სურათთან რომ ჩამოდგება ხოლმე...

ოცდახუთი წელი გვაშორებს იმ დღეს, დიდ სიხარულს რომ გვახსენებს და დიდ ტკივილსაც. ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნება, მხოლოდ ამ ერთადერთ დღეში ეტევა თავისუფლად, უყოყმანოდ, უკამათოდ...

ამ ოცდახუთი წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა: ომში დაცემული შვილების ასაკს კაი ხანია გადააბიჯეს შვილებმა; თითქოს სამხედრო ბრძანებაა — შვილიშვილებს მათ სახელებს არქმევენ; ფრონტიდან მოლებული წერილები ისე გაიცრიცა დ გაყვითლდა, ძნელია ამოიკითხო, მისი გამომგზავნი რასა წერდა გაყინულ-გათოშილ სანგარში, უსახელო მაღლობზე ეირაშის წინ თუ საქეკეყნოდ ცნობილ სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ. ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ფრონტულ თავგადასავალს კეთილ ზღაპრივით უყვებიან შვილიშვილებს, ხოლო ოფიცრები პრიალა ქაღალდზე მემუარებს წერენ და შუბლს იკმუხნიან, მათ წიგნში ყოველ მეორე გვერდზე ვინმეს პორტრეტის დაბეჭდვაზე უარს რომ აცხადებენ გამომცემლობები. ეს მემუარები ერთმანეთს ისე ჰგავს, როგორც ფრონტიდან მოლებული შავი ქაღალდი: „თქვენი შვილი ესა და ეს გმირულად დაეცა ამა და ამ ადგილას... უნდა იამაყოთ, რომ ასეთი შვილი გაუზარდეთ დიდ სამშობლოს...“ მსგავსება გამოწვეულია ომის სიდუხჭირის ერთფეროვნებით და მაინც ისეთ სიანლეს წაუწყდები, არასოდეს ამოიშლება შენი მეხსიერებიდან.

ყველაფრის მიუხედავად დღესასწაული დღესასწაულია მაინც და მეტე როგორი დღესასწაული! — ცხრა მთისმა კაცობრიობას ფაშიზმის დაცემა ამცნო, ცხრა მთისმა გაახმაური ორი სახელი, დღესაც პირზე რომ აკერია ქეკეყანას: ეგოროვი და ქანთარია! ამ დღეებულმა დღემ ბევრი ტკივილი მიაყუჩა და მოაშუშა. მას შემდეგ დაიწყო მშვიდობიანი დღეები, მშვიდობიანი შრომისა და შენების დღეები. მაგრამ იმდროინდელი გოდება ახლაც გარკვევით ჩაგვესმის. ამის დავიწყება შეუძლებელია, ხელშესახებად უნდა ცოცხლობდეს ჩვენში, მთელი არსებით რომ შეეიგრძნოთ სიმშვიდის ფასი და ვემო. ამ აჭსომაზე დიდი ხანია ალარ ლაპარაკობენ ადამიანები, წიგნები კი იწერება, დიდტანიანი წიგნები: მომავალმა თაობამ უნდა გაიგოს, იცოდეს, რა ძვირი დაჯდა ცხრა მთისი, სამშობლოსმოყვარე ხალხს რა სისტლის ზღვად დაეღო გამარჯვების დროშის აფრიალება რიხსტაგზე!

არიან გმირები, ორგზის გმირები, სამგზის-ბუნებრივია მათ გარკვეული წყლილი შეიტანეს გამარჯვებაში, ალფფოთოვანებდნენ მილიონობით საბჭოთა მოქალაქეს, რწმენას უნერგავდნენ, განსაკუთრებით დიდი ომის პირველ, მაგრამ ასეთებიც ბევრ ასებობენ უსახელო გმირებიც, თუნდაც ისინი, ვინც ისე დაიღუბა, თოფის გასროლაც ვერ მოასწრო; ყველა გმირია, ვინც

საკუთარი სიცოცხლის ფასად გზას უკეტავდა სამშობლოს სიღრეკებისკენ გამოჭრილ ურდოებს, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად დასავლეთისაკენ მიერეკებოდა ტტრს — ვისაც უკვე ქამი დასდგომოდა ეგრანნო, როგორია მშობლიური ჭერის თავზე დაკეცვის საშინელება...

თითქმ ჩამოსათვალელი დღეები გვაშორებდა იმ ცხრა მთისამდე, გამარჯვების ოცდახუთ წელს რომ ამთავრებდა, როცა ერთ დილით რედაქტორმა მიხმო და დავალება მომეცა.

— აი, რა, — მითხრა რედაქტორმა, — საიუბილეო ნომერს კიდევ ერთხელ გადაეხედე დ., ნარკვევი გვაკლია. მე მინდა დღესვე წახვიდე სითმე, აიღო მასალა და ნარკვევი დაწერო სამამულო ომში დაცემულ ჯარისკაცზე. საქეველოდ ცნობილი ჯარისკაცი არ გვინდა, ეკადე, უსახელო ვინმე იყოს, ჯეჯეერობით ვინმე. ყურადღება გამამახელე კიდევ იმ ადამიანებზე, ამ ქვეყანაზე რომ დარჩნენ და იმედით გასცქერიან მის გზას — ეგეს გამოჩნდესო.

— გასაგებია: უსახელო ჯარისკაცზე...

— როგორც ამბობენ, უსახელო ჯარისკაცები არ არიან, რა თქმა უნდა, ჩვენს ფიქრში, ჩვენს შემეცნებაში არ არიან... მიმიხედი ალბათ: ეს იმ შინმოუსვლელებზე ვეუბნები, ვისზედაც ბრესაში არაფერი თქმულა და მხოლოდ ამ მხრივ არიან უსახელონი!...

— ბუნებრივია, მეც ასე გავიგე. მოვიფიქრებ, საით წავიდე.

— სულ ერთია, ოუნდაც... რა ვიცი, შენ როგორც იტყვი. ეთქვათ, — გურჯაანში, გეგეჭკორში, თუნდაც დუშეთში.

— კარგი.

— ხვალ დუშეთში, რაიკომის პირველ მდივანს, არჩილ შაფრის ნახავ, ან რაიონის სამხედრო კომისარს, ისინი მოგცემენ გეზს... უკან დარჩა ხმელთაინო თბილისი — ჩვენი „ეოლვა“ მცხეთას უახლოვდება, საცაა გამოჩნდება დიდებული „ჯვრის მონასტერი“ და ბულს უცნაური ერუანტელი შეაქანებს: წარსულის ბურუსში გაბორიალებს, დაგაოცნებს, სინანულად გაკეკვეს და, როცა სინამდვილეში დაბრუნდები, ისევ გზაზია, რომ ალა-იქ, ბალღებში თეთრად გამოკრთება ხოლმე ნაადრევად აყვავებული ნუში.

ჩვენი რედაქციის მძღოლი, გურამ ჯარიაშვილი დაფიქრებული, საკუთარი სამშის მცოდნე კაცია. თავს არასოდეს შეგაწყენს საუბრით — სიტყვაძვირია, და რასაც იტყვის, როგორც ასეთ ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე, მას უკვე გარკვეული ფასი და წონა აქვს. ახლაც მშვიდად, ეუდელვებლად მართავს „ეოლვას“. ორივენი ჯუმბართ. ჩვენ ჩვენს საფიქრალი გვაწუხებს, მე ისევ ნარკვევი მიტრიალებს თავში: სასწრაფოდ უნდა აეიღო მასალა. ათასჯერ გადაეკითხო, მერე დავჯდე და დაეწერო. ყველაფერს მოვალეება, მაგრამ მთავარი მაინც ეს ალბათ, რომ ჯერჯერობით არ ვიცი, რაიმე ხელოსანზედ მივაგენებ თუ არა, ასეთი საფიქრალი აწვალებს ყველას, ვისაც ამგვარი ნარკვევი ან ნაწერამები დაუწერია: კაცი გავიდა სახლიდან. ბევრი იომა, იბრძოლა, იტანჯა და ტყვიამ გაალია ბოლოს. ასეთი მეომრების წინაშე აუნაზღაურებელი ვალი გვმართებს, ვალდებული ვართ ცრემლვარეული სიყვარულით ვახსენოთ მათი სახელი. ბედნიერია ის შინმოუსვლელი, ვისაც ბევრის გინმგრძობია, კერიის გამდევნებელი ვინმე მაინც დარჩა. მაგრამ ჩვენ ვიცით ბევრი ჯარისკაცი, ვინც სახლიც შვინდის ჯოხით გამოიკეტა. ვის სახელსაც მხოლოდ სამხედრო კომისარიატის საგანგები სიაში, დალუპულთა სიაში წაიკითხავ...

— რას მეუბნებოდი, რა საქმეზე მივდიოართ დუშეთში? — მეკითხება ბურმი, — ჩემს დუშეთში რაზე მივდიოართო?

— ნარკვევისათვის მასალა უნდა აეიღო.

— რა ნარკვევისათვის?

— ომში დალუპულ ჯარისკაცზე, მის ოჯახზე... აუცილებელი და სასწრაფო მასალაა.

— შე კაი კაცო, ამსიმორეზე რა მოგვარებენიგბდა, თბილისში ვერ მიაგნებდი ვითომ?

— თბილისშია შეიძლებოდა, მაგრამ დუშეთი მირნია რედაქტორმა და მეც ჭკუაში დამიჯდა.

— მე კი მგონია, ამ საქმის მოგვარება არც ქალაქში გაჭირდებოდა. კომისარიატში სირბილი რათ გინდა, დადექი რედაქციის წინ, გააჩერე პირველი გამვლელი და ნახავ, რამდენი ახლობელი ეყოლება ომში დალუპული და დაკარგული.

— ვიცი, პროცენტებით ყველაზე მეტი ქართველი დალუპა ამ ომში. ვიცი...

— ავაშენნ ღმერთმა, მეც მანდა ვარ! კაცი არ მეგულება ამ ქვეყანაზე, ვინც არ გიგმწარებია-მე ან უბედურებას. ერთი ძმაკაცი მყავს... — და სათქმელი გაუწყდა: მოსახვევიდან „ეოლვა“ გამოვარდა, ჩვენს პირდაპირ ისე მოდიოდა, თითქოს მოსდევენ და თუ დაიჭიერს, ვაი ხესა და ქვასაო. გურამმა ბურმთან მოატრიალა მანქანა, ისე მკვეთრად, კინაღამ თხრილში გადავცვივდით. მაგრამ იმარჯვა, მალე შეიმჩნია საშიშროება და ისევ გაწლილ გზაზე გავედით. გურამი ერთხანს ხმას არ იღებდა, დაძაბული გასცქეროდა გზას.

— დაინახე, ვინ იჯდა მანქანაზე? — ღიმილით მომხედა.

— კი, პატარა ბიჭი იყო.

— ღლაპი, ბიჭი კი არა, ღლაპი! საკუთარ „ეოლვას“ უჯდა. შენ როგორა გგონია, ბიძაშისა იქნებოდა? ბიძები სხვას იშვიათად ანდობენ მანქანებს. ვიდრე დუშეთში ავალთ, დრო ბევრი გვაქვს და დამშვიდებით ვიანგარიშოთ: ის ბიჭი, იმ „ეოლვის“ შოფერი, ბევრი-ბევრი

ოცი წლისა იქნებოდა. ოცი წლის ბიჭს რა იმდენი ფული უნდა ჭქონდეს, დატრიალდეს და მანქანა იყიდოს? არ ექნება. მოკლედ, გამოდის, რომ მამამისს ქონებაა. ეხლა ეგეთი მამის პატრონი ასე თუ რა გალალებელი, რა შმრამელი კაცი დადგება, მაგასაც ენახავ! დალოცვილი შვილო, ნაცარში გამომცხვარი ხშიადის გემო რომ არ იცი, მაშ თავლილკეერის გემოს გაიგებ?! მე მოგიკვდე, მაკასა ჰგონია. „ეთოლგაში“ დაიბადა. ეგრეა, ჩემი ძმაო, მაგისთანა ბიჭ-ბუჭობა ქვეყანასაც ანაგვიანებს და ხასიათსაც გაშხამავს. დადექ-ბოგანერ ბოგანერ და იტყვი, მე რა-ფა დავაშავეო — თან აგინებ და თან კიდეც ითმინ ბედი გენატრება! ეგრე არ არის, ჩვენებურო?

ძნელია არ დაეთანხმო...

მეხუთი გავიარეთ: „ჯვარის მონასტერიე უკან დარჩა, ხარაზოებში ჩამეღარი „სვეტიცხოველიც“. მეზეთაში რომ ჩამოვდივარ, სულ მეკარგება ლამარაკის ხასიათი, თითქოს მეშინია, ფიქრსა და ოცნებების კარ გამოეკეტე. მეხეთა კი ყოველთვის ფიქრად მაქცევს ხოლმე, ფიქრად და ოცნებად. რამდენნი უსაქმური ახალგაზრდა მინახავს, მშობლების იმედითა და წყალობით თავაწეული, უსაქმური ახალგაზრდა, მეხეთით რომ უამაყია — ჩვენი „ჯვაროო“, ჩვენი „სვეტიცხოველიო“. ისტორიიდან ყუთმაკოცულ „ბავშვიანებს კრეფს და სადღეგრძელოებამდე ჩამოაქვს. ეტყო კაცმა რომ მოუსმინოს, იტყვის, ეი ნამდვილი მამეულნაშვილი. რომ ჰკითხო, ყველაზე დიდი პატრიოტია სამშობლოს ისტორიისა, მაგრამ უსაქმოდ კი დაეხეტება, დღეს არაფერს აკეთებს სასარგებლოს, არც თავის ხალხს გამოადგება, რითაც შეიძლება იამაოს მისმა მომავალმა სამშობლომ. ისტორიის სიყვარული და პატეყელ-პატეყელი სიტყვები. სადღეგრძელო ბრალია, ეს ბრალია. ეს პატრიოტზმი ზმორად შშვენიერი იეზორია. მე ვფიქრობ: იმ ადამიანს, ვინც სასარგებლო ზრომას გაურბის და მამულისთვის არაფერს აკეთებს, უფლება არა აქვს ითამაოს მცხეთით, თეედორე მღვდლო, ცოტნე დადიანო... ეჰეთ, რითაც ნამდვილად ეამაყებოდათ ჩვენს ნინაპრებს, ეამაყებოდათ და არც აყვედრიდა ვინმე...

— აბა, კაცო — ეღიმება გურამს. — დაიბეგნეს ალმა-დალმა! იმდენს ირბენს, ვიღრე რაღაცას თე ვიღაცას არ წაეწყება. ჩემსაკენ იცოდეს, რა არის დაკოფილი ხელება, სიცივე, სიშიშვილ, და ნახავს, როგორ ჩაადგებს მესამე სიჩქარეში! თოთხმეტი წლისა რომ გიგხდი, მას შემდეგ ჩემთი ვირჩენ თავს, უშრომლად და უჯაფოო მანეთი არავისგან ვიცი. თოთხმეტი წლისა ვიყავი, ჩვენებურ, დუშეულ ბიჭს რომ გამოგიყეკი ქალაქში, ნათესავი მყავდა იქა, ღმერთო აცხონე, კაი კაცი იყო, მისამართი ვეუთხარი ამ ჩვენებურ ზოფერს, პირველად მოვდივარ თბილისში, ამა და ამ ქუჩაზე მიმიყვანე-მეთქი. უარი არ უთქვამს, მაგაზე დაგზარდებიო? ჩამიყვანა თბილისში, მეჩქარებაო და ეარაზი-სხეეის დასაწყისში ჩამომსვა. ჩამოვედი მანქანიდან, ნიდან, დავერეკე სარიეთი — არ ვიცი, საით წავიდე, ცაში ვარ გამოკიდებული! მერე ამას ეკითხე, იმას ეკითხე გაეჩერებით მივაეენი ნათესავს. შვილივით მიმიღო: დატიანაოდა, დაფაცურდა და რაც შეეძლო, გაკეთა. ასე იყო თუ ისე, ეზაზე მაინც დამაყენა.

— კარგი კაცი ყოფილა!

— ოჭოოს ბული ჭქონდა! იმ ნათესავმა ავტო-შემკეთებელ ქარხანაში მიმიეყანა. ერთი წელი ოსტატს ზეგერი ეიყავი. იქვე ეცხოვრობდი, საერთო საცხოვრებელში. რასაც დამავალებდნენ, ყველაფერს ეაკეთებდი — ბავრობილი და გამოვრჩობდი! უფროსებს ბულისყურით ვუსმენდი, სულ ხელებში შეეყურებდი: მინდოდა ბევრი სასიკეთო მესწავლა და გამეგო. ობლის ამბავი შენც კარგად გეცოდინება: მორჩილია, დამჯერე, სიტყვაუფწენ, დფიქრებული თუ დაღონებული. თავი ხომ არ მოგაბეზრე? — გადმომხედა.

— არა, რას ამბობ, ძალიან საინტერესოა!

— ეს ერთი წელიც მალე გავიდა და გამოიცადეს, კაი ბიჭი ხარო! ეს კი იმას ნიშნავდა, დამოუკიდებლად უნდა დამეწყო მეშობა. ეს ბანარებული ეიყავი — კაცად ჩამთვალეს თუთვიტები წლის ბიჭი! სამუშაო მომეცეს. მეც ვმუშობდი თავაუღებლად, გაბმულად... რაღაცას ვერ მოვაბამდი თავსა და მაშინვე მაეეს ეზეთანთან ბაერბოდი, მიშველე. ამის თავი ეზეთანთან ბაერბოდი, მიშველე. ამის თავი და ბოლო ვერ გავიგე-მეთქი: მასწავლებელსაც უხარიდა, სიამოვნებით მეხმარებოდა ყველაფერში, რაკი ხელადვი, მოწადინებული ვიყავი. სამი წელი ვიმუშავე ოსტატად, სულიც მოვთქვი და ისე დავოსტატეთ კიდეც, ახლა სხვები მთხოვდნენ, ხელი წამოგვაშველეო. მერე საკალდებულო სამხედრო სამსახურში გამიწვიეს... ერთი დღე არ დამისვენია ჩემს გემოზე!.. რაგდენჯერ მინახავს, ჯანდრონთ სიგნე ბიჭები კინკლაობენ, ჩხუბობენ!.. რამდენჯერ წამიკითხავს ბაზეთში, ამან ის დაჭრა, იმან ეს დაასახრჩო, მოიპარა, იხულეგნო... ყველაფერი უსაქმურობიდან იღებს სათავეს. მე რომ ეცადო წახულეგნება, დამიჯერე, არ გამომეიეა: ჯერ სამსახური, ახლა ოჯახშიე საქმე მაქეს და სხვა რაღაცისთვის ვეღარ ეიცლი, ისე ვიღლები... ღმერთმა დალოცოს ტელევიზორის გამომგონებელი: ეინო სახალ მაქეს და თეატრიც... ცირკეეე ვიტყვი ბარეე: ჩემი შვილების პატრონს რაღა ცირკი მინდა ისეთი მოუსეენრები არიან, ისე გადადიან ალაყ-მალაყს და ისეთ ოაღაცეებს იგონებენ საემშაოდ, რომელი ცირკიდა ეინონენ!..

პატარა სოფელია ებნანი — მთების ფერდობზე შეფენილი სოფელი. პატარა სოფელში ადვილად ჩანს ადამიანი: მისი კაი კაცობაც, კე-

კარლო კობეურიძე
ჟურნალისტი

თილი გულიცა და არეული ნაბიჯიც. სოფელში არაფერი იმალება, მით უმეტეს პატარა სოფელში. იქ უფრო ხელშესახებია ადამიანი, ჭორი იქ უფრო ყვირის, ჩურჩული ძახილივით გადადის ეზოდან ეზოსა და სახლიდან სახლში. სოფელი აფასებს გამბედავ ადამიანებს, ამაყობენ მისით, გაუჭირდებათ რამე და გვეიდნი ამოუდგებიან: ლხინის მოზიარენიც ხდებიან და ჭირისაც. გურამ ჯარიაშვილის მამა — მიხეილი მშრომელი კაცი იყო და ასეთივე დარჩა სოფლის მეხსიერებაში. ლხინის დროს ადამიანს მწუხარება თითქოს საკანგებოდ შეახსენებს ხოლმე თავს, უფრო დიდი ფასი რომ დაედოს მხიარულებას. გიხსენებენენ ხოლმე მიხეილ ჯარიაშვილსა და ლუკმას ჩააწყობენ ღვინაში — მიეგებოს. ადამიანსა არ ეყოს, სიკვდილიც ათასნაირია; ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიცოცხლით და სიკვდილითაც. ამ ქვეყნიდან წასული კეთილ კვალს რომ ტოვებს, იგი არასოდეს იშლება ნაცნობების, ახლობლების მეხსიერებიდან, რაც თავისთავად მის სიცოცხლეს ნიშნავს.

პატარა სოფელია ებნინი. სწორედ ამ სოფელში დაიბადა გურამ ჯარიაშვილი. წლინახევრისას დედა დაეღუპა. ეს ტრაგედია ძნელად ასატანი იყო გურამის მამის, მიხეილისათვის, მაგრამ ვინ არ შერიგებია მოულოდნელად თავდატეხილ უბედურებას. ახალგაზრდა კაცი გარკაში პოულობდა შვებას. თვითონაც თითქმის ობლობაში გიაზარდა: მამა სულ პატარას გარდაეცვალა, დედა კი — გაუთხოვდა. პატარა მიხეილი ბიძამ და ბიცოლამ შეიკედლეს, გაზარდეს. რომ წამოიზარდა, მამისეული ეზო-ყურეს მიხედა, სახლი აიშენა, კერია გაალვიეა, დაოჯახდა, მეგობრებს ეღირსა კაცი და, როცა ეგოსა, წელში გაეგმალეო, მეუღლე მაშინ გამოეცალა ხელიდან. წლინახევრის შვილი და თოთხმეტი წლის დედი მისი მოსავლელი გახდა— საკაცო საქმეც უნდა ეკეთებინა და საქალიც. დომი, მომქანცველ, მაგრამ შვებისმომგვრელ შრომაში გადიოდა დღეები. კაცმა ხელმისაწვდომი განაალებაც მიიღო და კოლმეურნეობაში მოანგარიშედ დაიწყო მუშაობა. იმ დროს კოლმეურნეობის გამსჭვალებაზე არ უფიქრიათ, ახლა რომ ათი ბრიგადაა კოლმეურნეობაში, მაშინ ერთი ბრიგადის ხელაც არ იყო მთელი კოლმეურნეობა. ერთხანს იგი მხოლოდ მოანგარიშედ მუშაობდა, მერე თავის საკარმიდამო ნაკვეთში ტრიალებდა. შრომისმოყვარე კაცი ადვილად აუდიოდა სამსახურის საქმეს, ემანაფ არ გაეზარმაცდეო და: არე თოხს თაკილობდა, არც ბარ-ნიჩაბსა და არც საკონლის მოვლა-პატრონობას: სულ მალე ოჯახი დოელათით გაავსო. მისი პატარა დაი, სითბოსა და მზრუნველობას არ აკლებდა გურამს. მიხეილი თავის ფეხ რომ უყურებდა ხოლმე, გული ცოდვით ევსებოდა: ადრე დაქალდა, ადრე იგრძნო დედობრივი მოვალეობის სიმძიმე. გავიდა კიდევ ცოტა ხანი და ომიც დაიწყო — ყველაზე დიდი ომი კაცობრიობის ისტორიაში. მიხეილი ომის ველ-ბისთანავე ჯარში გიწვიეს, მაგრამ უკანვე დაბრუნეს. ბავშვები ცოდონი არიან, ნელ-ნელა შეაჩერე შენი გაშმორების სიმძიმეები. მართლაც რამდენნიმე თვეს შინ დარჩა: იცოდა, ზურგში თავდადებული შრომაც ფრონტსაც ეძახდნენ. წავიდა კაცი ჯარში. მისი დაი და გურამი დარჩნენ უკაცო, უუფროსო ოჯახში. ამ პატარა გოგომ წარმოუდგენელი გმირობა გამოიჩინა, დედაკაცის გმირობა. უფრო გამოცოცხლდა, გამხნევდა, ისეთ საქმეებს მოჰკიდა ხელი, მეზობლები თვალს არ უჯერებდნენ.

მიდიოდა მიხეილი ფრონტზე და ამ გაუთავებელი გზიდან ერთ-ერთ ეს ეს ერთ ... ...

დაიღუპა სარატოვის ოლქში. ეს არის და ეს, რაც მისაწვდენია იციან მიხეილის ფრონტელ ცხოვრებაზე. როგორც ადრე ვთქვი, მისი პირადი წერილები არ შემორჩენილა, არც ვინმე მოიძებნა მისი ფრონტელი მეგობრებისა თუ თანამებრძოლებიდან, რომ უფრო დაწვრილებით სცოდნოდა რამე მის შვილსა და დას.

გაიარა რამდენიმე თვემ და ოჯახმა ცნობა მიიღო: მიხეილ ჯარიაშვილი დაჯილდოებული მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

დაიღუპა მიხეილ ჯარიაშვილი — მშვიდობიანობის დროს გამრჯე მუშა, ომში ერთგული და ნაცადი ჯარისკაცი. იგი ისე დაიღუპა, ვეღარ ნახა თავისი გურამი, ვერ მოესწრო მის დაჯაქცებას, ხელში ვერ აიტაცა შვილიშვილება, ვეღარ აამენა ახალი სახლი და ეზოს ეღარ შემოავლო ახალი ღობე. სამშობლოს ანაკვეალო თავი ახალგაზრდა კაცმა, ვისაც არასოდეს ღირსებია გულიანი სიცილი — ბედის უკუღმართობამ არ დართო ამისი ნება. ახალგაზრდა კაცი ბევრ სიკეთეს მოესწრებოდა კიდევ, ბევრ ბრდღვიალეს მზეს, მაგრამ მისთვის სამუდამოდ დადამდა. სამაგიეროდ შვილი დატოვა ამ ქვეყანაზე — ისეთივე კეთილი, როგორც თვითონ იყო, ისეთივე გამჭრე. დაფიქრებული, — როგორც თვითონ იყო; სამაგიეროდ ხსოვნა დატოვა ამ ქვეყანაზე, ომში დაცემული უკადავი. იგი იბრძოდა იმისათვის, რათა წელგამართულს ეცლო მის შვილს, ეამაყა მისი ხსოვნითა და კაი კაცობით. ეს იცის შვილმა, ვისაც არასოდეს უნახავს მამა, უფრო სწორად, ვის ხსოვნაშიც არ შემორჩენილა მამის ღიმილი თუ მოღუშული შუბლი, დაკოცოლი ხელისა თუ ჩამოუპარსავი ლოყების ჩხვლეტა. იცის გურამმა: მისთვის ძვირფასია მამის სახელი და ხსოვნა, ისევე ძვირფასი, როგორც საკუთარი შვილებისათვისაა სასიხარულო მისი გამოჩენა. მისი შვილები მიხეილს ვერასოდეს დაუძახებენ პაპას — იგი შვილიშვილებსაც ოდესღაც: შვილიშვილებსაც მოაკლდა სითბო. ამ მხრივ სითბო მოაკლდა ყველას, ვისაც ვეღარ დაუბრენდა ჯარისკაცი, შვილს, დას, მეზობელს, ამხანაგს თუ ნაცნობს. გურამი ღიმილით შემოადგა ხოლმე რეაქციონერ კარს და უკმეველად იტყვის თავის შვილებზე— ორ გოგონაზე რადაც სასაცილოს, გოგონები ხომ უფრო ეშმაკები არიან! მეც არასოდეს მინახავს გურამის მამა, მაგრამ ჯერა—მასაც აცეთი კეთილი ღიმილი ექნებოდა, ასეთივე კეთილი და მოსიყვარულე გული. ასე რომ, არ დაღუპულა ჯარისკაცი: შვილის ანსებაში ცოცხლობს — მის ღიმილში ცოცხლობს — ეს არის ყველაზე დიდი ძეგლი მისი ხსოვნისა. დაიზრდებიან გურამის შვილები და მათთვის მარტო კედელზე აკრული ნერგთა ადარ ექნება პაპა, იგი ერთბაშად იქცევა ომში დაცემულ ჯარისკაცად, ვისზედაც ამდენი წოვნი დაიწერა, ვისაც დამსახურებულად ეოგო ამდენი დაფნა და გახსენების სევდა, როგორც საწინდარი უკადავებისა... სუბაბაში მალე გაილია ჭბა — დუშეთში ეკეთდით, რამდენჯერ ეყოფილვარ დუშეთში, მაგრამ ეს ყოველ ამოსავლაზე, რაც არ უნდა ხშირად დადგებოდეს ყოლებით იყოს, რადაც სიახლე მაინც მომხვდება ხოლმე თვალში, თანდათან უფრო ლამაზი მეჩვენება.

— ვიდრე საქმეს მიეხედავდეთ, აჯობებს ჯერ მამიდაჩემი ვინახულოთ, თორემ რა იცი, მერე დროს გამოვნახავ? თანაც აქვე ცხოვრობს, გზიდან გადახვევა არ დაგვჭირდება.

— ასე აჯობებს...

გურამის მამიდა — მარო გულღიაღ შეგვეგება. ისე მოიკითხა გურამი, თითქოს წინა დღეს არ ენახოს.

ომი დამთავრდა... ჩამოდგა პირველი მშვიდობიანი წლება. მარო გათხოვდა და გურამიც თან წაიყვანა — ქმრის სახლში. გაეჩინება გამოვლილი ქალისათვის, არავითარ სიძნელეს ადარ წარმოადგენდა დიდი ოჯახის მოვლა: ექვსი შვილი შეეძინა, ექვს შვილს უზრდის სამშობლოს. მაგრამ თუ ჰკოთხეთ, რამდენი შვილი გყავსო, გიპასუხებთ, შვილოო. პირველ შვილად გურამი მიაჩნია და ეს ასეც არის. შვილების აღზრდაში ახლა მეუღლეკ ეხმაინება, გურამი კი მარტომ გაზარდა მაშინ. როცა თვითონაც ბავშვი იყო. ეს დაუზარელი ქალი, საოჯახო საქმესაც ასწრებს და შვილების მიხედვასაც. პირდაპირ სამაგალითოა გურამიაც მამიდის ვმრობა: ექვი შვილი, ექვსი მხიარული და ჯანსაღი შვილი!.. ნამდვილად საამაყო გაქვს ჯარიაშვილის ქალო!

დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი არჩილ ზადური თბილისში წასულიყო სასწრაფო საქმეზე. მეორე მდივანმა ალექსანდრე ახობაძემ მიგვიღო. და აი, მასთან რომ ესაუბრობდი, როცა ყოველგვარი დახმარება აღმოიქვა, მაშინ გამახსენდა, რომ ნარკვევის მასალა უკვე აღებული მქონდა ყოველგვარი გაკვეთე-გამოქცევის, სადაგებო დაკითხვისა თუ ხვეწნა-მუდარის გარეშე. რაკი ეს ასე მოხდა, საუბრის თემა შევაცვალეთ. ვილაპარაკეთ დღევანდელ დუშეთზე, წარსულსა თუ მომავალზე.

მდივნის კაბინეტიდან მალე რომ გამოვედი, გაოცებულნი მოჰპაროდა გურამი:

— ასე მალე მორჩი საქმეს?

— კი. დავბრუნდეთ თბილისში.

— მერე, ნარკვევი?

— ნარკვევს დავწერ.

— ვისზე, კაცო?

— შენზე. შენზე და ომში დაცემულ ჯარისკაცზე — მამაშენზე.

გურამმა ამოიოხრა და კიდევ უფრო გაოცებული მომაჩერდა. ხმა არ ამოუღია — ასე ჩამოვედით დუშეთის ასახვევამდე.

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲙᲝᲯᲝᲠᲘᲫᲔ
ᲯᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ისევ მზეა და ნუშებიც ისევ თეთრად გამოკრთებიან ხოლმე, დაფიქრების წუთებს გართმევენ.

გზაჯვარედინზე „ვოლგა“ იყო გაჩერებული, შოფერი რაღაც ნაწილს უჭიკინებდა. **გურამმა** სელას უკლო, ხომ არაფერი გიჭირსო ღიმილით ჰკითხა: შოფერმა თავი გააქნია, არაო.

— ჩემი ძმაკაცია, — თქვა გურამმა, — ძალიან მოშუამდგომლ ხასიათზეც რომ ვიყო, დავინახავ, თუ არა, მეღიმება. გაგელიმება მაშ რა იქნება, სკლეროზიანი დიასახლისი ჰყავს და დღეში ორჯერ სთხოვს ბინის ქირას. შეიკლა კაცი მთელ უბანს დაისწრეს ხოლმე, ბინის ქირას რომ აძლევენ. ღმერთმა დალოცოს ჩემი დიასახლისი, ფულს ძალთა ვაჩეჩვე ხელში. ასკერ მაინც მეუბნება, შვილო, იქნებ გეჭირდება, გქონდეს, სხვა დროს მომეცი, ემანდ შვილებს არ მოაკლდეს რამეო. იმისთანა ქალი, რა ვიცი, ბევრი არ შეძხვედრია.

— მართლა კარგი ქალი ყოფილა!

— კარგი რომელია: დღეს რომ ფულს ვაძლევ, ხვალ ისევ ვთხოვ, მასესხე-მეთქი. სამოცდაერთი წლიდან ეგეთ სიმტკბილობაში ვართ!..

ამას წინათ გამოვიდა არჩილ **შაღურისა** და გივი ნადარეიშვილის წიგნი „ბრძოლისა და შრომის ორმოცდაათი წელი“. თბილისში დაბრუნებისას ერთხელ კიდევ გადავფურცლე ეს წიგნი. იგი დუშეთის რევოლუციურ წარსულს, აწმყოს, ნათელ მომავალს ეხება. მოზრდილი თავი აქვს დათმობილი დიდ სამამულო ომს, იმ[illegible] მიანებს, ვინც გარკვეული წვლილი შეტანილ მტერზე გამარჯვებაში. ამ წიგნში მოხსენებულია მიხეილ ჯარიაშვილიც. დუშეთს სამაყო აქვს და ამაყობს კიდეც:

საბჭოთა კავშირის გმირებით — ხიტალიშვილითა და პირმისაშვილით — ვინც თავზარს სცემდა გადამთიელებს, ეს ბედნიერი დღეები რომ დამდგარიყო. ისინი არასოდეს ფიქრობდნენ სიკვდილზე — სამშობლოს სჭირდებოდა მათი სიცოცხლე, რათა იმ წყვდიადში არ დარჩენილიყო, ასე რომ ჩამოწვა ერთხანს. ამაყობს სამამულო ომის გმირებით; ბევრი გამარჯვებული დაუბრუნდა ოჯახსა და სამშობლოს, ბევრი კი ისე დაეცა, საფლავიც კი ვერ მიგვიგნია მათი, გამარჯვების დღეს საქართველოდან ჩატანილი ერთი პეშვი მიწა და ნამიანი ყვავილები რომ დავაყროთ. სწორედ ასე დაიღუპა მიხეილ ჯარიაშვილი — საფლავიც კი დაიკარგა მისი. არავინ იცის, სად განისვენებს, მაგრამ ახლა სხვაა მთავარი: მან ვალი მოიხადა სამშობლოს წინაშე, მსუბუქი იყოს ის მიწა, გულზე რომ აყრია. სადაც არ უნდა იყოს, იგი მაინც ცოცხლობს ჩვენში, ჩვენს ფიქრში, ამ მილიონობით უსახელო ჯარისკაცთან ერთად, ვის გარეშეც არ დადგებოდა ეს ნათელი დღეები, ვის გარეშეც ასე ლამაზად არ გამოჩნდებოდა ის ნაფიქრევად აყვავებული ნუშები, მეტეთის გზაზე რომ გადაპენტილიყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა აზერბაიჯანს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. ოქტომბრის მზის ქვეშ აყვავდა მომძე რესპუბლიკა, აშენდა და დამშვენდა მისი სოფლები და ქალაქები, ამაღლდა ქვეყნის კულტურული დონე.

აზერბაიჯანელი პოეტები გატაცებით უმღერიან ვანახლებულ საამშობლოს, მის სახელოვან წარსულს, ბედნიერ აწმყოსა და დიად მომავალს.

სამედ ვურღუნი

აზერბაიჯანი

ამ ლამაზ მთებს და წყაროებს შორის
მე არა ერთი და არა ორი
დღე გავატარე, მიხმობდნენ შორით—
მეგობრები და ერთი ლამაზი
და მოდუდუნე, წყნარი არაზი...

კარგი რომა ხარ, ქვეყანამ იცის,
ჩემი რომა ხარ, იციან ისიც,
ჩემი ხორცი ხარ და ჩემი სისხლი,
ხარ ვარსკვლავებით სავსე ხალიჩა,
აზერბაიჯან, აზერბაიჯან!

მე ვარ შვილი და შენა ხარ დედა,
მე მხოლოდ შენთვის და შენთან ერთად
ვარსებობ, ყველგან შენს ვარსკვლავს ვხედავ,
ყველგან მინათებს შენი ლამპარი,
ხარ ყველგან ჩემი თავშესაფარი.

თუ ვარ სტუმარი შორეულ მხარის,
მე მენატრება დღეები ხვალის,
რადგან მპირდება ლხენას და ხალისს
შენთან შეხვედრის ტკბილი წუთები,
როდესაც ისევ დაგიბრუნდები.

თოვლს დაუფარავს ქედები შენი,
ქედებს ღრუბელთა მანდილი შვენით.
ვერ გამოხატავს ვერავინ ენით, —
რა მძიმე იყო შენი უღელი,
როგორ იბრძოდი ქედმოუხრელი.

ხშირად გლანძღავდა ენა ბოროტი,
აღარ უჩანდა ბოლო მოლოდინს,
მაგრამ ურყევად იდექ ბოლომდის,
წინ მიუძღოდა ყველა თაობას
მეგზურად შენი გამბედაობა.

ახლა გავყურებ შენს მწვანე მინდვრებს,
არა ჩანს მათი ბოლო და კიდე,
წინ მინდორივით ქაღალდი მიდევს, —
სული მოითხოვს ახალ სტრიქონებს
და სიჭაბუკის დღეებს იგონებს.

კასპიის ვრცელი ზღვა გიდგას გვერდით,
ზღვაზე დაცურავს ათასი გემი.
დღეს საოცნებოდ ქცეულან ჩემთვის
აქეთ მუღანი, იქით ელდარი,
ნახევარგზაზე ვდგევარ მხედარი.

მიიკლაკნება მწვერვალთა ჯაჭვი,
ვრცელ ველებს ვხედავ მარცხნივ და მარჯვნივ,
ტყე სავსე არის ირმით და არჩვით,
სექტემბრის ღამე აწონასწორებს
მხურვალე სტეპებს და გრილ საძოვრებს.

ამ მთების იქით ზღაპრულად ნახატ
ლენქორანსა და ასტარუს ნახავთ.
დანავარდობენ მერცხლები ლაღად
აფრიკისა და ინდოეთისა,
თავისუფლების ხილვა ეღირსათ.

ფორთოხლებს არხევს ნიავი ზანტი,
ტოტები თითქმის მიწამდე დადის,
დიდი დოვლათი თოვლიან ზამთრის —
თვალუწვდენელი მთების ჭაღარა —
გრძნეულმა ხელმა გადმოგაღვარა.

დგას ლენქორანში ყვავილთა კალო,
ტურფებს ვერ დათვლი, რაც უნდა თვალო.
შენ, დედაჩემის ლამაზო რძალო,
მოგვართვი ჩაი, მუქი და ცხელი,
არ გაიშვირო სხვებისკენ ხელი.

ჩვენი თავთავი იხრება დაბლა,
მწიფდება ჩვენი ხილი და ბამბა,
მძიმდება ჩვენი ვენახი სწრაფად, —
ცოტა დილითაც უნდა დალიო
და ჯანზე უნდა შეხვდე ალიონს.

ადექ, ყაზახში შეკაზმე რაში,
დასძარ, ფაფარი გაშალე ქარში,
გამოგაცილებს ტყეების ტაში. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეპაზის მთამდე გზაა იოლი,
იქიდან მოჩანს გიოქ-გიოლი!

დღეა ლაღი და კაცია ლაღი,
მზით ავსებულა ბაღჩა და ბაღი.
ჭადრების ჩრდილში შეკრიბე ხალხი
და ხალიჩები ქსოვეთ ფერადი,
დამშვენებული ცისარტყელათი.

ყარაბახისკენ ისწრაფის სული,
მთიდან მთებამდე მივყვები სურვილს,
მსურს, იდგეს ღამის სიწყნარე სრული
და ხანს ვუსმენდე, — სწვავდეს ზაფხულის
ღამეს შიქასტა ყარაბახული.

ჩემო სამშობლოვ! ტურფას და მზიანს —
შენ სილამაზის აკვანი გქვია!
მოაქვს აშუღის სიმღერა ნიავს,
სიმღერა სულში ჩამოგეღვარა,
ხარ პოეზიის დიდი ქვეყანა.

რა მოჰკლავს ხალხის სულსა და მიზანს,
რა მოჰკლავს ფიზულს, რა მოჰკლავს ნიზამს?!
შენი კალამი დაჩაგრავს ისარს, —
დაწერე სიტყვა უდიადესი,
დარჩეს მომავალს, როგორც ანდერძი.

მიმოიხედე, შეხედე ბაქოს,
ბაქოს ჩირაღდნებს ქარი ვერ აქრობს.
ჩემო ლამაზო და ჩემო კარგო,
შენი კოშკები დგანან ზვიადად,
იმედად მშრომელ ადამიანთა.

ენაზებიან ნიავქარს ხენი,
სანაპიროსკენ დავიძრათ ლხენით,
ბაქო უკვდავი გულია ჩვენი!
იღვრება დილის შუქი ზღვასავით,
ცაზე ციმციმებს ცისკრის ვარსკვლავი.

სამშობლოვ!
როცა გაშალეს ქარში
შენი წითელი დროშები, მაშინ
მეც დავიბადე... იცინის ბავშვი,
იცინის შენი მიწა ხავერდის.
კარი ხარ ძველი აღმოსავლეთის.

თარგმნა ვახტანგ ჯაფარიძემ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲛᲘᲜᲐᲢᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘ

●

კონგოს რესპუბლიკის თეატრი (ბრაზავილი) აფრიკის თეატრების კონკურსზე ორი წელია პირველ პრემიას იმსახურებს. 1969 წლის პირველი პრემია ეიურიმ მიანიჭა ანტუან ლეტტებზე ამბის პიესისათვის „მსჯავრდადებული ევროპა“. მეორე პრემია მიეკუთვნა გ. ოიონო მბიას პიესისათვის „ჩვენი ქალიშვილი არ თხოვდება“. მესამე პრემია დაიმსახურა მარსელ მალენდას პიესამ „ჯოჯოხეთი— ეს ორფეოსია“, მეოთხე პრემია მიაკუთვნეს ნიგერიელ დრამატურგს ო. ბალოგუნს პიესისათვის „შანგო“. მაყურებელთა პრემიის ღირსად ცნეს პატრის ნდედი პენდა პიესისათვის „თოფი“.

ᲐᲨᲨ

ᲓᲠᲐᲜᲘᲖᲔᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

გამომცემლობა „ინტერნიშნლ პაბლიშერსმა“ გამოსცა რუტ კენელის წიგნი „დრანიზერი და საბჭოთა კავშირი (1927-1945 წლები)“. წიგნში აღწერილია დრაიზერის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში 1927 წელს, ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავთან დაკავშირებით. რუტ კენელი ამ მოგზაურობაში თან ახლდა დრაიზერს, როგორც პირადი მდივანი. იგი აღწერს ავტორის შეხვედრას კ. სტანისლავსკისთან, ვ. მაიაკოვსკისთან, ს. ეიზენშტეინთან; შეხვედრებს ლენინგრადელ მუშებთან, უკრაინელ მეშახტეებთან, ქართველ ელეზებთან.

ამერიკაში დაბრუნების შემდეგ, 1928 წელს, „ნიუიორკ ტაიმსის“ კორესპონდენტს დრაიზერმა განუცხადა: „ჩემთვის გაუგებარია, ისეთ მდიდარ სახელმწიფოში, როგორიც ამერიკაა, რატომ დგანან ღარიბები პურის რიგში. არსად რუსეთში მე არ მინახავს რომ ჩაუცმელი ადამიანები სიცივეში პურის რიგში მდგარიყვნენ“.

●

ცნობილმა ამერიკელმა რეჟისორმა უილიამ უილერმა ეადაილო ფილმი „ბაირონ ჯონის განთავისუფლება“. ესაა მკაცრი პროტესტი ზანგების რასისტული დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომელიც ამერიკაში მძვინვარებს. რეცენზენტები უურადღებას განსაკუთრებით ამახვილებენ იმ სცენაზე, რომელშიაც პოლიციელი სერჟანტი დაპატიმრებულ ზანგს უბრძანებს, ღრძილები მაჩვენეო. აღმოსავლეთში გამეფებულია რასისტული რწმენა, თითქოს ცისფერღრძილებიანი ზანგის ნაკბენი მომაკვდინებელად მოქმედებს თეთრკანიანზე.

●

ზანგური ხალხური სიმღერების ცნობილ შემსრულებელს, რასობრივ დისკრიმინაციის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლს ჰარი ბელაფონტეს გადაწყვეტილი აქვს გადაიღოს ანტირასისტული ფილმი აფრიკიდან ზანგების გარეკვის ისტორიაზე. ფილმის სათაური იქნება — „დიდი გემი, რომელიც მდინარეს მიყვება“. ფილმის რეჟისორი იქნება თვით ბელაფონტე. ამჟამად ჰარი ბელაფონტე კვლავ განაგრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძობს სიმღერას და ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იბრძვის ზანგების თანასწორუფლებიანობისთვის. წლის უმეტეს ნაწილს იგი აფრიკის გარშემო მოგზაურობაში ატარებს. მაგნიტოფონზე იწერს ზანგურ სიმღერებს, ამუშავებს მათ და შემდეგ ახრულებს ევროპისა და ამერიკის სცენებზე.

თურქეთი

●

სტამბოლსა და ანკარაში შეიქმნა ახალი თეატრალური კოლექტივები — „რევოლუციური მოძრაობის თეატრი“ და „სახალხო მოძრაობის თეატრი“. მათი რეპერტუარი ითვალისწინებს ისეთ პიესებს, რომლებიც მწვავედ აკრიტიკებენ ამერიკელ იმპერიალისტთა ნეოკოლონიზატორულ პოლიტიკას. ახალგაზრდა თურქი დრამატურგის აიდინ ენგინის კომედია „სულიერმანის საუკუნე“ დადგა „სახალხო მოძრაობის თეატრმა“, პიესაში მხილებულია თანამედროვე თურქეთის სოციალური მდგომარეობა, გამასხარავებულია თურქეთში ამერიკის მეექვსე ფლოტის სამხედრო ხომალდების შემოსვლა.

ერთ-ერთი სპექტაკლის დროს მსახიობებს თავს დაესხა ხელოვნებითთ და ასაფეთქებელი ნივთიერებით შეიარაღებული რეაქციონერთა ჯგუფი.

თურქეთის დემოკრატიულმა პრესამ აღშფოთება გამოთქვა ამ ინციდენტის გამო.

იაპონია

სირცხვილი აგრესორებს

სამხრეთვიეტნამელი სტუდენტები, რომლებიც ტოკიოს უნივერსიტეტებში სწავლობენ, იღამჭრებენ იმ სამარცხვინო აგრესიის წინააღმდეგ, რომელსაც თავგასული ამერიკელები სჩადიან მათ მიწაწყალზე.

„თვალზე ცრემლმომდგარი ტოკიოელი ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებსაც ტრანსპარანტები უჭირავთ ხელში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობის წინ დგანან და გაიძახიან: „სირცხვილი ამერიკელ აგრესორებს!“ — წერდა იაპონური ჟურნალი „ასახი გურაფუ“.

საფრანგეთი

●

წელს სრულდება 100 წელი ცნობილი ფრანგი მხატვრის ანრი მატისის დაბადებიდან. პარიზში, ბერნენის გალერეაში გაიხსნა მხატვრის გამოფენა „მატისის შედევრები“. ნახატების კოლექცია, რომელიც წარმოადგენეს ჟან და ანრი დობერვილებმა, პრელუდიაა იმ დიდი საიუბილეო გამოფენისა, რომელიც უახლოეს დღეებში გაიხსნება „გრან პალეში“.

მატისის შემოქმედება იმდენად რთულია, რომ მისი ყოველი ტილო რაღაც ახალ აღმოჩენას წარმოადგენს.

1909 წელს, როდესაც მატისს ეკონომიურად მეტისმეტად უჭირდა და ხატვისთვის თავი უნდა დაენებებინა, ძმებმა ეოსე და გასტონ ბერნემებმა მხატვართან დადეს პირველი კონტრაქტი.

პიერ შნეიდერმა გამოფენისათვის შეაგროვა მხატვრის ორასზე მეტი ნამუშევარი, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და ამერიკის მუზეუმებში ინახება.

„გრან პალეში“ გამოფენილ მხატვრის ორასზე მეტ ნამუშევარს შორის განსაკუთრებით ძვირფასია მისი ტილოები „ცეკვა“ და „მუსიკა“. ეს ნახატები 1910 წლის შემდეგ პირველად იმოგზაურებენ მოსკოვიდან საფრანგეთში.

უნგრეთი

ოპერა „დანშაული და სასჯელი“

უნგრელმა კომპოზიტორმა ემილ პეტროვიჩმა დაწერა ახალი ოპერა „დანშაული და სასჯელი“. ოპერას საფუძვლად დაედო. თ. დოსტოევსკის ამავე სახელწოდების რომანი. ოპერამ თეატრალური კრიტიკოსების უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

ოპერა დადგა რეჟისორმა ანრაშ მიკომ. თეატრალური მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ეს დადგმა

შანდორ სოკოლაის „სისხლიან ქორწილთან“ ერთად რეფისორის საუკეთესო ნამუშევარია.

შოტლანდია

როგორ წარმოიქმნება შავი აისბერგები

შავ აისბერგებზე პირველად იტყობინებოდა ცნობილი ინგლისელი მოგზაური ჯეიმს კუკი 1773 წელს. მას შემდეგ მეზღვაურები არა ერთხელ აღწერდნენ შავ აისბერგებს, მაგრამ ანტარქტიდის მახლობლად მცურავი შავი მთების წარმოშობის მიზეზი ყოველ-ოვის მეცნიერთა კამათს იწვევდა. ახლახან ახალზელანდიელმა მკვლევარებმა წამოაყენეს ჰიპოთეზა, აისბერგების შავი ფერი ალმოსავლეთ შოტლანდიის კუნძულებზე წარმოქმნილი ვულკანური მოქმედების შედეგიაო. მეცნიერების ვარაუდით, კუნძულის ყინულოვანი ზედაპირი იფარება ვულკანური მტვრის ისეთი მკვრივი ფენით, რომელსაც ზღვის ტალღებიც კი ვერ რეცხავენ, როდესაც ყინულის, „შავი“ ნაწილი კუნძულს მოწყდება და წყალში ეშვება, იგი ახალ აისბერგს წარმოშობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეხოსლოვაკია

●

პრაღის ეროვნულმა საოპერო თეატრმა განახორციელა ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინის“ ახალი დადგმა.

რუსულ საოპერო კლასიკას ღირსეული ადგილი უჭირავს პრაღის ეროვნული თეატრის რეპერტუარში. ოპერა „ევგენი ონეგინი“ პირველად ეროვნული საოპერო თეატრის სცენაზე დადგა 1888 წელს.

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

ჟურნალი გააფორმეს ჯ. ლოლუამ და დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.
ტელეფონები რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-35. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაწყობად 11/III-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/IV-70 წ., ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14. შეკვ. № 841. უე 02049. ტირაჟი 23.400.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

24071

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236